

114
1960/2



მნათობი

114/2

3

43

მნათობი



1960

117
1960/2



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 37-ე

№ 3

მარტი, 1960 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

ფ 292
8036

შ ი ნ ა კ რ ს ი

გლაკტიონ ტაბიძე — ლენინი, ლექსი	3
ირაკლი აბაშიძე — დაცლილი აგარაკი, ლექსი	4
მედიკა კახიძე — ლექსები	5
რევაზ ჯაფარიძე — ჯარისკაცის ქერიები, რომანი, წიგნი მეორე, გაგრძელება	6
მარი აბრამიშვილი — დაბრუნება, ლექსი	40
არჩილ სულაკაური — მტრედები, მოთხრობა	41
გრიგოლ ცეცხლაძე — ლექსები	54
ფრიდონ ხალვაში — ლექსები	56
რამაზ კობიძე — მარგალიტი, მოთხრობა	58
მიხეილ დავითაშვილი — ტატიანა ჩხაიძე, ნარკვევი	63
ბონდო კეშელავა — ლექსები	71
ელენე გოგოლაშვილი — ფოთოლი, მოთხრობა	73
მამია ასათიანი — თქმულება ქუთაისზე	76
ვასილ გვატაძე — ლექსები	83
მიხეილ ლოხვიცი — გადარბურავი სახლი, თარგმანი რევაზ ინანიშვილისა	85
ჟოან ვილფგანგ გოეთე — ლექსები, თარგმანი ვერმანულიდან შოთა ამირანაშვილისა	98

კრიტიკა და კუზლიმისტიკა

✓ გურამ ასათიანი — თანამედროვე ლირიკის საკითხები	99
ფატი ნიშნიანიძე — ვალაკტიონ ტაბიძე და ანტონინ ზაპოტოცკი	107
გიორგი ზუხუაშვილი — მარამ გარჩეული	109
ფილიპე ბერიძე — ფერაცივალების ნიშანი	114

იხ. მეორე გვ.

გამომცემლობა
«საბჭოთა საქართველო»



გივი ვაჩეჩილაძე — მხატვრული თარგმანის ისტორიისათვის დასაველთსა და რუსეთში წერილ-მეორე	118
გრ. ფურცელაძე — ქართული საზოგადოებრივი აზრი ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმის შესახებ	128
პროკოფი რატიაანი — ქართული ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან	134
პაატა გუგუშვილი — სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი	144

საუბრაში მისი საქითხიჯი

შოთა შიძვეური — ქართლის მონათესავე ენები მსოფლიოში. დასასრული	154
---	-----

ხელოვნების საქითხიჯი

ეთერ გუგუშვილი — აკაკი ვასაძე	159
ევგენი ლუნდბერგი — კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი გზა და მემკვიდრეობა. დასასრული	163
ლიმიტრი კენჭოშვილი — საქართველოს ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა	171

მოგონებები

ბაბილინა ხოსიტაშვილი — ზოგი რამ 1905—1907 წლებში ვანცილი-განვლილიდან	175
--	-----

წიგნების მიმოხილვა

მარიამ ხედედლიძე — ანა ხახუტაშვილის მოთხრობები	183
ანა ღვინიაშვილი — ლიდა მეგრელიძის „სახსოვარის“ გამოცემის გამო	185
აკაკი თოფურია — მონოგრაფიული ნარკვევები სამ მწერალზე	189
გ. გასიტაშვილი — საინტერესო ეთნოგრაფიული ნაშრომი	189
გ. ნატროშვილი — მცირე განმარტება	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდიენი), ვ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ბელმოწერილია დასაბეჭდად 29/III-60 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა 7 1/4×12 1/2. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 12. პირობითი ფორმათა რაოდენობა 16. უე 00565. ტირაჟი 6000. შეკვეთა № 550.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მოვარპოლოგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.



ლ ე ნ ი ნ ი

მღელვარება ღრღნის ქალაქის ქალას:
 ჩაეარდნილ თვალებს და ღია ბალებს.
 უძრავ ლენინით მრისხანე ძალას
 სძრავენ ზოდები —
 დაბურულ კარებს გრიგალი აღებს...
 მახსოვს იმ დღეთა ტოლნი და სწორნი...
 შფოთავს, საოცრად შფოთავს ვოლტორნი
 და ფაგოტები...
 ასეთ დროისას ვსვამ ქე ფილას!
 მსგავსი ქარხნების დაბურულ კართომის
 გრიგალი ღრღნიდა ქალაქის ქალას...
 იქ ავლენილი,
 ლენინი — მსხვერპლი ბოროტი ტყვიის —
 ორი ბოროტად ანთებულ ომის
 და სამი მძაფრი რევოლუციის
 დროშა — ლენინი.
 დადგნენ მედგარი მოიწმედენი;
 ოცნება თოვლში დაკარგულ ქოხის
 და რკინის დროის გზაჯვარედინი.
 პროლეტარიატი! —
 ეს გუგუნია მთელი ეპოქის,
 განწირულებით ის ეძებს ფერებს,
 რომ მოეფინოს დაჩაგრულ ერებს
 სითბო მარადი.
 დახარეთ დაბლა დროშათ ბანაეი!
 აქ ბევრი ბრძოლის გათავდა ვადა,
 სტოეებს ბელადი და ამხანაგი
 დევიზზე დევიზს:
 გაქრა შიმშილი, მოკვდა ბლოკადა
 გათავდა ომი სამოქალაქო,
 ნაჯრამ ახლოა დრო, ამხანაგო,
 მსოფლიო ნგრევის...

1924 წელი

იხილეთ აგრეთვე



დაცლილი აგარაკი

რამ დააყრუა დღეს ეს ხეობა
საესე ხმაურით, ვით წყალდიდობით?
ვის ეთხოვება, რას ეთხოვება
გული რად კენესის:

— ეპა მშვიდობით!

გული ვის იწვევს ყოველ უბნიდან
რამ, მისი ძგერა რამ დაარღვია?
ვინ გაუფრინდა,
 რა გაუფრინდა,
ვინ დაკარგვია,
 რა დაკარგვია?

რა ჩაწყვეტია, რა ჩაქრობია,
რა მოფლეთია, რა გასხლტომია?
რა გამქრალ საზღვრებს ვერ დაფლობია,
რა უწელომ საწელომს ვერ მიწედომია?

რა გზებს დაეძებს,
 რა მთის ეზოებს,
რა ტყის ბილიკებს,
 რა წყვილ ამურებს,
რა ხმებს, რა სუნთქვებს, რა სიახლოვეს,
რა კვლებს, რა ბგერებს, რა ქრიაშულებს?

რამ დააყრუა დღეს ეს ხეობა
საესე ხმაურით ვით წყალდიდობით?
ვის ეთხოვება, რას ეთხოვება,
გული რად ტირის:

— ეპა მშვიდობით!

ბორჯომი, ნოემბერი.

მეხე კახიძე



ეწუხდი, რომ ბაღჩას თავის ნებაზე
ალარ ურბენდნენ ჩიტები სტვენით,
და მთელი ეზო შებინდებამდე
ლაპარაკობდა ჩიტების ვნით.

წლები ცვიოდნენ მწიფე ხილივით
ეზომ ბავშვები დაინატრულა
ბაღს კი ჩიტების ყვილ-ხივილი
აწვიმდა როგორც წვიმა შხაპუნა.

შენი გაჩენა იყო ბაღისთვის
ანაზღეული თოფის გასროლა,
ჩიტებს ნავარდი ალარ აღირსე
ბაღს მოველინე ბატონ-პატრონად.

ახლა კი როგორც წვიმას ეუუენას
ხილნარი უსმენს ბავშვების ტიტინს,
და საქანელის ტოტზე კივინით
ალარ ქანაობს არცერთი ჩიტი.

დე ჩვენი ეზო უცხო ხილივით
იქცეს ჩიტების მუდმივ ნატრულად,
ოღონდ ბავშვების ყვილ-ხივილი,
აწვიმდეს ბაღჩას როგორც შხაპუნა.



ათიათას გუგულების გუგუნს
საზაფხულო დღეების გუგუნს
ჩემი გოგოს ერთი სიტყვა მირჩევნია.

დიდ გვალვაში მოწყარუნე ცის ნამს.
სიცივეში შემოსწრებულ მზის თვალს.
მისი ციციქნა გაღიმება ურჩევია.

მას კი ჩემს თავს ყველაფერი ურჩევია;
მოლია თუ მწვანე ნაძვის გირჩებია.
ჩემი გოგო, ორი ჩიტის ტოლი
მთელ ქვეყანას მირჩევნია!

რედაქციის
გამოცემის



ჭარისკაცის ქვრივი*

რეზანია

წიგნი მეორე

იმ დღეს აქეთ სპირიდონს ჩინჩალა-
ძე არ უხსენებია. არც ის უკითხავს
ჭალიშვილისათვის, ფული თუ მიაო-
ხრე და რა ბრძანაო. ეს პირველი ხსე-
ნება იყო. ხათუნა მიხედა, რაოდენ
გაუძნელდებოდა მომავალ ქორწინება-
ზე კრინტის დაძვრა. ჯერ თვითონაც
ვერ მოესაზრებინა, რა პასუხით უნდა
წარსდგომოდა პორფირუსს. დღევანდელ-
ი საბედისწერო შეხვედრა, რაზედაც
ასე წინდაუხედავად დათანხმდა, ძრწო-
ლვას ჰგვრიდა.

„რა ეშმაკად გავუჩერდი, ვერ გა-
მოვიქეცი? — ტუქსავდა თავს, ყველა-
ფერი ჩემი ბრალია, ჩემი! დასაკლავ
ციკანივით ვარ ატროვებული!“

დერეფანში ნაბიჯი აითრია, იქნებ
რაიმე საქმე გამომიჩნდეს და ცოტა
ხანს შეეყოვნდეთ. ძალიან ადრე იყო.
დაბლობში ნისლი იწვეა. აგურის ქარ-
ხნის წითელი სახურავი აქედან ისე მო-
ჩანდა, როგორც მღვრიე წყალქვეშ. ყო-
მრალი ნისლი ზემოთ მოიწვევდა და
ფერდობებზე შეფენილი ვენახები, კრა-
მიტით გადახურული სახლები და ქოხ-
ბოსლები თითქოს თან მოჰქონდა.

ნეტავი რა დროაო, გაიფიქრა ხათუ-
ნამ. პალატში შესვლა ვეღარ გაბედა,
მალეძიარა საათი კი იქ იდო, ბუხრის
ფიტონზე.

მამ არაფერი ეშველება, სულ ეს
არის და ეს?

ეზოს ბილიკზე, რომელიც დერეფნი-

დან ბოსლისაყენ მიემართებოდა, ეკა გა-
მოჩნდა. ცალი ხელით რძით სავსე ქო-
თანის მიუხუტებინა გულზე, მეორეთი კი
კოჭებამდე ჩაშვებული კაბის კალთა
ეკავა, რათა აღმართზე ამოსვლისას ზედ
ფეხი არ დაედგა.

ხათუნა თავდაღმა დამხობილ გოდ-
რის ძროზე ჩამოჯდა. ეკას დაუცადა.
არ ივარგებდა დედის უნახავად წას-
ვლა.

— ასე ადრე მიდიხარ, შვილო? —
ამოატანა ეკამ, კაბის კალთა გაათავი-
სუფლა და რძით სავსე ქოთანს ორივე
ხელი მოავლო.

— მწყემსებს რად შეაგვიანდათ? —
ჰკითხა ხათუნამ.

— გარეკე წინ, დედა-შვილოზას,
თხმელებში ჩადენე. წყალსაც დაღვეს.
ამასობაში გამოივლიან, აბა რას იზამენ.
მალე ამოდი შენ, თვალი სულ გზისკენ
გვექნება. ჭურჭელი არაფერი მიგაქვს?
ბახარში გამოვივლიო?

— უი, მართლა! — წამოიძახა ხათუ-
ნამ, — მომეცი, სკამზე ბადე დევეს, მა-
გიდასთან.

— ხომ ხედავ, ხელში არ მცალია!

— დადგი. უკან ნულარ დამაბრუნებ.

ხათუნას გაეხარდა, დედამ რომ ძრო-
ხის გარეკვა დაავალა. საქმე გამოუჩნ-
და. ამას ოც წუთს მაინც მოანდომებდა,
მერე ფეხით დაადგებოდა გზას. აქედან
ზესტაფონამდე საათნახევრის სხაიარუ-
ლო მაინც იყო.

სამანქანოზე გავიდა თუ არა, ნახი-

* ვარგელება, იხ. „მნათობი“ № 1, 2.

რის სხრიალი შემოესმა. მოწყურებულნი ძროხების ჯოგი ძუნძულით მოექანებოდა გზისპირის თხმელნარისავე. დათუნა ჩამოეცალა ძროხებს, თავისი საქონელიც ჯოგში შეურია და სანამ უკან ჩამორჩენილი მწყემსები წამოეწეოდნენ, ნამეწყარლისავე დაჰყვა გზას.

ყოველი მოსახვევი, ყოველი ნაცნობი ქვა, რომელიც აქ ოდითგანვე ეგდო. უღარდელ ქალიშვილობას ახსენებდა. ამ გზით დაიარებოდა ხათუნა სკოლაში. თითქოს გუშინ იყო. რა უცებ გაიზიზინა დრომ!

სკოლის ფიცრული შენობა, სადაც ზურისავე მოუწია სწავლამ, აქედან მტრედისფრად ჩანდა ტოტებშესხვილ ბზის ხეებში. დროგამოშვებით ბავშვების ყრამულიც მოჰქონდა ქვენა ქარს. იქვე, მწვანე სერზე, დროთა განმავლობაში სათონე თიხასავით გაყვითლებული ქვებით ნაშენი ეკლესია იდგა. ეკლესიას კრამიტის სახურავი გადაჰბლოდა და ფხვიერი კირით თავგადათუთრებული უზადრუკად გამოიყურებოდა. ეკლესიის უკან, იქ, სადაც საქალეზოს კარი გამოდიოდა, ფულტროიანი ცაცხვი აწოწილიყო. ნაწიგმარზე ფულტროში წყალი დგებოდა და მერე მთელ კერას ჟონავდა ვიწრო ნაპრალებიდან. რამდენჯერ ჩამძვარა ფულტროში ხათუნა, რამდენჯერ ზარის ხმაც გამოჰპარვია, რამდენჯერ ამოუყვანიათ თავით ფეხამდე გალუმპული, ბედნიერი და ახალ ოინს მოწყურებულნი!

«ჲ, ნეტავი იმ დროს!» — ღრმად ამოისუნთქა ქალმა და თვალი სინანულით მოავლო სერს, ბზებს, სკოლას, თეთრი დოლბანდით თავშეხვეულ ეკლესიას...

ნეტავი თუ არის კიდევ ის კეთილი ცაცხვი? იქნებ უკვე მოჭრეს და მისი ხსენებაც აღარაა იმ არემარეზე! შეიძლება ოდესმე ზურიაშვიც გამოიაროს აქ და ნაცნობ ადგილებს დაუწყოს ძებნა. მაშინაც სხვა პატრონი ეყოლება აჭაურობას, როგორც ახლა ჰყავს სხვა პატ-

რონი. სხვები ითამაშებენ, სხვები ისწავლიან, სხვები დაიზრდებიან...

უცებ ხათუნას მოეჩვენა, რომ მამა ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა. სიცოცხლის საზღვრები წაეშალა და მარადისობაში გადაეშვა. რა უმწეოდ და ბეწვის ტოლად გამოჩნდა მისი პატარა ცხოვრება! რამდენი ასეთი ცხოვრება შერწყმია მოუსავლეთს, შეუმჩნევლად შერწყმია, კვლიც კი აღარსად დარჩენილა მისი...

ფიქრმა მოადუნა. ყველაფრის ხალისი დაუქარგა. ამა რა იყო ცხოვრება ღირდა კი ამდენ წამებად? მაგრამ ის მაინც მიდიოდა, მიდიოდა, საითაც გული მიუწევდა, ესწრაფვოდა იმას, რასაც გაურბოდა და მაინც მიდიოდა...

გზის პირას ქვეითკირით ამოშენებულ წყაროს მოჰკრა თვალი. წინათ აქ მხოლოდ ბინული იყო. წყალი ქვემოთ მოედინებოდა და გზას ატალახებდა. ზედ წაადგა წყაროს და თუმცა არ სწყუროდა, პეშვი შეეშვირა, გადაიბანა და წყალი დალია. კიდევ შეეშვირა, კიდევ დალია. ოჲ, სიცოცხლე! ასე გგონია, უკვდავების წყაროს დაეწაფე.

როდესაც ქალაქს მიადგოდა, მცხუნვარე მზეს ველ-მინდორი მოეგლო. ნისლი თანდათან სტოვებდა მიწას და პაერში იფანტებოდა. ქალაქის ფანჯრები მზის სხივებს არეკლავდნენ. ტაფობში თითქოს უთვალავი კოცონი გიზგიზებდა.

ხათუნამ მკვდლების უბანი გაიარა, ხიღზე გადავიდა. ხიდისყურში უსაქმურ ყმაწვილებს მოეყარათ თავი, ხმამალა ხარხარებდნენ და წყალში კენკებს ისროდნენ.

მართლა, რას აკეთებს ნეტავი პორფილე? რა საქმეს ადგია? პაპუნა მგონი რაღაცას ამბობდა. სცადა მოეგონებინა, რას ამბობდა პაპუნა და სწორედ ამ დროს ვილაცის ჩრდილი წამოეწია.

— ხათუნა!

— ოჲ, შენა ხარ? — შეკრთა ქალი, როცა ორ ნაბიჯზე პირმოამლიმარე პორფილე ჩინჩალაძე დაინახა.

— ფეხით წამოხვედი?

— არა, — რატომღაც იცრუა ქალმა.
— მე შემოსასვლელში ვიდექი და რატომ ვერ დავინახე?

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა ხათუნამ და პორფილეს თვალი მოაჩიდა, — დღეს რამდენი ხალხია ქუჩებში! ნამდვილ დიდ ქალაქს არა ჰგავს?

— დაიღალე? — ამ სიტყვებს ყურადღება არ მოაქცია და თვალეში ჩაჰხედა პორფილემ.

— რა დამლლიდა. აგრე ნუ მიყურებ, წესიერად გამოიარე!

პორფილემ რბილად ჩაიციხა. ალალბედზე მიდიოდნენ. ღრუბლებს ზემოთ ასული მზე ზურგში აცხუნებდათ.

— მეშინოდა, მომატყუებს მეთქი, — დაარღვია სიჩუმე პორფილემ.

ხათუნამ ცერად გადაჰხედა.

— მე ხომ დავიფიცე.

მგონი არ დაუფიცია. ისე ახსოვდა, რომ დაიფიცა.

— აქეთ საით მივდივართ? — ჰკითხა პორფილემ.

— მე — ფოსტაში. შენი არ ვიცი.

— რატომ მელაპარაკები აგრე გულმოსული?

ხათუნამ კიდევ გაჰხედა, ძლივს შესამჩნევად გაიღიმა და ტუჩები აიბზუა.

პორფილემ წაიწია, თითქოს ხელის მოხვევს უნდოდა.

— ისევ უმუშევარი ხარ? — ჰკითხა ხათუნამ, რომელსაც არ შეუენიშნავს პორფილეს ეს მოძრაობა.

— შენ რა იცი? — სიხარული ჩაუსახლდა თვალეში პორფილეს.

— მითხრეს.

— ერთ ადგილზე მპირდებიან.

— სად?

— ლეინის ქარხანაში.

— მერე?

— ველოდები.

ერთხანს უხმოდ იარეს, ბოლოს ისევ ხათუნამ იკითხა.

— დანაკლისი ბევრი გქონდა?

— არაფერიც არ მქონია! — წარსულის მოგონებამ ერთბაშად გააღიზიანა

პორფილე, — როცა დასჭირდებოთ ყველაფერს გამოგიძებნიან!

ხათუნა გაიუმდა. უნდოდა დაწვრილებით გამოეკითხა საქმის ვითარება, მაგრამ შეატყო: პორფილეს აშკარად არ სიამოვნებდა ამ საგანზე საუბარი. მით უფრო აღაფხვრო. პორფილე რაღაცას უშალავდა.

— სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, — თქვა ხათუნამ, — თუ მართალი იყავი...

— შენ აგრე გგონია!

— კი არ მგონია, ასეა!

— როგორც გინდა, ისე იფიქრე! — გაიბუტა პორფილე.

— ნუკი გწყინს, მე მართლა გეუბნები.

— მეც მართლა გეუბნები. სამი წელიწადი და სამი თვე ვიმუშავე მაგ სისტემაში. ჩემზე უკეთ ვინ იცის, საქმე რაეარც არის. თუ არ მოიპარე, არ გამოდის. მოიპარავ — იქნები, არ მოიპარავ — არ იქნები! ასეა. პირდაპირ მიკვირს, რანაირად ვარსებობთ. ყველას წაგლეჯავ უჭირავს თვალი. რა ვქნა, მამა მყავდა ქურდი თუ პაპა! მე გამაქურდეს.

პორფილე ოდნავ მოიხარა, პაპიროსი ამოიღო, ჯიბეზე ხელი მოიფათურა, ასანთს ეძებდა.

— არა გაქვს? — ჰკითხა ხათუნამ.

პორფილემ ასანთი ვერ იპოვნა, პაპიროსს ყუნწი საჩვენებელა და ცერა-თითით მოუსრისა.

— მე სულ სხვანაირად მეგონა, — თქვა ხათუნამ.

— გეგონა... — პორფილემ დაბნეულად მიიხედ-მოიხედა, — მეც მეგონა. ბევრი რამ გეგონია... მუშაობ? მარტო შენთვის ხომ არ მუშაობ? რამე დაგაკლდება? პასუხისმგებელი შენ ხარ. შენ, მარტო შენ, სხვა კი არა! პირველად შეუცხოვა. ჯარიდან ახალი ჩამოსული ვიყავი. მერე წავუღე თავი, რა მექნა. ფული იმისთანა ოხერიაა ყოველთვის ვერ იშოვნი. სოფელში მამის დანატოვარი სახლი გავყიდე. სანამ მეყო, იმის ფულს



ვიზოგადი ბოლოს, ფულიც გათავებდა მეც გამათავეს. კინლამ სასამართლოს მიმცეს პირში. შენ სიკეთე თქვი, თურა, ხომ იცი, კაცის გაფუჭება არ არის ძნელი. ასეა! — ნაძალადევედ გაიღმა პორფილემ და სახეზე წელანდელი ფარული ალერსის ნატამალიც კი გაუქრა, — ვისთვის ცერცვია და ვისთვის ცეცხლიაო, ხომ გაგიგონია!

— აბა რას აპირებ, ბიჭო? — ხმა გაეზარა ხათუნას.

— რას ვაპირებ... რასაც სხვა აპირებს, იმას ვაპირებ მეც!

„საცოდავი! ეს საცოდავი! — გახურებულ ლურსმანივით უტრიალებდა თავში ხათუნას, — უბედურება რომ არ არსებობდეს, ალბათ, ადამიანები ერთმანეთს ვერაფერს გავუგებდით. სიხარული ყოველთვის კერძოა. ან შენია ან სხვისია...“

— აი, ფოსტა! — დაარღვია სიჩუმე პორფილემ, — ზენ შედი. მე ახლაც აქ ვაგზნდები.

თავი ოცდამეშვიდე

„დამიხვდით ოცდარვაში“, — გამოიყვანა ხათუნამ დეპეშის ბლანკზე და თვალი ჯერ კიდევ გაუმშრალ ნაწერს გაუშტერა.

წავიდოდა კი?

იქნებ პორფილე...

კალმისტარი დასდო.

— შეიძლება? — ხელი გაუბედავად გამოიწვდინა ვილაცამ კალმისტარისაკენ. ხათუნას პსულხი არ გაუცია, მხოლოდ დეპეშა აიღო. მოკმუჭნა. ისევე გაშალა.

„არა, რა საჭიროა, მოულოდნელად მივალ, უკეთესი არ იქნება?“

ბლანკი ხელახლა მოკმუჭნა. ნაკუწნაკუწად აქცია და ნაფლეთები იქვე, კალათაში ჩაბყარა...

— გაგზავნე? — მოესმა ზურგსუკან პორფილეს ხმა.

— კი, — რატომღაც იცრუა ხათუნამ და იდგა, — ახლა შინ უნდა წავიდე.

— რა მოხდა?

— მამას დაეპირდი.

— როგორც გენებოს, — შეარ დაგაკეცბ... — განზე გაიხედა გულნატყენმა პორფილემ.

ხათუნამ მაჯაში მოჰკიდა ხელი. თვლებმა თვალეზი იპოვნეს.

პორფილე აიღეწა.

— წამოდი თუ გინდა, სახლამდე მიმაცილე, — გაუღიმა ქალმა.

გარეთ გამოსვლისას ნაცნობი „მოსკვიჩი“ დაინახეს.

— შენია?

პორფილემ გაიღიმა.

— რად გინდოდა, ფეხით გვევლო... პორფილემ წინიდან შემოუარა მანქანას, ქალს კარი გაუღო.

— არა, არა, ფეხით წავიდეო! — იუარა ხათუნამ.

ჩინჩალაქემ კარი მიხურა. სახეზე ეტყობოდა, ნაწყენი იყო.

— მართლა, ფეხით მირჩვენია. დააყენე სადმე. მე აქ დაგიცდი.

პორფილე ყოყმანობდა. ხათუნა ვერ მიუხედა, რის თქმა სწადდა.

— ჩვენთან მივიდეთ, — მოსჭრა უცებ პორფილემ.

— სად თქვენთან? — მოიქუფრა ქალი.

— აქვე ვცხოვრობ, ღვინის ქარხნის უკან...

— რას ამბობ, ეგ გვაკლია კიდევ!

— აბა ჩავეჯდეთ. ცოტა გავისიეროთ.

ხათუნამ თვალი გაუსწორა.

— ჩავეჯდეთ? — წრფელი, აქამდე წარმოუდგენელი მეგობრული მუდარით სთხოვა პორფილემ.

ხათუნა მოლბა: „ნეტავი ისევე ბავშვები ვიყოთ და ვაშლის ვასასყიდად წამოსულ მამას ვახლდე!“

პორფილემ კარი გაუღო.

— არა, არა, მე აქ დავეჯდები! — უკანა კარს მიადგა ხათუნა.

პორფილემ ახლა უკანა კარი გაუღო.

— ფანჯარა ღია იყოს თუ ავეწიო?

— სულ ერთია.

— ავწიოთ, ქუჩაში მტვერია.

— პორფილე!

— პო.

— მოდი, ფეხით წავიდეთ.

პორფილეს მხე ჩასდგომოდა თვალებში, ფანჯრის სახელურს ატრიალებდა.

— მართლა, მართლა, — კიდევ შეეხეწა ხათუნა, — მანქანა არ მიყვარს. როცა შიგ ვზივარ, საფლავში მგონია თავი.

— არა უშავს, მიეჩვევი, — კარი მკიდროდ მიუხურა პორფილემ და თავისი ადგილი დაიკავა საჭესთან.

— საით?

ხათუნას არაფერი უპასუხნია. მანქანა დაიძრა. მსუბუქად გასრიალდა სადგურის შოედანზე. მალე ფილაქნის ყრუ გრუხუნნი მოისმა.

— ხათუნა, ხედავ? — ოდნავ მოაბრუნა სახე პორფილემ.

— რას?

— ეს სულ ახალი სახლებია.

— შიგ ვინ ცხოვრობს?

— ვინ, ხალხი, მუშა-მოსამსახურეები.

— ნელა წაიყვანე. არაფერი არ ჩანს.

— ა, ბატონო.

— რკინიგზა სად მიდის?

— სადაც გაგებარდება. აქეთ ქუთაისია, იქით თბილისი.

— ქუთაისში არასოდეს არ ვყოფილვარ.

— გინდა, წავიდეთ?

— გადაირიე? მოუხვიე ახლა, გმეყოფა.

— აქ მოსახვევი არ არის, ცოტა ქვევით ჩავალ.

მანქანამ შექნიშანთან მოუხვია და იმავე გზით, ლიანდაგის გასწვრივ, დაბრუნდა უკან.

— სადღა მიდიხარ?! — წამოიძახა ხათუნამ, როცა მანქანამ სვლა შეაჩერა და ცხვირი მტვრიან, ვიწრო ქუჩაში შეერგო.

პორფილემ ჩაიციხა.

— სად მიდიხარ, არ გესმის?

— ახლავე გაიგებ.

ამის თქმაც იყო, კარღია ეზოდან სი-

ლაში ამოხუნული ბალები გამოვიყვანენ და ტაბით მიმავალ მანქანას დაედევნენ

„ავს რომ რასმე ფიქრობდეს, აქეთ არ შემოუხვევდა,“ — გული გაიმავრა ხათუნამ და წინა საზურგულს ნოაყიებით დაეყრდნო. დადევნებული ბავშვების ყრიაშულში ნაცნობი სახელი გაიგონა. მგონი „პორფილეს“ იძახდნენ. მერე გარკვევით მოესმა: „პორფილე ბიძია, დაგვაჯინე!“

ხათუნას გაეცინა.

— სულ ასე დაგდევენ?

პორფილეს თავი ჩაელუნა და ჩუმად იღიმებოდა. ორიოდ წუთის შემდეგ მანქანა გააჩერა, მარჯვენა ხელი სიჩქარეების ბერკეტზე შემოსდო, მარცხენათი კი სარკმელი დაუშვა.

ყრიაშულზე მდებარე ბავშვებიც სწორედ ამ დროს შემოესივნენ მანქანას. ზედ ახტებოდნენ, ფანჯრებში იჭვრიტებოდნენ, კარის ვალებას ლამობდნენ...

— დაიკარგეთ აქედან! — დაუცაცხანა პორფილემ.

პატარები არ შეეპუტენ.

— სიკო, წადი, თალიკოს დაუძახე! ბავშვებს ფეხშიშველი, შავთვალწარბა ბიჭუნა გამოეყო და დასაქმებით დიდად გახარებული სადღაც გაიქცა.

თავი ოცდამეცხე

წუთსაც არ გაუვლია, მანქან სთან შეიდი-რვა წლის ტანაყრილმა გოგონამ მოირბინა. მხრებზე ხშირი, ჩალისფერი თმა სცემდა. სახით თეთრი იყო, ავადმყოფურად თეთრი, მაგრამ ბავშვის ცოცხალი, ყუყუნა თვალები ამ პირველ შთაბეჭდილებას ერთბაშად აქარწყლებდნენ. გოგონას ოდნავ გაბუშტული, მოგრძო ცხვირი, პაწაწინა ტუჩები, მოსხლეტილი ხელები და ჯიშინი შოლტა წივები სანთლისაგან გამოქნილს ჰგავდა.

ბავშვი კარის სახელურს მოეჭიდა. გულდაგულ გამოსწია იმ ადამიანის უზრუნველობით, რომელმაც წინასწარ კარგად იცის, მის ნამოქმედარს რაც

მოპყვება. აქედან პორფილე წაეშველა და კარი წკაპანით გაიღო. ბავშვმა ისკუპა. კინალამ შუბლი შეახეთქა კარის ჩარჩოს.

— ვაიმე, შვილო! — უნებურად წამოსცდა აქამდე გატრუნულ ხათუნას.

თალიკოს არაეინ დაუნახავს, არც ხმა გაუგონია. პორფილეს ჩაეხუტა. წელში შეილღივით იყო გაღვეერილი. მხოლოდ მიშველი შოლტა ფეხები დარჩენოდა გარეთ.

— შენ ხათუნა ბიცოლას იცნობ? — წასჩურჩულა პორფილემ.

— ვისა? — თავი წამოსწია გოგონამ, რომელსაც ჩაღისფერი თმა ბლუჯა-ბლუჯა დაპყროდა სახეზე.

— ხათუნა ბიცოლას. აი!

თალიკო მუხლებით დაეყრდნო პორფილეს საკარძელს და უკან გამოიხედა. ხათუნა ახლავს დაინახა. აიძღვრა. უცებ ვერ მოისაზრა, ისევე ბიძიას ჩაახუტებოდა თუ რაიმე ეთქვა.

ხათუნას გული აუთრთოლდა. დაიბნა.

— კარგი ბიცოლა არის? მოგწონს? — შეეშველა გოგონას პორფილე.

ბავშვი გაიბუტა. უცხო ქალს კეფა შეაქცია. მერე უეცრად გაუხსლტა პორფილეს და იქით გაიქცა, საიდანაც წუთის წინ მოიბრინა.

პორფილე გაშრა. ალბათ, დაავიწყდა კიდევ, რომ მართო არ იყო. უცებ გამოერკვა. ხათუნასაკენ შემობრუნდა.

ხათუნა მანქანის უკანა კუთხეში მიკუნქულიყო და სახეზე ხელები მიეფარებინა.

უკან ქვეითად გაბრუნდნენ. პორფილემ ჭიშკარჩამოგდებულ პაწია ეზოში შეიყვანა მანქანა და იქ დააყენა. ხათუნა ჭურჩის კუთხეში უცდიდა. ქალს ისევე თალიკოს მძულვარებით აღბეჭდილი სახე უდგავს თვალწინ. „ნუთუ ამისთანა როკაპი ვარ? — შემოსჩიოდა დაკოდილი გული. — ნეტავი მიწა გამხეთქვოდა და აქ არ მოვსულიყავი! იქნებ წასვლა სჯობდეს?“

ამ აზრს ჩაეჭიდა. პორფილე გამოვდა. როცა ქალი აქ აღარ დაუხვდებდა, ჯერ

გაუკვირდება, მერმე ძებნას დაუწყებს. ბოლოს იქნებ კალოსუბანშიაც ამოაკითხოს?

„არა, არა!“ — სასწრაფოდ გადაწყვიტა ხათუნამ. ჯობია პირდაპირ უთხრას ყველაფერი. რა ვუყოთ თუ ასე მოხდა. მითი ერთად ცხოვრება შეუძლებელია. განა ეს სიყვარულია? განა ეს ლტოლვა სიყვარულია? მხოლოდ ერთმანეთს ატყუებენ და თავსაც იტყუებენ. რაღა დროს სიყვარულია, სიყვარულის დრო რა ხანია წავიდა. ეს სხვა რამ არის. ხათუნამ იცოდა. რა იყო ეს სხვა რამ, მაგრამ გონებას იჩლუნგებდა, თავს უძალიანდებოდა, არ უხდოდა გულია ფსკერი მოეჩხრიკა და იმ „სხვა რამეს“ წასდგომოდა.

— ხათუნა!

პორფილე დარცხენილი იდგა ქალის წინაშე. იქნებ აღარც მას უნდოდა ახლა ხათუნასთან ერთად გაეგრძელებინა გზა, მაგრამ წინასწარ აკვიატებული აზრს მიერეკებოდა.

— არ წავიდეთ? — ისევე პორფილემ დაარღვია უხერხული დღემილი.

დაიძრნენ.

ბალები, რომლებიც წელან კრიამულით შემოგებეიგნენ მანქანას, ჭურჩის პირას ჩამწკრივებულყვენენ და თითქოს დიდი უცნაური რამ სანახაობა ყოფილიყოს, თვალებით მიაცილებდნენ მღუმარედ მიმავალ ქალსა და კაცს.

ხათუნამ ნაბიჯს აუჩქარა. ბავშვების დაყინებული ცნობისმოყვარეობა აწუხებდა.

— რა გეჩქარება! — უმაღვე წამოეწია წამით უკან ჩამორჩენილი პორფილე და ხელი ქალის მკლავისაკენ წაიღო.

ხათუნამ ოდნავ შეაქანა ნიდაყვი. პორფილეს ხელი მოიცილა.

კვლავ ასფალტით მოგებულ სამანქანო გზაზე გავიდნენ. შორს ნაცნობი ბავშვების კრიამული ისმოდა.

— ხათუნა... — პორფილემ ერთხელ კიდევ დაარღია სიჩუმე.

— გაჩუმდი! — შეაწყვეტინა ქალს.

— შენ არ იფიქრო...

— დაბრუნდი, ნულარ წამოხვალ!

ეს ისე მტკიცედ და თავდაჯერებით იყო თქმული, პორფილე დაიბნა.

ქალი აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა.

— ხათუნა! — ღონე მოიკრიბა პორფილემ და წინ მიმავალს ხელახლა წამოეწია, — მითხარი მინც... ასე უმიზეზოდ როგორ შეიძლება...

თავადვე გრძნობდა: ის არ უთქვამს, რის თქმაც უნდოდა, არც ის იცოდა, რა უნდა ეთქვა.

ზემოთ, რკინიგზის მიწაყრილზე, ვიღაც უცხო ხალხი გამოჩნდა: ერთი ბავშვიანი ქალი, ათიოდე წლის ბიჭუნა, დედაბერი და კიდევ ორი შუახნის ქალი. პორფილემ აცალა სანამ გაივლიდნენ და ხათუნას კვლავ გვერდში ამოუდგა.

ქალი ერთთავად წინ იყურებოდა და თანდათან უფრო უმატებდა ნაბიჯს.

„ორიოდე წუთიც და ქალაქში შევალთ!“ — გაიფიქრა პორფილემ.

— ხათუნა! არ გესმის?

— გაჩუმდი. არაფრის ვაგონება არ მინდა.

— მოიცა, აგრე ჩქარა ნუ მიდიხარ, სიტყვა უნდა გითხრა.

— არ მინდა არცერთი სიტყვა, შენ გენაცვალე, თავი დამანებე.

— განებებ. დანებებული არა მაქვს? ორი სიტყვა მააქმევიწე, მართო ორი სიტყვა. ნუ მიდიხარ აგრე ჩქარა. მე ხომ ვიცი, არსად არ გეჩქარება.

— ახლა სულ ერთია, პორფილე, შეჩქარება თუ არა.

— არ არის სულ ერთი, ნამდვილად არ არის სულ ერთი, აბა ნახე, თუ სულ ერთია? — ჩააფრინდა ამ ორ თუ სამ სიტყვას პორფილე, — რატომ გგონია, თითქოს სულ ერთი იყოს. დამნაშავე არა ვარ. მე ხომ არაფერი დამიშავებია...

— ორივემ დავაშავეთ.

— აბა რა დავაშავეთ, რას ამბობ, როდის დავაშავეთ...

— ახლაც ვაშავებთ.

— რას ვაშავებთ, ხათუნა, რატომ იცი ასე უცნაური... — სიტყვა ყელში გაეჩხირა პორფილეს.

— მე ჩემს შვილებს ვლალატობ, შენ — შენს ვაზრდილს.

— რა ლალატია, როდის არის ლალატობი. თუ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და გვეყვარება...

— გაჩუმდი. მაგ სიტყვას ნულარ ასენებ.

— კარგი, აღარ ვახსენებ, — ოღონდ ქალი ხელიდან არ გასხტომოდა, ყველაფერზე ყაბულს იყო პორფილე.

— ახლა წადი. არ მინდა ვინმემ ერთად დაგვიანახოს.

პორფილე ხავს მოეჭიდა:

— გრცხვენია ჩემს გვერდით გავლა? ხათუნა შედგა. პორფილეს თვალებს წააწყდა.

— თუ გრცხვენია, წადი, — თავი ჩაღუნა პორფილემ, მაგრამ ხათუნა აღარ მიდიოდა, — მე სუფთა გულით მინდოდა... შენც ხედავ... წადი აბა, რადგანაც გრცხვენია...

— კი არ გრცხვენია, — კრიკა გაეხსენა ხათუნას, — აღარ შემიძლია მეტი. ამდენი არ გესმის? დამიჯერე, პორფილე, აღარ შემიძლია. მეც არ ვიცი, ამ ორ დღეში რა დამემართა. კი არ ვნანობ, არც საწყენად გეუბნები. გუშინდელი ბაღლები აღარა ვართ. მაშინ სხვა იყო. ხალხი ტყუილად რისთვის ვალაპარაკოთ. როცა ჩვენს შუა არაფერი არ არის და არც იქნება, რისთვის ვალაპარაკოთ ხალხი. შენ, თუ გინდა, მართალი გითხრა, კაცი ხარ. კაცის მდგომარეობა სულ სხვა არის. მე სამი შვილი მახვევია თავზე. დღეს თუ ხვალ დავაეკაცდებიან, ქვეყნის ავსა და კარგს გაიგებენ. ჩემი სიამოვნების გულისათვის სიცოცხლევ გავუმწარო და სიამაყეც წაეართვა? შენ ხომ იცი, რა არის სიამაყე. რად ვქნა ეს! მე იმით ღმერთი ვგონივარ, პორფილე. თვალეში შემომყურებენ. ამას უნდა მიხვდე.

ხათუნა გაჩუმდა. ყველაფერი გათავებულიყო, თავს ირწმუნებდა, მაგრამ საბოლოოდ მინც ვერ გადაეწყვიტა.

გზა განაგრძეს.

— სადგურის ქუჩაზე ნუ გავალთ, ასე

წავიდეთ, — საავადმყოფოს მხარეს ჩაუხვია ხათუნამ, — დაიჭია ის დღე და საათი, როცა საწყალ მამანემს ჩემს დასახმარებლად გაუხდა საქმე!

პორფილეს პასუხი აღარ გაუცია, უბრად მისდევდა ქალს.

— ბონდი მანც იყოს სადმე, არ მინდა ხილზე გავიდე, — თქვა ისევ ხათუნამ.

პორფილემ მიიხედ-მოიხედა, თითქოს მართლა ბონდს ეძებდა.

— ქალის გაჩენაში ღმერთი არ ურევია, — თავისთავს ესაუბრებოდა ხათუნა, — მე იმაზე ფარისეველი არავინ მგონია, ვინც ქალისა და კაცის თანასწორობაზე ლაპარაკობს. ბუნების დადგენილ ოღრმოზღროს კაცის ხელი რანაირად გასწორებს.

პორფილემ ვერ გაიგო, რის თქმა უნდოდა ამით ხათუნას, მაგრამ არ ჩასძიებია, მორჩილად უგდებდა ყურს, თანაც მიხვეულ-მოხვეულ, ყრუ ქუჩებს არჩევდა.

რიყეზე გავიდნენ.

— აქ სად გამოვსულვართ! — გაუკვირდა ხათუნას.

— ქვემოთ ჩავეყვით?

— ქვემოთ რაღა გვინდა!

— ბონდზე გავიდეთო?

— შორია, ბიჭო.

— რა შორია, ლაპარაკ-ლაპარაკით ჩავალთ.

— ასე რიყე-რიყე ვიართო?

— ვიართო, ვინმეს შეთევზეები ვეგონებით.

ამ სიტყვებზე ერთმანეთს შეხედეს და ორივეს გაეცინა. სიცილმა ყინული გააღხო. ხათუნა ოდნავ გამხიარულდა.

თავი ოცდამეცხრი

ბონდი მოშორებით იყო. სანამ ხათუნა და პორფილე იქამდე მიალწევდნენ. მზე გადაიხარა. ხათუნა ჩქარობდა. შინ აუცილებლად დოისულ უნდა მივიდეთო.

ბონდი გადაიარეს და მდინარე უკან დარჩა.

ვიწრო ბილიკი ვენახისა და ყა-

ნის პირებს მიჰყვებოდა. ვენახებში ატამი ჰყვაროდა. ყანებში, ღორისფერად ვალურჯებულ იყო სიმინდი, ილუგა ალაგ თავსაფრიალი ქალები ხედებოდათ. ზოგს სამხარი მოჰქონდა, ზოგს მეწველი ძროხა გამოეყვანა, ღობესთან მწარე ბალზე ან კოპიტზე გამოება, ყანაში ხვართქლა ბალახს თხრიდა და ძროხას წინ უყრიდა.

ბილიკი ზემოთ და ზემოთ მიდიოდა. ზოგან საურმე გზასავით ფართოდებოდა, ზოგან კი ისე ვიწრო იყო, კაცი კაცს გვერდს ძლივს აუვლიდა.

სიმინდის ყანებს შევაკება და ჰანჭრობაში აბიბრებულნი სათიბი მოჰყვა. სათიბის გადაღმა კიდეზე, თბელებში, პალაზე გამოზმული ცხენები ბალახობდნენ.

ხათუნას მოსწყურდა. აქეთ ნავალი არ იყო და იმედოვნებდა, სადმე კოდის წყაროს წაეაწყდებოდა. კალოსუბანი შორს, სერზე მოჩანდა. განაპირა სახლები ცას დაჰკიდებოდნენ.

ათიოდე წუთიც და კალოსუბნის ვენახებს მიალწევდნენ. იქაც იქნებოდა ხალხი. ხათუნას არ უნდოდა პორფილეს თან ხლებოდა. რამდენჯერმე თხოვა, ახლა მანც დაბრუნდი, ანდა, საერთოდ, რა გაცილება მჭირდება, დღისით მზისით ზომ არავინ მომიტაცებსო. პორფილე მანც არ ეშვებოდა. როდესაც სათიბს გაუსწორდნენ, ხათუნა შეჩერდა და გადაწყვეტით თქვა:

— ახლა წადი, პორფილე, ზევით წამოსვლა საჭირო აღარ არის.

— აი, იმ თეთრ ქვამდე ამოვალ და დავბრუნდები, — სათიბის თავში მხართეძოზე წამოწოლილი ლოდი დაანახვა პორფილემ.

— არა, არა! — გაჯიუტდა ხათუნა, — დაბრუნდი!

— თეთრ ქვამდე...

— გინდა, მაწყინინო? ქვიყანა მიდი-მოდი. ესეც ზედმეტი იყო, მაგრამ ხათრი ვეღარ გაგიტეხი.

— აბა დავისვენოთ.

— რა დასასვენებელი ადგილი ნახე, სიცხეა, ხომ ხედავ!

— ჩრდილში დავისვენოთ.

— არა, არა! — აჩქარდა ხათუნა, — მე გამიშვი და გინდა დაისვენე, გინდა, წაღი.

— წყალი არ გწყურია?

— სად არის წყალი?

— სათიბს გადივლი თუ არა, იმ მაღალი თხმელის ძირში.

— არა, არა, არაფერი წყალი არ მინდა ახლა მე. კარგად იყავი!

— ხათუნა!

ქალმა მოიხედა.

— ერთ წუთს გაჩერდი კიდევ.

— რა აზრი აქვს, ერთ წუთს გავჩერდები თუ ორს!

— ალბათ, აქვს აზრი.

— კარგი ერთი! — წასვლა დააპირა ქალმა, მაგრამ პორფილემ ხელზე მოჰკიდა ხელი.

— რას შერებში?! — წარბები შეჰყარა ხათუნამ.

— ჩემთვის ორიოდ წუთი გენანება?

— ხელი გამიშვი!

— ოღონდ ერთი პირობით, — იღიმებოდა პორფილე, მაგრამ ხუმრობას ვეღარ ახერხებდა, — ცოტა ხანს დავისვენოთ.

— გამიშვი. გითხარი და გავათავე! ხელის განთავისუფლება ადვილი არ იყო. პორფილეს მაგრად ეჭირა. ხათუნამ თავისუფალი ხელი მოიშველია, თან ჩურჩულებდა:

— ხუმრობ თუ? რას გავს ახლა ეს!

— ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია, ხათუნა.

— გამიშვი, არ გესმის?

— ოღონდ ჩემი გახდი და, ერთი სიცოცხლე მაქვს, იმასაც თავზე შემოგავლებ!

— გამიშვი, ბიჭო, მეტკინა. მაგას მაინც ვეღარ გრძნობ?

— არ ვაგიშვებ, სანამ პირობას არ იტყვი.

— რის პირობას, ხომ არ გადაიირე!

— არ იცი, რის პირობას?

— გამიშვი, თავი მომეჭრება, ვინმე დაგვინახავს!

— მე არავის არ ვერიდები. ვისაც უნდა, იმან დაგვინახოს!

ხათუნამ შეატყო, ძალით ვერაფერს გახდებოდა და მუდარაზე გადავიდა:

— თუ არ დამეხსნები, თავს ჩამოვიხრჩობ, იცოდე!

— არ ჩამოიხრჩობ. თავის ჩამოსახრჩობი არაფერი გკირს.

— პორფილე... — გული შეუქანდა ხათუნას, — ვაიმე, რა ვქნა...

თან დაფეთებული თვალები მოავლო იქაურობას.

ირგვლივ კაცის ჰაჭანება არ იყო.

პორფილე ხმამაღლა სუნთქავდა, თანდათან გულზე იკრავდა ქალს.

— პორფილე! — ცრემლი მოერია ხათუნას, — ე, ბიჭო, პორფილე! ვაიმე, დაიქცა ჩემი გაჩენის საათი!

მაგრამ პორფილეს უკვე აღარაფერი ესმოდა, გულზე იხუტებდა და მხურვალე ტუჩებით ქალის ტუჩებს ეძებდა.

ტკივილითა და შიშით გასაჯათებულ ხათუნას ქვეითინი წასკდა.

— ნუ ტირი! — წასჩურჩულა პორფილემ.

— ამისთვის დამიბნე გზა-კვალი, ამისთვის მეუბნებოდი დავისვენოთ?

— წამომეყვი, თხმელებში გადავიდეთ.

— რამ გადაგვრია, ბიჭო, არა გრცხვენია?

— რა ვუყო, შენთან სხვა არაფერი კრის, კვირაში სამი პარასკევი გაქვს!

— ხომ გეუბნები, მაცალე მეტქი!

— კი მეუბნები, მაგრამ ხეალ რა ჰკუთვნი დადგები, მე რა ვიციო ახლა შენთვისაც უფრო ადვილია გადაწყვეტა!

ხათუნამ დაიკვნესა, თვალები დახუჭა და შუბლით მხარზე მიეყრდნო.

— მოვაწეროთ ხელი?

— ოჰ, ღმერთო! — ამოიოხრა ქალმა.

— თქვი, მოვაწეროთ ხელი?

— პორფილე! — აღმოხდა ხათუნას, — თუ ღმერთი გწამს, პორფილე!..

მამაკაცი უფრო ძალუმად მიეტანა, ორივე ხელი მოჰხვია, ბავშვივით აიტატა და ვენახის ღობეზე გადაყვანა მოუნდომა.

— ოღონდ ახლა არა, პორფილე, გეხვეწები, ოღონდ ახლა არა...

მამაკაცს გონი დაპყრობდა, ქალს ხელებს უგრებდა, ნიდაყვით ლობის სარს ეჭიდებოდა, რათა მსხვერპლი ეენახში გადაესვა და თვითონაც გადაპყრობოდა.

— ოღონდ ახლა არა... — კვლავ ევედრებოდა ხათუნა, ხელიდან უსხლტებოდა, ხან შუბლითა და ხან ლოყით ეღებოდა ლობის სარს, — ოღონდ ახლა არა... თუ მართლა გიყვარვარ... თუ მართლა ვაყვაცი ხარ... ამ ერთხელ დამინდე! მერე სულ შენი ვიქნები. ჩემო პორფილე... არ გაბედო! თუ შენი ხათუნა გიყვარს...

პორფილე დაიღალა. ქშინავდა, არაფრის ვაგონება არ უნდოდა.

— აი, ხომ ხედავ... მე თვითონ... ხომ ხედავ... — მკლავები ყელკისერზე შემოაქნო და შუბლზე მაგრად აკოცა არაქათგამოღულმა ხათუნამ, — ოღონდ ახლა არ შემიძლია. ასე შეუჩვევლად არა, ჭკუაზე შევიშლები... თავს ჩამოვიხრჩობ! მინდორში... მსუცები ხომ არა ვართ! შენ გენაცვალე, პორფილე, შენი მუხლების ჭირიმე!..

პორფილე ბრღვენიავდა. ქალს სარებს შუა ვერ ატევდა.

ლობემ ლაწიანი მოიღო. გადაიხნიქა. ვაკეცის მკლავებს თანდათან აკლდებოდა ძალა. ქალი მძიმე და გლუვი იყო, განზე მიცურავდა.

პორფილემ თავი გაანება სარებს. შემობრუნდა. ლობეს ზურგით მიაწვა.

ძირმომპალი სარები ტყდებოდნენ. ლობე კვლავ იდგა, მაგრამ გამძვინვარებულ პორფილეს დიდხანს ვერ გაუძლებდა.

ხათუნა ახლა უსიტყვოდ იბრძოდა. ქალური გააფთრებით ეჭიდებოდა ლომივით ლონიერ ვაკეცს.

— მოკლავ! — დაიხრიალა პორფილემ.

— გამიშვი... გამიშვი... — ძლივსღა სუნთქავდა ქალი, — თუ არ გინდა, ჭირის დღესავით შემჯავრდე... გამიშვი! მე თვითონ ჩამოვალ... ჩემი ფეხით ჩა-

მოვალ. უკანასკნელი ქალი ვიყო თუ არ ჩამოვიდე... ოღონდ ახლა გამიშვი თუ მართლა ვაყვაცი ხარ...

პორფილე ერთბაშად მოეშვა. ხათუნამ მაშინვე იგრძნო ეს. ფეხებით მიწას შეეხო. ის იყო, უნდა გასხლტომოდა, პორფილემ მოასწრო, ორივე მაჯაში ჩაეკიდა, ქალის ხელები გულზე მიიხუტა და დაიქშინა:

— მართალს ამბობ?

— შენ თავს გეფიცები!

— მამა დაიფიცე!

— ვფიცავ!

— მატყუებ, ხათუნა!

— ნამუსგარეცხილი ვიყო, შეილები დამეხოსოს!

— კარგი! — დაიგმინა პორფილემ და აცახცახებულ ქალს თვალი თვალში გაუყარა, — ეს ამბავი მე თავად არ მინდოდა. შენ არ გეგონოს... მანქანაში არ მეჯექი? ჩემი ხელით დაგკლავ, იცოდენ? უშენოდ ცხოვრება არ შემიძლია. ფეხებზე მკიდია მე მთელი ქვეყანა! ქვეყანას მე არ ვუყურებ! აი, გამიშვიხარ! მოიცა. თმა გაგისწორო.

— არ მინდა, მე თვითონ გაეისწორობ!

— არა, მე გაგისწორობ. შემომხედე! ხათუნამ ცრემლად დაღვრილი თვალები შეანათა.

— ხომ მართალს მეუბნები?

ქალმა ქვედა ტუჩზე იკბინა და თვალები მილულა.

— ხათუნა! — ნიდაყვებში სწვდა პორფილე.

— კო, — ამოიკენესა ქალმა, — მაყვლე, ახლავე გამივლის.

თავი ოცდამეათე

ხათუნა შინ გვიან დაბრუნდა. ტანში უზომოდ დამტვრეული იყო. კაბა ორ ადგილას დაჰყოდა. კარგა დაღამებამდე ეენახებში მოუხდა ლოდინი და როცა დარწმუნდა, ახლა კი ველარავინ მიცნობსო, შინისაკენ გასწია.

ეზოში შესვლისას კინკარი ფრთხილად მიხურა, მაგრამ დადარაჯებულ

ეკას ხმა მინც გაეგონა და ქალიშვილს დერეფანში გამოეგება.

— ასე რად დაიღამე, შვილო?

— მამას ძინავს? — იკითხა ხათუნამ და დედას აღარ დაუცადა, პალატში შევიდა.

სპირიდონი კედლისკენ გადაბრუნებულიყო. ორად მოეცეცის თავზე საბანი წაეხურა.

— სპიდონა! — წყნარად დაუძახა ეკამ ქმარს, — გამოიღვიძე, კაცო, ბოვშვი მოვიდა.

— მოვიდეს მერე, მე რა ვქნა! — დაიღრინა სპირიდონმა.

ხათუნას გასცრა. თავსაფარი მოიხსნა, სკამზე მიაგდო, ბადეც იქვე დასდო და იმავე სკამზე ჩამოჯდა.

— წვიმს? — ჰკითხა ეკამ.

— ცოტა წამოწინწყლა.

— დღეს მზე იკბინებოდა.

— ქვენა ქარის ბრალია.

— კაბინაში ვერ ჩაუჯექი შოფერს?

— ბავშვიანი ქალი მოყავდა.

— სად იყავი, რა ქენი ამდენ ხანს, ბიჭებს ხომ არ ელაპარაკე?

— კი, — წამომკდარმა ტყუილმა ენა დასწვა ხათუნას, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა ეცრუა, — იმათ ლოდინში მოგვედი. დეპეშა აღარ გამოგზავნიდა, — და რათა სასწრაფოდ დამეთავრებინა საუბარი, დაუმატა: — კარგად არიან. ზეგ დილას სადგურში დამხვდებოდა სამივე. საკაურაში დიდი სიცხე ყოფილა...

— სიცხე? — გაიმეორა დედაბერმა, — რა ვუყოფ, ხან სიცხე იქნება, ხან სიგრილე, ოღონდ ჯანის სიმართლე იყოს... შექმანდი ცხელია. ვივასშმოთ ასლა და დავწვეთ.

— არ გივასშმოთ?

— შენ გიციდიდით. თვალები გამოგვიღამდა.

— თქვენი ხათრით ვქამ, ისე კი არაფერი მინდა, — ერთხელ კიდევ იცრუა ხათუნამ, თუმცა შიშოლისაგან სული ჰხდებოდა, — პეტრე მიროტაძის მოყვრებს გადაეყარე. მგონი თქვენც იც-

ნობთ. აღარ მომეშენენ და სახლში წამიყვანეს.

— საქარაში?

— ჰო, საქარაში.

— მერე მარტო გამოგიშვეს ასე გვიან?

— მე აღარ გაჩერდი. თქვენი ჯავრი მქონდა.

სპირიდონმა ჩაახველა. ყრულ ამოიხსნა.

— სიცხემ ხომ არ აუწია? — წაიჩურჩულა ხათუნამ.

— არ ვიცი, მთელი დღე გაჩუმებულია. სალაპარაკოდ არ მიმიკარა.

— მამა! — ჩასძახა სპირიდონს ხათუნამ და თავზე ფრთხილად გადაახადა საბანი, — გადმობრუნდი, ეახშამი არ გინდა?

სპირიდონმა კიდევ ჩაახველა, შეიშმუნდა და ტახტი აპკრიალა.

— ყურძნის წვენი მოგიტანე. ხომ არ გესიამოვნება? ამოიღე, დედა, ბადეშია, მადას გაუხსნის.

ქიჭა თავად მიუტანა პირთან.

სპირიდონმა ამდენ უბრობას ვერ გაუძლო. ქიჭა გამოართვა, გულაღმა გადმობრუნდა და ხათუნას ხველებ-ხველებით ანიშნა — სასთუმალი ამომადლო.

ხათუნასაც ეს უნდოდა. ოღონდ რაიმეთი დესაქმა მამას! მეორე ბალიში მოუტრებინა, ბერიკაცი ოდნავ წამოაყენა და ის ბალიში თავქვეშ დაუდო.

სპირიდონს ლუყურტ: ყურძნის წვენი ეგემრიელა. მეორე ქიჭა მოითხოვა. როცა ისიც დალია, საბანი ნიკაბამდე წაიფარა და თვალბდახუჭული ისევ გაყუჩდა.

ეახშამმა უღიმღამოდ ჩაიარა. სპირიდონს ხელიც არაფრისთვის დაუკარებია, მხოლოდ დაბოხებული ხმით ითხოვა. სინათლე ჩააქრეთო.

ეკამ აულაგებლად დაატოვა სუფრა. დედამ და შვილმა სიბნელეში გაიხადეს.

— შენი ლოგინი რომ არ დაკვივია, გოგო? — განხსენდა ეკას, — სპიდონა, ავანტიბთ ერწამა.

— ანთით და კისერი იტეხეთ!

სხვა დროს ხათუნა გამოიკითხავდა:

მამას რა მოუვიდა, რატომ არის ასე უგუნებოდო, მაგრამ დღეს თვითონ იყო დამნაშავე. ამას გრძობდა და მამის თავშეკავება გულ-ღვიძლს უდაგავდა. ურჩევნოდა, ძველებურად გამოელანდა მამას, ყველაფერი ეთქვა, რასაც ფიქრობდა. მაშინ, ალბათ. ხათუნა თავის დაცვას შეეცდებოდა და ამით სინდისის ქენჯნისაგან გამოწვეული ტანჯვა შემსუბუქდებოდა.

დღეა და შვილი ერთ ლოგინში ჩაწვენენ.

ხათუნა დედას მიეკრა და გაინაბა.
— ასე რამ გაგაცხელა, გოგო! — მიეალერსა ეკა.

მივიწყებული „გოგო“ გულზე საამოდ მოხვდა ხათუნას, ჩუმად ჩაიკინა და მშობელს უფრო მაგრად ჩაეხუტა.

— ჩემი გადარეული! — ჩურჩულდება საბნის ქვეშ ეკა.

— გცივა? — ჩურჩულითვე ჰკითხა ხათუნამ.

— შენთან რა შემაკვივნებს!

— გესმის? წვიმა შრიალებს!

— გაწვიმდა ეს დალოცვილი. ხვალ რა გვეშველება თუ არ გადაიკარა.

— მანქანით წავალ. მაგას ჯავრობ?

— თუ გამოიარა რამემ...

— არ გაჩერდები შენ? — შემოუტიო ცოლს გაუთავებელი ჩურჩულით თავმობზრებულმა სპირიდონმა.

— ჰო, კარგი, კარგი, დავიძინოთ.

ხათუნა დიდხანს წრიალებდა ლოგინში. წამდაუწყემ პორფილეზე ფიქრობდა. როდესაც პორფილე წავიდა და ორღობეში მარტო დარჩა, კინალამ იქვე ჩაიკეცა. პორფილეს წასვლა უკვე აღარ უნდოდა. სჯობდა ისევე მის გვერდით ყოფილიყო. რახან საქმე აქამდე მივიდა, რახან პორფილე თავისად ეგულებოდა და თვითონაც მისად მიაჩნდა თავი, გადადებ-გადმოდებდა აღარ ღირდა. დაუძახებდა, ამას ეტყოდა, მაგრამ პორფილეს გახელება ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო და შეეშინდა, ხელახლა და კიდევ უფრო არ გაეხელებინა. რაც იქნება, იქნება, იტყვის და ვაათავებს. ისიც ქალია, ისიც ადამიანია, აღარ შეუძლია ახე...

2. „მნათობა“ № 3.

ძალღური ცხოვრება! მიმხვედრი გაუგებს, ხოლო თუ ვინმე გალანძღავს და ბოროტ ენას ააჭარბალებს, მანაბნის შინსი თავი!

ეთქვით, ყველაფერი ადვილად და უმტკივნეულოდ მოგვარდა. სად უნდა იცხოვრონ? პორფილეს ზესტაფონშიც აქვს სახლი. დიდი სახლის გაყიდვის შემდეგ სოფელში ოროთახიანი კორომი აუშენებია. ჯერ მოუთავებელი ყოფილა. როცა მოთავდებდა, რა უჭირს, ივარგებს! პორფილეს კარგ სამუშაოს გამოაძებნივნებს. იქნებ სულაც სოფელში მიამართუნოს. მუდმივ შიმშია და გულის ტრიალში მტერმა ათენ-ალამა პაციოსანი შრომით რასაც იშოვნინა, კაპიკს კაპიკზე დაადებენ. ამა როგორ გინდა! ხათუნა ისე გაიტაცა ახალი ოჯახის მოწყობის ოცნებამ. სხვა ყველაფერი გადაავიწყდა. ვერც კი გაიგო, ტბილ ოცნებაში გართულს რული როგორ წამოეპარა.

სიზმარიც ცხადის ვაგრძელება იყო. ვითამ ის და პორფილე ვაგონის კიბეზე იდგნენ. სადღაც შორს მიმავალთ აუარებელი ხალხი აცილებდათ. პორფილეს შავი კოსტუმი ეცვა, მაგრამ ზედ რატომღაც თითბრის აბზინდიანი ფართო ქამარი შემოერტყა. ქამარს აბზინდი გამწვანებოდა. სადღაც ნაგდები იყო. ხათუნას ეცნობოდა ეს ქამარი, ეცნობოდა და ვერ მოეგონებინა. პორფილეს სად უნდა ეპონა? უნდოდა დაეყვირა, პორფილესათვის გაეგებინებინა, ქამარი მოიხსენიო, ყვიროდა კიდევ, მაგრამ პორფილე გამცილებლებს უყინოდა, თან ხელს უქნევდა და სულ არ ესმოდა ხათუნას ხმა...

მერე პორფილე გაქრა. თვალტრემლიანი ხათუნა ამაოდ დაეძებდა ვაგონში.

გამთენიისას სიმწრის ოფლში „გაწურულს“ გამოეღვიძა.

სპირიდონი წყალს ითხოვდა.

ხათუნა წამოხტა. სინათლე არ ჰქონთია, ისე გადმოსახა წყალე ჩაფიდან და მამას მიუბრუნინა.

სპირიდონმა წყალი მოსება, სიბნელე...

ში ხელი მოუფათურა სკამს და ჭიქა ხედ დადგა.

— კიდევ ხომ არაფერი გინდა, მამა? — ჰკითხა ხათუნამ.

— დაწევი.

ხათუნამ კარი გააღო. გარეთ გაიხედა.

— წვიმს? — ხელახლა გაისმა სიჩუმეში მოხუცის ხმა.

— გადაუღია.

ხათუნას მამის ხმა მოენატრა. კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა. სპირიდონი ჩაჩუმდა, ტახტქვეშ მოკალათებული კატის ნებიერი კრუტუნის არღვევდა მხოლოდ ღამის მყუდროებას.

დილამდე დიდი დრო აღარ იყო დარჩენილი. დედა, ალბათ, მალე ადგებოდა წერილფების დასაპურებლად და მერე ხელახლა დაიწყებოდა ის, რაც გუშინ საღამოს გათავდა...

ხათუნა საბანში გაეხვია. თვალბგახელილი იწეა და სიბნელეს აკვირდებოდა.

— გეყურება? — დაიხიხინა სპირიდონმა.

— რა იყო, მამა? — უმაღლვე წამოიწია ხათუნამ.

— დილას პაპუნასას გადადი ან დედამენი გაგზავნე. აღრე უნდა წავიდეს.

— სად, მამა?

— ძროხას შენ ვერ ჩაიყვან სადგურში, პაპუნა უკეთ მოგისაქმებს.

ხათუნა განცვიფრდა.

— რომელ ძროხას, მამა, რას ამბობ?!

— რომელი ძროხა მყავს! ბოვეშვებს თბილი რძე მაინც ექნებათ.

— ვაიმე, მამა... — გული აუჩქუყდა ხათუნას, — თქვენ ისე დარჩებით?

სპირიდონი ჩაჩუმდა. ვინ იცის, რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი. მაგრამ მაინც ჩაჩუმდა. დილით ჭათმებს დაასწრო ადგომა. ხელჯოხიანი გარეთ გაბოხრიკდა. როცა ქალები წამოიშალნენ, ცხრილის მოსაწნავად გადანახულ ტყეჩებს ონჯაროდან იღებდა და მგონი სასარეებს არჩევდა.

იმ დღეს ძროხა საძოვარზე აღარ გაურეკიათ. მოწველეს თუ არა, სპირიდონმა თვითონ მოუარა. სალაფავიც

თვითონ მისცა. ნაშუადღევს კიდევ გომოწველა ეკამ, რათა მატარებელში რძეს არ შეეწუხებინა.

ნაშუადღევს გამგზავრების სამზადისი მოთავდა. ძროხა შეილიშვილისათვის გაეტანებინა პაპუნას, თვითონ კი ნათლულის გასაცილებლად დარჩენილიყო.

სწორედ იმ წუთს, როცა ხათუნა გზას უნდა დასდგომოდა, სპირიდონი სადღაც გაქრა. ყველას შეეშინდა: დასუსტებულია და ვაითუ სადმე წაიჭყაო.

იქაურობა შემოატყავეს. ვერსად იპოვნეს. ბევრი ძებნის შემდეგ, ვენახის ბოლოზე, კოპიტეში დალანდა თვალი ეკამ. პირწამახულ წალღისათვის შიგ ყუაში ჩაველო ხელი და სარს ჭრიდა.

— რამ ჩაიყვანა ახლა იქ! — თავი გადააქნია პაპუნამ.

— აგერ არ იყო ახლა? — კვირობდა მამა.

— ნუ დაუძახებ!

— ამა ისე წავიდეს ბოვეში?

ხათუნას ცრემლი მოერიო: მოხუცს შვილთან დამშვიდობება უმძიმდა და ვენახშიც ამის გამო დაიშალა. გულმა არ მოუთმინა. ბოსტანს გადაადგა და დაუძახა.

სპირიდონი წელში მოხრილიყო. წვერს უჩეკდა ახლადმოჭრილ სარს. მხოლოდ მეორე დამახებისას მოიხედა და სარის წვერზე ჩამოსაყრავად შემართული წალღი ჰაერში შეაჩერა.

ხათუნამ ვენახი ჩაიბრინა, ეს არის, მივდივარო, უთხრა, გადაეხვია და გულში დიდხანს ჰყავდა ჩაყრული.

სპირიდონი კვლავ უცნაურად მოხრილი იდგა. ხმა არ ამოუღია. როდესაც ქალიშვილი ყორზე გადახტა, რათა გზაში გამოსულ გამცილებლებს აქ დახვედროდა, მოხუცმა ისევ წალღის ჩაყენი განაგრძო.

„ჩემი ამბავი თუ შეიტყო, თან გადაპყვება, — ფიქრობდა ხათუნა, — ღმერთო, რა უბედურ დღესა ვარ გაჩენილი!“ მერე გაახსენდა, რომ მამისთვის არ უთქვამს, თავს გაუფრთხილდით, არ დაუიმედებია, ჩვენი ჯადრი ნუ გექნებაო, არაფერი, არაფერი არ უთქვამს...

გზაზე ჩანთიანმა ბავშვებმა ჩამოიარეს. ხათუნას ჩუმჩუმად, მორიდებით გახედეს, უკან კიდევ ერთხელ გამოაპარეს თვალი და თავპირის მტკრევით დაეშვნენ ნამეწყარალისაყენ.

ტოტებშესხებულ ბზებში მტრედისფრად მოჩანდა ფიცრული სახლი, სოფლის ძველი სკოლა, იქვე ახლოს კი დობანდით თავგაქრული ეკლესია და ბებერი ცაცხვი იყო.

კარი მორაბ

თავი ოცდამეთერთმეტე

მატარებელი გაჩერდა თუ არა, ხათუნა ბაქანზე ჩამოვიდა და იმ მხარეს გაეპარათა, სადაც ორთქლმავალი იდგა, რადგან პირუტყვის სამგზავრო ვაგონი სწორედ ორთქლმავალთან ეგულებოდა. ვაგონი იქ არ იყო. ხათუნა აწრიალდა, ვაითუ მომდევნო მატარებლის მოსვლამდე მომიხედეს ლოდინით.

ძეწნებში კვლავინდებურად ირეოდნენ მეზარგული მუშები. საფოსტო ვაგონს ცლიდნენ და დალუქული კანაფით თავწაქრულ ჯვალოს ტომარებს ურიკაზე აწყობდნენ. სწორედ ამით გააგებინეს საქონლის ვაგონის ადგილსამყოფელი — ბოლოშიაო. ხათუნა ახლა იქით გაეშურა.

ბაქანი თანდათან ცარიელდებოდა. ჩამოსულნი მოედანზე გადიოდნენ მოსაცდელი დარბაზის გავლით, წამსვლელები კი ადგილებს იკაებდნენ მატარებელში.

ხათუნა აღვის ხეებთან იყო გასული, როცა გაახსენდა: წელან, მატარებლიდან ჩამოსვლისას, ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. ახლალა მიხვდა, ვინ იყო და გაიფიქრა, მომეჩვენაო. ამა მუნჯიას აქ რა უნდოდა!

უკან მიანიც მიიხედა.

მუნჯია, სწორედ მუნჯია და არა სხვა ვინმე, მოსაცდელი დარბაზის ფანჯარასთან იდგა და აქეთ დაქინებით იყურებოდა.

„ეაიმე, მგონი მართლა მუნჯია უნდა იყოს! — გაუელვა ხათუნას, — მაგრამ აქ რა უნდა?“

ყრუ-მუნჯი თვალს არ ამორებდა ნაცნობ ქალს, ხარბად უყურებდა და, ალბათ, ველარაფერს და ველარავის ამჩნევდა ირგვლივ.

ხათუნამ თავი დაივალდებულა მუნჯიასთან მისულოყო და ამბავი ეკითხა. ვერ მოესაზრებინა, რას მოასწავებდა მისი აქ გამოჩენა. თუ სადმე მიდიოდა, რატომ ეცვა ასე დაბრანძული, უთომიუკარებელი შავი კაბა და მამაკაცის ქუსლებმათელილი ტუფლები? ან ეს გრძელტარიანი ცოცხი და აქანდაზი რისთვის სჭირდებოდა?

— მუნჯია ხარ? — ჰკითხა მისალმების მაგიერ ხათუნამ და მაშინვე შეეშინდა, ვინმე სხვა არ იყოს და მე მუნჯიას არ ვამგვანებდეთ.

ქალმა პირი ააქლაპუნა, ხათუნას ცრემლით ავსებული დიდრონი თვალები დაანათა ზემოდან, მკლავში ღონიერი ხელი ჩააელო, ცომივით რბილ მკერდზე მიიკრა და:

— უუღმ! — დაიღმუვლა ჩვეულები-სამებრ.

— რა მოგივიდა, მუნჯია, რა გინდა აქ, მარტო ხარ, არაფერ გახლავს? — ამის კითხვალა მოახერხა ხათუნამ.

მუნჯია კვლავ გაუგებარს ღმუროდა. ქალს ღონიერი თითებით ბუზნიდა და დაფეთებულ თვალებს აქეთ-იქით აცუცებდა.

ვერც ხათუნა მიუხვდა მუნჯს. მიუხვდა კი არა, დაფრთხა, ხომ არ გადაირია, სირცხვილი არ მაჰამოსო. შიში მაშინ უფრო გაუძლიერდა, როცა მუნჯმა ხელი შეუშვა და იგივე ხელი გულში ჩაიბრაგუნა. ჩანდა, რალაც მეტად მნიშვნელოვანსა და გულის მომწყველს ეუბნებოდა.

— რა გინდა, შე საცოდაო? — თანაგრძნობით ჰკითხა ხათუნამ, მაგრამ მუნჯის ენაზე იგივეს გასამეორებლად ხელები ვერ მოიხმარა: გაკოჭილივით იყო.

მუნჯია პირს აღებდა, ისევ კრბავდა, მკილით თვალებს, ლოყებს, ნიკაპს ის-

რესდა, ლაწვებზე კი ჭუჭყიან ზოლად ჩამოსდიოდა მსხვილი ცრემლები.

ბოლოს ხათუნამ მოისაზრა, თბრობა შეაწყვეტინა და თვალებისა და თითების მოძრაობით ანიშნა, აქ რას აკეთებო.

მუნჯია ცოცხსა და აქანდახს დაეძგერა.

„დამლაგებლად ყოფილა? — გაიფიქრა ხათუნამ, — ალბათ, მე ვერ მივხვდი!“

მუნჯია ღმუოდა, ღონიერ ხელებს აქანებდა, თვალცრემლიანი ჰყვებოდა რაღაცას.

— რამ მოგიყვანა აქ, რატომ იქ არა ხარ? — მუნჯთან საუბრის მთელი შესაძლებლობა მოისმარა ხათუნამ.

მუნჯი ამასაც მიხვდა. პირი დააღო, თვალეზი უფრო გადმოქაჩა, მიიხედ-მოიხედა და, როცა დარწმუნდა, ნაცნობი არაიენ გვიცქერისო, ორივე ხელი მუცელზე იტაკა და გაჩერდა.

ხათუნას ერთბაშად გაახსენდა ყველაფერი, გაახსენდა, როგორ აზომებდნენ კაბას ებეს დამარხვის წინა დღეს, გაახსენდა ელენეს შემფოთებული სახე და მიხვდა...

„მერე გამოაგდეს?“

საბრალო მუნჯიამ ღირდა კი მისი შეცოდება? ხათუნამ დაირცხვინა. ჯერით გამგელებულ ქალისათვის თვალი ველარ გაესწორებინა, თითქოს ყველაფერში თვითონ ყოფილიყოს დამნაშავე. კიდევ კარგი, მუნჯიას ლაპარაკი არ შეეძლო, არც ყურთ ესმოდა რამე. ხათუნა ვერას ეტყოდა. სიტყვასაც ვერ ეტყოდა სანუგეშოდ. ახლა ის ზერეულად უყურებდა მუნჯიას ბედს და ყველაფერს ავხორციობას აბრალებდა. საიდან გაიჩნდა ყრუ-მუნჯს ამდენი ეშმაკობა, რომ აქამდე ქვეყანას თვალს უხვევდა და კოკა ასე გვიან გაუტყდა წყაროზე? მაგრამ უცებ ქალის დღევანდელი მდგომარეობა წარმოიდგინა და შემაწუხებელი ზიზღი, რომელიც ყელს მოსწოლოდა და გადმოღვრას ლამობდა, კვლავ სიბრაულეში შესცვალა.

მუნჯია ფეხშიშვედ იყო. წიაღში ცო-

ცხალი არსება ჰყავდა. ის ცოცხალი არსება დღეს თუ ხვალ დიზადებოდა. თვალს გაახელდა... მუნჯეჯე დედაც მუნჯე ხვალინდელი დღის იმედის ანაბარა მიტოვებული. მაგრამ რას უქაღდა ხვალინდელი დღე? ვინ იცის, რას უქაღდა ხათუნას თანდათან სტოვებდა ზიზღი და თანაგრძნობით ინმსკვალებოდა. მუნჯს ისევე შეჰხვდა თვალეზში და ჰკითხა:

— ახლა რას აპირებ, სულ აქ იქნები?

მუნჯმა ვერ გაუგო, მაგრამ ხათუნას თვალეზში ნამი შენიშნა, ღონიერი მკლავები ხელახლა მოჰხვია და ზღუქუნი დაიწყო.

თანაგრძნობითა და ზიზღით გათანგულმა ხათუნამ კარგა ხანს ვერ მოახერხა თავის განთავისუფლება, ბოლოს, როგორც იქნა, მოიშორა მუნჯიას ტორები და წაილაპარაკა:

— ნუ გეშინია, მე ჩამოგაეითხავ ზოლმე.

— უღღმ — დაიღმუვლა მუნჯმა

— ამა, ეს გამომართვი!

მუნჯი გაფაცოცებული შემოჰყურებდა.

— გამომართვი, სირცხვილი კი არ არის...

მუნჯმა ახლალა დაინახა, რას უწვდიდა ხათუნა: ქალადღის ფული იყო. მთლად გაგიჟდა. კინაღამ კედელს შეახალა თავი.

ხათუნამ იმაღა დაჰმუქნული ქალადღის ფული უბეში ჩაუჩარა. მერე გავიყალა. აღარ დაუცდია, მუნჯი რას ანიშნებდა. ბაქანი უკანმოუხედავად ვიოარა.

დამშეული ძროხა საბარგო განყოფილების წინ გამოებათ.

თავი ოცდამეთორმეტე

მუნჯიამ ცოცხი და აქანდაზი ბაქანზე მიატოვა. ხათუნას ქუჩაში გამოჰყვა. მამაკაცურად მოალაუგებდა, ილღი-აში ჩემოდანი ამოეჩარა და ზანტად მიმავალ ძროხას აჩქარებდა.

— დაბრუნდი ახლა, დაბრუნდი! — ემუდარებოდა ხათუნა.

მუნჯი მაინც არ მოეშვა. საკაურას გადასახვევამდე ამოაცილა.

ხათუნამ რამდენჯერმე მოიხედა უკან. მუნჯი იმავე ადგილზე იდგა და ხელს უქნევდა.

„რა ურჯულეობები ყოფილან, — გაიფიქრა ხათუნამ და წყაროსთან გადაუხვია, — ნუთუ შეიძლება ადამიანის ასე გამეტება?“

მშვიერ-მწყურვალე პირუტყვი ხარბად დაეწაფა ქვის გობში ჩამდგარ წყალს.

ხათუნა ისევ მუნჯიაზე ფიქრობდა. ძროხა სულმოუთქმელად სვამდა, ფრთენაედა, ჯიშინ კუდს უცნაურად გრებდა და აქიციანებდა.

— პოილო, გეყოფა. მოგკლავს ამდენი!

თუმცა მოკაუტვებულ რქებში ჩაბმული საბელი უკან ეზიდებოდა, ძროხამ ერთხელ კიდევ წაიწია კამკამა გუბისაკენ, სველი ტუჩი წაჰკრა, მაგრამ პატრონის ნებას ძალისძალად დამორჩილდა, ნაჯეგი ბალახი დაეწოსა და ხორკლიანი ენა მსუნაგად გამოჰჰყო.

ხათუნამ საბელი დააგრძელა, განასკვლავ ბოლოს ფეხი დაადგა და წყალში ჩაიხედა. ქვის გობის ფსკერი ხავსს დაეფარა. წყალში კაკლის ტოტები და ლურჯი ცა მოჩანდა. გამჭვირვალე ტბორი ლივლივებდა. ხათუნას სახე შიგ თამაშობდა. ძნელი საცნობი იყო. ხათუნამ თავშალი მოიხადა, შუბლზე და თმაზე სველი ხელები გადაისვია, მერე ორად ორი პეშვი წყალი სახეზე შეიშხაუნა.

„უჰ, ცივია!“ — გაიფიქრა, როცა სისველე გულისპირში ჩაუვიდა და თავშალს წაეტანა, რათა სასწრაფოდ შეემშრალეზინა.

— წავიდეთ ახლა! — გამოელაპარაკა ძროხას, — ბიჭები გველოდებიან.

გზას ნაპირ-ნაპირ მწვანე ბალახის ზოლი გასდევდა. დამშეული ძროხა იქით მიიწევდა.

„ვინმე მაინც წამომეწეოდეს, — ფიქ-

რობდა ხათუნა, — ძროხას დაეუტოვებდები და მე ჩქარა წავიდოდი“.

მოთმინება აღარ ჰყოფნდა! მგელიც ბი სულ ახლოს ჰყავდა, თან კი არ შექაქილო ფრთები გამოეხსა და გაფრენილიყო.

უკან ჩამოტოვებული წყაროს მხრიდან საბარგო მანქანის გუგუნი მოესმა. იქნებ საკაურას მანქანაა? გააჩერებინებდა, მაგრამ...

— პოილო!

მანქანა ქოთქოთით უახლოვდებოდა. ხათუნამ საბელი დაამოკლა. ძროხა ყორისაკენ მიაგდო.

მანქანამ გაიარა. „ნეტავი ვინ იჯდა შიგ?“

წინ მდინარის ქვიშით მოკირწყლული ოღროხოლო გზა იდო. მარჯვენა მხრიდან, ყორის მიღმა, გზას მაღალი ეკლნარი გადმოსდგომოდა. მანქანამ ორასიოდე ნაბიჯი გაიარა და ეკლნარის იქითა ბოლოში გაჩერდა. ნიავს მოტორის თუხთუხი და ბენზინის მყარული სუნი მოჰქონდა. მანქანას ვილაცები შემოესივნენ. შოფერმა კარი გააღო. ახლა კაცების კანტიკუნტი ხმაც ესმოდა ხათუნას.

— პოილო, რამ გადაგრია! — ეკლავ ძროხას შეუტია, საბელი მოზიდა და ნაბიჯს აუჩქარა.

მანქანამ თუხთუხს უმატა. მგზავრები პანტაუნტით ჩამოცივიდნენ ზემოდან, ერთი კი მოიხედეს უკან და გზა ქვეითად განაგრძეს. სამაგიეროდ სხეულები აბობლდნენ ძარაზე. მანქანა უკან ბრუნდებოდა.

ხათუნამ ეკლავ ყორისაკენ მიაგდო ძროხა. თავადაც შეჩერდა.

შოფერი წამდაუწუმ ცვლიდა სიჩქარეებს. ლერძები ყურისწამლებად ღრჭიალებდნენ.

— ხათუნა! — გაიგონა უცებ, ქალმა და მოახლოვებულ მანქანას ახედა.

შოფრის გვერდით პეპინა და „კრუხის პალო“ პარმენა გამოჰქიმულიყვნენ. სხეებს, ზემოთ, ძარაზე მოეკალათნათ.

ხათუნას უზომოდ გაეხარდა თანა-

სოფლებების დანახვა. წამსვე ძარასთან მიიბრინა.

— ახლა მოდიხარ? — ერთხმად ჰკითხეს კაცებმა.

— მოვდივარ, — მოუთმენლობა და ეტყო ხათუნას ხმას, — ბავშვების ამბავი რა იცით?

— რა უჭირთ ბავშვებს. შენ როგორ მოიარე?

— ასე... მამა ფეხზე დაეტოვე.

— მაღლობა ღმერთს!

— აქეთ საით გაგიწევიათ?

— კრამიტია გადმოსატანი. პეტრე!

— ჰეი! — დაიძახა კაბინაში მიროტაძემ, რომელსაც კარი ჩაჰკეტვოდა და ამოდ აწვალებდა სახელურს.

— ჩამოდი ძირს, კაბინაში ხათუნა ჩავაჯინოთ.

— რაიო?

— ზევით ამოდი, ზევით, მანდ ხათუნა დაჯდება.

— უჰ! — წამოიძახა პეტრემ, როცა სახელურს ვერაფერი მოუხერხა, შოფერი უკან დასწია და ფანჯარაში თავი გადმოჰყო, — გამარჯობა, გოგო, შენის რავე ხარ?

ხათუნა აიღწია. ეს „გოგო“ მართლაც რომ უადვილო იყო. პეტრეს მაინც მაღლიერად გაუღიმა და საბელის ნასკვი ზურგს უკან ამოიღო.

— იჭაურობას იკლებს ყარამანიჩი, სად არის ამდენ ხანსო, — მანქანის თუხთუხში განაგრძობდა მიროტაძე.

— გამომეტირა? — ძარაზე მსხდომთ ახვდა ხათუნამ და გაიღიმა.

— კრამიტს გადმოტანა არ უნდა?

— რა კრამიტს?

— ი ბალია თუ რალაცა, რით ხურავ!

— უიშე, თუნუქი ვერ გაახერხებ?

— გამოგიწერენ თუნუქს!

— აბა?

— იმაზედაც მაღლობა თქვი, კრამიტი თუ გამოგვატანეს.

— ახლა იქ მიდიხარ?

— მაცალე, ბიჭო, ლაპარაკი — ზურგით კაბინის უკანა კედელზე აკრულ შოფერს შეუტია პეტრემ, — ეგ ძროხა საიდან მოგყავს?

— ვიყიდე.

— ყოჩაღ!

— ჩემი წამოსვლა ხომ არ არის საჭირო?

— წამოდი თუ გინდა.

— მინდა კი არა, თუ საჭიროა, წამოვალ.

— წადი, დაია, წადი, — დაუყვავეს ქალს ძარაზე მოკალათებულებმა, — თავად დარეკეს ამ დილას ქარხნიდან. ჩვენებურები მიდიან ეგერ. იქნება დაეწიო.

ხათუნამ უკან დაიხია.

— წავედით!.. ხათუნა! — დაიძახა პეტრემ, — ყარამანიჩი თუ სადმე ნახო, უთხარი, გზაში შემხვედნეთქო. ახლა ჩასული იქნებიანთქო.

შოფერმა სიჩქარე გადართო, ღერძმა გაიჭრიალა და ირგვლივ კვლავ მურა ბოლი დადგა.

„ჩქარა ვივლი, იქნებ მართლა დაეწიო,“ — კაცების ნათქვამი მოაგონდა ხათუნას და ძროხა წინ გაირეკა.

პარასკევი დღე იყო. პარასკევობას პატარა ბაზარი იმართებოდა ხოლმე ლუხუნის ხიდის ყურში და არც ამ გზაზე გამოილეოდა გამვლელი და გამომვლელი. ბაწარივით გაიბმებოდნენ მთისკალთელები და ქვემოხეველები. მოხველები და საკაურლები. ზოგი თონეში შესაწვავ გოქს მოაქყვირებდა. ზოგი აყიყიბებულ ბატებს მოსდევდა. ზოგს გამოზამთრებული ბია ან ვაშლი მოჰქონდა თავგადაკერილი ხელკალათით. გაუვლიდნენ შემხვედრთ, ქვეშქვეშ შეათვლიერებდნენ, გამარჯობაო, ჩაიღუღუნებდნენ და რატომღაც თავჩაღუნულნი ფაცხაფუცხით განაგრძობდნენ გზას, რათა მუშტრისათვის დროით ჩაესწროთ. ბაზრობაც ასევე ნაჩქარევი და კუდმოკვეცილი იყო. სამხრობამდე ყველაფერი მთავრდებოდა. ხელდაცლილებს ახლა შინ მიეჩქარებოდათ. დიდრონ ჯგუფებად მიედინებოდნენ გზაზე, ყბებს არ ზოგავდნენ მიეთმოეთზე მასლაათით. ბაზარს თითქოს ჩაეყლაპა საიდუმლოება, რომელიც დილით თან მოჰქონდათ და უკან გამობ-

რუნებულნი უფრო გულლია და ხალისი-
ანები იყვნენ.

„ხარბია სოფელი...“ — ფიქრობდა
ხათუნა და ერთთავად წინ იყურებოდა.
წასულებს ჩქარა ევლიოთ. თვალის კი
ვერსად მოატანა. დამშეული ძროხა
ძლივს მილასლასებდა. ნახამთრალი ბე-
წვი უშნოდ აეშალა. ხათუნამ ხელი გა-
დაუსვა ფერდზე. ძროხამ ქედი ჩაზნი-
ქა.

— ნუ გეშინია, ნუ, — მოეფერა ხა-
თუნა, — რამ შეგაშინა! ახლა ეს გზა
ხევში ჩაევა, იქიდან აღმართს ავყევებით,
სერზე გადავიხედავთ და — ზურიაც გა-
მოჩნდება!

ხათუნამ უცებ მოისაზრა, რომ ძრო-
ხას ელაპარაკებოდა. არა, თავისთავს
ელაპარაკებოდა, მაგრამ ეს სიტყვები
რატომღაც ძროხის გასაგონად თქვა. ასე
უფრო ეადვილებოდა ფიქრი.

ზურია, ალბათ, სამქედლოში იქნება.
ალბათ, სულ გზაზე უჭირავს თვალი.
ყოველ წუთში გამოევა, გამოიხედავს,
დედა ხომ არ მოდისო. დედა არ ჩანს.
ჯერ კიდევ შორს არის. ზაქარას ნაღ-
ველს ვერ გაუმხელს, პატარა ძმებსაც
ვერას ეტყვის და არის ასე...

„ჩემი ბიჭი, ჩემი ამაყი, ჩემი თავ-
მომწონე ბიჭი!“ — მარცვლავდა ხათუნა
და ვერც კი ამჩნევდა, როგორ მოკლდე-
ბოდა გზა.

სერს გადაადგა და შეჩერდა. სამ-
ქედლო დაკეტილი იყო. ამას სრულე-
ბით არ მოელოდა. ნეტავი სად წავიდ-
ნენ? ძროხას წყებლა გადაჰკრა. არა, მე-
რე რა თუ სამქედლო დაკეტილი იყო!
ალბათ, ზაქარამ აღრიანად მოითავა,
რაც მოსათავებელი ჰქონდა და ახლა
კარ-მიდამოს დაუტრიალდა. ჰო, მერე
რა, თუ მართლა დაკეტილი იყო სამქედ-
ლო...

კანტორის ეზოში, ტელეფონის ბოძსა
და მესერს შუა ახლადდაბადებული თე-
თრი ხბო გახიდულიყო და ბალახს წიწ-
ქნიდა.

ძროხამ დაიხმუვლა. ხბომ თავი მოაბ-
რუნა. მესერს გადალმოდან დააქვერდა
მოახლოებულ ძროხას.

— შალო! — ველარ მოითმინა და და-
იძახა ხათუნამ.

საკუთარი ხმა ეუცხოვა. წაქვლა და-
ავდო. ქვეს კიბისაყენ გაიქცა.

აიენის მოაჯირზე მარგალიტა მოან-
გარიშე გადმომდგარიყო და კიბეზე
ამომივალ ხათუნას ღიმილით გადმო-
ჰყურებდა.

— მარგალიტა! — წამოიძახა ხათუ-
ნამ, როგორც კი კიბე აათავა, — ბავ-
შეები სად არიან?

— ბავშვები... — პირმოძლიმარე მა-
რგალიტას უფრო დაუნაოქდა უღეთოდ
დამქეცარი სახე, — ცხრათავიანმა დეე-
მა მოიტაცა!

— სად არიან, ქალო, ბავშვები?!

— ოპ-პო-პო, რაეა ხარ გადარეუ-
ლი! შენს ვარდა, შვილები სხვას არა-
ვის ყავს, აგრე რომ არ ირევა?

ხათუნამ თავისუფლად ამოისუნთქა.
გაოფლილი შუბლი თავსაფრის ყურით
შეიმშრალა.

— შემოდი, თუ გინდა. ბავშვები აქ
აღარ არიან. ზურიათ ქვევით ჩარეკა.

— ქვევით ჩარეკა? — ხელახლა ეცა
ელდა ხათუნას.

— ჩემთვის არაფერი გაუმხელია,
დაია. მერე მითხრა, დედამ დამიბარაო.
დაუბარე?

ხათუნა ყველაფერს მიხვდა. მარგალი-
ტა უკან ჩამოიტოვა და დერეფანში
შევიდა.

— ეს რა ამბავია! — წამოიძახა გაე-
ვირეებულმა.

ვეებერთელა ოთახში, რომელიც წი-
ნათ ისე ვიწროდ გამოიყურებოდა, ერ-
თადერთი გრძელი მაგიდა იდგა. მაგი-
დაზე აქა-იქ მელნიით მოთხუნული
მწვანე მალევი გადაეფარებინათ, ზედ კი
წალმა-უკულმა ეყარა ნაირნაირი ყურ-
ნალ-ვაზეთები.

— ყველაფერი ჩაზიდა, — ჰყვებოდა
მარგალიტა და რალაცნაირად გამოცე-
ლილ, თითქოს მთელი ათი წლით გაა-
ხალგაზრდავებულ ხათუნას შემპარავად
ზეერავდა, — ნუ გეშინია, არაფერი
დარჩენია. ეგნატეს ხარ-ურეში ამოეყვა-
ნა და...

— შენ სად იყავი?

— სად ვიყავი, კრებაზე. მოვბრუნდი იქიდან, რას ხედავს ჩემი თვალები! დედა ნუ მომიცვლება, გული ვადმომიტრიალდა. მაშინათვე ჩავედი. ბევრი ეუძახებ. შე ასეთო, შე ისეთო-თქო. მარა ჰე! სი-ახლოვეს არ გამოიკარა.

— მივიღე ერთი! — დაიქაღანა ხათუნამ.

— ვერც შენ ეტყვი საყვედურს, ნახე თუ უთხრა! უცნაური ბიჭია. მაგისთანა ბაშუშის მნახველი არა ვარ. შენ რა ქენი, მოიარე?

— მოვიარე.

— ხომ კარგად არის?

— არის ისე, სუსტად.

— მოგზდომია საყოლი!

ხათუნამ თვალები ასწია და მარგალიტას შეჰხედა. ორივეს ვაღიშმა.

— აქეთ როგორ არის საქმე? — საუბრის საგანი შესცვალა ხათუნამ.

— ძველებურად

— კრება იყო?

— იყო მარა... — მარგალიტამ თავი ჩალუნა. აშკარად ემჩნეოდა: სხვა რამეზე ფიქრობდა.

— რა მარა? — ჩაეძია ხათუნა.

— ე ვენახების ის შევაჩერეთ ვითამ. დროებით...

— მერე?

— ყველა შიგ არის ჩარეული.

— ვინ ყველა?

— რაიონი... ახლა თბილისიც ჩაერევთ.

— ჩაერიოს მერე, ცუდია?

— რაც უნდათ, ის ქნან, მე დამანებონ თავი ოღონდ.

— შენ ვინ რას გერჩის!

— ეს იქ შეიკერე? გამოდი სინათლეზე!

მარგალიტამ ქიშპირის კაბის კალთა მოსინჯა, კაბას უცაბედად პერანგიც მოაყოლა და მუხლის თეთრმა სიშიშველემ შემოანათა ორივეს.

— რას შერებში! — კაბა ორივე ხელით სასწრაფოდ ჩაიწია ხათუნამ.

— არავინ არის, ნუ გეშინია, — ანუ-

გეშა მარგალიტამ, — რა დაგოჯდა, თავი ნუ მოგიცვლება?

კაბა ნათხოვარი იყო. ხათუნას გამხეცლა არ უნდოდა. ამიტომ ტყუილი თქვა.

— ფული მაქვს მოგროვილი. თუ სწორედ ამისთანა ნაჭერი ვიშოვნე, უნდა მათხოვო, იცოდე. მეერავს ვაჩვენებ, — ახლა მხრებზე და გულზე მოუსვა ხელი მოხიბლულმა მარგალიტამ.

— ჰო, წაეღ მე, — აჩქარდა ხათუნა, — შენი დიდი მადლობელი ვარ. მარგალიტა. სამაგიერო პატივისცემა ჩემს კისერზე იყოს!

ნისკარტა მოანგარიშე ძუნწად იკრიკებოდა:

— შეილები დამეტოვებინოს მისახედავად, არა?

— რატომაც არა, დაგეტოვებინოს! — მოხედა ხათუნამ, — გაუთხოვრად აბირებ დარჩენას?

— ეჰ, ჩემო ხათუნა!

— მართლა, სამკვდლო რად არის დაკეტილი, ზაქარა ავად ხომ არ გახდა?

— არ იცი თუ?

— რა? — კიბეზევე შეჩერდა ხათუნა.

— თუმცა სად გაიგებდი! იმისთანა შენს მტერს, ზაქარა რომ დღეშია! მყავლა ყავთ გლახად.

— ვაიმე, რა მოუვიდა?

— მიზეზობს!

— იჰ, შე ქალო, მე მართლა შემეშინდა.

— ძალიან გლახად არის, ხათუნა. აგრე კი ნუ უყურებ. თვეზე მეტია, რა-ვარც ამ კედელს ხეში არ გადაუყლაპავის. ისე იმას! გადაყლაპავს და — უარესი! გულზე არაფერი ადგება. გუშინ საავადმყოფოში დააწვენეს. ზაქარა და სერგო ახლაც იქ არიან.

— შეარცხვინა ღმერთმა, რა წაეკიდა ამისთანა!

— მტრის და ავისას, ფუ, ფუ! ზოგიერთ ქალს ცოდნია ასე.

— როდის ელის?

— ჯერ სადა ხარ, სამი თვისაც არ არის.

— გაუვლის.

— ღმერთო, კაი ყურით გაიგონე!



დღეს ამბავი გადმოვიდა, მუცლის მოშლას უპირობენო.

— გადარეული არ იქნებიან საწყლები?

— გადარევეს ჩივი შენ, ხათუნა? ცალკე ავადმყოფი ასე, ცალკე — ჭირისუფალი. სალამოს აღარ ამოივლი?

— საქმეა თუ?

— არა... — გაყევა მარგალიტამ და წვრილი ნაწნაეების სწორებით თავი ჩაპლუნა, — საქმე რა უნდა იყოს...

— მარგალიტა!.. — დაეჭვდა ხათუნა და სცადა ქალისათვის სახეში შეეხედა.

— ისე გითხარი... — გაჯიუტდა მონგარიში, — ბარუსი მაინც რომ გენახა. ქე აჯობებდა.

— რა იყო, რა, გამაგებინე!

— ისიო... თავათ გეტყვის.

— მითხარი, დედას გაფიცებ, მარგალიტა, ნუ დამიზალავ!

მარგალიტამ მზერა მოაღლო ეზოს.

— რომ გაიგოს, ჩემი ნათქვამია, ხომ მომკლა!

— თუ ასე... ამის მეტს არ მენდობი. მარგალიტა?

— ამოდი და თავათ გეტყვის

— მანამდე გაძლება არ მინდა?

— სალამოს კანტორაში იქნება.

— რა იყო, რა, არ ითქმის?

— გამგის ის... ერთი სიტყვით, თავათ გეტყვის.

მარგალიტამ წასვლა დააპირა.

— მოიცადე! — დაადევნა ხათუნამ, — თუ ჩემი შეილებს სიკეთე გინდა, მითხარი, რა ამბავია ჩემს თავს.

დერეფნის კართან მისული მარგალიტა ნახევრად მობრუნდა, მაგრამ სათქმელის გამელავენება მაინც ვერ გადაეწყვიტა.

— თუარა და, წავალ! — ცივად თქვა ხათუნამ.

— მოიცა! — ყოყმანს სძლია მონგარიში და ქალი კვლავ დერეფანში შეიყვანა, — ოღონდ არავისთან წამოგცდეს თუარა დამკალი და ეგ არის!

— ჰო, თქვი!

— შენი საქმე, მგონია. არ უნდა იყოს კარგად.

— რა საქმე!

— ბალის ის... გამგედ არ გაყვნიდნენ? რაიონი უარზეაო.

— ვინ გითხრა?

— მითხრეს, რა გინდა.

ხათუნა ბევრს ეცადა. მეტი ველარაფერი დააცდენინა სხვა დროს სიტყვა-მრავალ მონაგარიშეს. ბოლოს წყალი მოითხოვა.

— შემოდი, თუ გინდა, დაჯექი, — ოთახის კარი გაუღო მარგალიტამ.

— არა, არა, ერთი ყლუპი წყალი მომაწოდე.

მონაგარიში ოთახში შევიარდა, თიხის სურით წინა დილას მოტანილი წყალი გამოარბენინა, მერე უკანვე გაბრუნდა. სურას ჭიკა მოაყოლა, გაუესო და ხელში შეაჩენა ხათუნას.

ხათუნამ წყალი გამოართვა, მოსვა. მაგრამ ემწარა და ჭიქას მაშინვე მოსწყვიტა ბაგე.

— სურის გემო აქვს? — ჰკითხა მარგალიტამ.

ხათუნამ წყალი აღარ დალია. სახეზე ემჩნეოდა: წუთიერ შფოთვის გაველო. მაგრამ მოშიშვლებულ შუბლზე ოფლს მაინც გამოეყონა.

თავი ოცდამეცამეტე

ზურია ღონივრად ჩაჰფრენოდა თიხის ტარს. თიხი ახალი გამოპირული იყო და ყუამდე ეფლობოდა ნაჯგვ მიწაში. ზურიას ხელები უხურდა, ბებერები დასკდომოდა. თიხის გლუვი ტარი თითქოს თავისთავად მისწებებოდა ხელისგულეზე.

მარცხნივ, ტრიფოლიატის ცოცხალი ღობის ასწრივ, კარგა განიერი სერული იყო ატანილი. გადაშავებულ, დაჩვრტო ბელტებს ჭიყველები გადმოჰყოლოდნენ. ჭიყველები წელს იორვედნენ. მცხუნვარე მზეს ემალებოდნენ.

ვენახის თავში ხილაბანდით თავწაკრული ფეხშიშველა გვანცა ფუსფუსებდა. ვენახიდან ახლადაკრეფილი წალამი გამოჰქონდა და აქ კონებად აწყობდა.

თხილის ნედლი წნელები დილითვე მოემარაგებინა ზურიას. ამოათავებდა სერვლს და ამ წალამსაც შეჰკონიდა. ჯარჯად, ყორის ან ხიმის თავზე მოსალაგებლად გამოდგებოდა წალმის კონები. ზამთრობით არც თორნის გასახურებლად დაიწუნებს კაცი, ფიჩხის მაგიერობას გასწევს.

მეორე დღე იყო, რაც გვანცა ზურიას ეხმარებოდა ვენახში. ვენახი ზაქარამ გასხლა. აღმასივით მკრელი მაკრატელი დილიდან საღამომდე წკაპუნებდა შალვა მინდელის ფუძეზე. ზურია ფეხდაფეხ მისდევდა მსხვლელს, ნეკებს და მუხლებს ითვლიდა, ზაქარას დაღვლარკნილ ვაზს უკაევებდა, როცა გამხმარი რქა იყო მოსახერხი. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ორივეს. ირგვლივ მიწის მათრობელა სუნი ტრიალებდა.

— ზური! — ჩასძახებდა ვაზს მკედელი.

— რაი, ბიძია? — მოატანდა თუნგულთ გუბურაზე ჩასული ზურია.

— წლევიანდელი მოსავალი არ გამიცდინო, იცოდე!

ზურია თავს ჩალუნავდა, მალულად იკრიჭებოდა. იცოდა, განა არ იცოდა; საით უარაკებდა კეთილი, ყველაფრის მცოდნე, ყველაზე მართალი, ქვეყნად ყველაზე ჭკვიანი კაცი — ზაქარა ბიძია. პასუხად სველ თუნგულას მიაწვდიდა და შეათასედ ჰკითხავდა:

— წინათ, ვენახში გიმუშავნია?

— აბა ჩემი ღვინო შენ მოგყავს?

— არა, ისე გკითხე.

— მიწაში ჩაფლათ ეგ, მზეზე გაგვითბება.

ზურია მირბოდა, ნაკლულ თუნგულას ნედლ ნეშოს ახურავდა და მიწაში ფლავდა. თბილი მიწა სასიამოვნოდ უღიტინებდა შიშველ ფეხის გულებს, ისე სასიამოვნოდ, რომ ზურიას მუხლები ეკეცებოდა და სასაცილო გრეხვით მორბოდა უკან, ზაქარასაკენ.

— გვანცა! — დაიძახა ზურიამ.

გულზე მიხუტებული წალმის გროვა გოგონამ მიწაზე დასდო და მოიხედა.

— მოდი აქ.

— რა გინდა?

— რალაცა უნდა ვითხრა, ზურია დაიხარა, დაკრძებულ შარვლის ტოტი ვადაჰკეცა და იქ დაგროვილი სილა ნათოხნში ჩააბნია.

— გწყურია? — მოიჩინა გვანცამ.

ზურია ახლა მეორე ტოტიდან იბღერტდა სილას, გვანცას ქვეშ-ქვეშ გაჰყურებდა. გოგონა იქვე ჩაჯდა ვაზებში. მოკლე, წითელი საცვალი გამოუჩნდა. მუხლებზე სიფრთხანა კამბის კალთა ჩაიჭიმა, ზედ მზით დაშაშრული ნიდაყვები შემოიწყო, თან, კალთის სწორებით, მამაკაცურად მოუხეშავ ზურიას უყურებდა.

ზურიათ ველარ მოათავა შარვლის მეორე ტოტის ბღერტვა. ბღერტდა და ბღერტდა. ამჯერად თვალს არიდებდა სმენად ვადაჰკეცულ გოგონას.

— რა გინდა? — ველარ მოითმინა გვანცამ.

ზურია გაწითლდა. გოგონას მხოლოდ წამით ვადაჰკრა თვალი და კიდევ უფრო გაწითლდა.

— რაზე დამიძახე? — წელანდელზე უფრო ჯიუტად იკითხა გვანცამ.

— არაფერი...

— არა, არა, თქვი!

— ვადავიფიქრე.

— თქვი, რა მოხდა.

— ჰმ... იცი, ზაქარა ბიძია რას მეუბნება? — თვალეში მიწაში ჩაარჭო ზურიამ.

— რას? — ახლა კი წამოყვლეულად გვანცა.

— ისიო...

— ჰო.

— ისიო... — ზურიამ ნიდაყვით ოფლი მოიწმინდა. — არა, მერე გეტყვი. წადი, დანა ჩამომიტანე.

— რად გინდა?

— ლაფარა დამიბლაგვდა, — ბიჭმა ქამარზე თასმით შებმული ხის ლაფარა ამოიღო, თოხი მიწაზე დააყუდა, ლაფარა მოიშარჯვა და ყუასთან მიკოსებულ მიწის ფხეკა დაიწყო.

გვანცა გარინდებული იჯდა, საღდაც ზურიას იქით იყურებოდა და ლაფარის

ჩხაკუნს ყურს უგდებდა. მერე ვახის ძირს მოეჭიდა და ადგა.

— სად არის? — უხერხული დუმილის დასარღვევად ჰკითხა ზურისა.

— უჯრამი იქნება, — თავაუღებლივ მიუგო ბიჭმა და ალაგესაკენ მიმავალს მალულად თვალი გაადევნა, — გვანცა! გოგონამ მოჰხედა.

— თუ დანა ვერ იპოვნო, წალდი წამოიღე. საწნახელზე დევს.

გვანცა ალაგეზე გადავიდა და ამწვანებულ ეზოს წელი ნაბიჯით გაჰყვა სახლისაკენ. უკან მალე დაბრუნდა. სამართებელივით ალესილი წვეტიანი დანა მოიტანა. ზურია კვლავ თავაუღებლივ უბაყუნებდა თოხს. ვენახში შემოსული გვანცა უმაღლეს დაინახა, მაგრამ თოხი მხოლოდ მაშინ შეაჩერა, როდესაც პატარა ქალიშვილის წაგრძელებული ჩრდილი ვახებს შუა ჩამოადგა.

— შალიკო რას აკეთებს? — საქმიანად იკითხა, ლაფარა ხელახლა ამოიღო ჯიბიდან და გვანცას დანა გამოართვა.

— ეზოშია.

— პაეღე ზომ არ მოსულა?

გვანცამ მზეს ახედა:

— ადრეა ჯერ.

— წალამი სულ აკრიფე?

ამის გასაგებად გვერდზე გახედვა კმაროდა, მაგრამ ზურიამ მაინც იკითხა, რადგან კითხვა სიამოვნებდა. ორივე ხელი გულზე მიეხრჩინა, ცალით დანა ჩაეხედუჯა, მეორით ლაფარა, დაბლაგვეზულ პირს უმახვილებდა.

— ვენახში დატოვებ? — ჰკითხა პასუხად გვანცამ.

— რას?

— წალამს.

— ჰო. არა... ეზოში დაეწყობ. ჯერ ყორეა გასასწორებელი.

— ყორე სულ დანგრეულია, ზურია.

— სად?

— ყველგან. სულ დანგრეულია ყორე.

— ვიცი.

— მერე შენ ააშენებ?

— აბა, — სილით დამტყვერილი დანა

შარელის ჯიბეზე აისვ-დაისვა ზურისა და გვანცას გაუწოდა.

— რად გინდა, ასე რომ გავიწუნო!

— აბა ჩლუნგი უნდა იყოს? გაიწი თოხი მძიმედ დაეცა მიწას, ყუამდე ჩაეფლო. ზურისა სიამის ღიმი მოეფინა სახეზე. ტარი ღონივრად მოზიდა და ყველივით ჩამოკრილი ბელტი წინ წადგმულ ფეხზე გადმოაბრუნა.

გვანცა თოხის ტარს წაეტანა.

— რა გინდა? — გადმოაბრუნა ზურია.

— ერთხელ მომათოხინე.

— ნუ სულელობ!

— ერთხელ, მარტო ერთხელ, ზურია...

— გაიწი, გოგო, იქით!

ზურისა თოხის მიცემა ეზარებოდა. რადგანაც გვანცა აქ იყო, თავად უნდოდა ეჩვენებინა ვაჟკაცობა. გვანცა მაინც არ მოეშვა. იმდენი მოახერხა, თოხზე ხელი გააშვებინა და კვალში ჩადგა.

— ფრთხილად, ფეხზე არ მოვიხედეს! — გააფრთხილა ზურია.

ფოლადის ლაპლაპა პირი მიწას ოდნავ წაწოლილად დაეცა, სილა აირეკლა და თვალეში შემოაყარა ორივეს.

— მოეშვი! — უმაღლეს ტარს წაეტანა ზურია, — რაც არ იცი, რატომ იჩემებ!

— მოიცა, მარტო ერთ ბელტს გადმოვებრუნებ.

— თოხი ქალის საქმე არ არის.

— მე ქალი ვარ?

— სულ ერთია.

გვანცამ თხელი ბელტი აათალა ნაჯეგ მიწას.

— წინათ ჩვენში ქალები არ მუშაობდნენ, — ზურია განზე ვადგა, რათა გვანცასათვის თოხის თავისუფლად მოქნევის საშუალება მიეცა, — ნელა! აბა თუ ფეხზე არ დაიქრა!

— ტყუილა იყვენენ?

— ვინა?

— ქალები.

— რატომ ტყუილა, ოჯახში ცოტა საქმეა? ქალმა თუ სახნავედ და სათოხნად იარა, ოჯახს ვინლა მოუვლის, შვილებს გაზრდა არ უნდა?

გვანცა დაიღალა. შუბლზე წვეთ-წვეთად გამოჟონილ ოფლს ხელუჯელმა იმშრალებდა.

— მომეცი, შუადღე წამოვიდა, — ნაბიჯი გადმოსდგა ზურიაში.

— ზური, შენ გეყვარება შენი შვილები?

— ჰმ, — დამკინავად გაიღიმა ბიჭმა და თოხი გამოართვა.

— თქვი, გეყვარება? მართლა თქვი! თუმცა თოხი ახალი გაფხეკილი იყო, ზურია მლაუზარა ამოიღო, გვანცა ჩამოიცილა და მის ადგილას ჩადგა კვალში.

— გეყვარება? — არ ეშვებოდა გვანცა.

— შენ?

— მე... მე ხომ დედა ვიქნები.

— შვილები მარტო დედას უყვარს?

— დედის სიყვარული სულ სხვა არის.

— ვინ ვითხრა!

— ვიცი. შვილებს ძალიან უყვართ დედა. მამაც ძალიან უყვართ. მე ძალიან მიყვარს მამაჩემი. იმან ნახევარიც არ იცის, როგორ მიყვარს.

— თავათ არ უყვარხარ თუ?

— რანაირი ხარ, ზურია. ისე ლაპარაკობ, თითქოს ბევრი რამე იცოდე.

— აბა რას მეკითხები!

— გკითხვ, არ შეიძლება?

ზურია დამკინავად იღიმებოდა: ეს ღიმილი მხოლოდ საფარველი იყო. ღიმილს იქით წელანდელი სათქმელი იმალებოდა, აი, ის. ზაქარა ბიძიამ რომ უარაჯა...

ტკბილ ოცნებიდან შალიკოს გამეტებულმა ყვირილმა გამოიყვანა ორივე.

— ზურიაა! — ყვიროდა შალიკო და თავპირის მტვრევით მორბოდა ეზოში.

ზურიას გააყრეოლა, ბავშვის ყვირით არანაკლებ დამფრთხალ გვანცას შეაელო თვალი, თოხი მიატოვა და ალაგესაკენ გაიქცა.

— ზური... ზური, ზურიაა! — ღრიალებდა შალვა და მაღალ ალაგეზე გადმობობლებას ლამობდა, — ზურია, დედა მოვიდა!

— დედა? გვანცა! — თვალები გაუბრწყინდა ზურიას.

ხათუნა ჭიშკართან იჯდა, ჭიშკრდანზე, თავსაფარი მოეხსნა, მკერდზე მიეხუტებინა, თან იქით იყურებოდა, სადაც სიხარულით გაგიყებულნი შალვა მიიმალა.

ზურია ალაგეს გადაეელო. დედას მიამშურა.

სუნთქვაშეგუბებულმა ხათუნამ უხმოდ გაიწვდინა ხელები, შვილის ცხელი შუბლი გულში ჩაიკრა.

— დედა, ჩემო დედა! — ლულულულებდა ზურია და სულ აღარ ახსოვდა. პატარა რომ აღარ იყო და თავშეკავება უნდა გამოეჩინა.

— რას შერებით, შვილებო, როგორა ხართ?... თითქოს სამივეს ერთად ეჩურჩულებოდა ხათუნა და მოსწრებულ ვაჟკაცს თმას, კისერს, ყვრიმალს უკოცნიდა.

შალვა გამოჩნდა. მცირე აღმართი რის ვაივავლახით ამოეთავებინა და უზომოდ გახარებული სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— დედა მოვიდა! ჩვენი დედა მოვიდა!

ახლა ისიც მოეხვია ხათუნას. გაწეწილი თმა კიდევ უფრო გაუწეწა.

— ჩემი ბიჭი, ჩემი ბიჭები, ჩემი ვადარეული ბიჭები! — ჩურჩულებდა ხათუნა და ყურს უგდებდა საკუთარ ხმას, — პაელებ? პალიკო სად არის?

— არ მოსულა სკოლიდან.

— შენ დადიხარ, ზური?

ზურია მთავი დაუქნია. მოლზე დაჯდა.

— სამქედლოში?

— დღეს არ ვყოფილვარ. ზაქარა ბიძის არ სცალია.

— ვიცი.

— ვინ ვითხრა?

— გაეიგე.

— ეს ძროხა ვისია, დედა?

— ვერ ცნობ?

— ვაი, ჩვენი ნოთია! — დაიყვირა შალვამ და ნაცნობი პირუტყვის დანახვით ერთითათად გახარებული ზეზე წამობტა.

— ნელა, ბიჭო, არ გირჩინოს! — მიადახა ძმას ზურიაშ და თავდაც კიშვარს ეცა.

ძროხა დინჯად შემოვიდა ეზოში. ტკბილად დაიზმუვლა.

— დედა, იწველება? — იკითხა შალვაში.

— იწველება, შეილო, მაგრამ კანტორის ეზოში ხბომ გამოძიწოვა.

— ვისი ხბო იყო?

— რა ვიცი, ვისი ხბო იყო. მიგვბარვოდა ის სამგლე და გამოეწოვა.

— შენ იქ იყავი?

— გამოშაბი ახლა ძაღლის ყბა!

— ბაბუა როგორ არის? — ნაგვიანვეად მოიკითხა ზურიაშ მოხუცი და როცა დედა წამოდგა, ჩემოდანს დასწვდა.

— ეჰ, ისე იქნა ჩვენი მტერი, შეილო.

— წევს?

— წოლთ არ წევს, მაგრამ...

ხათუნა ათრეული ნაბიჯით წავეიდა სახლისაკენ. მთელი დღის დაღლილობა და უსასოო შფოთვაში გატარებული ღამეები თითქოს ერთბაშად წამოეწია. შვილებთან პირველი შეხვედრის ელდა გადატანილი იყო. ახლა რაღაც უფრო ძნელი და მძიმედ ვადასატანი იწყებოდა.

— არა, ამას ვერაფერ ვერ მიმიხედვება, — ფიქრობდა გზადაგზა, — პორფილე ამას ვერ მიმიხედვება“...

იმღამინდელი სიზმარი გაახსენდა.

„კეთილად ამიხდა, — ჩაითქვა გულში, — შალიკოს ქამარი, ალბათ, აქ მოსვლას ნიშნავს“...

სანამ დერეფანს მიაღწევდა, შედგა თვალეები ქოხის ღია კარს მიაპყრო. რატომღაც ეგონა, რომ შინ ვიღაც ახლობელი იყო და აი, ამ წუთში გამოიხედავდა. წამით კიდევ დაიჯერა ეს. დაიჯერა, რომ ოთახში მართლა იყო ახლობელი ადამიანი, ეძინა ან ხათუნას ვანზრახ ემალებოდა. რათა ცოტა ხნის შემდეგ გამოჩენილიყო და ამით სიხარულის სიტკბოება ორიოდ წუთით მაინც გაეხანგრძლივებინა.

ქალმა ნაბიჯი წარსდგა და დერეფანში შეაბიჯა. დერეფანი სუფთად იყო დაგ-

ვილი. ცაცხვის დამკილული საწნახელი, რომელიც გვიდილაურის მარწყვან შეპირებისამებრ ჩამოეტანათ, ძველ ადგილას იდგა თავდაღმა დამხობილი.

ქვის სკამ-ლოგინი... ხათუნამ ფიქრი ძაღლისძალად ჩაახშო. კარს მიაღდა.

სუფთად მორეცხილი იატაკი ნათით მოეპრიალებინათ. ოთახიდან ნათის სუნი სცემდა.

ბუხრის ფიტონზე მწვანე აბაყურიანი ლამპა იდგა, მარცხნივ კი, შუა კედელზე ნაცნობი სურათი ეკიდა, ის სურათი...

ხათუნას ტუჩი შეუთამამდა. ძალა აღარ ეყო. უკან მოეხედა და დაენახა. ბავშვები უყურებდნენ თუ არა.

ოთახში შევიდა, კედელს ზურგით აეკრა და ოდნავ წინ წამოფერდებულ სურათს დააქცერდა.

შე გადახრილიყო. ფანჯრიდან შეპოჭრილი სხივი მხოლოდ ნახევარ სახეს უნათებდა შალიკოს. სახის მეორე ნახევარს ჩრდილი ადგა, შალვა ნაავადმყოფარს ჰგავდა. თითქოს წვერიც კი წამოზრდოდა...

— ეი შენს ხათუნას! — გაიფიქრა ქალმა.

დერეფანში ზურიას ფეხისხმა გაისმა. ზურიაშ რაღაც დადგა, რაღაც აიღო.

— დედა! — კუნტრუშით მოვარდა შალიკო.

ხათუნას უნდოდა პასუხი გაცეცა, რაიმე ეთქვა შეილისათვის, რათა დედის უეცარ გახვევებს ბავშვი არ შეეშინებინა, მაგრამ ქალმა ენა ველარ მოიბრუნა პირში, ვერც გაინძრა. მისი დაკინებული მშერა კვლავ მიწდელის ნაავადმყოფარ სახეს მისჯაქვოდა.

შალიკომ წინიდან შემოუარა დედას. კალთაზეც მოებლაუტა, თითქოს იმის გავება სწადდა, დედა ქვის ხომ არ იყო და, სანამ ხათუნა ხმის ამოდებას მოახერხებდა, ზურიას მოუხშო.

შვილის ხმა ციკაბოზე დაგორებულ ლოდით ემჭერა ხათუნას. შალიკო გულში ჩაიხუტა.

— რა იყო, დედა?! — მოირბინა ზურიაშაკ.

— არაფერი, წადი, საქმეს მიხედე... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მარცვლავდა ხათუნა და სახის დამალვას ცდილობდა, — წადი, არაფერი არ არის...

ზურაიამ ჩაახველა. ხელი დედის მხარს შეახო.

— ოჰ, — ამოიხსრა ხათუნამ და სველი ლაწვები თავსაფრის ყურით შეიმშრალა, — რად გეჩნდი, ნეტავი რად გეჩნდი... მოდი, შევილო... რა ვუყო, ბიჭო, თავს ვეღარ მოვერიე...

ზურაიამ მამის სურათს აპხედა და წაილულლულა:

— გინდა, ჩამოვილო?

ხათუნამ გულზე მიიხუტა უფროსი შვილიც. თავი მძიმედ გააქნია უარის ნიშნად.

— მე მეგონა, სულ მხიარულებაში ვიქნებით შეთქი... — ლულულუღებდა ზურაია.

— მერე მამა რას გვიშლის.

ზურაიას ტუჩები აუთრთოლდა.

— ვიქნებით, აბა არ ვიქნებით? — თანდათან ითქვამდა სულს ხათუნა, — კარგად მოქცეულხარ... ყოჩაღ! აქ გვიჩვენია, შევილო, ჩვენს სახლში გვიჩვენია...

— მართლა, დედა? მე მეგონა, გამოიწყრებოდი...

— არ გაგიწყრებოდი... მე როდის გაგწყრომივარ, გასაწყრომი მყავხარ? ჩემო მფარველო შევილო!..

— ვაი, გვანცა სულ არ დაგვაიწყრდა? — წამოიძახა უცებ შალვამ და დედას გაუსხლტა.

— გვანცა? — გაუკვირდა ხათუნას.

— გვანცა... — ზურაია გაწითლდა. დედას თვალი აარიდა და მაშინვე გარეთ გამოვიდა. ვენახის თავიდან შალიკოს გამბული ძახილი ისმოდა. არავინ გამოპასუხებია.

“ყურებს დაეგლეჯ, მოიცადოს!” — გულში რატომღაც ემუქრებოდა უმცროს ძმას ზურაია.

ბიჭები გაბტტულეზებით შემოვიდნენ ოთახში. შალვას ლოყები ატკეცვოდა.

— იჩხებეთ? — ხათუნას ქიშმირის

საგარეო კაბა გაეძრო და საწოლის კედელზე პერანგის ამარა ჩამოეჯდართ წინდას იხდიდა.

— არ არის... წასულა... — მალულად უფროს ძმას გაპხედა შალვამ.

— წავიდეს, სხვა დროს ვეღარ მოვა?

— დილას აქეთ ვენახში იყო, ზურაიას ეხმარებოდა...

ძმების თვალები ხელაჭლა შეხვდნენ ერთმანეთს. შალიკო უკან-უკან წავიდა, დედას ამოეფარა.

ხათუნას არ შეუშინებია ზურაიას თვალების ბრიალი. საშინაო კაბა გადაიცვა და ფეხი ჩუხტებში წასდგა.

— წამოდი, დედა, რა გაჩვენო! — გათამამდა ზურაია.

ეზოში გამოვიდნენ.

— ეს წალამი ვინ მოგცა? — ყორის პირას დალაგებულ კონიებს ჭყიდა თვალი ხათუნამ.

— მოიცა, ჯერ სადა ხარ! — ზეიმობდა ზურაია.

ქვემოთ გადაიხედეს. ხათუნა ერთბაშად ვერც კი მიხვდა, რა უნდა დაენახა. ერთბაშად მუხნარში თეთრად გამოიზიარალმა ახლათ-ახალმა შერობამ მოსტაცა მზერა.

— ვერ ხედავ? — თვალები მოკუტა ზურაიამ.

— რას?

— აი!

წინ გუბურის მხარეს დაქანებული ვენახი იყო. ვენახის მარჯვენა, გათოხნილი მხარე შავი ხავერდით ბრწყინავდა მზეზე.

ხათუნა გამოერკვა.

— შენ გათოხნე, ბიჭო, ეს?

ზურაიამ გაუღიმა.

— გასხვლითაც შენ გასხალი?

— ზაქარა ბიძია მეხმარებოდა. კარგია?

ხათუნამ მკლავები მოპხვია აქეთ-იქით ამომდგარ შვილებს და მოლზე ფრთხილად დაეშვა, რათა ამათი სიახლოვით და აქაურობის ცქერით გული მოეჯერებინა.

თავი ოცდამეთერთმეტი

ხათუნა ოჯახის საზრუნავმა შთანთქმა. შინ მობრუნებულს იმის საშუალებაც აღარ ჰქონდა, ერთი წამი გამოეტეხნა და ახალ ვითარებაში საკუთარ პდგომარეობას ჩაჰფიქრებოდა.

მოსაფიქრებელი კი ბევრი რამ იყო. გუშინწინდელს აქეთ პორფილე მოუთმენლად ელოდა საკაურადან გაგზავნილ წერილს, სულ მოკლე წერილს. სადაც თუნდ ორადორი ან ერთადერთი სიტყვა იქნებოდა.

წერილი უნდა მიეღო პორფილეს. ეს ორჯერ ერთნაირად სჯეროდა ზესტაფონში ყოფნის დროს.

ახლა ხათუნას თითქოს აღარც კი ახსოვდა პორფილე, მიცემული პირობაც გონებიდან ამოვარდნოდა. შფოთიანი დღეები სადღაც დარჩენოდა შორი გზის პირას ჩამოგორებულ იმ ქვასავით, რომელსაც ერთხელ გაუარე და უკან აღარასოდეს დაუბრუნდები.

ამას ყრულ გრძნობდა ხათუნა, მაგრამ უჩუმრად ნაგრძნობი ჯერ აზრს ვერ გაენათებინა, ხელშესახებ ნაფიქრალად ვერ დალაგებულყო.

არა, არც ეძიებდა ფიქრის დროს, ფიქრს გაურბოდა.

ბოლო ხანს თავისთავი უკეთ შეიცნო და არაეის ისე არ უფრთხოდა ქვეყანაზე, როგორც თავისთავს. ზურის უნდა მინდობოდა, პავლეს და შალიკოს უნდა მინდობოდა.

ეს იყო ერთადერთი ხსნა. მგონი არასოდეს არ გამოუჩენია იმდენი ყურადღება შეილებიხადმი, რამდენსაც ახლა იჩენდა. თითქოს პატარებს მოპარულ სიყვარულს, თავისთვის ნამალევად გადანახული სითბოს მარავს უბრუნებდა. ხათუნას დღევანდელი საქციელი ცოდვის მონანიებას ჰგავდა.

ნასადილევს ზურია ისევე ვენახში გადავიდა. გაორკეცებული ძალით ეტეკრა ნაჯგ მისას. ალაპლაპებული თოხის ბაყუნა იქაურობას აზანზარებდა, ზურის ქშენა კი ალაგესთან ისმოდა. უმცროს ბიჭებსაც გამოენახათ სამუშაო.

პატარა კონებად შეკრულ წალამს ეზოში ეზიდებოდნენ. პავლე ალაგეს სურვილს და, შალვა კი ეზო-ეზო მიითვლებოდა, ცინას და ყორის ძირში სტოვებდა.

ხათუნა საჩქაროდ მოეშადა. ჯერ ძროხა ჩაიყვანა ვუბურასთან, წყალი დააღვინა, მერე კი იქვე, ოლეში გამოაბა გრძელი თოკით. ახლომახლო მშვენიერი ბალახი იყო. სამხრობამდე ძროხა ფერდს ამოივსებდა.

თხა მწყემსებს გაერეკათ მთაში. ღვინობისთვის დამდევამდე არ ჩამოიყვანდნენ. გაჭირვებისაა ოჯახში თხის ყოლა. ისე როგორ მოუდგები, ერთხელ არსად გაგვპაროს. რაც ხებილებია, დახრავს, არც ბოსტანს შეგარჩენს და მეზობლებსაც მოგამდურებს. მთაში ნამყოფი მინც სულ გაველურებული იქნება. ჩამორეკენ თუ არა, სართვლოდ, გაყიდის, მორჩა და გათავდა!

ახლადღაუთოვებული ჭიშმირის კაბა ხათუნამ ერთხელ კიდევ დაათვალიერა, ლაქა ხომ არაფერი ამჩნევიაო, ფრთხილად დაეკეა, გაზეთში გააბვია და წასვლის წინ ბავშვებს გამოჰხედა.

სამივე საქმეში იყო გართული. არც კი გაუგიათ, როგორ გაიარა დედამ ჭიშკარი და სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა, რომელიც წლების განმავლობაში ვიწრო ბილიკად გადაქცეულიყო.

იქით და აქეთ მიწა ღრმად მოეხნათ. სიმინდს ევარგა. ბილიკი ძლივს მოჩანდა.

თავის ადგება იყო ეს! შალიკოს სიცოცხლეში საურმე გზას სტოვებდნენ. ბარემ ბილიკიც გადაეხნათ ახლა, ადამიანს თავისუფლად ვეღარ გაუვლია! კანტორაში მისვლა ადრე იყო. ბორისი კიდევ არ დაუხვდებოდა.

„ზაქარასას დავიძახებ, მაყვალას ამბავს ვკითხავ,“ — გაიფიქრა ხათუნამ და სცადა წარმოედგინა, როგორი იყო მაყვალა ამ ხუთი წლის წინათ. ხუთი წელი დიდი დროა ყმაწვილ ქალისათვის. ყმაწვილი ქალი მთვარესავით ივსება. ალბათ, ვეღარც კი ვიცნობ, გზაში რომ საღმე შეშხედეს.“

• ამბის კითხვა მინც მეზობლური

მოვალეობა იყო. ამბის კითხვის ფასი ხათუნამ კარგად იცოდა და აბა სხვას როგორ დაამადლიდა! მართალია, აქ ჩამოსვლის პირველ დღეებში თითქმის ყველამ გული დასწყვიტა, მაგრამ რა უწყობ, სიგლახის დამახსოვრებას ვისთვის რა ურგია, ხათუნას რომ არგოს.

რატომღაც ეგნატე გაახსენდა. ადრე არც კი დაფიქრებია ამ კაცის უცნაურ საქციელს — ამოჩემებულ სიამაყეს და პირქუშობას. წინათ არც უშნო ამაყი იყო ეგნატე, არც პირქუში... ხათუნას მიმართ მაინც. ხათუნას არაფერი უწყენინებია — ღმერთი, რჯული! უაზროდ ემღეროდნენ ერთმანეთს.

„სად რა ვაწყენინე ეგნატეს? თუ თავად ეგნატემ ვაწყენინა? ამ წუთში დავუძახებ, ავიარო ერთი ფერმასთან! რატომ უნდა იყოს ასე გაურკვეველად საქმე. ბოლოსდაბოლოს ერთ სოფელში ვცხოვრობთ! მართალია, რძალი ვარ, მაგრამ მაინც ამ მიწა-წყლის შეილი მეთქმის. ამ მიწა-წყლის შეილებიხს დედა ხომ ვარ!“

ხათუნა ამას ზერელედ ფიქრობდა. არ უნდოდა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა გარეგნულად გამოუცნობი უკმაყოფილების მიზეზს. არ უნდოდა დაეჯერებინა, რაც იცოდა, რაც ეგრძნო, რაც ქალურ ალღოს არ გამოჰპარვოდა. არ უნდოდა და სწორედ იმიტომ ფიქრობდა ზერელედ.

თვალწინ სამი სახე ამოუტივტივდა: შალიყო, პორფილე და ეგნატე...

ხათუნამ ხელი გაიქნია, თითქოს ამით აკვიატებული სახეების მოცილებას ლაპობდა. რა სისულელეს არ იფიქრებს კაცი! ფიქრს არ უნდა აპყვე, თორემ სისულელემდე მიგიყვანს.

ფერმის ეზოს ჰიშკარს ზედა ანჯამა მოსპრობოდა და წელში უხეიროდ გაღვერილი ცალი ყურით უკან გადაქანებულყო. ხათუნამ ჰიშკარი მოქანა და ძლიესძლიევობით გააღო. ნაკელით გაღვსილ ამშორებულ ეზოში არაფერი ჩანდა. ძელური საღორის წინ მოზერის ოდენა დედა-ღორი გარეულოდ ლიფ

სიტა გოჭებში და ნებივრად ღრუბუნივდა.

ხათუნას დაძახილზე კარდია მისულს დან არაფერი გამოსულა.

„მთაში თუა, — გაიფიქრა ხათუნამ, — ნეტა ზურიას ვერ ვკითხე?“ და წასვლა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს სილოსის კოშკის უკან საზვინე წაიქცა. მერე წალდის ჩაყენი მოისმა. ვილაც წვერს უმხახავდა შარშანდელ საზვინეს.

ხათუნა ეზოში შევიდა. სილოსის კოშკს შორიდან მოუარა.

რკალივით მოხრილ იორამ ლაბაძეს თავი მარგილის ძირამდე მიეტანა და მოკლეტარიან წალდს თითქმის ზურგს უკან იქნევდა.

ხათუნამ დაუძახა.

იორამს გაუყვირა მინდელის ქვირვის უეცარი გამოჩენა. აკი ბიჭი ამბობდა, ზესტაფონშიაო?

ხათუნამ მყვალას ამბავი ჰკითხა.

მოხუცმა არაფერი იცოდა, სხვაზე მეტი, რასაკვირველია. სამჯერ გაიმეორა, ბიჭი დამეჩაგრაო. ეს „ბიჭი“ სერგო იყო. იორამს თვალის ჩინივით უყვარდა შეილიშვილი. ახლა ბაღლური ექვიანობა შემოსჩენოდა. ხათუნას არ გაჰკვირვებია, როდესაც უცნაური სიტყვები გაიგონა: ბიჭი დამეჩაგრა, თუ არა ქალს რა უჭირს, ქალი და კატა ერთიაო.

ხათუნამ მოხუცი დააიმედა და წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ გაახსენდა. აქეთ რისთვისაც შემოუხვია.

ეგნატე მთაში ყოფილიყო. ფერმის ავლადიდებს აბარებს „ჩვენს თოფილასო“ — აუწყა იორამმა.

ხათუნას გაუყვირა. როგორ თუ აბარებს. განა ეგნატე ფერმის გამგე აღარ არის?

მოხუცი არეულ-დარეულად ჰყვებოდა რალაცას. ხათუნამ ნახევარიც ვერ გაუგო. გზადაგზა ისევ ეგნატეზე ფიქრობდა.

ნეტავი რა შეემთხვა ეგნატეს? ვაითუ დანაკლისი აღმოაჩნდა...

ეს ეჭვი მაშინვე უარჰყო: ეგნატე და

ხელუქუდმართობა ძნელად თუ შეუ-
თავსდებოდნენ ერთიმეორეს.

მაშ რა უნდა მოსვლოდა, მოატყუა
ვინმე?

ხათუნას გაუკვირდა: ძალზე ბევრს
ფიქრობდა ეგნატზე. რამ გაახსენა
დღეს ეგნატი, ეგნატეს მეტი საზრუნა-
ვი აღარა აქვს?

გახეთის ქალაქში გახვეული კაბა
იღლიდან გამოიღო და ხელში დაი-
ჭირა.

„ადვილად იქმუქნება. ნეტავი სულ
არ დამეცეცა!“

ამბერკის წიფელს ზემოთ, ოლეებით
დამარდილული ორღობე ატალახებულ
იყო.

ელეფთერს ისევ გზაზე გადმოეგდო
წყალი.

„საწყალი მუნჯია, — გაიფიქრა ხა-
თუნამ, — ვინ იცის, რამდენჯერ ამო-
უვლია აქ!“

აგერ ორ კვირაზე მეტმა გაიარა, რაც
ხათუნამ მუნჯის საიდუმლო იცოდა.
იცოდა, კი, მაგრამ აღარ ახსოვდა. ამ
ხნის მანძილზე ერთხელაც არ გაჰხსე-
ნებია. დღევანდელი უცაბედი შეხვედ-
რა დაუფიწყარი იყო. ხათუნას პირვე-
ლად დადებდა სურვილი მუნჯიას ცოდ-
ვის მოზიარის ვინაობა გაეგო.

ნეტა აქამდე რატომ არ მოუვიდა ეს
აზრი? მართო მუნჯია ხომ...

სხვებზე ფიქრისათვის არასოდეს არ
ეცალა. ალბათ, ამიტომ ვერ ატანა გუ-
ლისყური.

მართლა, როგორ დაეძახა ლაშხების
კარზე? მუნჯია აღარ არის...

„მივალ და ჭიშკართან გავჩერდები.
გარეთ არაეინ გამოიხედავს?“

ჯალხანას უხალისო ღრენამ ფიქრი
შეაწყვეტინა. ხათუნა ქვის ასაღებად
დაიხარა.

ძალს ისედაც ეზარებოდა ყეფა. ხმა
ჩაიკმინდა.

ამასობაში ელენეც გადმოდგა ოდის
ძალად აივანზე.

ხათუნა ძალს აღარ შეეპუა. სანამ
დიასახლისი კიბეზე ჩამოაღწევდა, ეხო-
ში შევიდა და ჭიშკარი მოჰხურა.

ელენე გრძელი ხალათის ფრიალით
გამოქანა მოულოდნელი სტუმრის შე-
სახედრად. წელს ქვემოთ ჩახსნილ
კალთას, საიდანაც შავად შეღებილი
პერანგი და შიშველი, თანთალა წვი-
ვები მოუჩანდა, ხელით იჭერდა.

ხათუნას ნუშის რძის გამაბრუებელი
სუნი ეცა, რომელიც ბოლო ხანს ყო-
ველ მეორე ქალს ასდიოდა. არ უყვარ-
და ეს სუნი ხათუნას, მაგრამ რა ეჭნა,
საკოცნელად გამოწვდილ ტუნებს პირს
ხომ ვერ აარიდებდა.

ელენემ შინ შესვლამდე გამოკითხა
სპირიდონის ავადმყოფობის ამბავი. მე-
რე ზემოთ ავიდნენ. სპირიდონის ამბის
კითხვა სიტყვის მასალად იქცა. ყველა
ერთსა და იმავეს ეკითხებოდა ხათუნას.
ელენეს უბრალო წვრილმანიც არ გამო-
უტოვებია, ყველაფერი დაწერილებით
გამოიძია.

სხვა დროს ამგვარი ყურადღება ესო-
ამოვებოდა ხათუნას, ახლა კი ელენემ
ველარ მონადირა მისი გული: სახლის
ყოველი კუნჭულიდან მუნჯიას გულის
გამგმირავი ღმუილი ესმოდა და ცდი-
ლობდა ამ ქალისათვის საწყენი არაფე-
რი ეთქვა.

როგორც ჩანდა, ელეფთერი შინ არ
იყო. მთელი სახლი რაღაც განსაკუთრე-
ბულ სიცარიელეს მოეცეცა.

ქალები ზალაში ისხდნენ. ტახტი, რო-
მელზედაც ათი თუ თორმეტი დღის წი-
ნათ მიცვალებული ესვენა, მეზობელ
ოთახში გასაველ დაუქმებულ კართან
მიედგათ. ზემოდან, მთელ კედელზე,
განიერი ირანული ხალიჩა იყო ჩამოშ-
ვებული. ხალიჩა ტახტს ჰფარავდა და
შემდეგ შუა ოთახში დადგმული ძველე-
ბური მაგიდის გამოკუთხულ ფეხებამდე
იშლებოდა.

ელენე მხოლოდ ორიოდ წუთით გა-
ვიდა გარეთ. თვალის დახამხამებაში
მაგიდას თეთრად გაქათქათებული სუფ-
რა გადააფარა და ზედ მურაბის ფინჯ-
ნები და ვერცხლის ძველებური კოვზები
დააწყო.

ხათუნას რატომღაც აშინებდა ეს ყრუ
სახლი, ეს ნახევრად ბნელი, განმარტოე-

ბული ოთახი, სადაც ვერ კიდევ იგრძნობოდა შშორის თუ რაღაც უცნაური ნელსაცხებლის სუნი, რომელიც მიცვალეზბულის გასვენების შემდეგ რჩება ხოლმე. წარბი ვერ გაეხსნა. სუფრასთან მოფუსფუსე დიასახლისს თვალს მღუშარედ ადევნებდა.

ელენემ ვარდის ნაყენით დამტკბარი არაყი შემოიტანა. ბროლის სირჩებში ახლადგამოხდილ თაფლივით ჩაღვა გამჭვირვალე ვარდისფრად მოკაჟკაჟე ტკბილი სასმელი.

„ნეტა ყველას ასე ხვდება თუ მხოლოდ ჩემს მოხობლვას ცდილობს?“ — ფიქრობდა ხათუნა და თან თავს კიცხავდა, ამგვარი მდაბალი ეჭვი მარტოოდენ უმადურობა არისო.

ხათუნა სასმელს არ ეტანებოდა. ახლაც იუარა დაღვეა.

— სულ არ არის მაგარი, ოდნავადაც არ არის, ვერც კი შეამჩნევ თუ არაყი ურევია, — ირწმუნებოდა ელენე, — ცოტა მოსევი, ჩემი შეზავებულა...

— სიტკბო მოგცეთ, სიმწარე აგაშოროთ, — თქვა ხათუნამ, ნაძალადევი ღიპილით ბაგე შეიტეხა და სასმელი მოწარუბა.

— დალიე, დალიე, — ამხნევებდა ელენე. — ტკბილია? ხომ ტკბილია? შარბათივით არის.

ხათუნამ ნახევარი გამოსცალა და, მიუხედავად დიასახლისის მოდარისა, ჭიქა სამკუთხად მოკეცილ ქათქათა ხელსახოცზე დაღვა.

აქამდე მარტო ელენე ლაპარაკობდა. ვარდა ორიოდე პასუხისა, რომელიც აუცილებელი იყო, ხათუნას სიტყვა არ დასცთენია. ახლა, თითქოს ვიღაცას დაეჩებზო, ზალის კედლებს თვალი მოაელო, თავს ძალა დაატანა და მუნჯია მოიკითხა.

ელენეს აშკარად არ ესიამოვნა მუნჯიას ხსენება, მაგრამ არ შეიძინა და ძალდაუტანებლად წაილაპარაკა:

— გავუშვით, გენაცვალე, ხათუნა. საწყალი ჩემი დედამთილის სიკვდილის შემდეგ აღარ მოინდომა აქ დარჩენა.

ხათუნას არ ეგონა თუ ელენეს სი-

ტყვეები როგორღაც გააღიზიანებდა, თორემ იქნებ კრინტიც არ დაეძრავ ელენემ აშკარად იტრუა. ეს ისე მოულოდნელი იყო, ხათუნამ ტარდაგრებილი ვერცხლის კოვზი ფინჯანზე დასდო და დიასახლისს თვალეში შეჭხედა.

ელენეს ლაწვეები წამოუფავკლდა.

— სხვა გზა არც იყო... — მობოდიშების კილოზე დაუმატა ნათქვამს.

ხათუნა მიხვდა, რასაც გულისხმობდა ქალი უკანასკნელ სიტყვეებში და გულს მოეფონა, რომ დიასახლისი ახლა მხოლოდ ნახევრად ცრუობდა.

— მიირთვი, რატომ არ მიირთმევ?

ხათუნამ ფინჯანა დაჭხედა და თავაზიანობის გამოსახატავად ისევე კოვზის ტარს შეახო ხელი.

ზალაში უხერხული ღუმილი სუფევედა. მუნჯიას გახსენებამ თითქოს ყინულის ლოდი ჩამოავდო.

ხათუნა მიხვდა, რომ ახლა ხელსაყრელი დრო იყო ასადგომად. ამდენ ხანს აქ განჩრებზას არც აპირებდა, მაგრამ ყველაფერი ისე თავისთავად მოეწყო, შინ შემოუსვლელობა აღარ ივარგებდა.

ელენე შეწუხდა. აღუთქვა, ხვალ ან ზეგ მეც ჩამოგივლი და აბა შენ იცი, სტუმრობას თუ არ დამიძვირებო.

— ეს კი, — უთხრა აივანზე გამოსვლისას, — წაიღე. ესეც!

ხათუნამ ვაზეთში გახვეულ შეკერას დაჭხედა. ეს ხომ ქიშმირის კაბა იყო, რომლის მოსატანად და მადლობის გადასახდეღად აქ ამოვიდა. კაბასთან ერთად, ელენე მოტანილ ფულსაც უწვდიდა.

— რას შერებით, ბატონო... — დაიბნა და სხვა სიტყვეები ველარ მოძებნა ხათუნამ, — თქვენი ნივთი მე რად მიწდა...

— ხათუნა... — ელენეს დიდრონ თვალეში გულწრფელი თხოვნა აღიბეჭკდა.

— არა, არა, რას ბრძანებთ! — იუარა ჭკრივმა, — როგორ გეკადრებათ.

— მე სხვაც მაქვს, ელეფთერს გეფიცები...

— ღმერთმა მეტიც მოგცეთ თუ



გაქვთ, მე რა... სესხი სესხია, ნათხოვრობა ნათხოვრობაა.

— ძალიან მეწყინება. თუ მართლა გიყვარვარ და პატივს მცემ, უარს ნუ მეტყვი, — განაგრძობდა მუდარას ელენე და ცდილობდა გაზეთში გახვეული კაბა ძალით შეეჩეჩებინა ხათუნასათვის, — შეიღებს გაფიცებ...

— ნუ მაფიცებთ, — მტკიცედ მოსჭირა ხათუნამ და მთელი სახე კარხაღივით გაუხდა, — ხომ იცით ჩემი ამბავი! ელენე შეცბა. გულდაწყვეტილმა უკან დაიხია. ხათუნა ძლივს იკავებდა თავს. ენაზე მომდგარ სიტყვას კბილს აჭერდა.

„ეს რა ყოფილა! — გაიფიქრა ელენემ, რომელსაც მართლა სწადდა ქალს რითიმე დაჰხმარებოდა, მაგრამ ყოველად უწყინარი გულისწადილის ასრულებას სწორედ ხათუნა აღუდგა წინ, — ალბათ, ძალიან უხეიროდ გამოძივიდა, დამადლებასავით, ისე ვერ ვუთხარი!“

თავი ოცდამეთხუთმეტი

ხათუნას წასვლის შემდეგ ელენე კიდევ დიდხანს იდგა კიშკართან, ოლეებით დაჩრდილულ ორღობეს გაკუთრებდა, სადაც მინდელის ქვრივმა ჩაიარა. ხათუნა უკვე სამშვიდლოსთან იქნებოდა ჩასული. ელენე კი მაინც მონუსხულივით იდგა იმავე ადგილზე.

„შვეალ და ლუკმა-ლუკმა დავეკვავ ნაჯახით!“ — გაიფიქრა მან და ხელში შერჩენილ კაბას დაჰხედა.

ეზოში შებრუნდა, მაგრამ იმის მაგივრად, კაბა მართლა დაეკვება და ცხელ გულზე ნაკუწები ხათუნასათვის გაეგზავნა, რათა ამით საკუთარი უანგარობა და გულისწყრომა გამოეხატა, ბედლის კბეზე ჩამოჯდა, ნიდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და მიწას ჩააცქერდა.

იქნებ მართალიც იყო ელენეთერი. ამისთანა უხეივ ქალთან განა ადამიანური სიტყვიით რაიმეს გახდები? ვთქვათ, ელენეს მეხი დასცემოდა და გაემხილა ნალოლიაეები სურვილი. ალბათ, გადაიროდა.

ელენეს ყურები აეწვა.

„არაფერი გამოვა, — გაიფიქრა უმედადაწყვეტილმა, — ელენეთერი მართალი თქვა. ელენეთერი ყოველთვის მართალს ამბობს...“

ელენესათვის ძნელი იყო ამ აზრის შეგუება, თუმცა საქმის ბედნიერად დაბოლოება გულის სიღრმეში თავიდაც არ სჯეროდა.

ნუთუ მართლა არ გამოივა არაფერი, ნუთუ აქამდე უნაყოფო ოცნებით კვებავდა თავს!

საღორეში დამშეული ნეზეი ჭყვიროდა. ბედლის წინ გამოფენილი წვრილფეხობა იქაურობას იკლებდა წიფწივით.

ელენე კვლავ გაუნძრევლად იჯდა.

„ელენეთერი მაინც მოვიდოდეს“.

ჰმ, ელენეთერი...

არა, ყველაფერი ელენეთერის ბრალზე! — უცებ გონება გაუნათდა ქალს, — ამგვარი ცხოვრება ელენეთერის ბრალია! ჭაობია, ცხოვრებაკი არა! ელენეს არაფერი არ აწუხებს, არაფერი არ უხარია. წუხილიც მკვდარია და სიხარულიც. ხეაღინდელი დღე ისევ ისაა, რაც გუშინ იყო. მერე ეს არის ცხოვრება, ამასაც ცხოვრება ჰქვია?

ელენეთერის ბრალია! ყველაფერი ელენეთერის ბრალია!

ისიც ელენეთერის ბრალია, ხათუნამ რომ უდიერად აუკრა ხელი კეთილმეზობლურ საქუქარზე! როგორ არ არის ელენეთერის ბრალი, ამა ვისი ბრალია! მოიყვანა აქ, რისთვის მოიყვანა? ან იქ რისთვის იყვნენ, სადაც იყვნენ, ან საერთოდ რისთვის არიან?

მაშ ვისი ბრალია თუარ ელენეთერის! ყველა ქალს ჰყავს ქმარი, მამაკაცი. თუ არ ჰყავს, ჰყავდა ან ეყოლება! ელენეს არც ჰყავდა, არც ჰყავს და არც ეყოლება, რადგან ელენეთერი ჰყავს, ელენეთერი კი არც წყალია, არც ღვინო! არაფერი არ არის ელენეთერი! ელენეთერი არაფერი არ არის!

აი, სიცოცხლე იწურება, სადაცაა ჩამოილევა. ელენესათვის კი არც სიხარულია, არც წუხილი, არც ჯავრი, არც ინედი, არაფერი არ არის! არის ერთნა-

ირი დღეები, არის ელეთერი, ელეთერი, ისევ ელეთერი და მეტი არაფერი, სულ არაფერი!

რად უნდა ელეთერის კოცნა ელენეს ან მისი სიყვარული რად უნდა ქალი დაჩუქნა, ცოცხლივ დაილია, გამოცარიელდა. დაჰკარგა ღირსება, სიამაყე, რადგან არცერთის უფლება არა აქვს! თავად იცის, არა აქვს უფლება. არა აქვს, რადგან არც სიხარული გააჩნია, არც ჯავრი, არც იმედი და არც უიმედობა. ამიტომ არც ცხოვრობს, არც არსებობს...

ელენე წამოდგა. დიდრონი მამაკაცური ხელები სახეზე აიფარა და ერთხანს ასე იდგა გარინდებული.

„რა ექნა? რა გზას დავადგე?“

ჭიშკართან ვილაცამ დაიძახა. ელენე გამოერკვა. ხმაზე იცნო: ედუკი იყო. ელენეს ბეღლის აივნის ალამფული ვიდე ჰფარავდა. ჭიშკრის მხრიდან არავის შეეძლო მისი დანახვა.

რა ექნა, გაეხედა?

„მოდ, შენ თვითონ მოდი, ედუკი, აქ, — ციციბიანივით ცახცახებდა ელენე და უაზროდ იყურებოდა საღლაც წინ, — ჩემმა, ასე ვთქვათ, ქმარმა შენს ანაბარა დამტოვა. მოდი, კარგ ამბავს გაიგებ. ყველაფერს გეტყვი. რატომაც არ უნდა გითხრა! თუ მე მტკივა, თქვენ არ უნდა გეტკინოთ? აი, აქ დაეთყოლა შენი გაქსუებული ქმარი, ამ ბედელში დაათრევდა ამძუნებულ მუნჯს...“

ჭიშკართან ძახილი შეწყდა. ელენემ ლამფის კედელთან მიიჩინა. შუადღის მზით გახურებულ ლამფას სიცხის ბული დაეყენებინა. ელენემ ჭუჭქრუტანაში გაიჭკრიტა. ჭიშკართან ვერავინ დაინახა.

„შენ რა გინდოდა, ნეტავი შინი ქმარი მოსულიყო. აი, აგერ, აივანზე... არაფერზე უარს არ ვეტყვოდი. მძაგს, მეზიზღება, უარს მაინც არ ვეტყვოდი. ნეტავ ელეთერი წამოგვდგომოდა, ყველაფერი თავისი თვალთ ენახა. მაშინ გაიგიბდა, როგორი ქალი ვარ მე!..“

ელენი ძლივს სუნთქავდა. აგიზგიზებული სახით ცხელ ლამფებს ეკეროდა. მერე გულაღმა დაეშვა იატაკზე, თავქვეშ

ხელები ამოილაგა და თვალები დახუჭა. გრძნობდა, მუხლებზე ხალათის კალთა გადაეხადა. შიშველ ხორცზე მწვემ დააცხუნა.

კიბეზე ჯალხანა ამოვიდა. ჯერ სახე დაუყნოსა, მერე მუცელი, ბოლოს შიშველ მუხლს წაჰკრა სველი ენა.

ელენე გაინახა. თვალი ოდნავ გაახილა.

ბებერი ქოფაკი ეზოში ჩამხტარიყო და ოთხივე ფეხით დაკოჭლებული დერეფნისაკენ მიიზღაზნებოდა.

ელეთერი ახალ დაღამებულზე მოვიდა. ელენე ისევ ბეღლის წინ იწვა და ღრმად ეძინა. ნიავს მთლიანად გადაეხადა ხალათის მსუბუქი კალთები. ქალი ნახევრად შიშველი იყო.

ელეთერი გაშეშდა. მერე, მიუხედავად ტანის სიმძიმისა, კიბის ორიოდ საფეხური თვალის დახამხამებაში აირბინა და ბეღლის აივანზე გაჩნდა.

ელენეს ნამდვილად ეძინა. ღრმად ეძინა. საესე, გაღელილი მკერდი ზომიერად აუღ-ჩაუდიოდა.

ელეთერი აიძვრა. ცოლის გამოშვებვ მუხლებს კალთები ფრთხილად გადააფარა. ელენეს მხრიდან სიმხურვალე სცემდა. ელეთერის წინაშე თითქოს გიზგიზა კოცონი ენთო. ელენეს ხორციანი მძიმე ხელი ტანის გასწვრივ იღო მტვრიან იატაკზე.

ელეთერი მკლავს დასწვდა. ახლად მოისაზრა, რომ ელენეს აქ წოლა და ძილი მეტად უცნაური ამბავი იყო.

— ელენე! — აღერსიანად ჩასძახა მძინარეს.

გულაღმა უსასთუმლოდ მწოლარე ქალმა თვალები მაშინვე გაახილა. ქვემოდან ზემოთ უცებ ვერაფერი იცნო. ელეთერს ხელი გამოჰკლიოჯა და დაფეთებული წამოჯდა. აქ უეცრად მოეგო გონს და ანგარიშშიუცემლად სახეზე ხელები მოისვა.

— რას შერებო, ჭუჭყიან ხელებს ისვამ? — უსაყიდურა ელეთერი.

ელეთერის ხმამ ქალი საბოლოოდ გამოაფხიზლა. ხელისგულებზე დაიხედა. მართლაც დასეროდა.

— დიდი ხანია მოხვედი? — იკითხა და მთელი სხეულით გაიზმორა.

— აქ რამ დაგაწვინა, ბავშვი ხარ? — გაწყრა ელევთერი.

— მომეცი ხელი, ავდგე.

ელევთერმა ხელი გაუწოდა.

— ფუ, როგორი სველი ხელი გაქვს! რა დროა?

— ვერ ხედავ, დაღამდა?

— ამდენ ხანს სად იყავი?

— დაიწყე ახლა შენებურად! — ელევთერი გაღვიძლდა გულისპირს უბნევდა.

— მოიცა! — ქალმა ხელი გააშვევინა.

როდესაც ეზოში ჩამოვიდნენ, ზემოდან ფრთხილი მოესმათ. ელევთერმა საღორის წინ ასვეტილ მსხალს გაჰხედა. მსხლის ძირა და შუა ტოტები ქათმებით იყო დახუნძლული. ქათმები ძილში რუკრუკებდნენ და ფრთების უსასოო სავსავით ეწყობოდნენ უჩვეუ ტოტებზე.

— ამათ რა უნდა აქ? — იკითხა გავირვებულმა ელევთერმა.

ელენე დერეფანში შევიდა.

— ელენე! ქათმებს რა უნდა ხეზე?!

— არ ვიცი. საქათმის კარის გაღება დამავიწყდა.

— იპ! — დაიქშინა ელევთერმა და კოკის მოსატანად გასწია, რათა მიძინარე ქათმები ხიდან ჩამოერეკა და კარიში დაემწყყლია.

— მოეშვი, არაფერი არ უჭირთ.

— შენ აგრე გგონია!

ელენეს მწარედ გაეღიმა. პალატის კარი შეაღო.

— რა ჰქენი, დამშვიდდი? — ჰკითხა ათიოდე წუთის შემდეგ ქმარს როდესაც ეს უკანასკნელი დერეფანში შემოვიდა.

— საპონი რატომ არ დევს პირსაბანზე?!

ელენემ უხმოდ გაუტანა საპონი.

— წყალი?

— რას მიწყრები, ელევთერ!

ელევთერმა უკმაყოფილო თვალები შეაგლო იოლს და წყლის გამოსატანად თვითონ შევიდა პალატში.

ვახშმად ხმა არ გაოვიოთ ერთმანეთისათვის. ელენე ჩამქრალ ბუხართან

იჯდა. ელევთერს არ უკითხავს, მან რას უხიხარ რატომ შენც არ ივახშმებო. უხმოდ შეექცეოდა, მიათავა თუ არა, ხელ-პირი ხელახლა დაიბანა (დაწოლის წინ ყოველთვის იბანდა ხელ-პირს) და დასაძინებლად წავიდა.

ელენე კარგა ხანს ახხარუნებდა ჭურჭელს. თეფშები ცივ წყალში გაავლო და კედლის განჯინაში გაუმშრალებლად შეაღავა. გვიანი ღამე იყო, როდესაც ზემოთ ავიდა და ზალაში სინათლე აანთო. ფეხებგამოკუხულ მაგიდაზე ხელუხლებლად ეწყო სამურაბე ჭურჭელი და ორი ნაკლული სირჩა. ხათუნას ნახმარი კოვზი ფინჯნიდან გადმოყირავებულიყო და ქათქათა ხელსახოცი დაესვარა.

ნუთუ ასე ცოტა დრო გავიდა ხათუნას აქ ყოფნის შემდეგ? ნუთუ ყველაფერი დღეს იყო?

ელენემ ფინჯნები ააღავა, მერე ყველაფერს ერთად დაჰხვია ხელი და ქვეშაგებლის შესანახ პატარა ოთახში გაიტანა.

ღილით ელევთერი აღრე წავიდა. ცოლისთვის არ უთქვამს, სად მიდიოდა ან როდის დაბრუნდებოდა.

ელენე გვიანობამდე არ ამღგარა. წუხდა, რომ მალე გათენდა და ვარეთ უკვე დღის სინათლე სჭირდა თვალს. გუშინდელს აქეთ ბურანში იყო. რალაც ძალაზე შეჩვიული და აოცილებილი დააკლდა ამ დილას. ეს ნაკლოვანება აფორიაქებდა და მოსვენებას უკარგავდა. მცირეოდენი ფიჭრის შემდეგ მიხვდა, რაც აკლდა, მაგრამ ამ მიხვედრამ მიინც ვერ დააკმაყოფილა. ელევთერთან გამოლაპარაკება, ელევთერზე ზრუნვა აკლდა. აკლდა ელევთერის ყურადღებაც. ყოველივე ამას ისე იყო შეჩვეული, აღრე ვერც ამჩნევდა. ახლა დააკლდა და შეამჩნია. ელენე დოის უფრო უბედური იყო, ვიდრე გოშინ. მაგრამ შინაგანი სიცარიელე გოშინდებურად აღარ აწამებდა. თავი დაირწმუნა, ჩემი ტკივილი უკურნებელიაო და შეეცადა მიეიფიყებინა, რომ რალაც სტკიოდა, რომ რალაც აკლდა, ძალიან აკლდა...

შემალეებული მზე აივანს მოადგა. რიკლედ მიხურულ დარბეზში ურცხვად შემოიჭყიტა, ოქროსფერ ზოლად გაიჭიმა მოქარგულ საბანზე. თანდათან ზემოთ მოიწვედა. ელენემ სახეზე ნიდაყვი აიფარა. როცა ამანაც ვერ უშველა და მზემ მაინც შემოუჭკვრიტა თვალებში, გვერდი იცვალა.

— ნათლია! — ამ დროს მეორედ თუ მესამედ დაიძახა ვილაცამ ეზოში.

„საწყალი ჯალხანა, სულ დაბერდა, — გაიფიქრა ელენემ, რომელმაც კარგად იცნო მოსულის მყვიანა ხმა, — ამ ქვეყნის აღარაფერი ეყურება. აქ ყველაფერი დაბერებულია. ალბათ, მეც დავბერდი.“

— ნათლია! — ერთხელ კიდევ დაიძახა პეტრემ.

„რა უნდა ამ დილაადრიან, აღამიანს მოსვენებას არ აცლის?“ — ხელახლა გაიფიქრა ელენემ და ბუზღუნით სკამის ზურგზე გადაკიდებულ ხალათს მისწვდა.

პეტრე ვენახის ალაგესთან იდგა. ხელში გრძელი სახრე ეჭირა და ქვემოთ იყურებოდა. ბოსტანში თუ ეგონა ელენე. აივნიდან ფეხის ხმა შემოესმა და უშალვე ზემოთ ამოიხედა.

— ღმერთო კი მოწყალი, ავად ხომ არა ხარ, ნათლია?

— საქმე გაქვს რამე? — ნამძინარევი ხმით უგუნებოდ გადასძახა ელენემ, თან თავისი გუშინდელი მუჭარა გაახსენდა და ბრაზი წაეკიდა, აზრად როგორ მომივიდა იმნაირი საზიზღრობაო.

— საქმე კი მქონდა, მარა შენ თუ შეუძლოდ ბრძანდები... ამოვალ ახლავე!

— მოიცა, მოვდივარ!

— ძალიან უკაცრავად ქე ვარ მარა... ელენემ ხალათის ღილები შეიბნია და დაბლა ჩავიდა. პეტრე მოთმინებით ელოდა კიბის ძირას.

— უფრო ადრე ვაპირებდი მოსვლას... — დაიწყო ელენეს გამოჩენისთანავე, — ამბერკიჩი წაბრძანდა?

— წაბრძანდა!

პეტრემ ჩაახველა.

— მე და ი ქალმა მოვილაპარაკეთ

და... გუშინ ისიც ყოფილიყო. მე წიფლისწყაროში ვიყავი. სახლში ვერ ენახე...
 ვიზუალიზაცია

— ვინ ყოფილიყო! — გააწყვეტინა ელენემ.

— ჩემი ქალი, ედუკი. არ ბრძანებულყავი. ახლა, ნათლია, თქვენ თუ რამეს გვიშველით თუარა გასაძრავი ღონე არ არის. ქალმა არ დამაყენა. ძალად გამომაგდო. ხელცარიელ ჩასვლას კლდეზე გადავარდნა მიჩჩენია. ნათლია! შენი იმედი უფრო მაქვს ახლა მე. აჰა! ამბერკიჩს იქნება ვერც ქე გაუბედო. სამჯერ თუ ოთხჯერ ამოვედი. გულდაგულ ამოვედი, ლალი ნუ მომიკვდება. იმ დღესაც, წიფლისწყაროში რო ბრძანდებოდით შენ და ამბერკიჩი, განგებისად აგემგზავრეთ. ვერ შევბედე. რა ექნა მენათრება მაგ კაცის...

— მოკლედ თქვი, პეტრე, არ შეიძლება?

— ი! გეტყვი, აჰა! ახლაც გულდაგულ გეახელი. მე ეთქვი, გავაგებინებ ჩემს გაჭირებას და... მთა მთას არ შეხვდება. ნათლია, კაცი კაცს შეხვდება. განა კალისტრატეს არ შეეძლო დახმარება? ჰმ, ისემც რა ვუთხრა მე მაგას!

— პეტრე...

— ახლავე, ა, ახლავე მოგახსენებ. გერი რო მყავს ქალაქს, ხო იცი შენ?

— ვიცი.

— უშალღესში სწავლობს.

— ეგაც ვიცი.

— ჰოდა, ამ ზაფხულზე ათავებს.

თიბათვეში...

— მერე?

— გაუნაწილებიათ ი ჩემი ცოდვით საესე.

ელენე მიხვდა, რაზედაც ელრიჯებოდა მიროტაძე. პეტრეც მიხვდა, როგორც იქნა, გავაგებინეო.

— შენი ჭირიმე, ნათლია, შენ შემოგვეღე. — დაიწყო თავიდან, — თუ ვინმეს რამე შეუძლია ამ კუთხეში, ამბერკიჩს შეუძლია. შემახვეწე. რაც უნდა, შემომასახელოს, ოღონდ... მომკლაგს ი ქალი.

— სად აგზავნიან? — გულგრილად იკითხა ელენემ.

— დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა, ქე მეწერა სადღაცა, — სასწრაფოდ გულის ჯიბეს წაეტანა პეტრე და გაკრეცილ-გახეხილი ქაღალდები ამოაჭერინა, — დამჩენია! ერთი სიტყვით, ქალაქში გვინდა. უსიკვილოდ!

— თბილისში?

— აა? ქალი გადამერევა თუარა ჩემ თავს კი არ დაეძებ. უმცროსები გამოსაზრდელი გეყავს, ხო იცი. ახლანდელი ახალგაზრდების რა იმედი უნდა გქონდეს, მარა, იქნება იმათაც წაუკრას მერე ხელი. ამას გეხვეწები, ნათლია. შენ კალთას ვენაცვალე, თუ მომიხერხებ, რაც შენს გულს გაეხარდება, შემომასახელე!

— კარგი, პეტრე. მოვა ელფთერო და ვეტყვი შენს მაგიერად.

— შენი სახელით უთხარი. ამის მეტი არაფერი მითხოვიათქო. ჩემს მაგიერად... ქე ვიცით, რანაირად გცემს პატივს. თუ კარგად ეტყვი, მართლა, გულით, არ დაგზარდება. ვიცი მე ამბერჯინის ამბავი.

— კარგი, კარგი. პეტრე...

— ბატონო!

— არაფერი — დიდი ხნის წინათ მომზადებული სიტყვის ჩამოგდება განეზრახა ელენეს.

— რაეა არაფერი, მიბრძანე, ბატონო, — ეჭვიც ვერ აიღო პეტრემ, — შენი გულისათვის ფეხშიშველა გადავივლი ცხრა მთას.

— მაგაზე არ ვამბობ. ერთი სიტყვით, ელფთერი მოვა.

— აა დაიმედებული ვიქნები. მშვიდობით ბრძანდებოდე, ნათლია! წავედი ახლა მე. რას გაეახარებ ელუკის! შეხე-

დე, კიშკართან დგას და აქეთ იყურება, რა ამბავს ჩამოიტანსო.

— ძალიან კი ნუ დაიმედდები, გასაქცევად მომზადებულმა პეტრემ ერთბაშად მოიწყინა.

— ის შენი გერი ვის ხელშია, ხომ არ გაგვიგია, — განმარტა ელენემ, — ჯერ ამას უნდა გაგება.

— აღვილი საქმე არ არის, მეც ვიცი.

— ჰოდა, ვნახოთ.

პეტრეს წასვლის შემდეგ ელენემ პალატს მიაშურა საეკნის გამოსატანად. ელფთერს დილაადრიან გაელო საქათმის კარი და წვრილფეხობა უთავბოლოდ სხრიალებდა დერეფანში.

„რა ექნა? — ისევ გუშინდელ გასაქვირზე ფიქრობდა ელენე და თან ქათმებს აპურებდა, — ვუთხრა ყველაფერი ელფთერს? მერე ამით რა გამოვა? სულელური უსიამოვნება და მეტი არაფერი. რაღა დროს ესაა. თუ რამე იმგვარი მოხდებოდა, უფრო ადრე იყო საჭირო გონს მოსვლა და ყურიდან ბამბის გამოღება. თანაც რა უნდა ვუთხრა? რა მაქვს სათქმელი?“

სათქმელი მართლაც არაფერი ჰქონდა. ის, რაც გუშინ გადახდა, ყოვლად წარმოუდგენელი და ენით გამოუხატავი იყო. დღეს დამნაშავედაც კი მიაჩნდა თავი. სიგიყემ თუ მომიარაო, ფიქრობდა დარცხვენილი.

ნეტავ ეკითხა, სად წავიდა ელფთერი ამ დილას. ჩავიდოდა, მონახავდა, განზე გაიხმობდა და ბოდის მოუხდიდა. ბოდის მოხდა უფრო საყუთარი სინდისის დასამწვიდებლად ესაჭიროებოდა ელენეს, რადგან გრძნობდა: მეტისმეტს, შეუძლებელს მოითხოვდა ელფთერი-საგან, იმას მოითხოვდა, რაც არ უნდა მოეთხოვა.

მადი პაპაიშვილი



დაბრუნება

მე წავალ... იმ მაღალ
ხეს დავეწვდილები,
ჩვენს სიყვარულში
ტანაყრილ ხეს.
იმ ხეში ვერავინ
ვერ შემეცილება,
ჩემია, მხოლოდ
მე მიწვდის ხელს.

მე წავალ და ვკითხავ:
რა იქნა, სად არი,
ვისთან ურჩევნია
მხარდამხარ?
სად ნახა ამ გულის,
ამ სულის ბადალი,
სხვათა თავშესაფარი
სად ნახა?

მე წავალ, იმ მაღალ
ხეს დავეწვდილები,
ჩვენს სიყვარულში
ტანაყრილ ხეს.
წვიმები დაიწყო.
წვიმები, წვიმები...
და მხარზე ვილაც
სველ ხელებს მხვევს.



მტრელები

პირველი კვირა დღე

ხის დაკიდული კიბით ლევანი დერე-
ფნიდას სივსაზე ავიდა. სხვენი რატომ-
ღაც უფრო დიდი და უფრო ბნელი
ეგონა. მოკუხულმა ხუთიოდე ნაბიჯი
გაიარა, მერმე წელი გამართა — აქ
სახურავი მალდებოდა. თანაც სახუ-
რავში ამოჭრილ ვიწრო სარკმლიდან
დღის სინათლე იღვრებოდა.

ჰერი შესუთული იყო. მტერის სუნი
იდგა.

ლევანმა ხელმარცხნივ ძველი სამტ-
რედე დაინახა. ეს სამტრედე მისი ძმი-
სა იყო. ლევანს აღარ აბსოვდა, მამა
ომში წასვლის წინ გაყიდა, თუ გაასა-
ჩუქრა მტრელები, თუ უპატრონოდ
დარჩენილმა ფრინველებმა თავს უშვე-
ლეს. მაშინ ლევანი არ შეუწუხებია
მტრელების ბედს. შემდეგ კი ნანობდა,
მაგრამ უკვე გვიან იყო. ერთი სიტყვით,
სხვენზე ახლა მტრელები არ ღულუნებ-
დნენ.

სარკმელთან სილით გავსებული კას-
რი და ფანერის ყუთები მოჩანდა.
ლევანი მიხვდა, ეს იყო საგუშაგო, სა-
დაც წინა კვირას გამწესეს სამორიგე-
ოდ. იქვე ეწყო უხმარი ნიჩბები, წერაქ-
ვები და რკინის ზელებები.

კრამიტებს შორის აქა-იქ იპარებოდა
სინათლე, რომელიც ირიბი, ნათელი
ზოლებით კვეთდა სხვენის სიბნელეს
და სიბნელეშივე იკარგებოდა, იატაკამ-
დე არ აღწევდა.

სარკმელში შემოდგომის ლურჯი,
კრიალა ცა მოჩანდა. ლევანი სახურავ-
ზე გადავიდა. სულ ახლოს, მავთულებ-
ზე ბელურები ისხდნენ. ადამიანის გა-
მოჩენისთანავე ბელურები გაფრინდნენ.
ქუჩის მეორე მხარეს სკოლის ოთხ-

სართულიანი შენობა იდგა. ოდესღაც
თეთრი შენობა ახლა ყავისფრად იყო
შედებული. მეორე სართულზე დაჭ-
რილი მემორები ღია ფანჯრიდან ნაღ-
ვლიანი თვალებით იცქირებოდნენ ქუ-
ჩაში. ქუჩა მალდიდან ვიწრო და სუფ-
თა მოეჩვენა ლევანს.

ლევანი სახურავის კრამიტთან ჯერ-
ღზე წამოწვა გულადმა და ცას მიამ-
ტერდა. სხვა საქმე არა ჰქონდა. დაავა-
ლეს — ცისთვის ეცქირა და ასე წამო-
წოლილი უფრო მოხერხებულად უმ-
ხერდა ცას.

მან იცოდა, დღეს საგუშაგოზე ორნი
უნდა მოსულიყვნენ, ის მეორე ჯერჯე-
რობით არ ჩანდა. ლევანი სახურავის
ფერღზე გულადმა იწვა და ფიქრობდა:
რატომ არ მოვიდა მეორე მორიგე? იმ
კვირას მეზობლების ყაყაში ვერ გაი-
გონა, მასთან ერთად ვინ დაასახელეს და
ახლა ფიქრობდა: ვინ უნდა ყოფილიყო
ის მეორე?

„ჩემთვის სულერთია... ოღონდ
ბევრს ნუ ილაპარაკებს...“ — ასე დაა-
სრულა ფიქრი მეორე მორიგეზე.

ლევანს დაღლილი, გამოუძინებელი
სახე ჰქონდა. ასეთი სახე მოსწავლეებს
საერთოდ იშვიათად აქვთ ხოლმე, მაგ-
რამ ლევანი დილით ქარხანაში დადიო-
და, საღამოთი — სკოლაში. მამა და
უფროსი ძმა ომის პირველ დღიდანვე
გაიწვიეს ჯარში და ოჯახი დედისა და
უმცროსი შვილის ანაბარა დარჩა.

ლევანს კვირა დღე თავისუფალი
ჰქონდა და სახურავზე ამოგზავნეს
ცის სათვალთვალოდ. იწვა და უმხერდა
ცას. ცა ლურჯი და კრიალა იყო. მაგრამ
დაღლილი, გამოუძინებელი თვალები

შეუმჩნეველი შემფოთებით შესჩერებოდნენ ზეკას. უფრო მეტიც, ამ შემფოთებაში უცნაური შიშაც გამოკრთებოდა ხოლმე. რა თქმა უნდა, ეს შიშაც შეუმჩნეველი იყო, რადგან დაღლილობა და უძილობა შიშსაც და შემფოთებასაც ერთიანად ნთქამდა..

ლევანს თვლუმა მოერია. ალბათ წაიძინებდა კიდევ, ვიწრო სარკმლიდან მგზობლის ვოვოს თავი რომ არ გამოეყო.

— შენ უკვე აქა ხარ, ლევან? — იკითხა გახარებულმა ნანამ.

— ჰო, აქა ვარ... მგონი, აქა ვარ...

— შე კი დაევიგვიანე.

— პირველი დღეა და ალბათ გაბატობენ.

— ეს შენს მეტმა არავე იცის.

— მაშ დავჯექი და იყავი შენთვის... მე არავეს ვეტყვი. — უთხრა ლევანმა, თან ფიქრობდა: „ნეტავი სხვა მოსულა იყო, რა გაუძღვებს ამის ტიკტიკს“.

— ჩვენამდე ვინ მორიგეობდა? — იკითხა ნანამ და გაპირვებით ამოვიდა სახურავზე. ნანას რუხი, უხეში მათდის კაბა ეცვა და თავზე ჰრელი ჩითის ნაქერი ჰქონდა მოხვეული. როგორც კი ფეხი დაადგა თუნუქის სახურავს იკივლა, — ვაიმე, გადავარდებო!

„დაიწყო მეტიჩრობა!“ — კვლავ გაიფიქრა ლევანმა და უთხრა:

— თუ გადახტები, თორემ აქედან ისე არ გადავარდები.

— მართლა?... თითქოს დამშვიდდა ნანა. — ლევან, ახლა ჩვენ რა გვევალება, რა უნდა გვაკეთოთ?

— ცას ვუცქიროთ.

— წამოწოლილებმა?

— მე ასე უკეთესად ვუშვებ ცას... რას ხითხითებ?! —

— წამოწოლილი გუშაგი ვის გაუგია?! ისიც მხარეთქოზე ჩამოწოლილი! ლევანი წამოჯდა და იკითხა:

— ჯდომა თუ შეიძლება?

— მგონი, ჯდომაც არ შეიძლება.

— ცხენებით ფეხზე ვიდგეთ?

— ლევანი წამოდგა.

ნანა ალტაცებული ღიმილით შესცქე-

როდა ლევანს და ეს ალტაცება არც დაუმალავს:

— უპ, რა მაღალი ხატი ლევან! — „ნეტავი რა უხარია ამ სულელს?“ — გაიფიქრა ლევანმა და ხმაშემაღლა შეეკითხა:

— მერმე შენ რა?

— მე? არაფერი... — ნანამ უცებ გაიცინა, — ეს რა გაცვია, ბიჭო?!

ლევანმა ტანისამოსზე დაიხედა. მას მშის ძველი შარვალ-ხალათი ეცვა. მმა ლევანზე უფრო მაღალი და უფრო ტანსრული იყო. ამიტომ ლევანს მისი ტანისამოსი ტანზე ჩვარივით ეკიდა და სასაცილო იერს აძლევდა.

— ჩემი ძმისაა, — იმართლა თავი ლევანმა, — ჩემი აღარ ჩაიცმევა, — მერმე მხარი შეაქცია ნანას, ქუჩას ჩახედა.

— აქედან რა კარგად მოჩანს ჩვენი სკოლა, — წამოიძახა ნანამ, — აგერ იქ ჩვენი კლასი იყო... გახსოვს?

— კი... როგორ არა...

— ახლა რაფაზე დაჭრილები სხედან. ხედავ, ერთს თავი აქვს შეხვეული.

— ვხედავ... ვხედავ...!

— რა გაყვირებს, ლევან?

ლევანმა ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და ნანას გაშორდა. სახურავის კიდესთან შეჩერდა.

პოსპიტლის ფანჯარაზე დაჭრალები ისხდნენ. ორივეს გრძელი, მომწვანო ხალათი ეცვა. ერთ-ერთ მათგანს თავი ქათქათა ბინტით ჰქონდა შეხვეული. დაჭრილები ლევანს უმზერდნენ და ილიმებოდნენ. ლევანმაც ძალუენებურად გაუღიმა.

დაჭრილებმა ხელით ანიშნეს — მანდ რას აკეთებთო?

ლევანმა ხელის ქნევივით უპასუხა — მაინცდამაინც არაფერსო.

მერმე პოსპიტლის ფანჯრიდან ნანაზე მიუთითეს — კარგი ვოვოაო!

სახურავზე მდგარმა მხრები აიჩენა — ისე რაო!

მერმე პოსპიტლის ფანჯრიდან ხელი დაუქნიეს — ჩამოდიო.

რადო? — შეეკითხა სახურავზე მდგარი.

დაპრილებმა სამთუმნიანი უჩვენეს — პაპიროსი გეყიდო.

აქ კი გამოტყდა ლევანი — სიამოვნებით მოგიტანდით, მაგრამ არა მცალიაო. მე და ეს გოგონა საგუშაგოზე ედგავართო.

მერმე დაპრილებმა ანიშნეს — თუ ასეა, რას ვიზამთო, — თან დაუმატეს, — შენც კარგი ბიჭი ხარო!

ლევანმა მადლობა გადაუხადა, გაუღიმა — მორიგეობას რომ მოვრჩებით, პაპიროსს უსათუოდ მოგიტანთო.

მერმე იმათ გაუღიბეს, მაგრამ ღიმილი უცებ შეაკვირდათ სახეზე. ფანჯრის რაფას სწრაფად მოშორდნენ და გაუჩინარდნენ.

ფანჯარას მოწყალების და მოადგა. ქუჩას გადახედა. თავი წყრომით გააქნია და ფანჯრები მიხურა.

ლევანი დაპრილებთან მუნჯური საუბრის შემდეგ კმაყოფილი წამოვიდა ნანასაკენ. ნანამ შენიშნა ლევანის თვალებში სიხარულის უცნაურ ნაპერწყმებს დაღლილობა თუ ნაღვლიანობა განედევნა. თვითონაც მაშინვე გამოიღარა. უცებ დაავიწყდა, რომ წელან ნაწყენი იყო უადგილო ყვირილის გამო.

— რას გელაპარაკებოდნენ დაპრილები? — ჰკითხა გულწრფელად.

— შენზე მითხრეს — კარგი გოგაო. — უპასუხა ლევანმა.

— კიდევ კარგი, გითხრეს... თუ დაუჯერე?

ლევანმა კეფა მოიფხანა და კრამიტზე ჩამოჯდა.

— მორიგეობას როცა მოვრჩებით, წავალ და პაპიროსებს ვუყიდი, — თქვა და მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო, — რა სიჩუმეა... მე არ მეგონა, თუ აქ ასეთი სიჩუმე იქნებოდა.

— ჰო, სიმშვიდეა.

— სიმშვიდე არა... სიმშვიდე სხვაა... აქ სიჩუმეა. — ლევანს სახე დაეჭაბა. ცას ახედა. ცაზე უკვე ღრუბლები ირეოდნენ და მისრიალებდნენ, საოცარი

სისწრაფით მისრიალებდნენ აღმოსავლეთისაკენ.

— მე არ მიყვარს სიჩუმე, — თქვა ნანამ, — სიჩუმის მეშინია.

— სიჩუმეს გააჩნია. სიჩუმეც არის და სიჩუმეც... დაჯექი, მე მგონია ჯღმას და დგომას აქ ერთი ფასი აქვს.

ნანა პარაპეტზე ჩამოჯდა.

— ისე მიხაროდა აქ მოსვლა, — დაიწყო ნანამ, — ვიფიქრე ლევანს ვნახავ-მეთქი, ვისაუბრებთ-მეთქი. თითქმის სამი თვეა არ მიხახახარ. ანდა როგორ განახვდი, დილით შენ ქარხანაში ხარ, მე — სკოლაში, ღამით კი პირიქით: შენ — სკოლაში, მე — ქარხანაში... შემდეგ კვირას აღარ გამიხარდება აქ მოსვლა.

„ისე დაიწყო“, — გაიფიქრა ლევანმა და ხმამაღლა თქვა:

— მე არც ამ კვირას მიხაროდა... ის რომ მცოდნოდა, შენც მორიგეობდი. ალბათ...

— რა ალბათ?

— არ გეწყინოს, ნანა... არ წამოვიდოდი.

— რატომ? — წრფელად გაოცდა ნანა.

— რა ვიცი, — ლევანს გაუჭირდა საუბრის გაგრძელება, მაგრამ უკან დახევა უკვე გვიან იყო, — რა ვიცი, ბევრი ლაპარაკის თავი არ მქონდა...

— განა ბევრი ვილაპარაკე?

— არა, არც ისე.

— რახან ასეა, თავს არ შეგაწყენ. — ნანა ადგა და საჩკმლისაკენ გაემართა.

— ნანა! — დაუძახა ლევანმა.

ნანა არ მობრუნებულა. უხმოდ გაძვრა ვიწრო საჩკმელში და სხევენზე გადავიდა.

ლევანმა იხანა: „შენ თუ სიხარული არ შეგიძლია, იმდენი მაინც შესძელი, სიხარული სხვას არ მოუსწრაფო. ყოფილიყო, ელაპარაკა რამდენიც სურდა, თუ კი ასე სიამოვნებდა ლაპარაკი“.

ჰოსპიტლის სახურავზე ნაცრისფერი კატა ბელურას ეპარებოდა. ლევანი ფეხებთან დაგდებულ კრამიტის ნამტვრევს დასწვდა და წამოადგა. მთელი ძალით

მოიქნია მარჯვენა. კრამიტის ნამტვრევი ხმაურით დაეცა თუნუქის სახურავს.

ხმაურზე ნანამ თავი გამოჰყო სარკმლიდან და შეშინებული თვალები ლევანს მიაპყრო.

— რა მოხდა?

— არაფერი. ბელურა დავაფრთხე. კატა ეპარებოდა და დავაფრთხე.

— გული გადამიქანდა, მეგონა, ყუმბარა გასკდა-მეთქი.

— მე კი მეგონა, შენ წახვედი. — ლევანი ნანასთან მივიდა და სარკმელს მხრით მიეხვიდა.

— როგორ წავიდოდი? ვიდრე შემცვლელი არ მოვა, წასვლის უფლება არა მაქვს.

— შემცვლელები საცაა მოვლენ.

— რა აუტანელი ხარ, — უთხრა ნანამ

წყენით და დაუმატა, — მაგ შენი ტანისამოსიანად.

— ტანისამოსი ცოტას მადფიქრებს, ძალიან ცოტას.

— გინდა გადაგიკეთო? — ნანას თვალებში კვლავ დაუბრუნდა კეთილი სხივი.

— რატომ უნდა გადამიკეთო?

— ტანზე მოგარგებ... ნახე, რა კარგად მოგარგო. მორიგეობას რომ მოვრჩებით, ჩვენთან წავიდეთ.

— მე ჯერ პაპიროსები უნდა ვუყიდო დაჭრილებს.

— კარგი. ჯერ პაპიროსები უყიდვ დაჭრილებს, მერმე ჩემთან წამოდი.

ლევანმა კიდევ ერთხელ დაიხედა ტანისამოსზე და უმისამართოდ იკითხა:

— ღირს კი გადაკეთება?

მეორე კმირა დღე

— მე არ მიყვარს ღრუბლიანი დღე.

— არც მე, — გაეხმაურა ლევანი, — ცა დაბლდება და თითქოს ჰაერიც აღარ გყოფნის.

ისინი ერთმანეთისაგან მოშორებით ისხდნენ და გასცქეროდნენ მახათას, რომელსაც ნაცრისფერი ღრუბლები აწვებოდა. მძიმე ღრუბელი თითქოს ზეცის სულს იგუბებდა, იზრდებოდა, იბერებოდა. მერმე ამ სულს მთის ფერდობს შეუბერავდა და მტვერს სახეში აყრიდა კუკიას.

— პაპიროსი თუ მიუტანე დაჭრილებს?

— კი, მიუტანე.

— ჩემთან რატომ არ მოხვედი?

— იქიდან პურზე წავედი. დავიღალე და ჩამეძინა.

— რიგში. იდექი?

— აბა, რა მექნა?

— მისულიყავი და ურიგოდ მოგცემდა. ვასიკო კარგი ბიჭია, ყოველთვის ურიგოდ მაქლევს პურს.

— ამიტომ არის კარგი ბიჭი?

— არა, ამიტომ არა... მზიარულია. მასთან არასოდეს მოგწყინდება.

პოსპიტლის სახურავზე ორი თეთრი

მტრედი დაფრინდა. მტრედები დალილები ჩანდნენ, ძლივს სუნთქავდნენ, დაფეთებულები აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს.

— ლევან, შენ გიყვარს ქარი?

— ძალიან...

ნანამ ექვით გახედა ლევანს და სულ ახლოს მიუჩოჩდა, თან ქარისაგან აწეწილი თმა გაისწორა.

— ლევან მართლა გიყვარს ქარი?

ლევანი მტრედებს უცქერდა, ერთი წამით ისიც კი იფიქრა, ალბათ ჩემი ძმის მტრედები არიანო და ძველ ბუდეს მოაკითხესო. გული აუფანცქალდა. ექვი ნანასთვის უნდოდა გაეზიარებინა, მაგრამ ნანა არ ეშვებოდა, დაეინებით ეკითხებოდა, რატომღაც სურდა გაეგო, მართლა უყვარდა, თუ არა ლევანს ქარი.

— არ ვიცი, ნანა, — უპასუხა ბოლოს ლევანმა, — ნამდვილად არ ვიცი, ხან მიყვარს, ხან არ მიყვარს. ახლა ეს ქარი არ მსიამოვნებს, ცუდი ქარია. გინდა მოიკუნტო და სადღაც შეძვრე.

— ცუდი ქარია, — გაიმეორა ნანამ და გაჩუმდა. დუმილის შემდეგ ჰკითხა: — ყველაზე უფრო რა გიყვარს, ლევანი ლევანი დაფიქრდა, მერმე ნანას მიუბ-

რუნდა და თავლისფერ თვალებში ჩახედდა. უნებურად შეერთა და მხერა ააჩიდა გოგონას თვალებს. არა, კი არ შეერთა, შეერთომა რა სათქმელია, ლევანს უცებ გული შეეკუმშა, დაეწურა და ამ დაწურულ გულში თითქოს პაწაწინა სიღმი აუფეთქდა. ეს სულ ერთ წამში მოხდა. თუმცა წამი დიდი დროა, — წამის მუასტედი.. ლევანმა ხელები დაისრისა და თითებს დაუწყო წვალება.

— რა მიყვარს ყველაზე უფრო? არც ვიცი. მე საერთოდ ბევრს რამე არ ვიცი... ასეთი კითხვა არასოდეს მიმიცია ჩემი თავისთვის... რა მიყვარს ყველაზე უფრო? არ ვიცი. არც ის ვიცი, რა მეჯავრება ყველაზე უფრო, მე მგონია, ვინც ეს იცის, ის ყველაზე ბედნიერი კაცია ქვეყანაზე.

ნანა მთელი გულისყურით უსმენდა. საოცრად მოსწონდა ლევანის მკერდისმიერი, ხავერდოვანი ხმა. ამიტომ ლევანის ხმას უფრო უგდებდა ყურს, ვიდრე საუბარს. ახლაც ასე იყო ბუნდოვანად ესმოდა ის, რაზედაც ლევანი ესაუბრებოდა.

— როგორ გამოგეცვალა ხმა, ლევან. ამ სამიოდე წლის წინათ ნამდვილი მამლაყინწა იყავი, რა სასაცილო ხმა გქონდა!

ლევანს უნდოდა ერთხელ კიდევ ჩაეხედა ნანას თვალებში და ვერ ბედავდა. დახედა ხელებზე, მერმე მხერა მხრებზე აცურა... არ ეგონა, თუ ასეთი მაღალი ყელი ჰქონდა ნანას. ნეტავი კარგია თუ ცუდი, როდესაც ასეთი მაღალი ყელი აქვს ქალიშვილს?... ტუჩები ვარდისფერი ჰქონია ნანას, ქვედა ტუჩი უფრო ამობურცულია, ვიდრე ზედა და ოდნავ, სულ ოდნავ წინაა გაშვერილი. ქვედა ტუჩი თითქოს გაბურცულია, ზედა — იცინის. ჰო, სულ იცინის, იცინის... თხელი, მითროლვარე ნესტოები, სწორი პატარა ცხვირი... შავი წარბები... როგორც ამბობენ, ან როგორც წერენ ხოლმე — მოშვილდული... თვალები: ლევანი ვერ ბედავდა... გულით უნდოდა ჩაეხედა თვალებში და ვერ ბე-

დავდა. უკვირდა—რატომ ვერ გბედავო? და მაინც ვერ ბედავდა...

ლევანმა უცებ შენიშნა, ნანას როგორ შეეცვალა სახე... ნანამ შიშით ასედა ცას და სმენად დაიძაბა.

— ვაიმე... გესმის? — შიშურაღა მან.

— რა უნდა მესმოდეს?

— გესმის გუგუნი?... თვითმფრინავების გუგუნი...

— არა, არ მესმის, — ლევანი წამოდგა და ცას მიანჩრდა.

ნანაც წამოდგა.

ისინი იდგნენ და ცას უმზერდნენ. ქარი უბერავდა. ტყვიისფერი, უძრავი ღრუბლები დაშტერებოდნენ ქალაქს. ღრუბლებიდან მოისმოდა ყრუ გუგუნი.

— რა ვქნათ...

გუგუნი თანდათან ახლოვდებოდა. ნანას გულისცემამ უმატა. შეშინებული ლევანს მიეტმასნა.

ლევანი გრძნობდა, როგორ უთრთოდა ნანას სხეული. მხარზე ხელი მოხვია და დაამშვიდა.

— ნუ გეშინია... საშიში რომ იყოს, ქალაქში განგავი ატყვებოდა...

— მართლა არ არის საშიში, ლევან?

— არა! — უპასუხა ლევანმა დაჯერებით.

გუგუნმა მოიცვა დედაშიწასა და ღრუბლებს შორის დარჩენილი სივრცე. ამ გუგუნმა დაახლო თუ შთანთქა ყველა ხმა, რომელიც კი მანამდე მოისმოდა ქალაქის ქუჩებში.

ისინი ცას შესცქეროდნენ. ქარი თმას უწეწავდა ცისკენ მომზირალოთ. ახლა მავთულები წიოდნენ ცივად, ხოლო გუგუნი თანდათან მიწყდა... გუგუნი უკვე აღარ ისმოდა და ჩემი, დაბალი ღრუბლები მძიმედ აწებოდა ქალაქს.

ლევანმა ნანას მხარს ხელი მოაშორა. ხელს თან გამოჰყვა უცხო სხეულის სითბო, მაგრამ ეს ხელი კიდევ გრძნობდა ნანას სუსტ მხრებსა და მკლავს, რომლებსაც ახლახანს ეხებოდა.

— როგორ გეშინია, ლევან.

— რისი გეშინია?

— მე მგონია რალაც მოხდება.

— მაინც რა? — გაიღიმა ლევანმა.

მერმე უცებ წარმოიდგინა, თუ როგორ ათრთოლებდა შიში ქალიშვილის სუსტ სხეულს და შეეცოდა. — გახედე, რა საყვარლად სხედან მტრედები.

— მტრედები! საიდან გაჩნდნენ მტრედები?!

— წელან მოფრინდნენ... შენ ვერ შენიშნე, როგორ მოფრინდნენ წელან.

— მე მიყვარს მტრედებმა... შენ?

— მეც...

— მაგათ რომ იცოდნენ, ჩვენს სხევენზე სამტრედეთა...

— შეიძლება იციან და იმიტომაც მოფრინდნენ.

— მართლა?

— მე მგონი, ეგენი ჩემი ძმის მტრედებია.

— ნეტავი ეგრე იყოს... მე მოვეუვლიდი და დაეახვედრებდი.

— წამოდი, დავიმალეთ. იქნებ გადმოფრინდნენ ჩვენს სახურავზე. — ლევანმა ხელზე ხელი ჩაჰკიდა ნანას და წაიყვანა. ფეხქვეშ თუნუქი ხმაურობდა. სახურავის კიდესთან რომ მივიდნენ, ნანამ უთხრა:

— შენი დაქრილები დღეს არ ჩანან.

— ალბათ ქარის გამო ვერ აღებენ ფანჯრებს.

მათ მარცხნივ გაუხვიეს და ფრთხილად გაჰყენენ სახურავის კიდეს. ცდილობდნენ ისე გაეარათ, რომ თუნუქი არ ახმაურებულყო.

— რა საჭიროა ამდენი მათეულები.

— ზოგი ანტენისაა, ზოგი ელექტრონის, ზოგი ტელეფონის... ყველა საჭიროა.

— ცუდად წივიან.

— აქეთ უკვე ვეღარ დაგვინახვენ მტრედები.

— მოდი, ეზოში გადავიხედოთ.

— კარგი. გადავიხედოთ...

ეზოში გადახედვამდე მეზობლების კრიამული შემოესმათ. ლევანმა ხელი გაუშვა ნანას და ნაბიჯს აუჩქარა. კიდესთან მჩვიდა, შეჩერდა.

— მოიცადე, ლევან, შეშინია.

მესამე სართულის აივანზე მეზობლის ქალები ირეოდნენ. სწორედ ლევანის

კარის წინ ფუსფუსებდნენ ქალები. ნეტავი რა მოხდა?..

გაქრისხული

— ლევან, ხელი მომეცე!
ლევანმა ისე გაუწოდა ნანას ხელი, მისკენ არ მიუხედავს. მთელი გულისყური მესამე სართულის აივანისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

— რა ამბავია, ლევან?!

— არ ვიცი. — მერმე ლევანმა მეზობლის ქალს დაუძახა, — დეიდა ანეტა, რა მოხდა?!

დეიდა ანეტა ისე იყო გართული, თანაც ქალები ისე ყაყანებდნენ, ლევანის ხმა არ გაუგონია.

ლევანმა ახლა მეორე მეზობელს დაუძახა.

— დეიდა თამარ! დეიდა თამარ, რა მოხდა? გამაგებინეთ, რა მოხდა?!

— უფრო ხმამალლა დაუძახე, ლევან, რა დაგემართა, ხმა სულ ჩაგიწყდა.

— ქალბატონო ვერონიკა! ქალბატონო ვერონიკა!

— ბავშვებს დაუყვირე, ლევან, ბავშვები უფრო გაიგონებენ.

ეზოში ყოყინით დარბოდნენ ბავშვები. ხის თოფებით ერთმანეთს დასდევდნენ, უსაფრდებოდნენ, „ესროდნენ“, „ხოცავდნენ“...

— ზურაბი!.. ზურია!.. გესმის, ზურიკო? აქეთ, ზემოთ ამოიხედე!

ბავშვებმა შესწყვიტეს ომობანას თამაში და აივნებისკენ დაიწყეს ყურება. ლევანმა ხელი დაუქნია და დაუძახა — უფრო ზევით ამოიხედეთო! ბიჭებმა გაოცებისაგან პირი დააღეს. როცა ლევანი და ნანა სახურავზე დაინახეს.

— ბიჭებო, რა ამბავია იქ, რა მოხდა? ზურია მესამე სართულისკენ ხელი გაიშვირა და რალაცა თქვა, მაგრამ სახურავზე ვერ გაიგონეს.

— რა საშინლად წივიან მათეულები!

— უფრო ხმამალლა, ზურია!

— შენი ძმა... — დანარჩენი სიტყვები ქარმა გაიტაცა და მათეულების წივილში დაჰკარგა.

— რა, ჩემი ძმა?!

რამდენიმე ბიჭმა ერთხმად დამარცვლა:

— შე-ნი ძმა და-ი-ლუ-პა!
მერმე ზურამ ერთი ნაბიჯი გად-
მოღვა წინ და ამაყად ასძახა ლევანს:

— გმირულად!

ლევანს თვალები დაუბნელდა, დაბარ-
ბაცდა. ნანამ ხელი შეაშველა.

უძრავი ღრუბლები ცაზე უეცრად
აირიგნენ და მალა, სულ მალა, უსას-
რულობისკენ გაქანდნენ. ქარმა დედამი-
წიდან მტვერი ახვეტა და ღრუბლებს
დაადევნა წივილით...

როდესაც ლევანი გონს მოეგო და
თვალები გაახილა, ცას ახედდა: უძრავი,
ნაცრისფერი ღრუბლები მძიმედ აწვა

მესამე კვირა დღე

— დილიდან წვიმს, — თქვა ნანამ.
— ჰო წვიმს... ახლა დაიწყება წვიმი-
ანი დღეები.

— აცივდა კიდეც... პალტო გაქვს?

— მაქვს... დამიბატარავდა, მაგრამ
არა უშავს რა, ამ ზამთარს როგორმე
გავატარებ.

— მე ძველი პალტო გადავებრუნე.

— როდის ისწავლე კერვა.

— დიდი ხანი არ არის... მაჩვენე
შენი პალტო, იქნებ გამოსაშვები ჰქონ-
დეს...

— შეიძლება პალტოს ჩაცმა არც
დამჭირდეს.

— რატომ? თბილი ზამთარი იქნება?

— არა.

— მაშ?

— რა ვიცი, ისე ვთქვი, სხვათაშორის.
ვიწრო სარკმლიდან დაღრუბლული
სივრცე მოჩანდა, ნაცრისფერი, დაძენ-
ილი ღრუბლები ნოტიო ჩერებვით
ვკიდა ცაზე.

ისინი სარკმელთან იდგნენ და გარეთ
იხედებოდნენ. კრამიტზე წვიმის წვეთე-
ბი ხმაურობდა, მერმე თავს იყრიდა თუ-
ნუქის ღარში და წვიმის წყალი ნაკადუ-
ლივით გარბოდა ქაფმორეული.

— ლევან... დაიწყო ნანამ, მაგრამ
გაჩუმდა და ჩაფიქრდა, — მე ვიცი, შენ
სულელი გოგო გგონივარ... ალბათ გა-
ვეცინება, რომ ვითხრა.

ქალაქს. ეზოში კი სახეაწითლებული,
აღზნებული ბავშვები ერთმანეთს დას-
დევენენ, უსაფრთხოოდ წინ წინს თო-
ფებს ესროდნენ... ყოველი მათგანი
ალბათ ცდილობდა, თუ დაილუბებოდა,
გმირულად დალუბულიყო.

ნანა და ლევანი სახურავზე აღარ
გაჩერებულან, ვიწრო სარკმელიდან
სხვენზე გადავიდნენ. სხვენზე თბილო-
და და არც ქარი ქროდა.

ნანამ წელი ლულუნი გაიგონა და სამ-
ტრედისკენ მიიხედა.

— მტრედები მოფრენილან... —
თითქმის ჩურჩულით თქვა მან.

— მითხარი. რატომ გგონია, გამეცი-
ნება.

— გყვარებია ვინმე? — ნანას ლევანს.
მა პასუხი დაუგვიანა და გათფიქრა,
ალბათ ვერ გამოიგო რას ვეკითხებო.
ამიტომ დაუმბატა, — მშობლებზე არ
გეკითხები, არც... ნათესავებზე..

— ვიცი, რასაც შეკითხები, — ლე-
ვანმა პაპიროსი ამოიღო და გააბოლა.

— შენ რა, პაპიროსს ეწვევი?

— ისე... ხანდახან გავაბოლებ ხოლ-
მე.

— მე მიყვარს, ბიჭები რომ პაპიროსს
წვდენ... ლევან, მითხარი რა, გყვარებია
ვინმე?

— არა... შენა?

— არც მე... შენ თუ ყვარებიხარ
ვისმე?

— არა მგონია... ყოველშემთხვევაში
ჩემთვის არავის უთქვამს... რატომ შე-
კითხები?

— გუშინწინ სკოლიდან ვბრუნდებო-
დი... ვსაკო შემხვდა და გამომაცოლა.

— დიდი რამე! — გამოგაცილა.

— მითხრა, კვირას კინოში წავიდე-
ოთ.

— დღეს უნდა წახვიდეო?

— ჰო, ასე თქვა.

— შენ რა უთხარი?

— არა მცალია-მეთქი.

— იმან რა ვითხრა?

— მერმე კინო აღარ უხსენებია... მითხრა, წენისთანა გოგო ქარხანაში არ უნდა მუშაობდესო.

— მაშ როგორი გოგო უნდა მუშაობდესო?

— ეგ არ უთქვამს.

ლევანმა წვიპურტით გაისროლა ქუჩაში პაპიროსი და სამტრედისკენ წავიდა.

მტრედები პურის ნამცეცებს კენკავდნენ.

— მე დედას ვუამბე ყველაფერი, — მოესმა ლევანს ნანას ხმა. — დედამ არც გუშინ, არც დღეს არ გამიშვა პურზე — მე თვითონ მოვიტანო.

ლევანმა ჯიბეში ხელები ჩაიწყო და მობრუნდა.

— შენ გგონია, ვასიკოს უყვარხარ?... თუმცა რა, შეიძლება უყვარდე კიდევ.

— რა ვიცი... ის ოთხი წლით უფროსია ჩემზე. განა შეიძლება ოთხი წლით უფროს შეუყვარდე, ანდა შენ შეგიყვარდეს ოთხი წლით უფროსი?

ქუჩიდან მწყობრი ნაბიჯების ხმა მოისმა. ლევანმა მიაყურა, მერმე სარკმელთან მივიდა და გაყუჩდა.

ერთი,

ორი

სამი...

ნაბიჯების ხმა აქ უფრო მკაფიოდ მოისმოდა.

ლევანი სახურავზე გადავიდა, პარაპეტს დაეყრდნო ცალი ხელით და ქუჩას ჩახედა.

— ლევან, დასველდები, — მიამახა ნანამ.

ჯარისკაცები წვიმაში მოდიოდნენ. მოდიოდნენ თავითფეხამდე გაწეწულნი. წვიმის ფრთა სახეში სცემდა, შემოდგომის ცივი წვიმა, ჯარისკაცები კი მოაბიჯებდნენ მწყობრად, მკაცრად. მოდიოდნენ სახემოდუშულნი, დაუსრულებლად მოდიოდნენ.

ერთი,

ორი,

სამი...

ნაბიჯების ხმაურმა აავსო მთელი ქუჩა, ნაბიჯების ხმამ ამოავსო ქუჩის

ყველა კუნძული... დედამიწაზე მხოლოდ ნაბიჯების ხმა ისმოდა.

ზედიხედ იღებოდა ფანჯრები და თვალბადქცეული ადამიანები ისე დებოდნენ ქუჩაში. ჯარისკაცები კი მიაბიჯებდნენ სველ ქვაფენილზე, მიაბიჯებდნენ გუბეებში, შემოდგომის ცივი წვიმა ესხმებოდათ თავზე, სახეზე, მხრებზე... მანქანები, ეტლები, ფორნები, ეტლებოდნენ გზიდან. ასე მიდიოდნენ დაუსრულებლად, მოდიოდნენ და მათთვის არ არსებობდა არც გუბეები არც წვიმა. არაფერი არ არსებობდა მათთვის გარდა გზისა, შორი და მკაცრი გზისა.

ერთი,

ორი,

სამი...

ერთი,

ორი,

სამი...

მერმე თანდათან მიილია ეს ხმა, მიიხურა ფანჯრები და ოთახებში შეომალნენ თვალბადქცეული ადამიანები...

— შემოდი, დასველდები! — კიდეც ერთხელ გასძახა ნანამ.

ლევანი სახურავიდან სხევენზე ჩამოხტა. სველი ტანისამოსი ხელით დაიბერტყა, თავი გაიქნია, სახიდან და თმიდან წვიმის წვეთები რომ მოეცილებინა.

— ცხვირსახოცით შეიმშრალე, — უთხრა ნანამ.

ლევანმა ამოდ მოიჩხრიკა ჯიბეები. ნანამ სახელოდან გამოაძრო ყვავილეებით დაწინწკლული პატარა ცხვირსახოცი და ლევანს მიუახლოვდა.

— ეს რა არის, ამით როგორ უნდა შევიმშრალო?! — გაიცინა ლევანმა.

ნანამ გაშვერილი ხელი ცივად წაიღო უკან და ლევანს ზურგი შეაქცია.

— რა ცუდი ბიჭი ხარ, ლევან... მე სულ ვცდილობ, რაღაც გაგიკეთო...

— კარგი, მომეცი... შევიმშრალე.

— აღარ მოგცემ!

— როგორც გინდა...

— შენ ლაპარაკსაც კი მიშლი... მინდა გელაპარაკო და შენი მეშინია.

— ეს პირველ კვირას იყო... თუმცა

არც მაშინ დამიშლია, მხოლოდ გითხარია...

— ხანდახან მინდა ცოტათი, სულ ცოტათი სხვანაირი ვიყო, შენ კი... უპ!

— შენ გინდა, მეტიჩარა იყო?

— პირველად რომ ამოვედი სახურავზე, ვიყვირე: „ვაიჩე გადავარდები-მეთქი“. შენ, იმის მაგივრად, რომ ხელი შეგეშველებინა, მითხარი: (აქ ხმა დაიბოხა ნანამ) თუ გადახტები, თორემ ისე აქედან არ გადავარდებიო... მე სულ არ მინდა, მეტიჩარა ვიყო, მაგრამ... ყველა გოგო ასე იქცევა. წესიერი ბიჭები კი შენ არ გგვანან... სხვანაირები არიან.

ნანა, ლევანისკენ ზურგიით იდგა. ცოტა მოშორებით პატარა გუბე დაინახა. კრამიტებს შორის წვიმა ეონავდა, მსხვილი წვეთები ტკაპუნით ეცემოდა იატაკს. ნანა გუბესთან მივიდა და წვეთებს პეშვი შეუშვირა.

— ლევან, ჩქარა მოიტანე რამე, მეზობლებს წყალი ჩაუვთ, ჰერი ჩაენგრევათ.

ლევანი დაფაცურდა. ბნელი კუნძულიდან ძველი ვედრო გამოათრია და ფსკერს სინათლეზე გახედა, მერმე ნანას მიურბენინა.

წვიმის წვეთები ახლა ვედროს ფსკერზე ატკაპუნდა.

ერთხანს ორივენი დუმდნენ. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ლევანი ფეხაკრეფილი დადიოდა წინ და უკან. ხანდახან შეჩერდებოდა, დახედავდა მტრედებს, რომლებსაც ბუდიდან თავები გამოიყუთ და მშვიდად ლულუნებდნენ.

ნანაც სამტრედესკენ მიბრუნდა და ყური მიუგდო მტრედების ლულუნს, ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა:

— ვერ წარმომიდგენია თუ ქვეყანაზე ახლა ომია...

— თუ ინგრევა ქალაქები, თუ ადამიანები კვდებიან...

— ნეტავი როდის დამთავრდება ომი.

— ზოგისთვის უკვე დამთავრდა.

— ეგ როგორ?

— ჩემი ძმისთვის ომი აღარ არსებობს... არაფერი აღარ არსებობს მისთვის. დედაჩემი დღედაღამ ტირის.

— განა ასე ადვილად კვდებიან ადამიანები?

— შენ რა იცი, ადვილად კვდებიან, თუ ძნელად.

— ეგ, რა თქმა უნდა, არ ვიცი, მაგრამ — არ მინდა დაეიჯერო, რომ ადამიანები ასე ადვილად კვდებიან. გუშინ ალგებრის გაკვეთილზე იმდენი ვიფიქრე, რომ ნათლადაც კი წარმოვიდგინე: თითქოს ჩვენ ისევე სახურავზე ვსხედვართ, აი, ისე, როგორც იმ კვირას. შენ უკებ მოგინდება დაჭრილებთან საუბარი. წამოდგები და საუბარს გაუბამ ხელების ქნევით. ამ დროს ფანჯარას შესამე დაჭრილი მოუახლოვდება. შენ აკვირდები იმ მესამეს, დიდხანს აკვირდები და უკებ ფითრდები. ათრთოლებული ხმით მეუბნები: „ნანა, მოდი აქ“. მე მოვდივარ. „შეხედე იმ თვალბახვეულს, კარგად დააკვირდი!“ მეც ვაკვირდები და მთელს ტანში ყრუანტელი მივლის, ვკანკალებ. შენ მეკითხები: „რატომ კანკალებ, ნანა, რა გემართება?“ მე კი ვყვირი, მთელი ხმით ვყვირი: „ლევან, ნამდვილად ის არის! ის ვერაფერს ხედავს, თვალები აქვს ახვეული. მან არ იცის რომელ ქუჩაზეა, რომელ შენობაში! ლევან, ის ნამდვილად შენი ძმაა!.. წავიდეთ ჩქარა!“

ლევანს უცნაური ღიმილით გაუნათდა სახე, ხალათის სახელოთი მოიწმინდა თვალებზე მომდგარი ცრემლი.

— ნანა... — სათქმელი ვეღარ დაამთავრა ლევანმა და სარკმელს მიეყრდნო მეკრდით.

— ალგებრის მასწავლებელმა მკითხა, — რა გატარებსო, მე ვუამბე ის, რაც ახლა შენ მოგიყევი. მან კი დაფასთან გამიძახა. გაკვეთილი გამომკითხა და... ორიანი დამიწერა.

სხვენზე დუმილი ჩამოვარდა.

სახურავზე წვიმა ხმაურობდა.

ნანა ფეხაკრეფილი მიუახლოვდა ლევანს და მხარზე ფრთხილად შეახო ხელი.

— შენ არ გაფიქრია ასეთი რამ?

— არა. მე სულ ვცდილობ, წარმოვიდგინო, როგორ მოჰკლეს ჩემი ძმა, რა გაიფიქრა სიკვდილის წინ ან მოასწრო კი გაფიქრება?...

ისინი სარკმელთან მიუყუებული იდგნენ და ნოტიო სივრცეს გასცქეროდნენ.

ლევანი მხარზე გრძნობდა პაწაწინა, მსუბუქსა და თბილ ხელს და უხაროდა. ამ ხელიდან მის სხეულში იღვრებოდა უცხო და უცნაური, ჯერ კიდევ განუცდელი სითბო. ეს პაწაწინა, მსუბუქი ხელი იმედოვნით იყო.

ნანა დუმდა. მას აღარ უნდოდა ლა-

პარაკი, არც „წამეტიჩრების“ სურველი ჰქონდა.

— წვიმს, — თქვა ლევანმა.

— ჰო, წვიმს.

— როგორი დარიქი ექნება ნეტავი დღეისწორს?

— ალბათ კარგი.

— დიდი დროა დღეისწორამდე — მთელი კვირაა... როგორ მინდა მალე გავიდეს ეს კვირა.

ჰოსპიტლის იქით ფერდობზე შეფენილი სახლები მოჩანდა. მოჩანდა ცისფრად შეღებილი აივნები, შუშაბანდები, აგურის ყრუ კედლები, კრამიტის და თუნუქის სველი სახურავები.

ქალაქს აწვიმდა.

ეს იყო შემოდგომის მოსაწყენი წვიმა.

მომთხე კვირა დღე

ნანამ მტრედებს პურის ნამცეცები დაუყარა და ვიწრო სარკმლიდან სახურავზე გადავიდა. იქ ლევანი ეგულებოდა, მაგრამ ლევანის ნაცვლად კრამიტებზე მოკალათებული ორი მუზობლის ქალი დახვდა. ნაცრისფერ შალებში შეფუთულმა ქალებმა წყენით რაღაც ჩაიბუტბუტეს და წავიდნენ. მგონი, დაგვიანება უსაყვედურეს ნანას.

ცა მაღალი იყო. ჰაერი სუფთა და გამჭვირვალე. ასეთი მაღალი მხოლოდ შემოდგომის უღრუბლო ცაა...

ნანას უხაროდა, რომ დარბა გაუმართლა.

ჰოსპიტლის რამდენიმე ფანჯარა ღია იყო, მაგრამ დაჭრილები არ ჩანდნენ. ნანა ორივე ხელით დაეყრდნო პარაპეტს და ქუჩას ჩახვდა. ქუჩაში სანიტარული მანქანა იდგა. თეთრხალათიანებს ალაყაფში დაჭრილები შეჰყავდათ საკაცებით. მანქანის გარშემო ხალხი ირეოდა. ყველა ცდილობდა დაჭრილის სახე დაენახა, მილიციელი კი გზას უღობავდა და ახლოს არავის უშვებდა.

მალე სანიტარული მანქანა წავიდა.

ალაყაფის კარი მიიხურა და ხალხი დაიშალა.

ქუჩაში ახლა მარტო მაღალი ჰადრები იდგა. ჰადრებს აქა-იქ მორტუხო-მოყვითალო ფოთლები შემორჩენოდა. ფოთოლი ნიავის უბრალო რხევავეც კი წყდებოდა და ტრიალ-ტრიალით ეშვებოდა ქვაფენილზე.

პატარა სკვერში, რომელიც სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის ყრუ კედელს ეკვროდა, მეფხოვემ ფოთლების შეავს ცეცხლი წაუკიდა. რძისფერი კვამლი ქუჩაში დატრიალდა. ნეშოს სუნმა სახურავამდეც კი მოაღწია... ნანამ გაიღიმა... ასე იყო მუდამ... ომამდეც ასე იყო — ამ სუნით გრძნობდა შემოდგომას.

ნანამ მზეს მიუშვირა სახე და თვალები დახუჭა... თბილი სხივები სასიამოდ ელამუნებოდა სახეს და ყელს... ნანამ უცებ გაიფიქრა, რა საოცარია შემოდგომის მზე, ასეთი სითბო გაზაფხულზე კვირტებს აფეთქებს, ახლა კი ფოთოლცვენა ვერ შეუჩერებია. მერმე ეს აზრი მოეწონა, ფიქრში რამ-

დენჯერზე გაიმეორა და დაიმბახსოვრა. ნანასთვის ეს პირველი აღმოჩენა იყო ბუნების ერთ-ერთი საიდუმლოსი და გული უცნაური სიხარულით აუჩქროლდა. გადაწყვიტა ლევანი მოვიდოდა თუ არა, მაშინვე ეთქვა:

— ლევან, შემოდგომის შზე რა გინდობილი არ იყოს, ფოთოლცვენას ვერ შეაჩერებს...

მაგრამ ლევანი იგვიანებდა...

ჰოსპიტლის ფანჯარა ის ლევანის ნაცნობი დაპრილები მოადგნენ, სახურავს ამოხედეს და რაფაზე ჩამოსხდნენ.

ნანა მათ არ იცნობდა და არც არასოდეს მისალმებია. ახლა კი რატომღაც მოუხდა შისალმებოდა. მორიდებით გაუღიმა და თავი დაუკრა.

დაპრილები სწრაფად ჩამოხტნენ ფანჯარის რაფიდან და მოულოდნელი მოკრძალებით მიესალმნენ.

ნანამ ახლა უფრო გაბედულად დაუქრა თავი.

— როგორა ხართო? — ჰკითხეს ნანას ჰოსპიტლის ფანჯრიდან.

ნანამ ანიშნა — გმადლობთო... თქვენ თეთონ როგორ ბრძანდებითო?

მერმე დაპრილებმა გადაუხადეს მადლობა და დასძინეს — მალე გავეწერებითო.

ნანამ გაუღიმა — როცა გაეწერებოთ, ჩვენთან მობრძანდითო.

მერმე ჰოსპიტლის ფანჯრიდან მიუგეს — აუცილებლადო.

ნანა და დაპრილები ერთხანს უსიტყვოდ უღიმოდნენ ერთმანეთს, მერმე იმათ იკითხეს — თქვენი მეგობარი სად არისო?

ნანამ მხრები აიჩეჩა — არ ვიცი... მეც იმას ველოდებო...

ამ დროს სარკმლიდან მტრედები გამოფრინდნენ და ცაში აიჭრნენ... ნანამ მტრედებს გააყოლა თვალი და დაპრილებს ანიშნა — მგონი მოვიდაო, თან სარკმელისკენ წავიდა.

სარკმელში ვასიკომ გამოჰყო თავი.

ნანა უცებ შეჩერდა და გაოცებული ბიაშტერდა. ვასიკოს გამოჩენა მოულო-

დნელი იყო და იმიტომ გაუკვირდა. თორემ წყენით — არ სწყენია.

— შენა ხარ, ვასიკო? — ჰკითხა და მზიარულად დაუმატა. — ამოდი.

ვასიკო სახურავზე ამოვიდა, იგი თითქმის ლევანის სიმაღლისა იყო, მაგრამ უფრო ჩახსმული და ქალივით პირმრგვალი. შავ, ხუჭუჭ თმაზე, აბლაბულა მოსდებოდა.

ვასიკო პარაპეტზე ჩამოჯდა და იქაურობა გულისყურით შოათვლიერა... ალბათ გლეხები ასე ათვალერებდნენ ოდესღაც მიწას, რომელსაც ყიდულობდნენ.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა მან ნანას.

— ცას ვუთვალთვალე.

— მარტო?

— არა. მე და ლევანი ვმორიგეობთ.

— ლევანი?

— ჰო... რატომ მეკითხები?

— ისე, ჰურის საყიდლად აღარ დადიხარ და ვფიქრობდი: სად დაიკარგამეთქი? შენ თურმე საქმე გაგჩენია... ლევანიც უთვალთვალეზდა ცას?

— ჰო... აქ ისე კარგია... ისე კარგი... აი, ახლა მოვა ლევანი...

— ლევანი როგორ მოვა?

— როგორ და... როგორც შენ მოხვედი. — გაიციხა ნანამ.

— სახლმმართველმა მე ამომგზავნა ლევანის მაგივრად. ვითომ არ იცი, ლევანი რომ ჯარში გაიწვიეს?

ნანას უნდოდა რაღაც ეთქვა და ვერ მოახერხა. გაფითრდა. ტუჩები აუთროლოდა.

— მართლა არ იცოდინ?

ნანამ დიდი თაფლისფერი თვალეში შეანათა ვასიკოს და მიხვდა: ვასიკო არ ხუმრობდა, არც ტყუოდა. თხელი. სუსტი ხელეში აიფარა თვალეზზე და ატირდა.

— რა გატირებს? — ჰკითხა ვასიკომ და გაიღიმა. — შენი ძმა იყო, თუ ბიძაშვილი?

— როდის წავიდა? — ისე იკითხა ნა-

ნამ, სახიდან ხელები არ მოუშორებია.
— მგონი გუშინ.

ნანას უცებ გაახსენდა, გუშინ სკოლის დარაჯმა უთხრა — ვილაც ჯარისკაცი გკითხულობდაო. ნანას ეგონა, სხვაში შევეცვალეო და მეორე წუთს აღარც ახსოვდა დარაჯის ნათქვამი. ახლა მიხვდა: ის ჯარისკაცი ლევანი იყო, სკოლაში მიირბინა გამოსამშვიდობებლად, მაგრამ ნანა ვერ ნახა. ალბათ დრო არ ჰქონდა და გაკეთილის დამთავრებას ვერ დაუტოვდა. დედამ მაინც რად დაუშალა? ხომ იცოდა, ლევანი რომ ჯარში გაიწვიეს? რა თქმა უნდა იცოდა და პირს ამიტომ არიდებდა, ამიტომ სდუმდა... ჰო, ამიტომ სდუმდა.

— აქ სხვანაირად ყოფილა საქმე.

ნანამ ვერ გაიგონა ნათქვამი, სახიდან ხელები მოიშორა და ცრემლიანი თვალებით შეხვდა ვასიკოს.

— რა სთქვი? — შეეკითხა გაბზარული ხმით.

— არაფერი... აქ სხვანაირად ყოფილა-მეთქი საქმე...

— რა საქმე?

ვასიკო უკან გადაიწია, სხვენში შეიხედა და თქვა:

— სხვენზე თურმე ბნელა.

— მერმე?

— მერმე ისა, რომ ბნელი სხვენი მაინც ბნელია. — ვასიკო მიუახლოვდა ნანას და მხარზე ხელი მოხვია. — ნუ ტირი, ასე ხდება ხოლმე.

— შენ არ იცი, ვასიკო... — ნანას ცრემლები წასკდა ისევ და სათქმელი ვერ დაასრულა.

— როგორ არ ვიცი... რა არის ისეთი, მე რომ არ ვიცოდე ან არ ვხვდებოდე...

ნანა უცებ ღონიერ მკლავებში მოექცა და ყელზე ცხელი ტუჩების შეხება იგრძნო, ამაოდ სცადა გაბრძოლება, მკლავები მარწუხებივით მოექდო სხეულზე და განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

— ნანა, ნუ გეშინია, — ეჩურჩულებოდა ვასიკო, თან სახეს უკოცნიდა, — ნუ გეშინია...

ნანა ცდილობდა სახე მოერიდებინა

სველი ტუჩებისათვის, იბრძოდა, იგრიხებოდა, იქნებ როგორმე დაუსხლტეო.

ამ დროს ყვირილი და სტევენა შემოესმათ. ნანამ იგრძნო, როგორ შეერთა ვასიკო და ხელები როგორ შეუშვა უცებ.

ნანას მუხლები მოეკვეთა, ჩაიკეცა, პარაპეტს მკლავებით დაეყრდნო და აქვითინდა.

ვასიკომ კი უნებურად გაიხედა იქით, საიდანაც ყვირილი და სტევენა ისმოდა. პოსპიტლის ფანჯრიდან დაჭრილები მუშტებს უქნევდნენ, უყვიროდნენ, ავინებდნენ. ერთმა ფანჯრიდან ყავარჯენი ვადმოყო და პაერში დაატრიალა — ამით გაგიხეთქე თავსო!

— დამცველებიც გყოლია!

ნანას პასუხი არ გაუცია, არც ჰქონდა პასუხის გაცემის თავი. სუსტი მხრები უთრთოდა, ავურის პარაპეტს დამხოზილი უხმოდ ტირიდა.

— შენ და ლევანი ხომ კატებივით დამლიგივებდით სხვენზე. ბნელ კუნჭულებში დაჭრებოდით, ღლაბუცობდით და ეშმაკმა იცის, რას აკეთებდით...

— ახლავე წადი აქედან! — ნანა უცებ წამოდგა და მთრთოლვარე ხმით უთხრა. თვალები ჯერ კიდევ ცრემლით ჰქონდა სავსე. — ახლავე წადი!

პოსპიტლის ფანჯარაში დაჭრილები არ ცხრებოდნენ... ისევ იქნევდნენ მუშტებს, პაერში ისევ ტრიალებდა ხის ყავარჯენი.

— ზედმეტ პურს როცა გაძლევდი, ხომ კარგად მიგქონდა! — წაილულულედა ვასიკომ.

— შენ მაძლევდი ზედმეტ პურს?! როდის?! მე არ ვიცოდი... რატომ მაძლევდი მერმე, რატომ მაძლევდი?! რატომ მაძლევდი?!

ნანამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ვასიკოსაკენ.. მაგრამ ვასიკო სარკმელში გაჭერა და სხვენის სიბნელეში გაუჩინარდა.

პოსპიტლიდან ყვირინა შეწყდა. დაჭრილები უღიმოდნენ ნანას, უღიმოდნენ უზადოდ, იმედიანად. ნანასაც გაეხსნა

გული და ნელა, სულ ნელა წავიდა სახურავის კუთხისაკენ — აქედან უფრო ახლოს ჩანდნენ დაჭრილები.

შენი მეგობარი რატომ არ მოდისო? — ჰკითხეს ჰოსპიტლის ფანჯრიდან.

ომში წავიდაო. — უპასუხა ნანამ.

ნუ გეშინია, — ანუ გეშეს დაჭრილებმა. — ჩვენც ვიყავითო ომში, — მაგრამ დაჭრილებს კეთილი ღიმილი უცებ შეაცივდათ სახეზე, ფანჯრის რაფიდან ჩამოხტნენ და წავიდნენ.

ფანჯარას მოწყალების და მოადგა. ქუჩას გადახედა. თავი წყრომით გააქნია და ფანჯრები მიხურა.

პატარა სკვერში ფოთლების შვავი ისევ ბოლავდა. რძისფერი კვამლი ნელა ირწყოდა და დამწვარი ნეშოს სუნი შენობის სახურავებამდე აღწევდა...

სუსტი, სახეგაცრეცილი გოგონა დიდხანს იდგა სახურავზე. დიდი, თაფლისფერი თვლებით მისჩერებოდა ფანჯარას, რომელიც ბრაზიანმა მოწყალების დამ ახლახან მიხურა.

...ფანჯარა კი ისევ გაიღო...

ჩაფაზე შავგვრემანი ბიჭი შემოჯდა და სახურავზე მდგარ გოგონას გაუცინა.

— როგორა ხარ, ნანა?

— კარგად. შენ?

— მე არა მიშავს რა.

— კრილობა ისევ გაწუხებებს?

— არა.

— ხომ არ იცი, როდის გაგწერენ?

— მალე.

— როდის იქნება ეს „მალე“?

— მალე. დღეისწორ კვირასაც ხომ მოხვალ?

— აუცილებლად. ოღონდ შენ ნუღარ დაიგვიანებ.

— განა მე ვიგვიანებ?

— რა თქმა უნდა, იგვიანებ... დღეს რამდენი გელოდე.

— ყოველთვის დროზე მოვალ ფანჯარასთან. შენც დროზე, ამოდი სახურავზე.

— კარგი.

— ნანა.

— რა?

— რატომ თბილად არ გაცვია, ახლა შემოდგომაა.

— ჰო, ახლა შემოდგომაა. ლევან, შემოდგომის მზე რა გინდ თბილი არ იყოს, ფოთოლცვენას ვერ შეაჩერებს...

ნანა ფრთების ფარფატმა გამოარკვია. ცრემლი მოიწმინდა და ნათელი ღიმილით გაიღიმა.

ჰოსპიტლის ყველა ფანჯარა დახურული იყო...

სახურავზე მტრედები დაფრინდნენ...

გრიგორ ცხესიძე



კახეთში

ზვარი, ზვარი, ყველგან ზვარი.
ზღვა არის თუ ზვარებია!?
ეს კახეთის მთა და ბარი
ედემს შესადარებია!

ალაზნაზე ხანძარივით,
ოქროს ცეცხლი მზემ დაანთო.
ალავერდის ტაძარივით,
სული ცისკენ მინავარდობს.

გაიხარე, გაიხარე!
თვით ბუნება ამას ამბობს.
პურისა და ვაზის მხარეს
ვაქვაცური შრომა ამკობს.

აღმართულა ბახტრიონი
ძეგლი ლომ-გულ წინაპართა...
მომდევს ფიქრთა მაყრიონი,
გული მღერის ყველა ზვართან.

მემოზრეპს

მე თქვენ მომმართავთ ღიმილით:
— „შენა ხარ ბედნიერი!
არეის აწუხებ ჩივილით,
არც ვის მტრობ, არც გყავს მტერი!

წერე წყობილი შაირი,
ფერად-ფერადი წრფელი.
კარგია ასეთნაირი
ცხოვრება უდარდელი!..“

და თქვენს ღიმილზე ღიმილით
მეც გიპასუხებთ ხშირად;

თუმც ხან მაწუხებს ტკივილი,
ღიმილი მიღირს ძვირად.

ჩვენს დიად დროშიც სანამ
გულბოროტ კაცებს ვხვდები.
მე და ისინი კანა
არ უნდა ვიყოთ მტრები?..

ნუ ფიქრობთ დარდიმანდი ვარ,
უმტროსაც ნუ მეძახით! —
მტრების ჯინაზე დავდივარ
მე უდარდელი სახით.

ბედნიერებას დააფუძნდა ჩემი სხეული

მკლავი მომხვია მოგონებამ,
ალერსით მათრობს,
ბედნიერებამ დაამშვიდა
ჩემი სხეული...

რა მიაშიტად შეეხაროდით ჩვენ
ლამის მნათობს,
ერთი სურვილით,
ერთ არსებად გადაქცეულნი.

როგორი ნდობით მივენდევით
ჩვენ ბედისწერას!
რა გულუბრყვილო იყო მუზა
დაუზარელი!

რა გაბედულად გაისმოდა
სიშების ქღერა...
რა კარგი იყო
სიკაბუეის დრო საყვარელი!...

რალა კაცი ხარ



საქართველოს
მწიგნობართა კავშირი

რალა კაცი ხარ,
მეგობარი თუ არ გყოლია?
თუ შენს ოცნებას არ ამშვენებს
სამშობლო მხარე?
სატრფოზე ფიქრი
თუ სიზმარში არ ჩაგყოლია?
მშობლის სიყვარულს, სათუთ გულით,
თუ არ ატარებ?

თუ შეილისათვის
ტყვიას შენს მკერდს არ ააფარებ?..
არც სიხარული განგიცდია,
არც ცრემლი ცხარე?!
შენ, ფიტულივით, თუნდაც მირჩე.
თუნდაც აღარა. —
პატივსაცემი რით იქნება
შენი ჳალარა?!.



შვირთხ ხალხები



გ ე მ შ ი

არ ჩამოვუშვით ღამე ფარდები,
ძილის წინ ზვირთთა მშვერა გვიამა,
ქარმა ზღვას ნისლის თმა სამართებლით
გადაპარსა და გაანიავა.

მშვიდად გაეხედეთ გრიგალს
მოვარდნილს,
შორს იდგა ზეცის ბნელი კიდური,

იქ წერტილივით ჩანდა ხომალდი
ვარსკვლავის სხივზე ჩამოკიდული.

ამ სხივმა ჩემსკენ გაღმობიარა
აღმათ მილიონ ტალღის მალღობი
და გახსნა გულში, როგორც იარა,
გრძნობა სიშორის და სიახლოვის.

მშვიდობა

დედამიწას დედასავით
თაგზე ადგეს მშვიდობა,
შორს წაიღე, ქარიშხალო,
შენი უამინდობა!

დაე, ქვეყნად დაიღწეოს
სიძულვილის მეფობა,
ჩემი კარი ღია არი, —
ელოდება მეგობარს.

გემის გასვლა

დაღამებისას სველმა ნიავემა
ნაპირებს რუხი ნისლი მოხვია,
შორიდან მოსულ დაღლილ გრიალით
დგანან გემები და იცოხნიან.

ქუჩა სინათლის ბადეთა- გაშლით
ნაცნობ ხომალდებს ეხმაურება

და ზღვაში, როგორც თავის ოჯახში,
კვლავ ბრუნდებიან მეზღვაურები.

ზვირთთა ერუანტელს გრძნობენ
საგნები,
ნავთსადგურს გემი ნელა შორდება,
და ჩვენს კაპიტანს თვალის ჩაქნევით
შორი უუქუჩა ემშვიდობება.

ჩემი ვარსკვლავი

ღამეში ერთი თეთრი ვარსკვლავი
მოვა, დაჯდება ჩემს ფანჯარაზე
და მოცახცახე სხივთა თაკარით
ძილის წინ ფიქრებს გამილამაზებს.

მე ბავშვობიდან ვიცნობდი იმას,
ბევრ საიდუმლოს ვეუბნებოდი,
ქვეშ დავიგებდი გადამბალ თივას,
ოცნებით ზეცას ვეუფლებოდი.

ის იყო ჩემი დიდება თითქოს,
ის იყო ჩემი სიცოცხლის ღელვა,
შურით ვუმზერდი ვარსკვლავებს
დიდრონს,

ადამიანი მეგონა ყველა.
პატარა ჰქონდა ჩემსას სინათლე,
ძლივს ენთო ვარსკვლავებთან
კარგებთან,
მაგრამ ვიცოდი ცის სიდიადე
უმისოდ მაინც არ ივარგებდა.



ქ ვ ა

ქვა არის მუნჯი და ბევრისმთქმელი.
მე მის დუმბილში ისევ ვიშოვე
გაქვავებული ქარი ცისფერი
და ახლობელთა ცივი სიშორე.

ის ჩემზე უფრო არის გულთბილი, —
მამის საფლავთან ზის დაღონებით...

ავერ ძარღვიან ხელით დათლილი
ქალაქში მიაქვთ ქვა ვაგონებით.

სიკვდილ-სიცოცხლის ძველი მცველია
და წუთისოფლის მყარი ადგილი...
ქვეყნად ბევრი რამ მართლაც ძნელია,
ქვად ყოფნა განა არის ადვილი!...



მარგალიტა

ჩვენი ერთმა ხნიერმა კაცმა ახალგაზრდა ქალი მოიყვანა ცოლად. იმ კაცს ათანასე ჰქვია სახელად. სახლი ზედ ციფწყალას თავზე უდგას, ჩემი ჭიშკრიდან თორმეტიოდე საყენის დაშორებით.

ჩვენებური სახლების ამბავი მოგვხსენებთ, — კაცის სამსხო ძელებისგან არის შეკრული, მაგრამ სინათლე და ქარი მაინც თავისუფლად ატანს კედლებში, ასე რომ, რაც მეზობლის ოჯახში ხდება, ისე გვისმის, ვითომ შესს ეზოში ხდებოდეს. ათანასეს ეზოში ერთი მამაპაპეული კაკალი უდგას, — სამი კაცი რომ ხელებს ვერ შემოაწვდენს, ისეთი. თუ რაიმეს ვერ ვხედავ იმის ეზოში, ამ ნიგვზის წყალობითაა მოსმენას კი ვერც ეს ნიგოზი მიშლის. თუ ვიკადრებ და ყურს დავუგდებ, იმ ოჯახის საიდუმლოებანი ისევე მეცოდინება, როგორც საკუთარი.

იმათი ხელისმომწერის პირველი დღეები სალაპარაკოდ არცა ღირს. იმ ხანებში მე ცოლი გაეფრთხილე, — ნუ წაგიშვებია კისერი, იქ არაფერი ხდება ისეთი, შენ რომ არ გამოგეცადოსმეთქი. ჩემს სიტყვას ოჯახში გასაუფალი აქვს. ერთი-ორი კვირა ციფწყალას არ მივკარებდით. სახმარი წყალი დობილოებიდან ამოგვქონდა.

ხანმა გაიარა. თუ ათანასე და მისი ახალგაზრდა ცოლი პირველ დღეებში სულ არ გამოდიოდნენ გარეთ, ერთთავად სახლში იყვნენ, მერე ეზოში გამოსვლა დაიწყეს. გაიხედავ და — პერანგისამარა ათანასეს ნაჯახი დაუკაეზბია ხელში და სარს თავს უმახავს. კიდევ გაიხედავ და — მარგალიტას თუნგი აუღია და წყაროზე მიდის. მეტსაც გეტყვი: ქალის ოჯახში ყოფნა ეზოგა-

რემოსაც შეეტყო: მარგალიტამ ერთხელ საბანი გამოჰკიდა აივანზე გასამზეურებლად, მეორეჯერ თავისი და ათანასეს თეთრეული გაჰფინა თოვზე. რაც მეტი დრო გავიდა, ცოლიც და ქმარიც მეტად ტრიალებდნენ ეზოში. ჩვენებური კაცს არ გაემტყუნება, რომ სახლს უგულისყუროდ იშენებს. ჰავე თბილია ჩვენი, მოგვხსენებთ, და ჩვენი ცხოვრება ერთთავად ეზო-გარემოში მიდის. ათანასეს მაინცდამაინც მხიარული, მაინცდამაინც გულგახსნალი და ალერსიანი კაცი არ ეთქმის. სიტყვატუნწიცაა. ერთთავად წარბშეკრული დადის. ხანდახან ტყუილუბრალოდ აყვარდება კიდევ.

მაგრამ ეს არაფერი. თქვენ აუცილებლად უნდა იცოდეთ მათი შეუღლების ამბავი. მარგალიტა სოფელში საყურადღებო გოგოდ ითვლებოდა. ახლა, რა თქმა უნდა, „არშინი“ რომ დაიკავო ხელში და მისხალ-მისხალ მიჰყევე, სწონო და ზომო, ბევრ ნაკლს მოუნახავ. ზოგმა შეიძლება ფეხი დაუწუნოს, ზოგმა — თმის ფერი არ უვარგაო, ზოგმა რა და ზოგმა რა... მაგრამ უნაკლო ქალი არსადაა ქვეყანაზე. ისე კი — კარგი მოგვით ღმერთმა, კარგი ის იყო. თვალტანად გინდა, თავდაჭერით თუ საქმის სიყვარულით — არაფერში იმ გოგოს წუნი არ დაედებოდა.

მათ ჯვარისწერამდე ორი კვირით აღრე ასეთ შემთხვევას შევესწარი: ორლობეში მომავალ ათანასეს მარგალიტა შემოეყარა. ათანასე მიესალმა — თავი დაუკრა და გზა განაგრძო. მარგალიტაც მიესალმა — თავი დაუქნია და განაგრძო. რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარეს, უცბად ორივე, ერთდროულად მოტრიალდა. ერთმანეთს შეჰხედეს. ათანასემ რა-

დაცა უთხრა ღიმილით. მარგალიტამ გაიცინა და უკასუხა. ათანასემ თავი ჩაიქნია და, გაღიმებული, თავის გზას დააღდა. მარგალიტაც გატრიალდა და თმის სწორებით წავიდა.

ღიმილი ათანასესაგან ცოტა მოულოდნელი ამბავია, მაგრამ ათასში ერთხელ ყველაფერი ხდება. ამიტომ ამ ამბისათვის მე მაინცადამაინც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია.

ხმა რომ გამოვიდა, ათანასე მარგალიტას შერთვას აპირებსო, სოფლებიდან ბევრს ემწუთხა ეს ამბავი. ერთის მხრივ — ნაცოლვევი, ორმოცს გადაცილებული, ცოტა თავისებური ათანასე და, მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, მარგალიტა.

იმ ხანებში მეზობელთაგან ბარეორო მივიდა მარგალიტასთან ჰკუის დასარიგებლად. ვინ ეკითხებოდათ, ღმერთმა იცის. ეს კია, იმ გოგომ ყური არავის ათხოვა, — თქვენ საკუთარ ქმარშიღი კარგად გამყოფოთ ღმერთმა და ჩემი საქმის მე ვიციო. როგორც გავიგეთ, დაახლოებით ასე უთხრა თავის დედ-მამასაც და დამდეგ შემოდგომაზე ხელი მოაწერა ათანასესთან. ქორწილი კი, სიმართლე გითხრათ, არ გადაუხდიათ.

ჰოდა, აი, ამ ცოლ-ქმრის ცხოვრება ჩემს თვალწინ მიმდინარეობს. გვიანი შემოდგომაა. საქმეები მოლეული გვაქვს. ისინი თავის ეზოში არიან, მე კი ჩემს აივანზე ვზივარ. გინდა თუ არა, ერთმანეთის ყველაფერი გვეყურება.

თქვენ აუცილებლად უნდა იცოდეთ ათანასეს პირველი ცოლის ამბავიც. გადაღმა-სოფლელი ქალი იყო, სახელად ივლიტა. ისე — არც ლამაზი იყო, არც მახინჯი. ისერიგად არც მეზობლის ქალებში ჩაჯდომა და ლაპარაკი უყვარდა. პლანტაციის განაპირა ბუჩქებს არჩევდა. პირველად ასე, არ შეგვიყვარდასავით, ამაყიო, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა. ჩემმა ცოლმა, სიტყვაზე, საცერი ინათხოვრა მისგან, იელტამ მერე გობით გვიმაგიერა; თანდათან, ნელნელა, შევითვისეთ, შევიყ-

ვარეთ, უკეთესობის იმედიც გვექონდა, მაგრამ ერთ დილას მშობიარობას უკვე დაკვეა. დარჩა ჩვენი ათანასე-ცენტად.

თქვენ გგონიათ, ერთი ცრემლი მაინც გადმოაგდო ათანასემ? არ იფიქროთ! როგორც თქვენ არ გიტრიათ ის საწყალი, ისე იმას. იჯდა ასე, კრიჭა-შეკრული, მოღუშული, იჯდა და იჯდა კრინტი არ დაუძრავს. ერთი არ ამოუთხრია. საფლავზე ერთი ?უქა მწა მიაყარა კუბოს, გამოტრიალდა და წამოვიდა. ჩვენი, რაღას ვიზამდით, დავიშალეთ და სახლებში წავიდ-წამოვედით.

მას აქეთ კარგმა რვა წელიწადმა განგლო, ათანასეს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ღვთის წინაშე, ერთხელ კი დაეხახე — შებინდებულზე სასაფლაოდან მომავალს თვალები დაწითლებული ჰქონდა, — ეს იყო საწყალი ივლიტეს დამარხვიდან რამდენიმე თვის შემდეგ. მაგრამ ეს იყო და ეს. მგლოვიარე კაცისთვის დაწესებული ადამიანიდან ათანასეს არაფერი შეუსრულებია. იყო თავისთვის. კოლექტივში ცუდ მუშად არ ითვლებოდა. ერთი-ორჯერ ჭუთაისის იმეზავრა საყიდლებზე. მეტი არაფერი. ახლა კი, როგორც მოვასხენეთ, ადგა და მარგალიტა მოიყვანა ცოლად.

ჩვენში დიდად იშვიათი ამბავია, რომ ხანში შესულმა კაცმა ახალგაზრდა ცოლი მოიყვანოს. ასეთი მე პირადად თოქმის არ მსმენია. ცუდი იყო ეს, თუ კარგი, ამას არ განესჯი, მაგრამ ხანდახმულ კაცს თუ ცოლი მოუკვლებოდა — ბედია ზომ ყველაფერი! — ბავშვების მოვლა-პატრონობით ინუგეშებდა თავს. დარდს იმით იქარებდა, რომ ბავშვებს დედის მაგივრობასაც უწევდა. და — არაფერი. ასეთ კაცზე არავინ იტყოდა, უბედურია და სანუგეშო აღარაფერი დარჩენიაო. და თუ ბავშვები არ ჰყავდა, სულ კენტად იყო დარჩენილი, მაშინ, იქნებ, გაებედა და სხვა ქალი მოეყვანა. მაგრამ მოიყვანდა დიდი ყოყმანის, დიდი წინ-უკანობიას შემდეგ — და ყოველ მიზეზგარეშე — თავისი ხნო-

ვანების შესაფერს ყოველ მიზეზგარეშე. უმეტეს შემთხვევებში — ვინმე ჭკრის.

ასე მოდის ჩვენს მამა-პაპათაგან. მამა-პაპებს ასე დაუბარებიათ, და იმათ სიტყვას ახლაც დიდი გასავალი აქვს ჩვენში.

კარგი, რა თქმა უნდა, ტრადიციაა ეს, თუ ცუდი, არ ვიცი; მაგრამ ამათ შეუღლებზე ჩვენს მეზობლობაში დიდი ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა შეიქნა. ქალები მაინც სულ ჭკუიდან შეიშალნენ.

დღე ერთია და — ხუთი მეზობლის ქალი მაინც მოდის ჩემსას. ჯერ ერთი მოვა: — ბიძია ილარიონ, ნეტავი როგორ არიან ერთმანეთში, ნეტავი თუ შეეთვისენ, ნეტავი ათანასე თუ იბღვირება ძველებურად?

ერთს დაამოშმინებ, როგორც იქნება, გაისტუმრებ, გაიხდავ და — მეორე ამოიტუხება აივანზე: — ბიძია ილარიონ, ბოღიში რომ გაწუხებთ, ეზოზე გადმოვიარე, როდინი შინდოდა მაგრამ გადავიფიქრე. ნეტავი, ათანასე და მარგალიტა...

ახლა ამას ვაშოშმინებ, — კი, როგორც ეტყობა, შეეჯიხნენ, კარგად არიან. ნურაფრის გეშინიათ. დარდი ნურაფრის გექნებათ. თუ რამე შეემაჩნია, აგერ არა ვარ?... წადი, კარგად იყავი.

მეორეს გაისტუმრებ, მესამე მოვა. მესამეს გაისტუმრებ — მეოთხე მოადგება, მერე მეხუთე, მეექვსე...

გამიწყრა ღმერთი და დამელია მოთმინება რა მესაქმება სხვის ოჯახში? თავი ვეღარ შევიკავე და ერთ ქალს შევუყვირე:

— მე რას მეკითხები, დალოცვილი! თუ ასე გაინტერესებს, როგორ და რანაირად არიან, ეწვიე და საკუთარი თვალით ნახე!

— ეგ ჩვენც ვიფიქრეთ, მაგრამ მარგალიტა თავმოყვარე გოგოა. კიდეც რომ ცუდად ჰქონდეს საქმე, არ გაამხელს. იქნებ, არც ესიამოვნოს, რას მამოწმებთო.

— ვინ თქვენ იფიქრეთ?

— ჩვენ, მეზობლებმა.

— მაინც, რამ დაგაფეთათ ასე?...

— დაგაფეთათ რას ჭკრამ! ქალებმა ვართ. ეგ შენი ათანასე ერთი ღრჯოკაცია. პირველი ცოლი, ანგელოზივით ქალი მოინელა და ცრემლი არ გადმოუგდია თვალიდან. ახლა მარგალიტას რომ რამე დაემართოს, რავე, მაგას მოითმენს ვინმე? ნურას უკაცრავად, ბიძია ილარიონ! ეგ არ იფიქრო!... ეგ შენი ათანასე...

გესმით? ათანასე — ჩემი შეიქნა.

— ქალო, — ვეუბნები, — არაფერი ცუდი თქვენს მარგალიტას არ სჭირს. გუგულებივით არიან. წადით, თქვენს საქმეს მიჰხედეთ და მეც მომასვენეთ ამ ჩემს აივანზე.

— რომ გაუჭირდება, მაშინ გვიანლა იქნება.

— მერე, მე რა ვქნა ახლა?... გაშორდი-მეთქი, ვურჩიო? ან, რომ ვურჩიო კიდეც, დამიჯერებს? ან ათანასეს გადაუჯრჩები? დიდება შენდა, ღმერთო! რას ჩამაცივდი ქალო!

— ნუ ყვირიხარ! ეს იცოდე ჩვენ მაგათთან ჯერჯერობით არ მივალთ. იქნებ, მართლაც კარგად არიან და რა უფლებით ჩავერიოთ? მაგრამ შენ ათანასეს კარის მეზობელი ხარ და, თუ რამე მოხდა, პასუხი შენ მოგეთხოვება პირველად.

ეს მითხრა ამ ქალმა, პასუხის გაცემაც არ დამაცალა, გატრიალდა და წაეიდა.

ჩავევარდი საგონებელში. ბატონო, მე ოცდაათი წელიწადი ვუარე საკუთარ ცოლ-შვილს, ვიშრომე, ვიწვალე, ცოლისთვის არაფერი დამიკლია, შვილები დავზარდე და გზაზე დავაყენე. მეგონა, ჩემი საქმე მოთავებული მაქვს და აწი დავისვენებ-მეთქი. ახლა კი, ვინდა თუ არა, სხვის ოჯახსაც შენ უპატრონეო.

ამ ქალის ნალაპარაკებისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. ყველას აყოლა რას მარგებს. მაგრამ მეორე დღეს მეორე ქალი მეწვია.

— ბიძია ილარიონ, სიტყვა მიგიცრათ, მე მიხვდავ იმათო. მართალია?

— ვის მივხედავო, ქალო?!..

— ვინცაა მისახედი ჩვენს კუთხეში, არ იცი?

— ქალო იმათ არაფერი არ სჭირთ მისახედი.

— რა ვიცი, ქვეყანა ლაპარაკობს, უკმაყოფილება აქვთ ერთმანეთში, სულ ჩხუბობენო?

— ჩემს ცხვირწინ არიან და არაფერი შემომჩნევია? ბრმა ვარ, თუ ყრუ, ქალო?

— ეგ რა ვიცი ახლა... არა, რაკი არაფერი შეგომჩნევია, იქნება, ხალხის ნალაპარაკები ტყუილი იყოს. მაგრამ, თუ ხათრი გაქვს, თვალყური მაინც კარგად ადევნე, ბიძია ილარიონ ახლა, შენი ოჯახის და შენი შეძლების პატრონს, ჩვენ რითი გაგაკვირვებთ. მაგრამ, თუ მარჯვედ იქნები და იქ ცუდი არაფერი მოხდება, სამაგიერო პატივისცემა ჩვენზე იყოს. შენი კარგი გულის და შენი ადამიანობის ამბავი მთელმა სოფელმა იცის. ბოდიში, თავი შეგაწყინე ზედმეტი ლაპარაკით. ნახვამდის, ბიძია ილარიონ, კარგად, ბრძანდებოდეს! დიდი ბოდიში და აბა, აწი შენ იცი...

ამ ხნის კაცი ვარ და ასეთ ცეცხლში არ ჩავევარდნილვარ. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ხომ გაგიგონიათ? მთელი სოფელი ფეხისწვერებზე შემდგარა და გაფაციცებულა. სხვა სადარდებელი აღარაგის აღარაფერი აქვს. ყველა რატომღაც ცუდის მოლოდინშია. მეც ამ სოფლის შვილი ვარ, მათი სისხლი და ხორცი მაქვს, პატივსაცემ კაცად ვითვლები. რა ვქნა? რა გავახერხო? რომ ათანასეს ღმერთი გაუწყრეს და იმ გოგოს აწყენინოს, ან წაეჩხუბოს, ან — კაცნი ვართ, — რამე უარესი აკადროს, მაშინ რაღა ვქნა? წყალში გადასავარდნად შემექნება საქმე და ეგ არის.

ჩემს სიცოცხლეში უბრალო სიცხე არ მქონია, ახლა კი ასე ეგრძნობ თავს, თითქოს საცაა, ამწევენ წამსვენებენ და საფოაფი ჩამდებენ..

რა დასამალია და — მაინც ვერ გავბედე, ათანასესთან მივსულეთყავი და ამ ოჯახის მდგომარეობას ახლოდან და-

ვეკირებოდე. ეს რა საკადრისია? იქნებ, კარგად არიან და რაქერჩიყლი

ვხივარ ცეცხლმოკიდებულნი მანახებ და იმათ ეზოს გავცქერი. იქიდან კი, თითქოს ჩემს ჯინაზე, ბაიბური არ ისმის. რალაცნაირად, უხმოდ ცხოვრობენ. ასეთ რამეს ვერ არ მოვსწრებვივარ.

ვხედავ, მავალითად, რომ ათანასე გამოვიდა ეზოში. რალაცას აკეთებს. დაიხარა. რალაცა გაასწორა, გადასდო. რალაც ღობისაკენ მოისროლა. ამ დროს ეზოს მეორე კუთხიდან მარგალიტა მოდის. მიუახლოვდა. გაჩერდა. უხმოდ მისჩერებია, რას აკეთებს ათანასე. ათანასემ თავი ასწია, მარგალიტას შეხედა. მარგალიტამ გაიცინა. ათანასემაც ჩაილიმა. მარგალიტამ თავი გადააქნია, თმა გაისწორა, გატრიალდა და წავიდა.

მოდი და გაიგე, რა ხდება იქ. ერთმანეთში ერთ სიტყვას არ ხარჯავენ. უსიტყვო თანხმობაო, იტყვიან. კი, მაგრამ, ასე, მთლად უსიტყვო?

ქალები კი მოდიან და მოდიან ჩემთან. გული გამისივებს. კიდევ ცოტა და გული გამისკდება. მაგრამ ბედმა გამოიღია.

ერთ დილას, ვხედავ, ათანასე საგარეოდ ჩაცმული გამოვიდა ეზოში. მხარზე რალაც შეკრულა უღვეს. გვერდზე მარგალიტა მოჰყვება. ნელ-ნელა, აუჩქარებლად მიდიან ჭიშკრისაკენ. ლაპარაკობენ თუ არა, არ ჩანს. მაგრამ, მგონი, მარგალიტა უნდა იღიმებოდეს.

გავიდნენ და ჭიშკარი გაიხურეს. ერთი-ორი წუთის შემდეგ მარგალიტა მარტო შემობრუნდა ეზოში. ჭიშკარი მოხურა. მე ისიც ვერ დავინახე, გამოშვიდობებდასას ერთმანეთს აკოცეს, თუ არა. მარგალიტა სახლში შევიდა.

ახლა კი ყველაფერი უნდა გამოვარკვიო-მეთქი, გადაეწყვიტე. გადავალ მარგალიტასთან და ყველაფერს გამოვკითხავ.

სანამ ხელების ვიბანდი, ისევ მეზობლის ქალები მოვარდნენ. სერიდან დავინახეთ, ათანასე წისქვილს გასცდა, გადაუხვია და ორპირის გზას დაადგა. ნამღვლილად ქუთაისში მიდის, საღამომ-

დე ვერ მობრუნდება და აბა, ბიძია ილარიონ, ახლა შენ იცი, თუ მარგალიტასთან გადახვალ და ყველაფერს შეიტყობ, ჩვენ მივიდოდით, მაგრამ უფროსი კაცი ხარ და, თუ რამე უჭირს არაფერს დაგიმაღლავსო.

თუ კიდევ რამე ყოყმანი მქონდა გულში, ამ ქალებმა მომისპეს. წვერი ჩამოვივარცხნე და გადავედი.

— გამარჯობა, შენი, გოგო, მარგალიტა!

— ოჰ, ბიძია ილარიონ! მობრძანდი. აგერ — ჩრდილში. ახლავე სკამს გამოვიტან.

— ნუ შეწუხდები.

— რა შეწუხდება, ამდენი ხანი არ მინახავხარ. დაბრძანდი, ბიძია ილარიონ.

— გმადლობ. სხვა? როგორა ხარ, რასა იქმ? ათანასე ქუთაისში გაისტუმრე?

— ქუთაისში.

— კარგი დაგემართოს. ამ თქვენი ნიგვზის ჩრდილის ფასი არაფერია ჩვენს სოფელში. აქ რომ დავჯდები, ადგომა აღარ მინდა. გაიხედე, რა გადასახედიია.

— ამ ნიგვზის ამბავი ბავშვობისას მქონდა გაგონილი.

— გაგონილი გექნებოდა. ეგ კი არა, ზოგი იმასაც ამბობს, მარგალიტა ათანასეს იმ ნიგვზის ხათრით გაპყვა ცოლადო. ხალხის ენა — ხომ იცი. ზოგმა, თუ არ გაიხუმრა, არ შეუძლია. ა? შენ რას იტყვი?

— მანდ მზე გიჭვრიტინებს ფოთლებში, ბიძია ილარიონ. ასე დაჯექი.

— არა უშავს. მაგრამ, ახლა... არა, სიტყვას ბანზე ნუ ამჯდებ. შენ შეიძლება არც იცოდე, მე და ათანასეს კარგი მეზობლობა და დიდი მეგობრობაც გვაქვს ერთმანეთში. გესმის, გოგო? პირდაპირ გეტყვი, — ნამდვილად პატი-

ოსანი აღამიანია. ყოველმხრივ საიმედო. უშურველი, გამტანი, — ერთი თუ ვინმეა ჩვენში, მეორე ეგ არის. ა? რავე იტყვი? არა, შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ...

— შენი უფროსი ბიჭის რა ისმის?

— არის თბილისში. კარგადაა. მშენებლობაზეა ტექნიკოსად. არა მამაშვილობას, სხვანაირად არ გაიგო. მე იმას არასოდეს გეტყვი, ათანასეს შენზე კარგად ვიცნობ და ამიტომ მე შემეკითხე, როგორი კაცია-მეთქი. მაგის ცოლი შენა ხარ და შენ უკეთ გეცოდინება. მაგრამ ზოგი კაცი სამეზობლოდაც კარგია, საქმეშაოზეც ლომივითაა, თუ დასჭირდება, კრებაზეც კარგად გამოდის, — შინ კი, ცოლთან, რა დაგიმალო და — წარბს არ გახსნის, არ დაგელაპარაკება, სულ მოღუშულია. არიან ასეთები. ასეთ კაცთან ცხოვრება — შენ ჯვარი გწერია და — სიყვდილია ქალისათვის. ა? არა, შეიძლება მე კარგად ვერ გამოვთქვი...

— უმცროსი? შენი უმცროსი ბიჭი რას შეება?

— რას იზამს, აგერაა ჯერ, წელს ამთავრებს საშუალოს. მერე რას იზამს, რა ვიცი... არა, იმანო, გოგო, მარგალიტა, მოიხედე აქეთ: მამაშვილობით გეუბნები, მე შენი და ათანასეს...

— წყალი მაქვს მოსატანი, ბიძია ილარიონ. ბოდიში!

წყალი?! ჰოო, მეც ბოდიში. კი, რა თქმა უნდა. აბა, რაკი ასეა, მე წავალ. თუ რამე დაგჭირდეს, ჩვენი კუთხისათვის ახალი ხარ და...

— გმადლობ. ნახვამდის!

გატრიალდა და წავიდა.

გამოებრუნდი, შერცხვენილი და ჭირისოფლგადასხმული. გამწარებული დავერჩე ქალებს, რომელიც შენ მიცდიდნენ და სულ წიწილებივით გაეფანტე.



ტატიანა ჩხაიძე

ნარკვევი

როდესაც ტატიანამ საშუალო სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობაში დარჩენა გადაწყვიტა, გამოჩნდნენ აღამიანები, რომლებიც ამბობდნენ: „რისთვისღა სწავლობდა ფრიაღზე“, „ასეთი ლამაზი გოგონა დედაქალაქში უნდა სწავლობდეს“, „ინსტიტუტში სწავლა პლანტაციის ფუნქციონირებაზე გაცვალა“... მაგრამ ტატიანასათვის სიტყვა და საქმე ერთია — სკოლის დამთავრებისთანავე შევიდა ორჯონიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

ეს იყო ამ ოციოდე წლის წინათ — 1940 წელს.

ჯერ კიდევ ბავშობიდან შეუყვარდა ტატიანას ბორცვებით გარშემორტყმული გურული სოფელი შრომა. სკოლაში წასვლისას თუ დაბრუნებისას, ტატიანა ხედავდა, რა დაუღალავად შრომობდნენ პლანტაციებში მისი მშობლები, ძმები, ნათესაეები, და ისიც ცდილობდა ყველაფერში მათთვის მიეხამა. მასაც სურდა მეჩაიე გამხდარიყო და ძალზე ხშირად, სწავლისაგან თავისუფალ დროს პლანტაციას ესტუმრებოდა ხოლმე, ახლოს ეცნობოდა ჩაის ფოთლის კრეფის საიდუმლოებას.

ნაკვეთი, რომელიც ტატიანა ჩხაიძეს მიამაგრეს, ცუდი არ იყო. ამ ნაკვეთზე ჩაი 1929 წელს დარგეს. დაბლობი ადგილი იყო, ამიტომაც არ ძნელდებოდა მისი შორწყვა და სასუქების შეტანა. მიუხედავად ამისა მოსავლიანობა ამ ნაკვეთზე წინათ 1000 — 2000 კილოგრამ ფოთოლს არ აღემატებოდა.

ახლაგზრდა მკრეფავი ფიქრობდა, რომ მასზე მიამაგრებული პლანტაციის ნაკვეთს შეეძლო რამდენჯერმე მეტი ნედლეული მიეცა. იგი შეუდგა აგროტექნიკური მეცნიერების საფუძვლებისა

და მეჩაიეთა გამოცდილების დაყენებით შესწავლას, ხშირად ეკითხებოდა რჩევა-დარიგებას სპეციალისტებს.

და აი, მიწამ, რომელიც ოდესღაც გაუვალად ჯაგნარით იყო დაფარული, ასწილად მიუზღო დაყენებითი, გონიერი და შთაგონებული შრომისათვის. 1948 წელს ჩხაიძემ მიამაგრებულ ნაკვეთზე, რომლის ფართობი ნახევარ ჰექტარს უდრიდა, მიიღო 6530 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჰექტარზე გაანგარიშებით ეს იქნება 13.078 კილოგრამი, ხოლო მახარამის რაიონის კოლმეურნეობები მაშინ საშუალოდ კრეფდნენ არა უმეტეს 3 — 3,5 ათასი კილოგრამისა ჰექტარზე. და მარტო ტატიანა კი არ აღწევდა ასეთ შედეგებს. მომავალი წლის ზაფხულზე საქართველოს მეჩაიეობის ყველა კოლმეურნეობაში შეიტყვეს სასიხარულო ცნობა — ბევრ მოწინავე მეჩაიეს აკუთვნებდნენ სოციალისტური შრომის გმირის მაღალ წოდებას, ბევრს აჯილდოებდნენ ორდენებითა და მედლებით. გმირის მაღალი სახელწოდება მიენიჭა ტატიანა ჩხაიძესაც.

მალე კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხაკო ორაგველიძემ ტატიანა ჩხაიძეს დააველა რგოლის ხელმძღვანელობა.

მაგრამ ტატიანა სასტუკ უარზე იდგა, ხელმძღვანელობას არა ვარ შეჩვეულიო.

და მართლაც, რგოლის წევრები ვერც გაიხსენებენ, რომ ტატიანას ოდესმე მათთვის ხმა აემალღებინოს და თვითონ რგოლის წევრები განა საქმეს აქამდე მიიყვანდნენ? ისინი ხომ ხედავდნენ, მერგოლური თვითონ მუშაობს დაუღალავად, ხელები კი მას ჭეშმარიტად ოქროსი აქვს. თუ ვინცობაა რამე არ მოეწონა (ასეც ხდება ხოლმე), მერგოლური აღმაყვარად შეხედავს და წყნარად, თითქოს

თავისთვის ჩაილაპარაკებს: „ასე არ ვარ-
გა, ნამდვილად არ ვარგა“.

მეგობრებმა (მხოლოდ ასე უწოდებს
ჩხაიძე თავისი რგოლის წევრებს) არ
გააწბილეს იგი, ყველა მუშაობდა შეხ-
მატებულბულად, დაყინებით, და საქმეც
სწრაფად იმარბებოდა. პირველსავე წე-
ლიწად რგოლმა შესანიშნავი წარმატე-
ბები მოიპოვა.

ახალგაზრდა მეჩაიეებმა განამტკიცეს
და განავითარეს მიღწეული წარმატებე-
ბი, განუხრელად ამაღლებდნენ პლანტა-
ციების მოსავლიანობას. ტატიანა ჩხაი-
ძემ 1957 წელს რაიონულ პარტიულ
კონფერენციაზე რგოლის ყველა წევრის
სახელით აიღო ვალდებულება გისად
10 ათასი ტონა ნედლეული მოიკრიფოს.

სახელოვანი მერგოლურის სიტყვა,
როგორც ყოველთვის, საქმეს არ დაშო-
რება. 1958 წელს ჩხაიძის რგოლმა
თვითთულ ჰექტარზე 10.100 კილოგრამი
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოიყვანა.
ამას რგოლმა მიადწია ჩაის ბუჩქებისად-
მი მოვლის გაუმჯობესებითა, და პირ-
ველყოფისა, ორგანული სასუქის გამო-
ყენებით.

„გმირთა რგოლი“ — ასე უწოდებენ
ამ პატარა, მაგრამ მეგობრულ კოლექ-
ტივს. და ეს საესებით მართებულია:
შრომის კოლმეურნეობის ჩაის ათი
მკრეფავისაგან, რომელთაც სოცია-
ლისტური შრომის გმირის სახელწოდება
მიიღეს, შვიდი ტატიანა ჩხაიძის რგოლში
მუშაობდა, ოთხი მათგანი კი ახლაც
რგოლის წევრია. თვითონ ტატიანა, ნინო
ვაგოძე, შურა კუბუსიძე, მამო ჩხაიძე.

არა ერთხელ მქონია შემთხვევა,
შრომის კოლმეურნეობაში ვყოფილიყა-
ვი. ვნახე ტატიანა ჩხაიძე პლანტაციაში
მუშაობისას. იი ახლაც (ეს იყო 1959
წლის ზაფხულში) მე, როგორც ყურ-
ნალისტს, ბუნებრივია, მაინტერესებდა
სეზონის პირველი ნახევრის შედეგები.
მაგრამ მკრეფავის ხელების ვირტუოზუ-
ლმა მოძრაობამ ჩაის ბუჩქებს ისე
მოაჯაჭვა ჩემი ყურადღება, რომ მე
უნებლიედ გადამაიწიყდა მაჩვენებლები.
ჩხაიძე ბუჩქიდან ბუჩქზე გადადიოდა,

წყვეტდა მოვერცხლისფერო — მწვანე
დუყებს, და კალათაში ისეთი სისწრა-
ფით ყრიდა, მეჩვენებოდა, თითქოს
ფოთლების ნაკადი არ წყდებოდა.

— როგორ მიდის საქმე? — შევე-
კითხე ტატიანას.

— გულს უხარია, როდესაც ასეთ ფო-
თოლს ხედავ — ღიმილით მიპასუხა
მან. — პირველი ხარისხისაა! ჩვენ მას
ბუჩქზე აღარ ვაგაჩერებთ.

— უთვალთვალეთ?

— რა თქმა უნდა. ფოთოლს უყვარს,
მოწივეისთანავე რომ მოწყვეტენ.

ყველაზე უწინა მიმდებელიც კი აქებენ
ტატიანას მიერ მოკრეფილი ჩაის... მის
კალათაში არ შეიძლება მოხედეს გაუხე-
შებული, ან ვადამწიფებული ფოთოლი.

მერგოლური, რომელმაც საესე კალა-
თიდან მუქით ფოთოლი ამოიღო, გვაჩ-
ვენებს პეწიან ნახ დუყებს და სიამაყით
აცხადებს:

— აი, ეს არის „საქართველოს თაი-
გული“!

და თან უმატებს:

— სხვები განა ცუდ ფოთოლს კრე-
ფენ? შრომელის სახელი თვითთული
ჩვენთაგანისათვის ძვირფასია.

ჩვენი საუბარი შეწყვეტა მკრეფავთა
სიმღერამ, რომელიც ჩვეულებებისამებრ
სულიკო ზომერიკმა წამოიწყო. ჩვენი
თანამოსაუბრე, რომელსაც მუშაობა არ
შეუწყვეტია, შეუმჩნევლად ლაპარაკი-
დან სიმღერაზე გადავიდა და თავისი
მორაკრეფე ხმა სხვებისას შეუერთა.

რატომაც არ უნდა მღეროდნენ პლან-
ტაციაში შრომელი კოლმეურნე ქალები,
თუ მათი ხელებით მოკრეფილი ჩაი,
აქლევს მათ მაღალ შემოსავალს, სიხა-
რული და ჯანმრთელობა მოაქვს საბჭო-
თა ადამიანისათვის? რატომაც არ უნდა
მღეროდნენ, როდესაც საქმეები რგოლ-
ში ახლა, ქირეველი წელიწადის დასა-
რულს, საკმაოდ კარგად მიდის?

უნებლიედ იბადება კითხვა: რა სიხა-
რულს უნდა ხედავდეს შრომაში იაველი
ქალი, რომელიც უცხოელი მეპატრონე-
ბისათვის მუშაობს? მწველი მზის ქვეშ
წელ-გაუმართავად დილიდან ღამემ-

დგ კრეფს იგი თავის მშობლიურ ჩაის მტაცებელი ექსპლოატატორისათვის, ზურგზე ან გვერდით ჰკიდია ბავშვი, რომლის დატოვებაც ვერსად ვერ ახერხებს...

სანამ პლანტაციას დაეტოვებდი, შევეითებ მოკრეფელ ფოთლის მზიდავს.

— ძალიან გაჩქარებენ მკრეფავენბი? ჩანს, ამოსუნთქვასაც არ გაცლიან!

— სწორედ რომ ასე! ყოველდღიურად კრეფენ ტონასა და მეტს. გუშინ კი მარტო ტატიანა ჩხაიძემ 237 კილოგრამი მოკრიფა. არც ისე ადვილი გამოდგა ამდენი ფოთლის გადაზიდვა.

ტატიანა ჩხაიძის მუშაობის გამოცდილებით დაინტერესებული არიან არა მარტო მის მშობლიურ კოლმეურნეობაში და მეზობელ მეურნეობებში, არამედ რესპუბლიკის სხვა მეჩაიეობის რაიონებშიც. ხშირად პატივობენ თავიანთთან შორეული კოლმეურნეობების ახალგაზრდა მეჩაიეები, მოდიან სოფელ შრომაშიც, რათა ადგილზე შეიტყონ მისი წარმატებების „საიდუმლოება“.

— როგორ ახერხებთ „წაართვათ ბუჩქს“ ასეთი რაოდენობის ფოთლი?

— შეეკითხენ ერთხელ ტატიანას მეზობელი რაიონიდან ჩამოსული სტუმრები.

— მე ჩემი საიდუმლოებანი მაქვს, — უპასუხა მან. — მთავარი მათ შორის კი არის მეგობრობა მეცნიერებასთან. მხედველობაში მაქვს ჩაის აგროტექნიკა, მასში გათვალისწინებულია ყველაფერი, მდიდარი გამოცდილება, მეცნიერების მიღწევებიც. მეჩაიემ ბევრი რამ უნდა იცოდეს: როდის და როგორი სასუქით გაანოყიეროს ყველაზე უკეთ ნიადაგი, როგორ გასხლას ბუჩქები, როგორ მოკრიფოს ფოთლი, როგორ... და განა ყველაფერს ჩამოთვლით!

— აგროტექნიკა ხომ ყველასათვის ხელმისაწვდომია, — შენიშნეს სახელოვან მკრეფავს.

— უბედურებაც ის არის, რომ ყველას არ შეუძლია მისი გამოყენება. თუ გინდა მიიღო მდიდარი მოსავალი — შეიყვარე აგროტექნიკა, დაუმეგობრდი მას.

ამ ოქროს წესს ჩხაიძე მკაცრად მოხდევს, რისთვისაც დაუღალავ მშრომელს, აგროტექნიკის „პროფესორს“ უწოდებენ. რგოლის ყოველ წვერს იგი გულმოდგინედ უჩვენებს, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ბუჩქების სხვა, შემდეგ კი — ნორჩი ყლორტების კრეფა, რა რაოდენობით უნდა ნიადაგში სასუქის შეტანა...

სახელოვანი მეჩაიე ხალისით უზიარებს თავის ცოდნას ჩაის ფოთლის მალავი მოსავლის მიღების გამოცდილებას არა მარტო რგოლის წევრებს. მას არა ერთხელ შეიძლება შეხედეთ სხვა კოლმეურნეობათა პლანტაციებში, სოფლის კლუბებში. იგი აწყობს საუბრებს, კითხულობს ლექციებს. ეს კი ხელს უწყობს მოწინავეთა რიგების ზრდას.

გამოცდილი მეჩაიეების გვერდით ენერჯულად შრომობენ მათი მოწაფეები, ახალგაზრდა მკრეფაეები. კოლმეურნეობაში სიამაყით ლაპარაკობენ კომკავშირულ ნათელა გიორგაძის შესახებ, რომლებმაც მასზე მიმავრებული პექტარი ნაკვეთიდან 5,5ტონა ჩაის ფოთლი მოკრიფა. ოთხ ტონამდე ნედლეული მიიღო თავის ნაკვეთზე ახალგაზრდა მეჩაიემ ლოლა ქუთასელმა. წარმატებით შრომობს აგრეთვე ახლახან საშუალო სკოლადამთავრებული თინა თამაზაშვილი, რომელმაც გადაწყვიტა დარჩეს საშუალო მშობლიურ კოლმეურნეობაში: მან მოკრიფა ოთხი ტონა, დავალებას თითქმის ორჯერ გადააქარბა.

ისტორიული შეიღწელების პირველი წლის დღეებში ტატიანა ჩხაიძე და მისი რგოლის წევრები ნინო გოგაძე, შურა კუბუსიძე, თინა თამაზაშვილი, თინა და მარგალიტა ჩხაიძეები, ცისანა კალანდაძე, სულიკო ხომერჯი, ლოლა ქუთასელი, ელენე ხელაძე, ნათელა გიორგაძე, ჩუჩკლა კვაჰანტირაძე შრომობდნენ განსაკუთრებული აღმავლობით. ფოთლის კრეფამდე დიდი ხნით ადრე გულმოდგინედ დამუშავებს თავიანთი ნაკვეთი, მზრუნველურად უვლიდნენ თვითეულ რიგს, თვითეულ ბუჩქს.

არა ერთხელ ყოფილა, რომ დილოს ბინდბუნდში მკრეფაეები კალათებით

მოდოდნენ ჩაის პლანტაციებში და მზის ჩასვლამდე ფუსფუსებდნენ ბუჩქებთან.

რგოლმა მიიღო პასუხსაგები ვალდებულება — მოეკრიფა 1959 წლის სეზონში ოთხ ჰექტარზე 44 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი გეგმით გათვალისწინებული 34,5 ტონის ნაცვლად. ეს ვალდებულება გადაქარბებით შეასრულეს.

ჩხაიძის რგოლი იბრძოდა კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოპოვების უფლებებისათვის, მან იყისრა შეიღწეულდის პირველ წელიწადს გეგმის ხევით მოეკრიფა ცხრა ტონა ნედლეული, და იგი ამ მაღალ სახელწოდებას დაეუფლა კიდევ.

ხოლო კოლმეურნეობამ, რომელშიც მუშაობს ტატიანა ჩხაიძე, 31 აგვისტოს შეასრულა მთლიანად ჩაის კრეფის წლიური გეგმა და იყისრა სეზონის ბოლომდე მოკრიფოს კიდევ ასი ტონა. თავიანთი სიტყვა შრომელებმა გაამართლეს.

ასეთი მაღალი მოსავლის მიღება ადვილი როდი იყო. გაზაფხულიცა და ზაფხულიც საკმაოდ ჰირვეული გამოდგა. გაზაფხულის ცივი დღეები საშინლად ცხელმა, მშრალმა ზაფხულმა შეცვალა. მიწას წვიმა სწყუროდა, მაგრამ არა ისეთი, როგორც დაიწყო აგვისტოს დამდეგს, მთელ ერთ კვირას კოქისპირულად რომ ასხამდა.

— ერთი მზემ მაინც ამოანათოს! სად უბედურებაში გადაიკარგა! — გულდაწყვეტილი ამბობდნენ მკრეფაეები და გათოშილ ხელებს ისრესდნენ.

საკვირო იყო დიდი, მუყაითი შრომა, მიწა რიგთაშორისებში დამსკდარი იყო სიცხისაგან. მკრეფაეები მორწყვის ნაცვლად აფხვიერებდნენ ნიადაგს. დაუნდობლად ანადგურებდნენ სარეველას. ტატიანამ წვიმაც „ანგარიში მოატყუა“: მან და მისი რგოლის სხვა წევრებმა მოიმარაგეს სპექტანსაცემელი, რამაც საშუალება მისცა აედარშიც მოეკრიფათ ფოთოლი. წვიმაში მოკრეფილ მოსავალს გამოცდილი მეჩაიე სამართლიანად თვლის დალუპვისაგან გადარჩენილად;

თავის დროზე თუ არ მოკრიფე ფოთოლი, გადამუშავებისათვის ვერც გამოდგება.

ზიგლინოთქა

ამრიგად, ბუნების ჰირვეულობას მოწინავე მეჩაიეებმა დაუპირისპირეს თავიანთი ცოდნა და ოსტატობა, მზადყოფნა ყოველგვარი საშუალებით დაეძლიათ სიძნელები.

ვიყავი შრომაში შეიღწეულდის პირველი წელიწადის მზიან შემოდგომამდე.

ფოთლის კრეფა უკვე დამთავრებული იყო, და მერგოლური თავის წევრებთან ერთად ზრუნავდა 1960 წლის მოსავლისათვის: ერთნი ნიადაგს ბარადნენ რიგთაშორისებში, მეორეებს შეჰქონდათ ნაკელი... ჩხაიძე არა მარტო იძლეოდა საკმთან და სწორ განკარგულებებს, არამედ თვითონაც მუშაობდა სხვების მხარდამხარ.

საღამო იყო. დღიური ნორმა უკვე შეესრულებინათ ერთსახეჯერ. სიტყვა ჩამოვარდა შეიღწეულდის მეორე წელიწადის გეგმებზე.

— ჩვენი გზა მხოლოდ წინსვლაა, — ამბობდა მერგოლური.

ტატიანას სახლშიც ბევრი საქმე აქვს. დილით მზის ამოსვლისას დგება, ამზადებს გემრიელ და ნოყიერ საუზმეს ოჯახისათვის. მხოლოდ კვირაობით შეუძლია საფუძვლიანად დაისვენოს. კითხულობს სოფლის ფოსტალიონის მიერ მოტანილ კორესპონდენციებს. საიდან არ სწერენ სახელოვან მეჩაიეს! ულოცავენ დიდ შრომითს გამარჯვებას, სულითა და გულით უსურვებენ ახალ წარმატებებს. გაზეთები და ჟურნალები კი, ვერ აგინებთ, რამდენს წერენ! იგი ყოველდღიურად კითხულობს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებს. როდესაც კოლმეურნეთა შორის ხანდახან სიტყვა ჩამოვარდება მხატვრული ლიტერატურის სიახლეებზე და ქართული წიგნების გმირთა ხასიათებზე, ტატიანა ყოველთვის, როგორც წესი, ცოცხალ მონაწილეობას იღებს.

— ჩვენ ამიტომაც ვმუშაობთ კარგად. — თქვა ერთხელ რგოლის წევრმა თინა ჩხაიძემ, — ტატიანასთან საინტე-

რესოა მუშაობა, მან ბევრი რამ იცის, შეუძლია ხალისიანად გვესაუბროს, ცოდნა გაგვიღრმავოს.

ტატიანას ქმარი — ვლადიმერ ჩხაიძე — შრომის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს წევრია და მეფრინველეობის ფერმას ხელმძღვანელობს, მათი შვილი ანზორი, რომელმაც 1958 წელს დაასრულა საშუალო სკოლა, მშობლიურ კოლმეურნეობაში დარჩა სამუშაოდ. 1959 წლის ბოლოდან ანზორი საბჭოთა არმიის რიგებშია.

ტატიანა დიდი ავტორიტეტით სარგებლობს თანასოფელელთა შორის. შრომელებმა იგი ამოირჩიეს კოლმეურნეობის გამგეობის შემადგენლობაში, გამგეობისა, რომელიც დიდ და რთულ მეურნეობას ხელმძღვანელობს. ტატიანა არის აგრეთვე პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამაერცვლებელი საზოგადოების წევრი.

ცნობილი მერგოლურის ლექციები ძალზე ეხმარება მეჩაიეებს მუშაობაში. უბრალო კოლმეურნე ლექტორი, წიგნის ავტორია. განა ასეთ რამეს წარმოიდგენდა ვინმე ძველ დროში, როდესაც ზუსტად სოფლის ყველა მცხოვრები უწიგნური იყო? მაგრამ მაშინ სწავლისათვის ხალხს არცა სცალოდა, განთიადიდან განთიადამდე შრომობდა იგი ლუკმაპურის საშოვნელად.

ტატიანა დამსახურებული პატივისცემით სარგებლობს თანასოფელელთა შორის. შემთხვევითი როდი იყო, არჩევანი რომ მასზე შეაჩერეს, როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე საჭირო გახდა მოწინავე მეჩაიის შიწვევა. როცა ჩაის ფოთლის განსაკუთრებით წარჩინებულ მკრეფავთა შორის პლენუმზე მისი გვარი დაასახელეს, პლენუმის მონაწილენი მას მხურვალედ უკრავდნენ ტაშს. ეს ამბავი რაიონში მაშინვე ვავრცელდა, — როგორც კი მოსკოვიდან რადიოთი გადმოსცეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდიენის ე. პ. მუ-

ვანაძის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე. ხელს რამდენიმე დღის შემდეგ რაიონის მოვლად კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა: ტატიანა ჩხაიძე დააჯილდოვეს მედლით: „შრომითი მამაცობისათვის“ — სწორედ იმ მედლით, რომელიც ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვმაც მიიღო.

როგორ არ უნდა დაეკრათ ტაში ცენტრალურ კომიტეტის პლენუმის მონაწილეებს ტატიანა ჩხაიძისათვის, რომელმაც ჰექტარზე გადაყვანიტ 16.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ეს ხომ მსოფლიო რეკორდია!

მოსკოვში, პარტიულ პლენუმზე ყოფნის დღეები დიდხანს დარჩება ხსოვნაში ჩაის სახელოვან მკრეფავს. იჯდა იგი კრემლის სასახლეში, ყურადღებით, სიამაყით ისმენდა მოხსენებებსა და პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებს, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მკაფიო, ხალხური სიბრძნით აღსავსე სიტყვას.

ბევრი დაუეაწყარი შეხვედრა ჰქონდა პლენუმზე, სასტუმროში, სადაც ცხოვრობდნენ პლენუმზე მოწვეული სოფლის მეურნეობის ასეთივე მოწინავენი. პლენუმის სხდომებს შორის, შესვენებებში სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან მიდიოდნენ და ესაუბრებოდნენ მათ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის უბრალო რიგითი მშრომელები. ესაუბრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს, სსრ კავშირის მინისტრებს სადად, ძალდაუტანებლად, როგორც თანასწორნი თანასწორებს. ასე გაეცნო ტატიანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ეკატერინე ალექსის ასულ ფურცევას, რომელმაც მხარზე ხელი დაადო და გამოჰკითხა, თუ საიდან არის იგი, როგორ მუშაობს, როგორი გეგმები აქვს. შემდეგ კი ე. ა. ფურცევამ და ტატიანა ჩხაიძემ სამახსოვროდ ერთად გადაიღეს სურათი.

ტატიანას სხვა დასამახსოვრებელი შეხვედრაც ჰქონდა. ერთხელ ტატიანას მიუახლოვდა და უბრალოდ ხელი ჩამოარ-

თვა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა როდიონ იაკობის ძე მალინოვსკიმ. პლენუმის მონაწილეებს ზარი დარბაზში მოუწოდებდა, და ახალგაჯნობილებს საშუალება არ ჰქონდათ უფრო დიდხანს ესაუბრათ. მინისტრისათვის, უდავოა, სასიამოვნო იქნებოდა გაეგო, რომ იგი მიესალმა არა მარტო ჩაის ცნობილ მკრეფავს, რომლის სახელიდან შრომაზე მიუთითებდა მის მკერდზე გვირის ოქროს ვარსკვლავი. ტატიანა ჩხაიძე ახალგაზრდა მეომრის დედაა: მისი ერთადერთი ვაჟი აწვრილი ახლა საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობს.

პლენუმზე ტატიანა ჩხაიძე დაუმეგობრდა უკრაინელ კოლმეურნეებს: კიევის ოლქის ვასილკოვსკის რაიონის ილიჩის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის მექარხლე სოციალისტური შრომის ორგზის გვირს ოღლა დიპმანსა და ეიტომირის ოლქის ემილჩინსკის რაიონის მწველავს რაისა კოტს. სასტუმრო „მოსკოვში“ ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. ამან ხელი შეუწყო მათს დამეგობრებას.

ოღლა დიპმანმა საუბრის დროს მეგობართა საერთო სიცილში შენიშნა:

— ახლა ჩვენ ყველაფერი გვაქვს: ტატიანას ჩაი, შაქარი ჩემი მოყვანილი ჭარხლიდან და რაისას მოწველილი რძე; დაგვრჩენია მხოლოდ სუფრა გავშალოთ.

როდესაც ტატიანა ჩხაიძე შინ დაბრუნდა, შინაურები, ცხადია, ყველაფერს დაწვრილებით ეკითხებოდნენ. ასე უცბათ ვერ დააკმაყოფილებდა იგი თანასოფელელთა ცნობისმოყვარობას. ამიტომაც დეკემბრის დამლევისა და იანვრის დამდეგს საღამოობით გამგეობის კანტორასა და მერგოლურის სახლში დიდხანს არ ჭრებოდა სინათლე. სოფლის მშრომელები ინტერესით ისმენდნენ პლენუმზე თავიანთი წარგზავნილის მონათხრობს.

მონაყოლი თანასოფელელთა კრებებზე თავის, როგორც იგი ამბობს, არაჩვეულებრივ და ბედნიერ გამგზავრებაზე, ტატიანამ ასე დაასრულა:

— მიწვევა ჩვენი კომუნისტური პარ-

ტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დიდი პატივია ჩემთვის. ესეთი ნდობის გამო, ასეთი მადალი წაქეზებთ შეიძლება კაცს ფრთები გამოესხას!

როდესაც 1959 წელს ნახევარ ჰექტარ ნაკვეთზე მოკრიფა 8.250 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ყველა ფიქრობდა, რომ უკვე მიღწეული იყო მოსავლიანობის მწვერვალი. მაგრამ ტატიანა მანამდე არა ერთხელ უარყოფდა ასეთ მტკიცებას. 9000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — აი, რისთვის იბრძვის ნოვატორი მეჩაიე შეიღწეულდის მეორე წელიწადში. ჰექტარზე გადაყვანილ ეს შეიღწენს 18.000 კილოგრამს.

1960 წელს ახალი სიმაღლის აღება გადაწყვიტეს ტატიანას მეგობრებმა, მისი რგოლის წევრებმა. მათ კარგად იანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს რგოლის პლანტაციის საშუალო მოსავლიანობა აიყვანონ 12.500 კილოგრამამდე ჰექტარზე. ეს ზღვარიც რომ გადალახული უქნება, რგოლს ეკვი არ ეპარება. პლანტაციაზე სავსებით ლიკვიდირებულია სიმეჩხერე, აქ ყოველი ბუჩქი მოგვეცემს უხვ მოსავალს. მხოლოდ საჭიროა კარგი მოვლა, ამას კი ვერაფერი შეაფერხებს.

ტატიანას მიპატიეებით ჩვენ ვიყავით მასთან სახლში. სოფლის შუაგულში წამოკიმულია ორსართულიანი სახლი. იგი ჩაფლულია ციტრუსებისა და ხეხილის სიმწვანეში. ოთხივე ოთახი ძვირფასი ავეჯით არას მორთული. ყველაფერში სიუხვე იგრძნობა. ჩხაიძის ოჯახს პირადი მეურნეობაც აქვს. ძროხა, ფრინველი, გაშენებული აქვს ჩაის პატარა პლანტაცია, ციტრუსისა და ხეხილის ბაღები, ვენახი. მაგრამ ჩხაიძის ოჯახისათვის და კოლმეურნეთა სხვა ოჯახებისათვის პირად მეურნეობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ჩხაიძე ძირითად შემოსავალს ღებულობს საზოგადოებრივ მეურნეობაში მონაწილეობისაგან.

კოლმეურნეთა ოჯახების შემოსავალში ყურადღებას იპყრობს შესანიშნავი

მოვლენა, რომელშიც გამოიხატება საბჭოთა კონსტიტუციით განმტკიცებული ქალის თანასწორუფლებიანობა: ქალის შენატანი ოჯახში მამაკაცისაზე ნაკლები არ არის, ხოლო ვლადიმერ ჩხაიძის ოჯახში ტატიანას წილი ოჯახის მთელი შემოსავლის დაახლოებით ორი მესამე-დაა.

დამახასიათებელია ისიც, რომ შემოსავლის საგრძნობი ნაწილი იქმნება პრემიებისაგან, რომელიც მიღებულია ჩაის ფოთლის ზეგეგმითი მოსავლისათვის.

სოფელ შრომასთან ახლოს ვატარა თავისი ბავშვობა და სიყრმე მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა, რომელსაც საქართველოში, როგორც ნეკრასოვს რუსეთში, „ხალხთა ჭირვარამის მომღერალს“ უწოდებდნენ. ვინ იცის, შეიძლება, ეს სტრიქონები წარსული საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნებული ფელეტონიდან, რომელიც ეკუთვნოდა ცნობილ მწერალს და რომელმაც აღწერა მაშინდელი სოფლის ჩამორჩენილობა, ასახედნენ რევოლუციამდელი სოფელ შრომის შავზნელ სურათებს: „გული გტყევა კაცს ჩვენი უმეცრებისა და ჩამორჩენილობის გამო. მეცინება მაგრამ ეს სიცილი ცრემლზე უფრო მწარეა...“

ეგნატე ნინოშვილი მოწმე იყო მაშინდელი სოფლის ცხოვრების სილატაკისა, ჩამორჩენილობისა და ბედშობისა. მწერლის კალამმა საკუთარი სისხლით მოხაზა მწვავე, საშინელი სტრიქონები: „ასეთია უბედური მუშაკაცის საქმე: მუშაობს, ფაცურობს, აი იქით, აი აქეთ, გეიხედავ და ჩაკვტება საცხა, რაეაც მწერი, ისე!“ ეს სიტყვები გვახსენებს ნინოშვილის მოთხრობას „პალიასტომის ტბას“, რომელშიც მამა და შვილი, ღარიბი გლეხები მემამული-სათვის ტყეს ჭრიან.

„— მოვკით, ბაბავ, ყველა ზამთარში ტყეში გდებთ! რა იქნა, ძალი ხომ არ ვართ! ერთი შევისვენოთ!“

„— მოსვენება კაია, შვილო, მარა ვინ მოგასვენებს! მებატონეს, ღვდელს, ხენწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს, ყვე-

ლას პასუხის გაცემა უნდა, ძნელია მუშის უღელი!“.

სრულიად სხვა, ახალი ცხოვრებით ცხოვრობენ ახლა იმათი შთამომავალი, ვიზეც წერდა ეგნატე ნინოშვილი.

ჩხაიძის პატარა, მაგრამ შეხმატკბილებული ოჯახის ყველა წევრს ერთი მისწრაფება აქვს — ასახელოს თავისი კოლმეურნეობა, თავისი სამშობლო ახალი შესანიშნავი შრომითი საქმეებით, შეიტანოს ღირსეული წვლილი ჩვენი ხალხისათვის უბეი პროდუქტების შექმნის საქმეში, ხალხისა, რომელიც აშენებს კომუნისზმის დიდებულ შენობას. და ეს მისწრაფება თვალნათლით გამოსკვივის მათს ყოველდღიურ მუშაობაში, ისევე როგორც გაზაფხულზე ცოცხალი მწვანე ბალახი მიწიდან ამოხეთქავს ხოლმე.

ისწავლე თვითონ — სხვასაც ასწავლე — ასეთია ჩაის სახელგანთქმული მკრეფავის დევიზი. ტატიანასთან მხარდამხარ ხშირად შეიძლება ნახოთ პლანტაციებში ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები. ტატიანამ, რომელიც გამოეხმაურა ქვეყნის სახელოვან კომპანიერის მარკ ბრავას შესანიშნავ თაოსნობას იკისრა სოფლის მოსწავლეების საწარმოო სწავლებისათვის ზრუნვა, გადაწყვიტა ბიოლოგიის მასწავლებელთან ერთად დაეხმაროს მშობლიური სოფლის სკოლის ოც მოსწავლეს, ასწავლოს ამ ძვირფასი კულტურის მოყვანასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს შესრულება.

ტატიანა ჩხაიძის ამ სანაქებო საქციელის შესახებ შეიტყვეს „უჩიტელსკაია გაზეტადან“ არა მარტო სსრ კავშირის მრავალ კუთხეში, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც. აუარებელ წერილთა შორის, რომელსაც სახელოვანი მკრეფავი ღებულობს, იყო პედაგოგ მილ. ხმელრაიის წერილიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ნიმბურკიდან. აი, რას სწერს უცნობი მგობარი ქართველ მკრეფავ ქალს:

„ძვირფასო ამხანაგო!“

წავიკითხე „უჩიტელსკაია გაზეტაში“ თქვენი წერილი „მოსწავლეებს — ყვე-

ლაზე მოწინავე გამოცდილება“. თქვენ წერთ, თუ როგორ აიყვანეთ კომბაინერ ბრავას მაგალითისამებრ სასწავლებლად მოწაფეთა ჯგუფი, რომლებიც ახლა უფროსებს ეხმარებიან ჩაის ფოთლის მოსავლის აღებაში. თქვენ ხაზს უსვამთ, რომ ისინი არა მარტო უნდა შრომობდნენ პლანტაციებში, არამედ ცოდნასაც უნდა ეუფლებოდნენ. თქვენ, როგორც ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლერი, სოციალისტური შრომის გმირი, თვითონ კრეფთ ჰექტარზე 16 ტონას, თქვენი რგოლის წევრები — თვითელი 9.000 კილოგრამს. თქვენც წახვალთ სკოლაში, რათა ასწავლოთ მოწაფეებს ჩაის მოყვანის ოსტატობა, ბიოლოგიის მასწავლებელთან ერთად იმუშაებთ და ასწავლით 20 მოწაფეს. შესანიშნავი საქმე დაგიწყიათ და მე მწამს, რომ მას წარმატებით გაართმევთ თავს. მინდა მხოლოდ, ერთ წუთს, ვიყო თქვენთან, ვუყურო თქვენს მუშაობას და გამოგლაპარაკოთ. მაგრამ ჩვენ დიდი მანძილი გვაშორებს, ამიტომაც გადავწყვიტე ეს წერილი მომეწერა.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს საინტერესო შრომაში“.

ჩხაიძესთან სწავლობენ არა მარტო მოწაფეები, არამედ სტუდენტებიც. შარშან ზაფხულს მასთან — სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები: ნაწული ქავთარაძე და ნაზი ოდიშარია. ბევრი რამ ძვირფასი გაიგეს მათ სახელგანთქმული მკრეფავისაგან. მომავალი აგრონომები ყურადღებით თვალყურს ადევნებდნენ იმას, თუ როგორ კრეფდა ჩხაიძე ფოთოლს, როგორ უვლიდა ბუჩქებს. ტატიანამ პრაქტიკანტი ქალიშვილებისადმი დიდი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინა. სტუდენტი ქალიშვილები შეეჩვივნენ მას, როგორც მშობელ დედას. საღამოობით ერთად დადიოდნენ კინოში, მღეროდნენ, პრაქტიკანტებმა დატოვეს იგი და გაემგზავრნენ გამდიდრებულნი გამოცდილებითა და ცოდნით.

სახელოვანი მკრეფავი გულთბილად იხსენიებს სტუდენტებთან გატარებულ დღეებს. ეს შეგობრობაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ წარმატებების მიღწევაში, რომლითაც დამსახურებულად ამაყობენ ტატიანა ჩხაიძე, მისი რგოლის წევრები და ყველა შრომელი.



ოთხი უსათაურო



ამღერება მინდა, მაგრამ
ვიღაც მიშლის ხელს.
არ მასვენებს, ჩამჩურჩულებს
სიტყვებს შიშის მგვრელს.

ვებრძვი, ვებრძვი, ვეომები
ამ უჩინარ ლანდს.
მოვიშორებ, უკან ვტოვებ
კვალსა და ბარდს.

ისევ, ისევ ისე დავრჩი,
როგორც ვიყავ უწინ.
დღე იღვევს და არ ვიცი
კენტი თუ ლუწი.

ის ერთი თვე, ამ ერთი თვის
ციხკარი თუ დამე.
ძილი რაა აღარ ვიცი,
დარდით მოვიშხამე.

თვალს მივლულავ, ისევ ვახელ.
თვლემის მეშინია.
სხვათაშორის ვიღებ ლუკმას,
მშია და არც მშია.

წიგნები და გაზეთები
მაგიდაზე ყრია.

დღემ იმატა, მზე მტყველებს,
რომ ზამთარი მიდის.
საცა არის აფეთქდება
ყვავილები შინდის.

ჩმას ვიმაღლებ და სიმღერას
ვეუსნი გზას და კვალს.
ის კი მაინც შემუქრება,
არ შორდება კარს.

მე კი მჯერა ვერ დამჯაბნის
ვერ ჩამიხლუნს ხმას.
ცხადია კი მალონებს და
მართმევს დროს და ხანს.

მათ ახლოს არ ვეკარები,
თიქრმა ამამღერია.

ვაბოლებ და კვლავ ვაბოლებ
პაპიროს თუ თუთუნს.
ყურს მივუვდებ ასში ერთხელ
ლურჯ მდინარის დუღუნს.

დაღვრემილს და ქანცმილეულს
ამოოხვრა მიმძიმს.
ფანჯარაში ვამჩნევ ნათლად
მაგ შენს თვალთა ციმციმს.

არვის ნახვა აღარ მინდა,
არც რა მახალისებს.
ეგრძნობ მხოლოდ შენ ერთადერთი
მშველი ისევ ისე.

დათბა, დატკბა, სალამურის
ხმა გზად დამეწია.
ბუჩქის ძირას, ბუჩქებს შორის
ხარობს ია — ია.


გაზაფხულის სუნთქვა მესმის,
მისი გულის ძგერა,
უგზო უკვლოდ დაფარფატებს
ნაზამთრალი ძერა.

ნახალწლევს მოგელოდი
შეპირების დარად-
დღეს ხელობით ეს დღეები
ისე გაიპარა.

აჰა, ხედავ ზამთრის ნაცვლად
გაზაფხულზე გელი.
მოდის, მოდის ნუ გრცხვენია
მომაწვდინე ხელი.

მაშინ პატარა იყავ,
როცა რომ გაგიცანი.
შემციმციმებდი, როგორც
ვარღზე ნასხური ცვარი.

მე არ შეგონა, არა,
ტრფიალი გახდებოდი.

გაგაშავეებს, დაგამშვენებს
გაზაფხულის დარი.  **საქართველო
წიგლიერთა კავშირი**
რა გგონია აქაცაა
შენი შესადარი.

ნაზია თუ ნაზიბროლა
შრომით ანთებული.
არ იწყინო თუ გაკადრე
სიტყვა მართებული.

მოდის, მნახე გული ჩემი
თუ გსურს, რომ არ მოტყენს.
აწ ვაზის სხელას შეუდგები,
ლერწი ამიბოტე.

მაგრამ თანდათან თურმე
იგი ვით მახე მოდის.

და პა, გავები, ტყვე ვარ,
მიხსენი, მომეშველე.
ლექსი არ ამიცრემლო,
სათქმელი დამიმშვენე.



ფოტოლი

როგორც კი დასვენების შემდეგ ქალაქს დავებრუნდი, ჩვეულებრივ მუშაობას შევეუდექი: დილით ჩარბთან დგომა, სამუშაო ნორმების შესრულება, ხოლო საღამოს ინსტიტუტში სწავლა ისე ავსებდა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებას რომ კაბუჯური ოცნებისა და ფიქრისათვის, დრო აღარ მრჩებოდა.

გონება ფორმულებით და მანქანების დეტალებით მქონდა დატვირთული. ქუჩაში მიმავალ მანქანას თუ შევხვდებოდი, მასში მხოლოდ საბურველების გამძლეობას ვამჩნევდი. თვალი სულ იმას ეძებდა, რომელი ჭანჭიკი სად, ან როგორ იყო მიხრახნილი.

არ ვიცი, იქნებ არც დამიჯეროთ, მაგრამ ასე თავდავიწყებამდე კი ვიყავი მიხული ჩემი ჭანჭიკების სიყვარულით. ან რატომ არ უნდა დამიჯეროთ, როცა ხარატა თორის ჭანჭიკების პირველი დამშხადებელი მე ვარ!

მამჩემი ძველი ხარატი იყო. გვარად მოგვდგამდა ხელოსნობა და მეც ადრე შემაყვარა თავისი საქმე. როცა პატარა დეტალების დამშხადებისადმი განსაკუთრებული ლტოლვა შემნიშნა, მითხრა: — კვიცი კი გვარზე ხტის, მაგრამ ამ პაწია საქმეზე მაინც როგორ იწყალეებ თავლებსა და გულს, ჩამომსხმელის ხელობას მოეკიდეო. მაგრამ ჩემმა თვალბმაც და გულმაც სწორედ „პაწია საქმისაკენ“ გასწიეს და მგონი მართალიც ვიყავი. ისინი ხომ მაინც დიდ საქმეს ემსახურებოდნენ, უდიდეს მანქანებს ქმნიდნენ...

აი, ასე მიღის ჩემი ახალგაზრდობა შრომასა და სწავლაში. მგონია ბევრიც შემომნატარებს ბედს!

საღამოს, ლექციების შემდეგ ვბრუნდებოდი შინ, ჩვენს ქალაქში არ იცის თოვლა ფეხის მოკიდება. მაგრამ დამით

შედარებით ნაკლები მოძრაობა იყო და თოვლს ემარჯვა, ყველაფერი დაებარდნა.

შვეუდექი აღმართს, გაყვები ხეივანს...

ეს ახალი გზა ჩემს თვალწინ დაიბადა. აქეთ დავდიოდი ყოველთვის. როცა კი გამოვივლიდი, შევანელებდი ფეხს და ჩვეულებრივ მანქანების დეტალებს ვავირდებოდი: ჩემს თავსაც ვამოწმებდი და გულში სიამაყესაც ვგრძნობდი, რომ ჩემი ნახელავი პატარა დეტალები ამ ასეთ დიდ საქმეს აკეთებდნენ.

აი ახლა უკვე გაქიმულ გზატკეცილზე მივდივარ. მე მგონია, უფლება მაქვს ყველაზე ამაყად გავიარო ამ ახალ ქუჩაზე, რადგან მის მშენებლობაში მალულად, მაგრამ მაინც მივიღე მონაწილეობა.

შუა ქუჩამდე მივედი, ხეივანს გავეხდე. მხრები გავშალე, მსუბუქად ამოვისუნთქე და ცას მივაჩერდი. დამრგვალბული, პირსასვე მთვარე სიყვარულით აცილებდა ქულა ფიფქებს, გამალებით რომ მეფინებოდნენ პალტოზე, სახეზე. წამწამებზე. ირგვლივ მიდამოს თითქოს ყვითელი ფერი დასცემოდა, კაშკაშა მთვარის ფერი. და მე მომეჩვენა, რომ ეს ყველაფერი უცებ უფრო გაიშალა. გაფართოვდა, უსასრულოდ იქცა...

...და გამახსენდა:

შეებულება დამიმთავრდა, მაგრამ ისე გამიტკბა ნაძენარში, მოკლე ხნის მანძილზე დასასვენებელ სახლში შეძენილ მეგობრებთან ყოფნა, რომ ყოველი ზედმეტი წუთიც კი ბედნიერებად მიმიჩნდა. ამიტომ მატარებლით წამოსვლას, ისევ მანქანით გამომგზავრება ვაპყობინე და ხუთი საათით გვიან გამოვედი.

წამოსვლის წინ. რა თქმა უნდა, შევა-

მოწმეთ მანქანა და რაკი საქვსაც გამო-
ცდილი მძლოლი უჯდა. გულშევიდად
დავადექით ფიქვნარში გაქიმულ შარა-
გზას. შუა გზაზე მომესმა უკან მომავა-
ლი მსუბუქი მანქანის საყვირის ხმა.
ჩვენმა მძლოლმა გზა დაუთმო და პატა-
რა, მსუბუქმა მანქანამ ელვის სისწრა-
ფით ჩავიქროლა. პაერის ტალღა სახე-
ში მეცა. ხელი გადავისვი შუბლზე და
სანამ მოვასწრებდი სახიდან ხელის ჩა-
მოღებას, მომესმა საშინელი კრიალის
ხმა.

ორასიოდე მეტრის მანძილზე ახლა-
ხანს გაქროლილ მანქანას საბურველი
დაშვებოდა და მოღუნებულ ღერძიდან
ჭანჭიკები დასცივენოდა.

ჩვენ მივუახლოვდით მანქანას. მძლო-
ლები ნაცნობები გამოდგნენ, და რა თქმა
უნდა, ჩვენმა მძლოლმა შესთავაზა დახ-
მარება. ჩვენ თითქმის ყველანი ახალ-
გაზრდები ვიყავით და ხალისით, ცერც-
ვივით წამოვცვივდით ძარადან. პატარა
მანქანის მგზავრები კი ფეხს არ იცე-
ლიდნენ. როცა მსუბუქ მანქანას მივუახ-
ლოვდი, შევნიშნე, რომ შიგ მანდილოს-
ნები ისხდნენ, მაგრამ ჩემი ყურადღება
გაბნეულმა ჭანჭიკებმა მიიპყრო და
ალარ დავკვირებივარ მათ, იქვე ჩავცუც-
ქდი, საქმეს შევუღექი. ბედად, ყველა
ხელსაწყო აღმოაჩნდა მძლოლს. ჭანჭი-
კების მარაგიც ჰქონდა და, როცა ჩაზე-
დე ყუთს, ჩვენი ქარხნის მარკა-
მაც შემომცინა, კიდევ ერთხელ გადა-
მიქანდა გული სიამაყით.

ჩემს საქმეს რომ მოერჩი, ხელები გა-
ვიწმინდე და ნორჩი ნაძვის ხეების
ჩრდილისაკენ წავედი.

მძლოლებმა საბურველის მორგება
დაიწყეს. ჩვენი თანამგზავრები აქეთ-
იქით მოფენილიყვნენ, ვინ სად იწვა ხის
ჩრდილში, ვინ საით მისეირნობდა. მეორე
მანქანის მგზავრები კი ჯოუტად ფეხს
არ იცვლიდნენ ადგილიდან, მანქანას არ
სტოვებდნენ, არ გადმოდიოდნენ. როცა
ჯერი საბურველის გამოცვლაზე მიდგა,
მძლოლმა რალაც უთხრა მათ. მე შორს
ვიყავი და არ გამოვიგონია, მაგრამ ის
კი დავინახე, კარი გაიღო და გადმოვიდა

მანდილოსანი, რომელსაც სადა, შავი
კაბა ეცვა. ჭალარა თეთრი თმა დაუჭა-
ნობ, მაგრამ მოღლილ სახეს... მშვენიერად
მატებდა. მას ხელი არ გაუშვია კარისათ-
ვის. მანქანიდან გადმოცქრიალდა ახალ-
გაზრდა გოგონა. უცებ ყველაფერი
შეიცვალა ირგვლივ. განათდა. მზიანი
დღე იყო, მაგრამ მიდამოს ახლა რალაც
სხვა ფერი დაეცა, კაშკაშა, ბრწყინვალე,
დიდებული ფერი! აქამდე ფერების ასე-
თი სიდიადე არ მეგრძნო. ასეთი შეხამე-
ბა არ შემიმჩნევია... ქალიშვილს ყავის-
ფერი კაბა ეცვა, ყვითელი ზოლებით
მორთული. მე, საერთოდ, ფერების
გრძნობა არ მქონდა. არა, ალბათ არც
მიფიქრია ამაზე. ახლა კი ვუყურებდი
მოჯადოებული და მიკვირდა, რა ლამა-
ზად ეხამება ყავისფერი ყვითელს!

ქალები ჩემსკენ გამოემართნენ.
ფეხზე წამოვიჭერი. დაბნეული მივჩერე-
ბოდი მათ და თვალს ვერ ვაცილებდი.
გუნებაში კი უზაროდ ვიმეორებდი:
თურმე რა კარგად ეხამება ყავისფერი
ყვითელს...

მანდილოსნები უკვე ჩემთან პირისპირ
იდგნენ. ილიმებოდნენ, რალაცას მეკითხ-
ებოდნენ, მაგრამ მე დაბნეული, თვა-
ლებდაჭყეტილი მივჩერებოდი. ბოლოს
საღლაც შორიდან მომესმა:

— რა ბედზე შეგხვდით. საბურველის
დაშვება კიდევ არაფერი, მაგრამ აი,
ჭანჭიკები რომ არ მიგეხრახნათ, ალბათ
გზაში დაერჩებოდით. — ამას მგონი
მანდილოსანი მეუბნებოდა, ალარ მან-
სოვს, გაოგნებული ვიდექი. ვიღიმებო-
დი და ვფიქრობდი: რომელი უფრო ლა-
მაზია — ყავისფერის შეხამება ყვითელ-
თან, თუ შავი ფერისა თეთრთან? ალბათ
სასაცილო ვიყავი, რადგან ქალიშვილ-
მა ღიმილით მიმართა მანდილოსანს:

— დედა, იქნებ ქართული არ ესმის...
გამოუფხიზლდი.

— როგორ თუ არ მესმის, ქართველი
გახლავართ. რითი არ ვგავარ ქართველს!
შემდეგ ჩვეულებრივი საუბარი გავა-
ბით. მე რატომღაც ფერებზე მომინდა
საუბარი: აი, ეს ნაძვი — ზურმუხტის-
ფერი ნაძვი, ის მდელი — ისიც ზურ-

მუხტისფერი, მზე! ოქროსფერი, ყვითელი მზე... და ალბათ, დროზე რომ არ გავჩუმებულეყავი და პირი არ მომგეუმა, ბევრ სისულელეს ვიტყოდი კიდევ...

ამასობაში მანქანა შეაკეთეს, საბურველი მოარგეს და მძღოლმა თავისი მგზავრები მიიწვია. ჩვენმა მძღოლმაც მისცა ნიშანი და ყოველი მხრიდან გაისმა კისკისი, ხმამალალი ლაპარაკი.

— თქვენც ჩვენი მანქანით იმგზავრეთ, ადგილი გვაქვს. — შემომთავაზა ქალიშვილმა. ის იყო პირი დავაღე პასუხისათვის, რომ უნებურად შევხედე დედამისს. ისეთი სიმკაცრე და მბრძანებლობა ამოვიკითხე მის სახეზე — განუმება ვარჩიე, ენაზე მომდგარი სიტყვა გადაეყლაბე.

მასუკან ვერ იქნა, და ევლარსად შევხვდი.

მჯეროდა, რომ საოცნებოდ არ მეცალა, არც ფიქრის დრო მქონდა, მაგრამ აქი გავიხსენე ზაფხული! აქი მეც წავიოცნებე! აი, რამდენჯერ ჩამიჭროლა მანქანებმა, ჩემს ახალგაჭრილ გზასაც გავცდი, მაგრამ ჩემი ჭანჭიკები რომ აღარ გამხსენებია!

ისევ ბარდნიდა. მე კი ქუჩა ამეთავებინა და მის ი.ავში მრავალწლიანი მალაღლი ჰადრის ქვეშ ვიდექი. მე გავიგონე როგორ დაჰბერა ნიაემა. მალლა ავიხედე. ერთი საბრალო ფოთოლი, ჰადარს რომ შეხმობოდა, ახლა მოწყვეტილი ძირს ტრიალით მოდიოდა. ნათლად დავინახე ყავისფრად შემხმარ ფოთოლს აქა-იქ ყვითელი ზოლები შერჩენოდა. ისეთივე ფერების შეხამებამ იგივე გრძნობა გამოიღია. მისკენ წავიწვიე, მაგრამ ვერ მოვასწარი ხელის შეხება. იგი ჩემს გვერდით გადაფრიალდა და ნაძვის ტოტს შერჩა.

მიედიოდი... მოწყვეტილ ფოთოლზე ვფიქრობდი.

შრიალი გავიგონე. ნაძვის ხეებს შევხედე, თოვლიდან თავები გამოეყოთ, კენწეროები გადაეწიათ და გამალეებით უყვებოდნენ ერთმანეთს ჩემს მარცხზე, ჰორობოდნენ... დამციროდნენ.

მუშტი მოვუღირე და ნიშნისმოგებით შევძახე:

— ეპოვნი, მოვძებნი!

მათ ისევ ჩაიშრიალეს. დამიჯერეს?



თქმულება ქუთაისზე

გულზეიადი მამა ყოლია დადამ გულ-
 ბანს. ჭაბუკს შვილდისარით ღმერთათ-
 ვის ნიშანდაკარგული ხარჯიხვი მოეკ-
 ლა. მამა განრისხებულა ღეთაების შე-
 საწირს კაცის ხელი არ უნდა შეხებო-
 დაო. ორი დღე სდია შვილს მოსაკლავ-
 ვად.

მდინარე ფაზისის მფრინავ ტალღებ-
 ში ფიჭვის ორი მორი გააწვინა დადაშმა,
 თვითონ ზედ შედგა, ბარისაკენ გაიქცა.
 მამის თვალებს მიეფარა და კავკასიონის
 უკანასკნელ კლდეფერდზე გადმოხტა
 ტივიდან. მაშინ, იქ, სადაც ახლა უქე-
 მერიონის კალთებია ძელქვეების გაუვა-
 ლი ტყე ყოფილა. ძელქვეები ვაზის მტე-
 ვნებით იყო მოხუნძული. მათ ფესვებ-
 თან ჭაბუკს კარავი მოუღობაეს, კერა
 გაუჩენია და ცხოვრება დაუწყია. ზე-
 მოთ წიფნარში და მუხნარში გარეული
 ღორი იცოდა, ცამდე აშოლტილ მთე-
 ლემარე უღრანში კი ირემი და შვე-
 ლი. აბა, სანადირო როგორ დაეღო-
 და მის გამჭირაბ თვალს და ვეფხის
 მოქნეულ ბწყალივით მაგარ მკლავს.
 მისი თითებით მოზიდული ისარი ორი
 დღის სავალზე ეწეოდა ცაში აფრენილ
 ფრინველს და ველზე გარბენილ შველს.
 მავენ სულების ფათერაკისაგან მკერდ-
 ზე დედის ხელით დაკიდებული დევის
 კბილის ავგაროზი იცავდა. კეთილს
 კი თითონ სცნობდა. მაღალ მწვერვალ-
 თა სიახლოვეს დაბადებულს და გაზრ-
 დილს არწივი მიაჩნდა კეთილისმყო-
 ფლად. ამიტომ დაბინავებისთანავე ჯერ
 კიდევე შეუბუმბლავი მართვე დაიჭირა
 და აღზარდა.

კარვის კუთხეში ძარღვიანი კლდის
 ქანი შემოიტანა, ზედ ბუდე გაუკეთა
 და თანამოსახლედ გაიხადა.

ჯერ ბურტყლით შეიმოსა მართვე,

მერვე ფრთები გაუმაგრდა. მის ნის-
 კარტს და ბწყალს თანდათან მუხის კა-
 ნის ფერი მიეცა. ბავშვივით გაიწვრთნა.
 ეაკაცოვით დაუშწიფდა გონება. დადა-
 ში დილით შვილდისარს გადაიკიდებდა,
 მართვეს წინ აიფრენდა და ფაზისის კი-
 დეებს გაუყვებოდა. ცის ტატნობიდან
 მართვეს ვარსკვლავივით სსივიანი თვა-
 ლები ყველაფერს ხედავდა. ირემს
 მოჰკრავდა თუ შველს თვალს, ზევი-
 დან დაიხუტებდა, გამზრდელს ად-
 გილსამყოფელს ანიშნებდა. ნანადირევს
 ერთად შეექცეოდნენ. თანდათან შეე-
 ჩვიენ ერთმანეთს, თანდათან დამე-
 გობრდნენ. საღამოს ეამს სანადირო-
 დანაც ერთად ბრუნდებოდნენ. არწივი
 ცის ბილიკით, დადამი ტყის საცალ-
 ფებოთი. გზა ორივეს კი ერთი ჰქონი-
 ათ — სახლოსკენ მოდიოდნენ. ერთ სა-
 ღამოს არწივი არ დაბრუნდა. ღამე თე-
 თრად გაათენა დადაშმა, თვალს ძილი
 არ მიიკარა. გათენებისას ფრთების შრი-
 ალი მოესმა. კარვის წინ ძელქვის
 ტოტზე წყვილი არწივი შენიშნა. ერთ-
 ში თავისი მართვე იცნო, მეორე კი
 უცხო იყო. მიხვდა დადამ გულბანი.
 დაწყვილების დრო დამდგარიყო. ახ-
 ლად გატყავებული შველი მიუგდო
 ორივეს. თითონ კი უცნობმა დარდმა
 შეიპყრო ეაკაცო.

მთელი ოთხი დრო ბოღმანარევი და-
 დიოდა დადამი, თავი უბრუოდა დარ-
 დისაგან, წამალი კი ვერ მოენახა. ამ
 ხნის მანძილზე არწივებმა ბარტყები
 გაიჩინეს, ორივენი შეეჩვიენ მას.

ერთ დღეს, იქ, სადაც ფაზისის ტალ-
 დები უფრო მშვიდი და წყალმარავალი
 ხდება, ვეება ნავი შენიშნა. ადამიანე-
 ბი ნაპირზე გადმოსულიყვნენ, მწვა-
 ნებზე ნანადირევი გაეშალათ და შეამ-
 წი-

ცოდნენ. ჭაბუკმა თვალთვალი დაუწყო მოსულებს. ცოტა ხნის შემდეგ მათ ორი ქალი გამოეყო. ქალები ტყისკენ წამოვიდნენ. ერთი ახალგაზრდა იყო, ირემს გავდა, მეორე უფრო ხნიერი და დარბაისელი ჩანდა. ახალგაზრდა დაწინაურდა და სწორედ იმ ძელქვი-საკენ წამოვიდა, სადაც დადამი იყო მოფარებული. ვაჟკაცი წამოწვა და თავი მოიძინარა. ქალწულს შეეშინდა, ალბათ მკვდარი ეგონა და მუხლდაჩოქილმა ვაჟის მკერდზე ყურის დადება დააპირა, დადამის გულისცემა ერთი დღის სავალზე ისმოდა. ქალს ღმილი მოერიპო. ალბათ გუშანიტ მიხვდა ვაჟის ეშმაკობას და ტყის ნაპირზე ჩუმი კისკისი გაისმა. ჭაბუკმა თვალები გაახილა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?! — ჩურჩულით იკითხა ქალწულმა.

დადამი გააკვირვა მისმა რბილმა და ხავერდოვანმა კილომ. სიტყვა მაინც ვერ დასძრა.

— მუნჯი ხარ? — გაიღიმა ქალმა.

— შენმა ხილვამ დამამუნჯა. — ნელა წაილულულა ჭაბუკმა.

ქალმა არაფერი თქვა, მხოლოდ უკან ორი ნაბიჯი გადადგა და მხლებელ ქალს შეეხიანა!

— ძიძა-დედუ, შენ უკან დაბრუნდი, მეც მალე გეახლები.

ხნიერი ქალი უსიტყვოდ დაემორჩილა, ქალიშვილი კი უკან გამობრუნდა. იგი წყნარად მივიდა ისევ დადაშთან, ნელი რხევით შევილდი აიტაცა და თვალიერება დაუწყო. ლარის მოწევა სცადა. ძნელი აღმოჩნდა. ქალმა ვაჟკაცის გულმკერდზე გადაიტანა თვალი.

— უპ, რა ღონიერი ყოფილხარ?! —

— დათვი მომიკლავს ერთი მუჭის დარტყმით, — დაიტრბახა ვაჟმა. ქალმა იჭვით შეხედა. ვაჟი შეტბა, უხერხულობა იგრძნო თავის ნათქვამის გამო.

უცებ დადაშის ბედზე შრიალი გაისმა და ციდან ჩამოსხლეტილი მისი აღზრდილი ზედ ბუკის თავზე შემოაფრინდა.

ქალს შიში დაეტყო.

— ავი სული ხომ არა ხარ, — შეკრთა ქალწული.

— ავი რად ვიქნები, ეს ჩემი გაწერა ნილი არწივია. — იამაყა დადაშმა.

— შენი გაწერთნილი?! — ფერი მოუვიდა ქალს.

— ჰო, ჩემი, ამ უშიშარს, თავისი ცოლშვილიცა ჰყავს. ამ ქვეყნად მგონი მარტო მე დავიარები უტოლოდ. — წამოსცდა უნებურად დადაშს გულის დარდი.

ქალმა პირდაპირ შეხედა ჭაბუკს და თვალები დახარა. დადაშის მზერაში ისეთი ელვა-კოცონი შენიშნა, რომ მისმა თვალებმა თითონაც აათრთოლა და ტანში ტკბილნარევი შიში ჩაუყენა.

— ენა ჩვენი გაქვს და უცხო კი ჩანხართ, — შეეკითხა ვაჟი.

— მე აიეთის მეფის ასული ვარ. — წამოსცდა ქალს.

— მეფის? — გაიკვირვა ვაჟმა. მე კავკასიონის მწვერვალთა მაღალი კალთების შვილი ვარ. ჩვენ მეფე არასოდეს გვეოლია. მამისაგან გამიგონია კი — ბარის მცხოვრებლებს მეფე მართავს.

— ჰოდა მეც მისი ქალი ვარ. ერთადერთი ასული.

— მეფეები გულგოროხნი ყოფილან, ერთმანეთს ეომებიან, დილეგებში ადამიანებს ამწყვდევენ.

— მამაჩემი მეომარია, მაგრამ გულკეთილია. — წყენა დაეტყო ქალს ხმაში.

— ნუ გამოჯაერდები, — შეტოცდა ვაჟი. — ეს მამაჩემს უამბია ჩემთვის. ახლა მე მარტოდ-მარტო ვარ ამ ქვეყნად. მამა გავაჯაერე. გამირისხდა. მხოლოდ ეს ზვიადი ფრინველი სუნთქავს ახლა ცოცხალთაგან ჩემს ახლოს.

ქალმა არწივს ჩახედა თვალებში. ვაჟი გააოცა მისი აღზრდილის ღმობიერებამ. იცოდა დადაშმა, ფრინველი მის გარდა ყველა სულდგმულს ერჩოდა. ახლა კი თბილი სიკეთე ჩადგომოდა მულამ ბრახიან მზერაში.

— ამასაც მოეწონა ეს ასული, ჩემი ბედი თუ იგრძნო მტაცებელმაო, — გაიფიქრა თავისთვის.

ქალმა ფრთებზე ნაზად დაუსვა ხელი ფრინველს, არწივი გაიტრუნა, არ იტყუოდა.

— კარგი ყოფილა შენც გაზრდილი, — ღიმილით თქვა ქალმა.

— თქვენ მას მოეწონეთ, ჩემსა და თაის ფრთოსან მეცალეს გარდა არავის იყარებდა ამდენხანს. ახლა მესამე მეგობარი გიგულათ.

— მეც ვუმეგობრებ. სიკვდილამდე ვუმეგობრებ, — წყნარად ჩაიჩურჩულა ასულმა და მორცხვად შეხედა ვაჟს.

დადაშს ტანში კეცსაბედმა გაჰკრა, ცეცხლიც შემოენთო. არწივის ჩალობილ ნისკარტზე ხელი წააელო, მისკენ მიაბრუნა და თვალბეჭეში ჩახედა.

— რას იტყვიან ახლა? — ხმამაღლა კითხა ზვიად ფრთოსანს.

— გრაგ-ჰე-ჰე! — გაყვილა არწივმა ცის ტატნობს.

— გრაგ-ჰე-ჰე! — მოესმა პასუხად ზვიადს და ცოტა ხნის შემდეგ ღრუბლებქვეშ დაშვებულ მობოინე დედალი ფრთოსანი შენიშნა ასულმა.

იგი უნებლიედ გაიწია ვაჟისაკენ. ვაჟმაც უნებლიედ მოხვია ხელი.

— წამოხვალ ჩემთან?

ქალი გაიტრუნა, სიტყვა ვერ სთქვა.

— იქ კარგია, მდინარის ტალღები მუხივით ასვდება კლდეებს, ცივი წყაროები გადმოადინებულან მღვიმეებიდან; ყურძნის მტვენებით დატევრილია ძელქვის ტოტები. იქ კარგია. — სუნთქვა გაუხშირდა და ნაპერწკლიანი გაუხდა დადაშს. — ცა უფრო სუფთაა და ვარსკვლავმრავალი, მიწაც უხვია და თბილი. ჩვენი სამყოფელიც კლდეთა კედლებით არის შემოღობილი. უშიშარი არის და ნეტარდასასვენებელიც. წამოხვალ ჩვენთან? — ჩაუჩურჩულა ახლა დაჟინებით ვაჟმა.

— არ ვიცი, მე შენთან მინდა, მაშას უნდა შეეკეთხოთ. უიმისოდ არ შეიძლება.

— იქ კარგია, — ისევ აფეთქდა ვაჟი. — ზევით არწივთა საბუღარი მწვერვალებია, ქვემოთ გაშლილი ველები იწყება. ზემოთ წაბლის ტევრებია, ქვე-

მოთ ძელქვის გაუვალი ტყეებით იღრუბლება გარემო. მწვერვალთა ფრთებზე ჯიხვების ჯოგებში დაწვანობენ, ქვემოთ კი ხარ-ირმები დარბიან. ხის ტოტებზე თვალუთვალავი ფრთოსანიც ხარობს და ხეთა ფუტურობიდან თაფლის წყაროებიც გამოუღველად მოყონავს, კარგია — მეთქი, ხომ წამოხვალ კოლხეთის მეფის ასულს ჩემთან?!

ქალმა თრთოლა იგრძნო. ვაჟმა კიდევ ახლო მიიზიდა იგი.

— აქ კარგია. იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ, — ახლა კეცია და ნაპერწკალი ხმაშიაც ჩაუდგა დადაშს, — იქ კარგია, ჩემო პირველო სიცოცხლის ლამაზმარცვლო, არწივები ხომ მოგვეფერენ და ბედი დაგვილოცეს. ციხეს ავაგებ სალკედზე, სასახლეს გავშლი მწვანე მდელიზე, კობესვეტს მარმარილოსას დაუვებ, თაღებს ვარსკვლავთა გუნდებით მოექუქდავ, გუმბათს იალბუხის წვერს ვუსწორებ, კედლებს ცის დასალიერში ამოექუქიტკარავ, ხომ წამოხვალ, ჩემო დედოფალი?!

ქალმა კოჭებამდე ჩამოშვებული ნაწნავეები ხელში აიკრიფა, ჯერ ცაში მობოინე არწივს შეანათა შავი დანამული თვალბეჭე, მერე ისევ დადაშის მხარეზე ჩამოჩქადარ ზვიად ტოლფრთოსანს მოეფერა და სთქვა:

— წამოვიდე თქვენთა ფრინველთა მეფე!

— გრაგ-ჰე-ჰე!.. გააყვილა ისევ მამალმა დედალს ცის ლურჯ გუმბათში.

— გრაგ-ჰე-ჰე! — ისევ მოესმა საპასუხო ყვილი ზემოდან.

ასულმა გაიღიმა, ვაჟს ხელი კისერზე შემოხვია და ისევ წყნარად ჩაუჩურჩულა.

— მთვარე რომ თორმეტჯერ დაილევა და გაიბადრება მაშინ მელოდემამაჩემს ნებართვას ვთხოვ, უიმისოდ არ შემიძლია. მაშის სიყვარული ღონეს მისცემს ჩვენს ცოლქმრობას. იცოდე დამელოდე და მოვალ.

შვილზე გაბრაზებულმა შერგილ გულბანმა ცოლის გული ევრ მოიგო. ქმრის გულზეადობამ მეტად გაანარისხა დედა-ძაძუ.

— ღმერთი სულგრძელია, — ამბობდა იგი, — ჩემს შვილს შეცდომას მიუტევებდა, შენ კი ღმერთიც გასწირე, როცა შვილზე მახელი აღმართე და მეც გული მომიკალი. უფრო გაეარეარებულ ქვის კეცზე დავწვები ვინემ შენს მკლავის სიახლოვეს ვიგრძნობ.

კოშკში ავიდა, შიგ ჩაიკეტა და შვილს დაუწყო ლოდინი. ქერის გამხმარ პურის ყუას წყალში აღბობდა და ისე ცხოვრობდა. ქმრის ნანადირევი არ გაიყარა — მათაც აღბათ ისე უმიზნებდა შვილდისარს, როგორც ჩემ დადაშს მიჰმართა იგიო.

თანდათან დადნა ქალი. შერგილ გულბანის ცოლი კი ენით უთქმელი ღამაში ქალი იყო თურმე. პირველად ჯარობაზე ენახა იგი განთქმულ მონადირეს შერგილს და ნადირობის ქალღმერთი ჰგონებოდა. გორაკზე მდგარი ასულის წაშწამები ყორნის გაშლილ ფრთებით შრიალებდა. მისი ნიავი ათ ნაბიჯზე ბალახსაც არხევდა და აღლევებდა. ტანი ხევში ამოსულ ალვის ხესავით მაღალი და თმები შავი ღრუბელივით სინათლე გაუვალი ჰქონდა. დიდი ძალა აქვს ნამდვილ მამაკაცზე ქალს. შერგილ გულბანიც ცოლის თვალის შუქით ინათებდა ცხოვრებას, მისი გუმანის გამოცნობი და შემსრულებელი იყო. ახლა, კი, როცა დადაშზე განარისხებულს ცხელი გული ვაუგრილდა და დაეჩუტა, ცოლის დარღმა მასაც ოჯახის უბედურებაზე მოუბრუნა გულღვიძლი.

— შვილიც დავარგე და ცოლიც დაელუპე, ვი ჩემს გულმესისხლეობას, ფიქრობდა იგი და გალიგვებული თვლებით შესცქეროდა ცოლის სამყოფი კოშკის ცივ კედლებს. დრო კი გადიოდა. მაღლა კოშკში დედის ძუძუმკერდი

ქცნებოდა, კოშკის ძირს მამის მხარბეჭი ილეოდა.

ქვეყნად არ არის უფრო მტლიერი რაი. ეიღრე შვილზე დაფიქრებული დედის გუმანი.

მისი გულღვიძლი შორით გრძნობდა შვილის ბედსა თუ უბედობას, შვილის პირისღვიძლი თუ თვალზე მომდგარ ცრემლს. და, აი, ერთ გათენების ექმს, კოშკის წვერს შემყურე შერგილ გულბანმა დაინახა, მისი ცოლი ტაატით, შაგრამ პირმოლიმარე ჩამოდიოდა კოშკის კიბეზე.

— წადი, შე უბედურო შერგილ. ჩვენს შვილს მიეშველე, წუხელი გულმა მითხრა მისი ბედნიერება, ეწვიე მას. ეტყობა მამის ხელი ესაჭიროება, სახლიკაცებიც თან წაიყვანე, ვგრძნობ ისინიც გამოგადგებათ. გუმანიოთ იმასაც მიგმხედარეარე, ხუროები აარჩიე, ჩემს შვილს სასახლის აშენება განუზრახავს. იცოდე, აი, ჩემი თმის ფთილები თან წაიღე და ციხე-ქალაქის ბალაეკრს დაუტანეთ. შთამომავლობას დედის თბილი სიყვარული თან დაუყება. ძუძუქეთილი ქალები დაიბადებიან, სამართლიანი ვაეკაცები დაშწიფდებიან.

სიტყვა არ უთქვამს შერგილს, ცოლის ბრძანება ღმერთის ძაბილად მოუჩნევია და მშის ამოსვლისას გზას გასდგომია.

მხოლოდ, როცა მდინარის პირას ჩასულა უფროსი გულბანი, მაშინ შეტნიშნავს მის თავის მაღლა მობორიალე ორი არწივი.

მამასაც მიმხედარი გუმანი აქვს. ამიტომ მასაც გეზი იქით აუღია საითაც არწივები ფრთის შრიალით მოუძღვებოდა დაბლობისაკენ დაშვებულ სახლიკაცებს.

თითონ აიეთის მეფე ამოსულეყო ამალით. ორი ათასი ხურო და ხის ოსტატი ამოეყვანა თან, შერგილ გულბანის სახლიკაცებს ისინიც თან დაემატენ და ციხე-ქალაქის კედლებმა დღითიღლე ცისკენ აიწიეს.

გალავანის ოთხივე კედელში ბალაეკრს დედის თმის ფთილები ჩაატანეს.

ვაის და ქალის მამებმა თითო უღვაშის ღერიც თან ჩააყოლეს, მემკვიდრეები და თაობები პირიანი და ვაქაცური ყოფაქცევის უნდა დამდგარიყვნენ.

თქმულება იმასაც ამბობს, კოლხეთის მეფეს ვეფხის სამი ბოკვერი მოეყვანოს თითქოს. ხუროები მათი ნერწყვით ზეღენ კირს და საშენ ქვასაც ალოკვინებდნენ, — ვეფხური ძალა და ბწყალი რომ დაყოლოდა ციხესა და შიგ ვაზრდილ შთამომავლობას.

როდესაც თალის შევერაზე მიღვა საქმე არწივთა გუნდი მოიხმო დადაშმა. თითოს თითო ფრთის ნაბტყენი დაამრო და გუმბათის კალთებს ჩაატანა. პაერრვანი და მძლავრი დარჩება, დასაზრდელეებიც არწივების საბუღარს თავისად იგულებენ.

აშენდა კლდეზე ციხე-ქალაქი. წყაროები იღუმალი გზით შემოიყვანეს, ბილიკები და გზები მოხრეშეს. აღმოსავლეთის მხრიდან ფაზის ტალღები ასკდებოდა მის კალთაფესვს, დასავლეთით კი ქვესკნელს ჩათხრილი გაზაფხულით გაგიყებული პატარა მდინარე უვლიდა ირგვლივ. ამ მდინარის პირას ბაღები გააშენეს, ბოსტნები გაშარათეს. ხეებზე სხვადასხვა ჯიშის ყურძენმტყენები გაამრავლეს და შეატოტეს.

როდესაც მთვარე თორმეტჯერ დაილია და ისევ გაივსო, მაყრიონიც მიუახლოვდა ადგილსამყოფელს.

საპატარალო და მისი ამაღა დარახტული ცხენებით შემოფრინდნენ გალაგანში, ცხრა სამთავროს უღამაზესი ქალწულნი თან ზლებია აიეთის ასულს. მათი მშვენიერება თვალს სტაცებდა დადაშ გულბანის დევგმირ სახლიკაცებს. ქალები გააკვირვა მთის ვაქაცუბის სილამაზემ და ახოვნებამ.

მეფემ სთქვა:

— მარტო დადაშის და ჩემი ქალწულის ქორწინება როდი მიბრძანებია. სამი დღე მომიცია გალაგანში შემოსულ ქალ-ვაჟთათვის დრო. ერთმანეთს თვალი დაადგან და გაეცნონ, ურთიერთის

ფიქრი და აზრი გამოხსნან და შევუღლებინათეთის მოეშალონ.

სამი დღის შემდეგ მათი ქორწილი და ახალ ციხექალაქში დასახლება დამიკანონებია. მზითვეს თვით ვიყისრებ, ოჯახთა მოწყობილობაც სამეფო საგანძურადან გაიცემა. მამაკაცები ჩემ მხედრებად ჩამირიცხავს, უფროს მთავრად შერგილ გულბანი დამინიშნავს.

სხვანაირი ფერი აქვს კოლხეთის ცას. ფართოდ გადაშლილ კამკამა ლურჯ გუმბათს მუდამ მზე ანათებს და თაფლის ღვეთებიც პეშვიებზე სცივია სხივთა ღვედებად. მისი ცაში შეტყორცნილი მწვერვალები მუდამ თეთრი ყინულებით არის დაფარულნი, კალთებზე კი დაუღვეველი ვაზაფხული დაშოილებს და ყოველთვის ღორთქ სიმწვანეს ზადებს.

ფერღობები და ველები, გაუგალი ტყეებით, უთვლელი ხეხილით და ათასგვარი ყვავილით არის საესე. მინდვრებზე პურის ყანები და ბაღბოსტნები გადაშლილან. ვერცხლისფერი წყაროები ყოველ ფეხის გადადგმანზე გადმოქუზან და ქვემოთ ბარისევი გზებს წყრილით მიიკვლევიან. ათითასი ფრინველით აესებულეა ტყემინდორი.

სამი დღელამე ხარობდნენ და ერთმანეთს ეკნობოდნენ ქალვაეები. მეოთხე დღეს ხალდეს საზაფხულო მინდვრებიდან ჩამორეკილა სამასი სული ხარი წამოაქციეს და დაატყავეს, ორი ამდენი წერილფეხიც დაჰკლეს და ზეიმს შეუდგნენ.

ქალებს, ტბილნაყოფიერების ნიშანი, წაბლის რტოები ეკავათ ხელში, მწიფე მარცვლები რომ მოჩანდნენ გადახსნილ სიმწვანიდან.

ვაეებს ღომთავიანი ვერცხლის სატყერები შემოერტყათ სამოსზე, სიმდიდრის, სიბრძნის და ვაქაცობის დამამტკიცებელი.

შვილი დღელამე იქორწინეს და მერვე დღეს ძაძუ-დედა მოადგა ახალ ციხე-ქალაქს. შერგილ გულბანის მეუღლეს კარიბჭეზე შეილის სიდდერი აიას სამეფოს დიდი დედოფალი გამოეგება.

— ყოველ დედას ერთი ფიქრი აქვს, თქვა დედოფალმა, — შვილი ბედნიერი დარჩეს წუთისოფელში, დაელოცოთ შვილები ჩემო დაო.

— დედის გულწრფელი ბაგით დამილოცია ორივენი, წყნარად სთქვა ძაბემ — დამილოცია ჩვენი ხალხის ბედის გასახარებლად. დამილოცია ჩვენი მიწის ასაყვავებლად, დამილოცია შთამომავლობის ბედნიერი გზის გასაკვალავად.

მუხლი მოუტრიახამ ძაბემ-დედას დიდი დედოფლის წინაშე. დედოფალი შეჩქვიფებულა, მძახლისათვის დაჩოქება არ დაუნებებია, მკერდზე მოხვევინა და სიღარბისლით უთქვამს: — ამ ქვეყნად თანასწორთა შორის მხოლოდ დედაბი არიან თანასწორნი. მარტო მათ აქვთ ერთი უტყუარი ფიქრი: შვილებს ჯანი და ბედნიერება არ მოაკლდეს, ჩვენც ხომ დედები ვართ, მძახლო ჩემო, მიმიღეთ თქვენს დად. თქვენ სისხლად და ხორცად. დე, ორივემ ერთად ვიფიქროთ მათთვის.

მერმე დამსხდარან, საუბარი გაუბამთ, როგორც ეს დედებმა იციან ბედნიერ წუთებში. თავიანთი შვილების სიყრმე გაუნხენებიათ, მათი ჩვევები და ანცობანი მოკგონებიათ, აქა-იქ კმრების ავკარგიც გამოურევიათ და ერთმანეთი ახლოს გაუცენიათ.

მეფის ბრძანებით ყოველი ახლად დაქორწინებულთათვის სახლკარი აუშენებიათ, წყვილი ხარი და საჯდომი ცხენი უსაჩუქრებიათ, დიდი ცხოვრება-სიცოცხლისათვის საძირკველი ჩაუდგამთ. სანამ ქალაქი გაშენდებოდა აიას მთის კალთებს და ველმინდერებს ორხელ დაათოვა და ამწვანდა. მესამე გაზაფხულზე ციხეგალავანს ქონგურები ამოუქეტირეს, კოსკის თავზე ყარაულები განამწესეს.

ვეფხესა და ლომს თათი აქვს მძლავრი და ღონიერი, მაშინდელ კოლხეთს ახლო ციხე-სიმაგრე მიუჩნევია ქვეყნის ფესვისიმაგრედ და როცა აიას მეფეს შვილიშვილი დაეზადა სამეფო ზეიმი ამ ციხე ქალაქში გადაუხდიათ.

თქმულება ამბობს: დადაშ გულბანის ჩვილ-მემკვიდრეს ქვასავეთ მაგარი უჩვეულო ღონის მკლავი გამრყარია, ერთი წლის ბავშვი თუ კი რასაუეს ხელს წაავლებდა ვერავინ გამოგლეჯდა ხელმოვლებულს.

ჯერ კიდევ ყრმა-ბიჭს წაბლის ხის ავენის რიკული მოუფშენია თითებზეა.

— ვეფხის თათი ქონია! — გაკვირვებია მეფე-პაპას.

— ქვის თათი დაპყვა ჩემს შვილიშვილს! — უთქვამს შერგილ გულბანს.

— ეს ციხეგალავანიც ხომ სალ ქვებზე სდგას, ალბათ მისი ფესვი თუ ასაზრდოებს ჩვილის მკლავის ძარღვს! — დაუდასტურებია დიდ დედოფალს.

— სახელიც ქვათათი დაენათლოს! — უთქვამს ძაბემბოს.

— ამ ციხე-ქალაქსაც ქვათათისი დაერქვას! — უბრძანებია მეფეს.

ამის შემდეგ ხშირი გაუტეხიათ, ბიქისთვის ყურმნის წვენით ჩვილი ტუჩები მოუბანიათ, მთელ სამეფოში მსრბოლებიც დაუფრენიათ: — შვილიშვილი მეყოლა, ერთადერთი მემკვიდრე ჩემი ის არის და სახელათაც ქვათათი დამინათლავს. ახალ ციხე-ქალაქისთვისაც ქვათათისი დამირქმევია, იცოდეთ ამიერიდან ჩემი სამყოფელიც აქ იქნება.

მსრბოლები ჯერ კიდევ არ იყვნენ წასულნი, რომ სამხრეთიდან და ზღვისპირეთიდან ავი მაცნე მოსულა. მომზღურთა უთვალავი ლაშქარი შემოსეოდა ქვეყანას.

მტერთან შერკინება მეფეს ახალ ციხე სიმაგრეში განუზრახავს. ლაშქარი სამად გაუყვია: მარჯვენა ფრთის მეთაურად დაუნიშნავს შერგილ გულბანს, მარცხნივ—დადაში, ხოლო მკერდმკერდთითონ მეფე უძლოდა მკაფავებს წინ. მტერი კი მოძალებულა და მოძალებულა ისართა ტყორცნისაგან წრიახ კლდის ფერდებს ნაპერწყლები ბლუჯაბლუჯად სცვიოდა. მეციხოვნეები ამ ნაპერწყლებზე გაზინთულ ჩიუებს ცუცხლს უკიდებდნენ და სახანძრე საბუღრებად, უკან ესროდნენ მომზღურებს.

დახოცილ მეომრებისაგან აღიდგებულ მდინარეზე ხიდი გაკეთებულა, შეგულებულა და ორ ვიწროშუა გარემო ზღვა-სავეით დაუფარავს.

ამ ხილით უსარგებლოათ ციხეგალავანში მყოფთ, ღამით, მტრის ნამალევად ჯარი მდინარის მარცხენა ნაპირზე გადაუსხამთ, ზურგით მოუვლიათ, მწვანე ტყითა და ყვავილნარით დაფარული გორაკები დაუკავებიათ და იქიდან გაურეკიათ თავდამსხმელები. მტერს ერთხელ კიდევ გაუბრძოლია, ძალები შემოუკრიბავს და ციხე-ქალაქს ისევ შემორტყვამია მრისხანე ტალღად. სწორედ ამ დროს ჩრდილოეთიდან პერეთელებს ჩამოუსწვრიათ და მტრის ურდოეში ისე უწყალოთ უკაფავთ, მთხრობელად მხოლოდ სარდალი და მისი ამაღა გადარჩენილა.

თქმულება იმასაც ამბობს, დამარცხებულსა და შერცხვენილ თავდამსხმელთა სარდალს გაქცევის წინ ახალ ციხე-ქალაქისაკენ ცხენი მიუბრუნებია და თან შეუთხოვია: მთელი ქვეყნები გამარჯვებით მომივლია, ათასი ციხე-ქალაქი დამინგრევია, აქ კი ამდენი ჯარი ამომიხოცეს, ვაი, რომ არც ციხე-ქალაქის სახელი ვიცი და არც მისი პატრონისა!

მაშინ თვით მეფეს, ქვათათა ბიჭი ხელში აუყვანია და შეუქანნია: — ამ ციხესიმაგრის ბატონი აი ეს ვაჟაკია, მისი სახელი ქვათათა გახლავთ, ციხე-ქალაქსაც ქვათათისი ჰქვია!

გამარჯვებულ მეციხოვნეებს კი ზე-

ვიდან ვეფხის თათები და არწივის ფრთანაპტკეენები გადმოუყრიათ — ნახეთ, ასეთი ვაჟები ჰყავს ამ ციხე-ქალაქს, ვეფხის თათების და არწივის გაფრენის ძაღლონის პატრონი არიან. შერცხვენილ სარდალს თავი ჩაუჭინდავს, ცხენი შეუბრუნებია და უკან წასულა. მის ამაღაში ერთი ჰქვიათი კაცი ყოფილა, სარდალს პირდაპირ შეხედა თურმე და ასე უთხრა: — ციხეგალავანი ვეფხის ნერწყვით უშენებიათ, მკლავშიაც ვეფხის და არწივთა ძაღლონე ჩაუთესიათ. აბა, ვინ მოსპობს მათ ნაშიერთ, ან ვინ დასძლევს მათ ქვეყანას! ნირგატეხილი სარდალი ტანმოთენილი და ბეჭებ-მოხრილი სპარსეთის საზღვრამდე ჩიფჩიფებდა:

— ქვათათისა... ქვათათისი... ბიჭი ქვათათა... ქვათათისი...

ასე მთავრდება ეს თქმულება ჩემ ქუთაისზე, მაგრამ თქმულებებს განა დასასრული აქვს?!

ახლა როცა რიონის ტალღებით აბრუნებულ გენერატორებს ცეცხლის სინათლე-ნაპერწყლებით გადუშედავთ მისი თაღები, როცა მისი ვაჟაკების ხელით შექმნილი მძლავრი მანქანები ჩვენი ქვეყნის მალაროებში თუ ველ-მინდვრებზე სახალხო სიმდიდრესა და სიუხვეს ჰქმნიან, ამ თქმულებას მეტი ძალა და ღონე თან ახლავს.

ქუშმარიტად ქვათათიანი ვაჟაკები აკეთებენ ამ დიდ საქმეს.



დ ე დ ა

მათი უბით გამთბარი ზეიშია მათივე...
 ფარჩამოსხმულ მიდამოს სიმღერებად ვედებით...
 გვახსოვს, გვახსოვს რამდენი თეთრი ღამე ათივს,
 გვახსოვს, გვახსოვს, აკვნებთან მითულემილი დედები!

დედის გული სხვა არის, — სანთელივით ანთია;
 ცრემლად დადნეს — ცოდვია, დაიდვენთოს — ბრალია
 შეგვაყვარა სამშობლო, შეგვაგება განთიადს,
 ორთავ თვალის სინათლე შეიღებს გადაალია.

დრო იყო და, თვალეზი დაებურა კეწნით,
 მოგვძახოდა: მომხდურებს დაეტყდომოდით მეხადა.
 მის თვალეზში, — უსიტყვოდ მომუდარე თვალეზში,
 მხოლოდ ქვეყნის ტანჯვა და შეილის სახე ეხატა.

ქმრის და შეილის სანაცვლოდ ნამჯის ზღვაში ბრუნავდა,
 მოიმარჯვა გუთანი და ყანაში გავიდა.
 განა, ქედს მოიხრიდა კარზე მომდგარ ბურანთან?
 ანდა დანებდებოდა ჭირს ცოცხალი თავითა?

ახლა აკვანს დახარის, ახლა ჯალაბს დახარის,
 ხედავს: სოფლის ბოლოზე ტყე შრიალებს უვნებლად.
 ლეღეების ჩქაფანით, წყაროების ხარხარით,
 ჩანჩქერების თქრიალით ამოივსო ბუნება...

სადაც დაზგა დგანდგარებს, — დედის სითბოც იქ არი;
 სადაც სჭრიან საძირკველს, — საიმედოდ ციმციმებს:
 წარბს შეჰკრავს და წამშივე ფრთებს დაჰკეცავს
გრიგალი,
 შეზღს გახსნის და გაქრება დამღლელ შრომის სიმძიმე.

დედის გული სხვა არის, — სანთელივით ანთია;
 ცრემლად დადნეს — ცოდვია, დაიდვენთოს — ბრალია.
 შეგვაყვარა სამშობლო, შეგვაგება განთიადს,
 ორთავ თვალის სინათლე შეიღებს გადაალია.

და სული, როგორც თეთრი ღრუბელი...

დროდადრო თრთოლვა რისთვის
დამიარს,
 ან რა ნაღველი თვალში ჩათოვებს.
 ჩემი ქვეყანა ხომ აღამიანს
 უღაბნოშიაც არ მიატოვებს.

ვინმეს თუ ღამემ მიუსწრო გზაში
 და გადაჩენის აღარა სჯერა;
 ყველა ხმა მასზე ჰყიყინებს მაშინ
 და სარკმლებს აღებს ყოველი კერა.

მაშ, შეთქვა მაინც, რატომ ელონდები,
 რატომ ვიხსენებ სტროფებს
 გაფრენილს.
 ვინ მენატრებით, ვინ მაგონდებით,
 ვისკენ მიშლილა ჩემი აფრები.

ვარ მყუდრო კერპვეშ შეფარებული,
 თბილად მახურავს, თბილი მივია.
 გულია ეგებ შეყვარებული
 და სიყვარული ვერ გამიგია.

მივედი ღია ცხოვრების კართან,
 ოჯახი მაქვს და სიცოცხლე მართობს.
 მყავს ორი შვილი, — ორივეს კალთა
 დავაფარე და გზა მივეც ფართო.

ეგებ ლექსია მესამე ჩვილი,
 რომელიც გზაზე ვერ დავაყენე
 და უგზოდ ვკარგავ ღამით თუ დღით,
 სტრიქონებს, როგორც დამხმარ
 ნამყენებს.

ეგებ დიდ შუქთან მეც შევქალბ
 ციმციმს,
 სული ბოლავს და მხრები მემტვრევა;
 რადგან სხვის ნახულ გზის ჩრდილში,
 ვიცი,
 ორი სიმღერა ვერ დაეტევა.

ღამეში ოდნავ შექანდა ბონდი

ღამეში ოდნავ შექანდა ბონდი,
 ახოზე მგონი გამოჩნდა ვილაც.
 ვიდექი მარტო და გვიან, როდის,
 აქეთკენ თრთოლვით რომ
 გამორბოდა, —

ღამეში ოდნავ შექანდა ბონდი
 და ხმა ამოხდა მდინარის მიღმა.

მოქმის ხმის ცნობა არვის ეშლება,
 თუ მის წინ დელგმა დადგა ღრუბელთა.
 სტრიქონს კი ვერვინ ვერ მიეშველა
 და გადარჩენა ვერ დაუბედა.

დღემდე ოცნებით ვსულდგმულობ ასე.
 სულს წვავს სტრიქონი — ცეცხლის
 მომდები.

მარტო ვარ ლექსით გაუპრულ გზაზე
 და არვის შევლას არ ველოდები!
 ბორგავს ოცნება გადამბუგველი,
 ჰეი, დამეხშო მგონი გონებაც, —
 და სული, როგორც თეთრი ღრუბელი,
 ცისკენ მიიწევს ასაბოლებლად.

იმ სტროფებს ველი, იმ ტივილს
 ვნატრობ,
 და ერთი ფიქრი თავზე მეველება, —
 მე გადავრჩები, ჩემი გზა მარტო
 თუ განვვლე ხელის შეუშველებლად.

ვკარძნობ, სიტყვა მომდევს ხშირად
 კრიალა, —
 ხან ფხვიერია, ხანაც მწირია...
 და თუ ჩემი გზით არ გაიარა,
 მამ გული ვისთვის შემეწირია!

ახოზე ისევ გამოჩნდა ვილაც,
 სიბნელემ მუქი მოიხსნა ჯილა,

ღამეში ოდნავ შექანდა ბონდი...
 შენ დაიკვილე: — ეს ვინლა მოდის!..
 მე კიდევ შევეკრთი და გვიან, როდის
 გითხარი — ასე რომ მოველოდი,
 ბედია ჩვენი, ის ჩვენთან მოდის...
 ღამეში ოდნავ შექანდა ბონდი...



ბაღაუხურავი სხრი

პრიგორსკაია პატარა სტანიცაა მღვრიე ლაბის ნაპირას. ზედ სტანიცასთან მდინარე მძლავრად უხვევს, მაღალ კბოედს ლოკავს და მერე ჭალაწვრილში იქარგება.

სტანიცას სიცხის ბული აწევს, აკაციის და თუთის მზით შეშუშულ ფოთლებს აღარც კი ახსოვთ — როდის განბანა წვიმამ, როდის უნანავებდა ნაივი. გაივლის ფართო შუკაზე ფორანი რამ, აპყვება უკან მტერის გრძელი, სულშემხუთავი ღრუბელი და მერე ეს ღრუბელი ნელ-ნელა დაწვება ქანგარა ბალახებზე და ჭოხების ღერწმის სახურავებზე.

ჩავა თუ არა მზე — მდინარეზე კოლოების გუნდები იწყებენ ზუზუნს. მთელი სტანიცა ძილს მისცემს თავს. მხოლოდ ერთი ჭოხიდან გამოსკვივის ხოლმე შუქი, — ეს ჩამოსჭლი აგრონომი ვასილვეი მიმჯდარა ნავთის ლამპასთან და წიგნს კითხულობს.

მაგიდაზე სახლის პატრონის ბოხვერა კატა სთვლემს, კრუტუნებს. გასძრავს ხელს აგრონომი და კატა ფხიზლდება, ზანტად აახელს ცალ თვალს, ახედავს ვასილვეს და ისევ დახუჭავს, ისევ აკრუტუნდება წყნარად.

კედლის იქით სახლის პატრონები წევიბიან — ივან გრიგორვეიჩ პეტროვი და მისი მეუღლე ანისია მიხაილოვანა.

ვასილვეს ესმის, ისინი რომ ხმა-მაღლა ეტყვიან ერთმანეთს რამეს.

— ე-ზე-ზე. — ამოიოხრებს დედაბერი, — ესეც ის დღე... ფენიამ კი ისევ დიდიანა. ნამდილადა დღესაც „ზაგონერნოში“ აყურყურებს.

— ნამდილოდა. მოსავალს აბარებენ, სახათბალო საქმეა. — დუღუნებს ბერიკაცი.

— გაიტანჯა ეგ გოგო. ჯერ მე როგორ საშინლად ვიღლებოდი ხოლმე, სამკალში რომ ვმუშაობდი, ახლაც მახსოვს...

— ფენია არა მკის! ფენია ხორბალს ეზიდება.

— სულ ერთია — მანდაც მუშაობაა. ბერიკაცი ჭირჭინა ტახტზე წვება და თან კრუსუნებს.

— ეს ჩვენი მდგმური კი კითხულობს და კითხულობს, ამოდენა ნამთსა სწვავს, — ისევ იწყებს ანისია მიხაილოვანა.

— აღბათ ეგრეა საჭირო, — დაუბეჭედებს ივან გრიგორვეიჩი. — ნასწავლი კაცია...

ვასილვეი მაღალი ხმით ახველებს, სახლის პატრონები ჩურჩულზე გადადიან. მაღე ბერიკაცის ღრმა, ხრინწვარეული ზვრინვა შემოესმება, დედაბერი კი ისევ რაღაცას ტუტუნებს — ან თავისთავს ელაპარაკება, ან ლოცულობს.

აგრონომი წიგნს გვერდზე გადასდებს — მისი დაწოლის დროცაა — ივან გრიგორვეიჩი უთენია ადგება, დაიწყებს ბორილს და დაადვიძებს ყველას.

პეტროვების სახლი ყველაზე დიდია სტანიცაში. მარტო ამ სახლს ჰხურავს თეთრი თუნუქის სახურავი, კედლები, კარებები — ყველაფერი მამაპაპური აქვს. საყამითყამო... ივან გრიგორვეიჩი ხან ეხოში დაათრატუნებს თავის დაკვრანჩხულ ფეხებს, ხან ოთახებში. დაინახავს რამე განაჩხაპნს კედელზე და იმ წუთშივე სუფთად ამოლესავს. გახსნის კირს და გაათეთრებს იმ ახალ ამონაღესს. შეამჩნევს — მესერს ფიცარი აქვს ამძვრალი, გამოიტანს ჩაქუნს და

დააპედებს. ღმერთმა ნუ ქნას ცოლს ან ქალიშვილს წყალი დაეჭყეთ იატაკზე, გაიპაჰება ყვირილით: ფიცრებიო, ოხრდებაო, ლებდაო.

აგრონომი რომ ღამფას ჩაუწევს და დაწეება, დაბლა, ეზოში კუტკარი მიჯახუნდება, მერე ფეხის ხმას გაიგონებს — ფენია დაბრუნდა, სახლის პატრონების ქალიშვილი. ამ ქალიშვილს ვასილევნი იშვიათად ხედავს, ის უთენია მიდის ხოლმე და ხშირბინდისას ბრუნდება.

გვერდით ოთახში შექი ენთება, მისი ერთი სხივი ფიცრის ტიხრში ძვრება და ლარივით იჭიმება იატაკზე. გაიჭრიალებს კარი, ახხარუნდება ჭურჭელი სამზარეულოში — ფენია ვახშმობს; მერე ისევ ესმის კარის ჭრიალი, შიშველი ფეხების მსუბუქი ხმა, ტანი-სამოსის შარიშური. გაქრება ნათელი ზოლი იატაკზე.

ვასილევს ფენიას ღიმილი აგონდება, აგონდება მისი რუხი დაფიქრებული თვალების გამოხედვა. პირველ ხანებში ფენია უფრთხოდა, გვერდზე რომ გაუვლიდა, თავსა ხრიდა. ერთ დილას კი თვითონ გამოელაპარაკა.

ვასილევნი მაშინ მაგიდას მისჯდომოდა და საუზმობდა. ფენია მოულოდნელად შემოვიდა — გაბრწყინებული, გაღიმიებული. სველი თმა კეფაზე ჰქონდა მოხვეული, სახეზე წყლის წვეთები აჩნდა. მხარზე პირსახოცი გადაეგდო.

— გამარჯობა, ტოლია. — მიესალმა სუსხისაგან დაბოხებული ხმით. — დღეს რა გვიან გარჯილხართ! ცოტა ყოჩაღად, თორემ თვალსა და ხელსშუა წაგივა ეს წუთისოფელი.

— დილაშვიდობისა, ფენია! — მიუგო ვასილევმა და თან თვალი ააყოლა, — თქვენ რატომღა ხართ შინ?

— შე ეხლა გამომივილიან. ბრიგადირი კარგი გყავს და ზოგჯერ ისე გაგვიშვებს ხოლმე ცოტახნობით.

— ვინ არის თქვენი ბრიგადირი? ნაფრონტალი იქნება ვინმე, არა?

— ნაფრონტალი კი არა ის! ალიონა,

თქვენ რა? — ეშმაკური ღიმილი გამოაპარა ფენიამ, — ხომ არ გინდათ გამაქანკლოთ. — ხმამაღლა გადაიქცა მაგიდასთან მივიდა, სარკის წინ გაჩერდა და თმის ვარცხნა დაიწყო. ვასილევნიც წამოდგა და იმანაც სარკეში დაიწყო ცქერა. წარბები თითქმის სულ არა აქვს, გიზგიზა თვალები და მკვეთრად მოხატული ტუჩები — ესაა მთელი ავლადიდება, რაც მის კარტოფილისცხვირიან სახეს ამშვენებს. მის გვერდით კი, სარკეში — ღამაში ახალგაზრდა ქალის მზითშერუჯული, მოღიმარი სახე! ფენია თმის სარკის კბილებით იჭერს, თავს გვერდზე ხრის და ასე დგას — თითქო საკუთარი სახის მშერით ტკებოდეს.

— კარგი ხართ, ფენია, დახატული რომ იტყვიან! — იძახის აღტაცებით ვასილევნი.

ფენია მისკენ შემობრუნდება.

— თქვენ ფრონტზე რა აყავით?

— მხვერაყი.

— ქალის გულის დაზვერვას თუ შესძლებთ?

— მერე როგორ ახლას!

ფენია შეცბა, აწრიალდა და მერე კარს მიეფარა.

ცოტა ხანში რომ გაიარა, აგრონომიც ეზოში ჩავიდა.

ფენია ბოსტანში იყო, კარტოფილს უბუღუღებდა.

— გინდა, გიშველო, ფენია?

— რას ამბობთ, — უკან მოუხედავად დაიძახა ფენიამ, — გოსპიტლის შემდეგ თქვენ ხომ ისევ სუსტად ხართ!

— გაჩვენებ როგორი სუსტადაც ვარ! — ხუმრობით დამეუქრა ვასილევნი, დაბალ მესერზე გადახტა, ფენიას წელზე ხელები შემოხვია და მაღლა აყვანა მოუნდომა. ფენია გაუსხლტა, გვერდზე გადაგა, თოხი მოუღერა და უწყინარი ხმით შეუძახა:

— აბა! აბა! ცოტა ჰკვანასად.

ვასილევნი ისევ წაიწია — ფენიას სახე აუქარხლდა, გაბრაზდა, მაგრამ მაინც სადღაც სხვა მხრისკენ იყურებოდა. ვასილევნი იქით მიბრუნდა და სახლის პატრონი დაინახა. ბერიკაცი კარებში

იღგა და დაფანჩული წარბები მრისხანედ შეეყარა.

ვასილევს პირკატა ეცა.

— დილა მშვიდობისა, ივან გრიგორევიჩი! — მიესალმა ხმამალა.

— მშვიდობა მოგცეს! — მიუგო დინჯად ბერიკაცმა, მოიფხანა ჯაგრიით შემოსილი ნიკაპი და შებრუნდა შინ.

— აი შევეხეჩეთო ეს არის! — თვალი ჩაუკრა ფენიას აგრონომმა, — შერე პირდაპირ მამალოს!

ფენიამ ტუნქს კბილი დააჭირა და ავად გამოცრა:

— თქვენ მე ეგრე ნუ გამელაბუცებთ გაიგებთ?

— მამატიეთ! — უკვე სეროზულად წარმოთქვა ვასილევმა, შინ შებრუნდა, პორთფელი აიღო, ქუდი დაიხურა და სტანიცის საბჭოში წავიდა.

აგრონომი ახალი დემობილიზებული იყო. რომ დაიჭრა, დიდხანს იწვა პოსპიტალში, აქ ომის დასასრულამდე მოუსწრო და ეხლა გახარებული იყო, რომ პოსპიტლის საწოლზე კი აღარ იწვა, დადიოდა და თანაც თავის საყვარელ საქმეს დაჰბრუნებოდა. ჯერ ის რად ღირდა რომ ირგვლივ ამდენი ქალი იყო — შერე სულ ლამაზები. უნდოდა ყველას გახუმრებოდა, გაღაბუცებოდა და პასუხად გამკილავი სიცილი მიეღო. გახუმრებაზე ზომ არავინ არ ამბობდა უარს — სტანიცაში მამაკაცები არ იყვნენ, მართო ბერიკაცები და ბიჭბუჭობა თუ შეგხვდებოდა გზაზე. მაგრამ იმ დღის შემდეგ სახლის პატრონის ქალიშვილისთვის ვასილევს ხმაც არ გაუცია. ქალიშვილიც ისევ ძველებურად ერიდებოდა. ერთი ორჯერ მინდორში შეხვდნენ და მაშინაც თვალი აარიდა დაღვრემილმა ფენიამ.

— დაე ეგრე იყოს! — გადასწყვეტს ვასილევი და ყურს უგდებს ქალის თანაბარ სუნთქვას, რომელიც თხელი ტიხარის იქეთა მხრიდან ესმის.

მეორე დღეს ჩვეულებრივზე უფრო ადრე ბრუნდება აგრონომი შინ.

ანისია პეტროვნა მორზე ზის, ლობესთან, ივან გრიგორევიჩი კი კარტოფილსა

რწყავს — ამოიღებს წყალს ქიდან და ქოშინით მოაქვს ვედრო ბოსტნისაკენ.

— მომეცი, მე გიშველით, ივან გრიგორევიჩი! — ეუბნება ვასილევი.

— ისადილე? — ეკითხება ბერიკაცი.

— ვისადილე, კი, ვისადილე, მომეცი ვედრო.

ივან გრიგორევიჩი ცოლს მიუჯდება გვერდით და შევებით გამოშლის ფეხებს. ფეხთ თექის ჩექმები აცვია. აკანკალებული ხელით იწმენდს სახიდან ოფლს.

ბოსტნის რწყვას რომ მორჩება, ვასილევიც იმ მორზე ჯდება, ბერიკაცი წეკოთი სავსე ქისასა და კოხტად დაეცილ გაზეთს გაუწვდის.

— მოსწიე, მადლობა მომიხსენებია... კიდევ დიდხანს დარჩებით აქ, სტანიცაში?

— ერთი ნახევარი თვე.

ბერიკაციც გააზვევს, მოუკიდებს, მოქაჩავს და დიდხანს გულამოგლეჯით ახველებს.

— შენ ისე კრასნოდარიდანა ხარ არა? — ეკითხება სულს რომ მოითქვამს.

— ხო, იქ დავიბადე.

— დედ-მამა თუ გყავს?

— დამეზოცა.

— არც მე ვარ აქაური, — ამბობს ბერიკაცი, — მეც რუსეთიდანა ვარ, ანისია. აქ ჩვილმეტში მოვხვდით. დაგეძებდით — სად აჯობებდა ცხოვრება... ერთ ბოზოლა კაზაკს ვედექი მოჯამაგირედ. დაიწყეს მიწის დარიგება და იმ საათშივე განცხადება მიეცეო საბჭოს... მიწა კი მივიღე, მაგრამ წუნვეითაც ბევრი ვიწვნიე იმ მიწის გამო.

ჩამქრალ პაპიროსს ხელახლა ააბოლებს და ნელნელა განაგრძობს:

— მიწა ვისიც იყო, ის კულაკი ბანდაში შევიდა. დამეცა ისა და ის მთელი ბანდა ერთხელ თავს, მცემეს სულის ამოხლომამდე, მიცემეს ბიჭებსაც... კიდევ კარგი რომ ანისია სხვაგან იყო გასული. თორემ არც მას დააკლებდნენ. ორივე ბიჭი დაგვეზოცა. მე კი ცნა მთელი შამთარი ლოგინად ვეგდე და მე-

რე ძლივს მოვბრუნდი სააქაოსკენ...

— პატარა ბიჭს ქერა, ქერა თმა ჰქონდა და თვალები კიდეც ცისფერი, — ამოიხარებს დედაბერი, — ბალღი იყო მთლად, ათი წლის, მაინც არ დაინდეს.

— ცოტა მოვჯობინდი და ვფიქრობ, — კვლავ მოგონებებში გადადის ბერიკაცი — შიგ დავიმარხები და ამ მიწას კი, ჩემი შვილების სისხლით რომ არის მორწყული, არავის არ დავუთმობ მეთქი. ერთი ბოგანო გლეხთაგანი ვიყავი, ბავშვობიდან მიწა იყო ჩემი სანატრელი... ვშრომობდი, ვშავდებობდი, წვლებზე ფეხს ვიდგამდი. ის იყო ცხენი ვიყიდე, ძროხაც ვიყიდე და აბა შენ უძრავ-მოდრავით! მიწა სხვის მიწას შეუერთეო, საქონელი კოლექტივში შერეკე. შენც კოლექტივში შედიო! ცოტა გაწყდა მგელივით არ ავეყუვლდი — არა და არა მეთქი. დიდხანს ვიჯიუტე... ბიჭი, ნიკიტა დაგვებადა, მერე გოგოც გაგვიჩნდა, მაშინ კი მივხვდი, რომ ამჟამად უნდა ავეყოლოდი და ჩამეყოლს ჩაეყოლოდი. შევედი კოლექტივში. ცოტა ხანი და წელშიაც გავიმართე — მიწები დალოცვილი გვაქვს. თავმჯდომარედაც კი კახაკი გვეყავდა, შემძლე, მარიფათიანი. წამოვახუხულავეთ ეს სახლი, ვფიქრობთ, ესლა კი აღარა გვექირს რაო და აჟ...

— ბი ბაღში რა სახლია, დაუმთავრებელი რაა, — ეკითხება ვასილევია.

— იქა? ის სახლი არ არის. კედლებია მარტო. ფენიამ რომ ქმარი მოიყვანა, ცალკე დაბინავება გადაწყვიტეთ: ეგეთი ფიქრი გვქონდა: ნიკიტა დაინიშნებოდა და ჩვენთან დარჩებოდა, ფენია და სემიონი კი იქ იტხოვრებდნენ. ჩვენ თვითონ ვაშენებდით. ნახე თუ არ გინახავს, კედლები ხომ აგურისაა, კოჭები-სა და კარ-ფანჯრებისათვისაც კი-კი მასალა მოვზიდეთ, ვაშენეთ, ვაშენეთ და როგორც კი საკოჭედ მოვყარეთ, ატყდა ომი... მას შემდეგ ეგრე დგას, თავმოქრილივით! იმის იმედი მქონდა — დაბრუნდებიან ნიკიტა და სემიონი, დავამთავრებთ მეთქი, მაგრამ არც ერთი არ დაბრუნებულა...

— სად იბრძოდნენ. იქნება შეგხვედრიყარ კიდევ.

— ნიკიტა სტალინგრადში დაიღუპა — სადა მსახურობდა ეგ არც ვიცი, სემიონი კიდეცა ტანკისტი იყო, კურსკთან დაიწვა...

ანისია მიხაილოვნა ოხრავს, ალბათ ვერც კი გრძნობს როგორ ჩამოსდის დაღარულ სახეზე ცრემლი.

— კარგი, დედი, — ალერსით ეუბნება ვასილევია, — ცრემლით ვის რას ვუშველით. კიდევაც მოესწრებით... ფენია გათხოვდება, შვილიშვილები გეყოლებათ.

— გათხოვდება? — ყრულ იმეორებს ბერიკაცი, — მერე კაცს შოვნა არ უნდა? ხომ ნახე რამდენი ახალგაზრდა ქვრივია სტანიცაში? ახლა სხვა სტანიცებში და სოფლებში? სად გინდა რომ ყველას ქმრები უშოვნო, ჰა? ეხ. ტოლია, ტოლია, განა ამას ვიფიქრებდი ოდესმე? აი დავდივარ, სახლკარს ვუვლი. აქ რალაცას ვაკეთებ, იქ რალაცას ვაკონწიწებ, ყველაფერს ვუფრთხილებდი... დავფიქრდები და — ვისთვის, რისთვის?! ვის უნდა დავუტოვო ეს ჩემი ავლადიდება, ვის? ეს მიწა გინდა, ეზო-ყურე გინდა, სახლი გინდა, თუ აგერ ის კედლები, ბაღში რაა, ყველაფერი ჩემი სისხლითა და ოფლით არის გაპოხილი... მერედა რა გამოვიღა? შვილიშვილები რომ ვერ მოასწრეს — ფენიასა და სემიონს გაეკეთებინათ რამე...

ბერიკაცი დაჩემდება, ზის, თავს კბილმტკივან კაცივით აქანებს აქეთ-იქით. მერე ერთი ვაი-ვიმით დგება.

— წავალ ესლა მე. შენ ჯერ არ აბირებ წაძინებას, ტოლია?

— არა, ცოტა ხანსაც ვიჯდები. ვასილევია ამჩნევს რომ სახლის პატრონი რალაც სხვანაირად შეჰყურებს.

— ფენია ხომ არ გაუთხებს ხოლმე, გვიან რომ ბრუნდება, — ეკითხება მოულოდნელად ივან გრიგორევიჩი, — მენათქვამი მაქვს — როცა გვიან დაბრუნდება, სათივეში წადი მეთქი დასაძინებლად, თორემ ეგრე — დაპბორიალობ იმ

შეღამისას და კაცს ძილს არ აძლევ მე-
თქი აღბათ.

ვასილევ ვურებს სცქვეტს — სიტყვა
სიტყვა და კილოზე ატყობს, რომ რა-
ღაც გადაჯვრით ელაპარაკება ბერიაცი.

— ხეალ ვისვენებ, — ამბობს აგრო-
ნომი, — მოვასწრებ გამოძინებას.

— ძალიან კარგი. ადუ, ჩვენ წავიდეთ,
ანისია!

ივან გრიგორევიჩი ცოლს ეშველება
და მერე ორივე მიდის.

ვასილევ იხევ იხე ზის, დაფიქრებუ-
ლია.

ვეება ყვითელი მთვარე გამოცურდება
ღრუბლიდან, ისმის — საღლაც სტეპში
ფორანი მიჯაყუაყებს რაღაც.

აგრონომს ღამის სუსხი მოუჭერს და
დგება.

უკვე ჩაძინებულა, თვლებს კრი-
ალი და ცხენების ფრუტუნი რომ ესმის.
ვილაყას — აღბათ ფენიას — ეზოში
ფორანი შემოპყავს. ცოტაც და ყველა-
ფერი წყნარდება. ვასილევს მოლოდინი
აქვს — აი საცაა ტიხარს იქით შიშველ
ფენისხმას გაიგონებს, მაგრამ ეტყობა
ფენია სათივეში წავიდა დასაძინებლად.

ღილით ივან გრიგორევიჩი ეკითხება:
— გელემა ფენია რომ დაბრუნდა?

— არა, ივან გრიგორევიჩი.

ბერიაცი თვალებს სწყურავს, მერე
მიუბრუნდება და სთხოვს:

— შენ არ შეგიძლია, ტოლია, თივის
დადგმაში რომ მოგვეხმარო? ფენიამ
ერთი ღლით ფორანი ითხოვა, თივაზე
წავიდა, წაეხმარე, თორემ მე საღლა
მაქვს მაგისი თავი!

— შემიძლია, რატომაც არ შემიძ-
ლია, — სიამოვნებით ეთანხმება ვასი-
ლევ.

ფენია საღამო ხანზე ბრუნდება, თან
ორი კოლმეურნე ქალიც ახლავს. თივას
ფორნიდან მესერს აქეთ გადმოპყრიან
და წავლენ.

— აბა საქმეზე! — მხიარულად იძა-
ხის ვასილევ, — წამო თივა დავდგათ!
ფენია რატომღაც აენთება, „ეზლა-
ვეო“ წაიბუტბუტებს და შინ შედის. ვა-
სილევს ესმის, მაგრამ ვერ გაუჩვენებია

რას ლაპარაკობენ სახლის პატრონები
და მათი ქალიშვილი. კარში ფენია და
ივან გრიგორევიჩი გამოჩნდებიან.

— მაშ, აბა შენ მალლა ახვალ! —
ბრძანებს ბერიაცი, — ეგ დაბლიდან
მოგაწვდის, აბა ჰა, წადით, გაისარჯეთ!
ივან გრიგორევიჩს ფარდულიდან ფი-
წლები გამოაქვს, ვასილევს აძლევს და
თვითონ ჭისაყენ მიეშურება.

— წყალი უნდა ამოვიტანოო — ეუბ-
ნება თივის თავს.

ვასილევ და ფენია ბაღში შედიან.
ფენია სათივეზე აღის, ძველ თივას
ფეხით სტეპის და იძახის:

— მიდი მომაწოდე!

უმძრახად მუშაობენ, ხმელი ბალახე-
ბი და ფეხები ვასილევს კისერში უცივი-
დება, გაოფლილი ტანი ეწვის. დასდებს
ფიწალს და ეკითხება ფენიას:

— არ დაიღალე? ცოტა შევიცვენოთ,
ჰა?

— შეისვენეთ — მიუგებს ფენია, —
გინდათ ადგილები შევცვალოთ. აქ უფ-
რო ადვილია.

— არა, — უარზეა აქაჩანებული ვასი-
ლევ, — მე აი ამ წუთშივე...

ფენია ფიწალს დაპყრდნობია და ასე
დგას, აგრონომს უყურებს. სახეზე სა-
თივის ჩრდილი ადგას, დაფიქრებულა.
წვრილ, მოქნილ წელზე შემოკვართუ-
ლი მისი კაბა საღამოს მეწამული ცის
ვარდისფერი არილით არის გაბრწყინე-
ბული: ვასილევ დაბლიდან ხედავს მის
შერუჯულ კანჭებს, და თუმცა იცის
რომ ფენიამ შეამჩნია ეს ურთივარი
მზერა, მაინც თვალს ვერ აშორებს.

— ჰა, ვერ დაისვენეთ? — ეკითხება
მოუთმენელი ფენია.

საქმეს რომ მორჩებიან, ფენია ფი-
წალს ძირს გადმოაგდებს და ვასილევს
სთხოვს.

— მანდ საღლაც კიბეა... მომაშვე-
ლეთ.

— მიდი გადმოხტი, მე დაგიკერ! —
ეუბნება ვასილევ.

ფენია დამცინავად გადმოხედავს.

— თქვენ რომ მაგდენი შეგებლოთ...

— გადმო, ფენია, — ესმის ვასილევს

სახლის პატრონის ხმა. ის შეუმჩნევლად მოსულა სათივესთან და ეხლა ალუბლის ხესთან დგას. — გადმო, ნუ გეშინიან, ტოლია შემოგეშველება.

ფენია თივაზე ჯდება და ძირს ეშვება. ვასილევნი იღლიებში შეუვარდება, თავისკენ მიიხიდავს და მკერდზე ქალის მკერდივი ძუძუების შეხებას გრძნობს, ფენია გაუსხლტება.

— ანდე! — ამოიძახებს ბერიკაცი, — შენ კი სჯიუტობდი, სულელო. იცით მე თქვენ რას გეტყვიო? მუშებო? წადით ლაბაზე, იბანავეთ და მერე წაივიახშმოთ! მე სადღაც არაყიც მომეძევება, ტოლია!

— მე არსად არ წავალ! — ბრაზით ამბობს ფენია და ხეებს იქით მიეფარება.

ვახშამზე აგრონომს არყით უმასპინძლებდა ბერიკაცი. ვასილევნი ჰოსპიტლის შემდეგ ჯერაც ვერ მოლონიერებულა და ეხლა ხელდახელ თვრება, ენა ეხსნება. როგორც ყველა ნასალდათარი, იმასაც სულ ერთი რამე უტრიალებს თავში — ფრონტი და ფრონტი.

ბერიკაცი თავს უქნევს მოწონების ნიშნად, წყნარად გადაეჩურჩულებს ქალიშვილს:

— ნაეალი ბიჭია, არ ბაქიაობს, ეტყობა.

ხმამალლა კი ამას ეკითხება აგრონომს:

— ორდენები გაქვს ტოლია?

— ორი „ვარსკვლავი“ და „სამამული ომის“ მეორე ხარისხისა, — მიუგებს ვასილევნი. იღუშება სიტყვა რად შემაწყვეტინეთო და მერე ისევ გატაცებით განაგრძობს მოყოლას.

ფენია შესცქერის — თვალდაუხამებლად, მუშტრისთვლით.

აგრონომი რომ დ-ჩუმდება, ის კიდევ დიდხანს ვერ აცილებს თვალს. შემდეგ მამას მიუბრუნდება.

— მამილო, გესმის, მამილო, სახლის წინ რომ კარტოფილია ის უნდა ამოვიღო.

— იფ, ქუთისკოლოფი! — გაიკვირვებს ბერიკაცი, — ვინ იღებს ეხლა მამისთანას!

— ამოვიღებ და ყაყაჩოს დაეთესავ. ზინას გამოვართვი თესლი!

— შენ ემაგ სისულელეებს თავი დაანებებ! — შეუტევს ბერიკაცი, — ყაყაჩო... მერე ჭამით რა გინდა რომ სჭამო.

აღგება სუფრიდან, გადის და გაჯახუნებს კარს.

— ყაყაჩოს დაეთესვა გინდათ? — ეკითხება ფენიას ვასილევნი და თან ნალვლიან თვალბში ჩასცქერის.

— ხო. წითელისა. — ფენია ნდობით შეაჩერდება აგრონომს, — ჩვენ მე და სენია, ჩემი ქმარი, სახლის წინ ყაყაჩოს ვეთესავდით ხოლმე. იმასაც უყვარდა ყვავილები და მერე როგორ ახლა!.. მხიარული იყო, ის, ჩემი სენია — მღეროდა, თამაშობდა... ხმა ჰქონდა რაყარაყა...

ფენია ხმადაბლა წაუმღერებს:

«Ой, ты Галю,

Галю молодая...»

სახლის წინ, ქუჩაში, ფორანი ჩერდება.

— ფენოჩკა! — კივის ყურისწამლები ხმით ვილაც ქალი.

ოთახში ბერიკაცი შემოიხედავს:

— შენ გეძახიან, ფენია. ხორბალია საზიდი სადგურში.

ფენია შეკრთება და წამოდგება.

ვასილევნი ფეხდაფეხ მისდევს, კუტკართან ჩერდება და პაპიროსს მოუკიდებს.

ფორანი წაე, გაივლის ცოტას და მეფორნე ქალ — ფაშფაშა თეძოგანიერი დედაკაცი — ფენიას აგრონომზე ანიშნებს და ეკითხება:

— შენია?

ფენია ხმას არ იღებს, თითქო არაფერი არ გაუგონიაო.

ცხენი თემშარასკენ გაუხვევს.

— განა მე ეგ გამოშადგება, ტენია? — უცებ წამოიძახებს ფენია, — ბაიყუშია, მაგის...

— ეხლა ვარგა — არ ვარგას დრო არ არის, კაცს ეხლა სხვა ფასი აქვს, — აცხადებს ტენია და თან ცხენს უჯავრდებდა.

— შე ეგ არ მეკითხება ფასი აქვთ თუ არა აქვთ!

სახლის პატრონი აგრონომთან მიდის, ჩვეულებისამებრ თითებით იხოკავს წვერს.

— ტყუილად გავაბრაზე, — დღუღუნებს ის, — ჯანდაბას მაგისი თავი, ადგეს და დათესოს ის ყაყაჩოა თუ რა-ღაც. შოდი შე და შენ დავეუთესოთ, პა? კი სუპარიზი იქნება ჩემი გოგოსთვის.

— დავუთესოთ რა. — უგულოდ ეთანხმება ვასილევი, — ფენია როდის დაბრუნდება?

— სულ ცოტა — ორი დღე მაინც დააგვიანდება. ხვალე, როგორც კი მოხვალ, დავუთესოთ. შე იმ კართოფილს ამოვიღებ, მთლად ქორფაა, კამით გავაკეთებინოთ...

ერთმანეთს დასცილდებიან და დასაძინებლად მიდიან.

ბერიკაცი შინ შედის, ხელებს იფშვინტავს, კმაყოფილია რაღაცით.

— იცი რა, ვანია! — ეუბნება ანისია მიხაილოვნა, — გუშინ სიზმარში ჩვენი სემიონი ვნახე. თითქოს იღგა და თითის ქნევით გვემუქებოდა... გრძელი, გრძელი ხალათი ეცვა და გულზე ლაქა ჰქონდა სისხლისა.

— სისხლისა, სისხლისა, — გამოაჯავრებს ივან გრიგორევიჩი, — შენა, ბებერო, ემაგ სიზმრების ნახვას, ის გირჩევნია საცვლები დაურეცხო ჩვენს მდგმურს.

— დაურეცხავ, კარგი — სწრაფად ეთანხმება დედაბერი.

— საცვლებს შე თვითონ გამოვართმევ, — ამბობს ივან გრიგორევიჩი, — თორემ ის მისდღემში არა გვთხოვს, ფენიასი სცხვენია, ეტყობა.

მეორე დღეს, საღამო ხანზე, ვასილევი და სახლის პატრონი მოსთონნიან, მოასწორებენ მიწას და დასთესავენ ყაყაჩოს.

ფენია რომ ბრუნდება, გაკვირვებული ათვალიერებს კვლებს და მერე მანას ეკითხება:

— ვინ დათესა?

— ტოლიამ, — მიუგებს ბერიკაცი, —

რაც შე იმან მლანძლა — კაცის გულს ყვავილები ახარებსო, თქვენ კი ზედ ფანჯრებთან კარტოფილი გიდგათო. ფენია თვალბში ჩააცქერდება მამას...

აგრონომი დარეცხილ და დაუთოვებულ საცვლებს აღმოაჩენს ჩემოდანში.

— ვისი მაღლობელი უნდა ვიყო? — ეკითხება ის სახლის პატრონს.

— ალბათ იმისი, ვისაც მკლავი უქრის, — უღვაშებში ჩაელიმება ბერიკაცი, — ნუ კი ეტყვიოთ, შერცხვება.

ვასილევი ჩაფიქრდება, მიუხედავად სახლის პატრონის გაფრთხილებისა, ის მაინც ეუბნება მეორე დღეს ფენიას:

— დიდი მაღლობა, რომ თვალი გშერია და ჯარისკაცის საცვლები დაგირეცხავს, დაგიუთოვებია.

ფენია გაკვირვებით ასწევს სწორ, შავ წარბებს და მხრებს იჩიჩავს:

— შე ხელი არ მიხლია, — ამბობს ის და იატაკზე ჩექმის ქუსლს ურტყავს. უცებ გაელიმება, — თქვენ შე ყაყაჩო დამითესეთ, შე კი თეთრეული დაგირეცხეთ. ბარი ბარს. თქვენიც დიდი მაღლობა.

ფენია თავს დაუქრავს და დინჯად გაემართება კარისკენ.

აგრონომი განაწყენებული, გაღიზიანებული ვასილერის ქალის თმებამოშლილ კეფას, „მაინც რა კარგია“ ძალაუნებურად გაიფიქრებს ის.

გადის რამდენიმე დღე. სახლის პატრონი თავის მდგმურს გაურბის. აგრონომმა იცის, რათაც გაურბის ივან გრიგორევიჩი. „ჩაგვეშალა შენი გვემეზბი, ბებერო მელაგ, — ხითხითებს ის, — მაგეებით ზედსიძეს ეერ იშოვი, ვერა. ვერ იშოვი“. მაგრამ საღდაც გული-გულში მაინც წყენა აქვს დაფარული. ფენიას სილამაზე იზიდავს. ფენია კი აშკარად მტრულად ეკიდება და ეს ვასილევის თავმოყვარობას ლახავს.

აგრონომი დილიდან საღამომდე მუშაობს, უნდა რომ ჩქარა დამთავროს საქმეები. ერთხელ შინ ბრუნდებოდა და ქუჩაში შეჩერდა... ღია ფანჯრიდან ფენიას ხმა შემოესმა.

— მე ჩემს სენიას არავისზე არ გავცვლი.

— მერე მე რა, გაძალბე? — დინჯად მიუგებს ბერიკაცი, — მაგრამ შენ მაინც უნდა გაიგო, რომა... ადრე კიდევ რაღაცა იმედი გვქონდა, შეიძლება შეცდომააო, შეიძლება დაბრუნდესო... ეგ იმედიც დაეკარგე, შენც დაკარგე... დამაცა, მათქმევინე!.. სტანიცაში კი ეს ორი კაცი დავრჩით — კოკლი დარაჯი ანტროპი და მე...

ვასილვეი ბრახით მიახეთქებს კუტკარს, ავა აივანზე და შევა თავის ოთახში — ერთხელაც არ მოიხედავს სახლის პატრონებისკენ მას უკვე აღარ ესმის, როგორ განაგრძობს თავისი ქალის დარწმუნებას დაბალი ხმით ბერიკაცი:

— შეეჩვევი და შეგიყვარდება. ბიჭად ბიჭს არა უშავს, დამსახურებულია, ნასწავლი, ეგეთ ქალს, შენ რომ ხარ, გააღმერთებს, შენ ოღონდ ცოტა დაუყვავე.

— არა, მამილო, არა! არ მიყვარს, გაიგე?

— არ მიყვარს, — გამოაჯაგრებს ივან გრიგორევიჩი, — შეილი გეყოვლება, შეგიყვარდება. ჩუმათ, მათქმევინე. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, მე დაბებრდი, მე უფრო კარგად ვიცი. ტოლიასთან შენ არა გაგიპირდება რა, ბედნიერი იქნები.

ფენია ხმის ამოუღებლად გამოდის ბაღში.

ბერიკაცი თავს იქნევს, აღგება და ვასილვეს მიუკატუნებს:

— მოხვედი, ტოლია? რათ დაგაგვიანდა? ბევრია არა სამუშაო? — მოხუცი ყურადღებას არ აქცევს მდგმურის გულგრილ გამოხედვას, კრუსუნით ჯდება და განაგრძობს, — ეგრეც არ ვარგა, თავს გაიფუტებ და ეგ იქნება. ჯიელები არა ფრთხილობენ ხოლმე და მერე გვიანდაა სინანული. ჩემი ნიკიტაც ეგრე იყო ხოლმე. მერე ის ლონიერი იყო, შენ იმასთან სად მოხვალ. არხს ვილებდით. მე ნელა-ნელა, ნახევარ ნიჩაბს ავიღებ და ამოვყრი, ის კი

ჩქარობს, ეგრე გეგონება — მთელი ეს დედამიწა ნიჩაბზე უნდა შევადგოსო.

ყვება ივან გრიგორევიჩი ნიკიტას ამბებს, ლანძღავს სიფიცხის გამო, მაგრამ მის სიტყვებში დაუოკებელი კაეშანი ისმის. გამოაქვს ფოტოსურათი და ვასილვეს აჩვენებს... გაყვითლებულ სურათზე ორი ბიჭია, ერთი მაღალმალაი, ზორბა, მსხვილინიკაა. მეორე — უფრო პატარა, ტანმომცრო, ჯიუტქონიანი.

— აი ეს სემიონია! — ატაკებს თითს ივან გრიგორევიჩი, — დახე რა ქოჩორი აქვს და!..

ვასილვეი უსმენს, თავს ძლივს იკავეებს, ბოლოს აწყყეტინებს:

— ხვალ ზევით მივიღივარ.

ბერიკაცი მძიმედ ახედავს აგრონომს.

— ანგარიში უნდა გავასწოროთ, — აგრონომი ფულს ამოიღებს, ივან გრიგორევიჩი თითზე იფურთხებს და საგულდაგულოდ ითვლის ათმანეთიანებს, მერე ფულს ჯიბეში იჩრის და ისევ იწყებს:

— ხვალზევითა? ხოო... მაშ იცი რა, ტოლია, მოდი პირდაპირ გეტყვი.

— ვიცი რაც უნდა მითხრა, — აგრონომი ზურგს შეაქცევს, — ტყუილი ცდაა, ივან გრიგორევიჩი.

ბერიკაცი თვალებს ქუტავს, ძლივს ძლივობით წამოიშარტება და კარისაკენ მიდის, კართან შემობრუნდება, ხმა უკანკალებს.

— მე, ტოლია, შენთვის ცუდი არა გამიკეთებია რა, ხომ მართალია. შენ კი... მე ჩემი ქალისთვის კარგი მინდა, ვატყობ — მოსწონხარ კიდევ. პოდა... ბერიკაცი თავს ღუნავს და გადის.

„კი არტისტი ბრძანდება, — ფიქრობს ვასილვეი, — მოეწონვარ, მოეწონვარ კი არა...“

მაგრამ გულში მაინც რაღაც იმედმა გაჰკრა — ერთიც ვნახოთ და ბერიკაცი მართალი იყოს?

დილას, გამოვიდა თუ არა ქუჩაში, ფენია წამოეწია, ლოყები სიცივიით ასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა,

მსხვილი წითელი ტუჩები უღიმოდა და თეთრი კბილების მაგარი მწყობრი უელავდა.

— მაშ გეტოვებთ, არა ტოლია?

— ხო, ხვალ მივდივარ.

ვასილევე გეზად ახედავს, ფენია მხარდამხარ მისდევს, ფეხმარდად მსუბუქი ნაბიჯებით.

გზაჯვარედინზე გაიყრებიან.

— ხომ კიდევ შევხვდებით, ფენია? — ეკითხება აგრონომი.

— ალბათ შევხვდებით — თავს უქნევს ფენია.

სალამოს ფენია დიდხანს არ გამოჩენილა.

ვასილევს არ უნდა თავს გამოუტყუდეს, რომ ფენიას უცდის. როცა სახლის პატრონი მის ოთახში შედის, აგრონომი ნაძალადევი თავაზიანობით ხვდება.

— მობრძანდით, მობრძანდით.

— ეხლავე, — მიუგებს ბერიკაცი და სულ მალე ისევ ზღურბლთან გაჩნდება, ხელში სიძინდის ქეჩეჩიდაცობილი ნახევარლიტრიანი და ორი თლილი ჭიქა უჭირავს.

— მოდი, ტოლია, — იძახის ხმამალა, — დავსხდეთ და თითო ჭიქა დავლიოთ, რომ გულში ღარღლად არა ჩავერჩეს რა ერთმანეთის.

ბერიკაცი ბოთლსა და ჭიქებს მაგიდაზე დასდგამს, გადის და ახლა შავი პურის ნაჭერი, ორი ხახვი და თევზზე დაწყობილი ათიოდე გაფრცქვნილი კარტოფილი შემოაქვს, დაჯდება აგრონომის პირდაპირ, ბოთლს ქეჩეჩის საცობს მოაძრობს, ჭიქებს შეავსებს.

— აბა! — ასწევს ერთ ჭიქას ივან გრიგორევიჩი — სახე გაჰბადრია, ორი ყვითელი ღოჯი გამოსჩენია, — მოდი ეს უკანასკნელი არ ყოფილიყოს! ჭიქას ჭიქაზე მიუჯახუნებს, სევამს და წვეთები ნიკაპზე და საკინძებზე ჩამოსდის. — რაც ომი დამთავრდა, მას მერე მივჩვიე არაყს, თორემ ადრე პირის დამკარბელი არ ვიყავი — ამბობს სახის მანჭვით და თან ხახვს სწვდება.

— ფენია რა, დღეს არ დაბრუნდე-

ბა, თუ გვიან მოვა? — თითქო ისე, სხვა. თაშორის კითხულობს აგრონომი.

— ფენია რა ხანია დაბრუნდა, ცოტა შეუძლოთა ვარო და სათივეზე ავიდა, — სასხვათაშორისოდვე მიუგებს ბერიკაცი, — გინდოდა რამე?

— გამოთხოვებას ვაპირებდი.

— წადი და გამოეთხოვე, — ურჩევს ივან გრიგორევიჩი, — აი ამ არაყს მოვრჩეთ და მერე წადი. ეს ფენიას სადღეგრძელო იყოს, რომ იცოდე რა არის, ცეცხლია პირდაპირ!.. ეხ-ე-ხე... რა კისკისა რამ იყო ადრე!

ბერიკაცი ხელახლა ავსებს, სევამს, ჰაერს უბერავს, ხელით იგრილებს ტუჩებს და გაუგებრად ლულულულებს:

— არ ვაგხარ შენ ფრონტელს!

— როგორ?

— მხდალი ხარ მეთქი.

— რატომ ვითომ? — იწყინა ვასილევმა.

— იმიტომა, — ბერიკაცს არაყი მოაკიდებია, მარტი თვალები ამღვრევიდა, ხელები უკანკალებს. — იმიტომ, რომა... გამბედაობით ქალს კი არა ქალაქებს იღებენ. კარგი, ეთქვათ ქალის შერთვა არ გინდა, არ გინდა. ისე მაინც... ეგ ხომ შეგიძლია?

ვასილევე უცებ ფხიზლდება.

— სირცხვილი აღარა გაქვს, მამილო! — ძლივსძლივობით ამოთქვამს აგრონომი, — შენი შეილა არ არის ფენია თუ რა?!

ბერიკაცი ადგილიდან არ იძვრის, მშრალზე გადმოგდებულ თევზივით ალაშქნებს ტუჩებს, ბოლოს ხრინწიანი ხმით ამბობს.

— მძრახავ? ჩემი ამბავი ხომ იცი?! ის მოუქოხებელი სახლიც ნახე. — წამოიწევს, მისი ჩრდილი შემფოთებულ თრთის კედელზე და ვასილევს ეჩვენება, რომ ბერიკაცი იზრდება და საცაა ჰერს მისწვდება, გამოშლის ხელებს, დაკვრანხულ თითებს ჰანგებოვით ჩაასობს აგრონომს მხრებში და შეანჯღრევს: — სამი ვაეიშვილი მყავდა, სიძე მყავდა, ვფიქრობდი — შეილიშვილები მყავდება მეთქი, იმათ დარჩებათ

რაც რამე მომინაგროა, ვფიქრობდი ბებრულ ბედნიერებასაც ენახავ-მეთქი — ბაღში ბაღები ითამაშებდნენ, წვერებს დამაწიწკნიდნენ... არაფერი არ გამოვიდა... აი ფენიამ რომ რამე იყო-ლიოს... ბერიკაცი ჯდება, ხელებს მავიდაზე გამოშლის და ზედ ქალარა თავს დებს.

— გეყოფათ, ივან გრიგორევიჩი. — ეუბნება დიდი ხნის დუმილის შემდეგ აგრონომი, — ესლა დავიძინოთ. მე დილით ადრე ვარ წასასვლელი.

ბერიკაცი წამოდგება, კინალამ ტაბურეტს არ წააქცევს და ხმის ამოუღებლად მიდის კარისაკენ. ოთხად არის მოხრილი, ჩვეულებრივზე უფრო მეტად მიაფრატუნებს თქვის ჩექმებს.

ვასილევს ჩემოდანში ალაგებს სამართებელს და ასაქაფებელს, პირისპოცსა და წიგნებს. მერე ჩემოდანს კართან მისდგამს და გაუხდელი მიწვევა საწოლზე. უნდა დაიძინოს, მაგრამ ძილი არ ეკარება. არაერთ გახურებულ თავში ფიქრების კორიანტელი უდგას. ხან გამჭვირვალე ბურუსში გახვეულ ფენიას ხედავს, ხანაც თავისი ფრონტელი მწვერაკი მეგობარი აგონდება, რომელიც მის მკლავებზე ლევდა სულს, ბოდავდა და სთხოვდა: „ტოლია, ჩემს ცოლს უთხარი... უთხარი, რომ უკანასკნელ, სულ უკანასკნელ წუთამდე შენზე ფიქრობდა-თქო. ეტყვი?“ ამხანაგის ცოლს დღემდე ვერ მიაკვლია, ევაკუაციაში მოპყოლიყო და არავინ არ იცოდა ეხლა სად იმყოფებოდა. მერე ისევ ფენია დაუდგებოდა თვალწინ, მერე ივან გრიგორევიჩი.

გადაბრუნდებოდა ხან ერთ გვერდზე, ხან მეორეზე.

უცებ გარე კარი გაიღო და მეზობელ ოთახში ნაცნობი მსუბუქი ფეხის ხმა გაისმა.

ვასილევს დამდურულივით გადაბრუნდა კედლისაკენ და ეკითხება.

— შენ ხარ ფენია?

— მა ვინ იქნება, — ხმაზე ეტყობა, რომ ეღიმიება.

— გავიყინე სათივეზე, საბანი უნდა

წავიღო, თქვენ რა, არ გძინავთ? ხომ არ მოგეწყინათ მარტოს?

ვასილევს ტუჩები კედელთან მიაქვს და ასე მიუგებს:

— მომეწყინა და მერე როგორ! პაერზე ყოფნა სჯობია, არა?

— სჯობია, აბა რა! — წყნარად ეცინება ფენიას.

ვასილევს ყურს უგდებს მის ფეხის ხმას, რომელიც თანდათან შორდება.

ნახევრად მოხურულ დარბაზში მთვარის სხივები ატანს. ვერცხლისფერი შუქი აგრონომს თვალეში უჭკრიტინებს და ბრაზით შეაქცევს ზურგს.

შემთვრალი, ბრანშორეული ივან გრიგორევიჩი, მიეგვოა თუ არა, მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. დედაბერმა იქით მიიწია, დიდხანს იწვა უძრავად, ფიქრობდა ქმარზე, ფენიაზე, დაღუპულ შვილებზე. ისიც ხედავდა მისი მეუღლე რომ ბადეს აგებდა და ამ ბადეში თავისი მდგმურისა და ფენიას გახვევას აპირებდა, მაგრამ დედაბერი ამ საქმისაგან თავს შორს იჭერდა... ქალიშვილი უყვარდა, მაგრამ ნიკიტა ყველას ერჩივნა, დედაბერი მისმა დაღუპვამ გატეხა, გამოფიტა და ყველაფრისადმი გულგრილი გახდა. ფენიას ფეხის ხმას რომ გაიგონებს, თავისთვის ჩაიჩიფიფებს: „იქნება ერთმანეთისაც არიან“, გადაბრუნდება და ჩაეძინება წყნარად. შეუღმჩნევლად.

მარტო ფენიასა და ვასილევს აღარ ეძინებათ...

ფენია ხმელ, სურნელოვან თივაში წევს, ხელები თავქვეშ ამოუწყვია. ქმარი ახსენდება, ახსენდება მისი ფართო მხარ-ბეჭი, ღონიერი მკლავები, რომლებითაც ის მსუბუქად, ბავშვივით აიტაცებდა ხოლმე ფენიას, ტირის და ვერ გრძნობს, ჩამოსდის ცრემლები და დაწვებზე აშრება უმაღლ.

ხვალ ვასილევს წავა. მისი წასვლის შემდეგ სახლი მთლიანად დაცარიელდება. რანაირიც არ უნდა ყოფილიყო, ტოლიას სიახლოვე მაინც როგორღაც აცოცხლებდა აქაურობას. წავა ვასილევს და დარჩებიან ყველაფრის მი-

მართ გულგრილი დედა და კუშტი, ცხვირჩამოშვებული მამამისი. იგა კვლავ დაიწყებს ბორიას ოთახიდან ოთახში ბაიუშით და განაგრძობს თავისებურ ბუზლუნს... მამა რომ ამბობს მიეჩვევი — შეგიყვარდებო... იქნება ტოლიას უყვარს კიდეც? მოწონებით მოსწონს, ეს ცხადია. ამას ფენია თვალეზზე ატყობს, ხელეზზეც ატყობს, რომლებიც რამდენჯერმე შემოქცდომიან ვენებით — აი იქ, ბოსტანში, მერე კიდეც — თივას რომ სდგამდნენ. ტოლია სენიასთან არ არის, მაგრამ ყველა ზომ ერთნაირი არ იქნება... მამა აქებს. იმასაც ამბობს — გაგაღმერთებსო. შეიძლება მასაც შეუყვარდეს ტოლია? შვილი გეყოლება — შეგიყვარდებო... შვილი... პატარა ბიჭი, მყვირალა ბიჭი.

ვასილევს მეტის მოთმენა აღარ შეუძლია, თავში სულ ბერიკაცის სიტყვები უტრიალებს, „მოსწონხარო... გამბედაობით ქალს კი არა, ქალაქებს იღებენო“... წამოდგება, თითის წვერებზე გამოდის გარეთ.

ბადრი მთვარე დაჰყურებს სტანიცას. არც ერთი ვარსკვლავი არ ჩანს მოლურჯო, მონაცისფრო ცაზე. ვერცხლისფერი შუქი ეფინება მიწას. ქოხებს, ხეებს. მკაცრ, თანაც საზეიმო იერს აძლევს ყველაფერს.

ვასილევი ბაღში შედის. მიწაზე ალუბლის ხეთა ლურჯი ჩრდილები წევს. გადაუხურავ სახლს იქით ვეება სათივე აღანდულა. სათივესთან თუ გინდა მისვლა — კედლებს უნდა შემოუარო. მართლაც თავმოჭრილივით დგას, — აგონდება სახლის პატრონის სიტყვები ვასილევს. გაჩერდება და ფანჯრების ჩაბნელებულ ბუდეებს ჩააქვრდება. ისინი აღამიანის ამოღამებულ თვალის უბეებს აგონებენ.

ღამის მყუდროებას უცებ რაღაც ხმა არღვევს. ვასილევი შეკრთება, ერთხანს ვერც კი მიმხვდარა, რომ ეს მამალი ყოვის საღდაც საქათმეში. სოფლის ბოლოდან ამ მამალს სხვა მამალი გამოეპასუხება. იმას კიდეც სხვა. ვასილევს ეჩვენება, რომ მამლები რაღაც უჩვეუ-

ლო შემფოთებით ყივიან, შესცქერის დაუშთარებელი სახლის ჩაშვებულ კედლებს და ეჩვენება — თითქო ისინი უცებ გაცოცხლდნენ. ისმის ძახილი, ყრუ ხმაური. პწკალზე ვილაც აღის და დულაბით საესე ვედროებს მიათრევს. ეს ივან გრიგორევიჩია, ვახარებულია, სახეგაბრწყინებული. ხარაჩოებზე ორი კალატოზი ქაფჩებს აელვარებს. ერთი მათგანი მხარბუქიანი, ქოჩორა, მარდად აწყობს აგურს აგურზე და იძახის:

— მოიტა, მომწაოდე! ეხ, ფენია, რა სახლი გვექნება, აი ნახავ, თვალს ვერ მოაშორებ.

ვასილევი შუბლს მოისრესავს — ყველაფერი ქრება. მერე ისევ დიდხანს დგას და ბნელში კაეშანივით აღმართულ კედლებს შეჰყურებს.

ფენიას კარის კრიჭინი და ნაბიჯის ხმა შემოესმება. ეს მამა არ არის... ნაბიჯის ხმა სულ უფრო ახლოვდება, ახლოვდება და უცებ შეწყდება.

ფენია წამოიწევს და ხეების იქით ვასილევს დაინახავს, რომელიც დაუშთარებელი სახლის გვერდით შეჩერებულია. ფენია სიცივისგან აკანკალდება. გული ეკუმშება. უცებ ვასილევი შებრუნდება და ჩქარი ნაბიჯით, თითქო ვინმე მისდევსო, შინისკენ გაიქცევა.

— რა მოგივიდა, რა? — ჩურჩულებს ფენია. ლოყებზე აღმური ასდის. სათივის ნაპირზე მიცოცდება. უხერხულად ჩახტება, წაიქცევა, იდაყვს გადიკვლევს, წამოდგება და სახლისკენ გარბის — შიშველ ფეხებს მსუბუქად ადგამს ცივ, ნამდაფრქვეულ ბალახებს.

ნათელ მთვარიან ღამეს გარიყრავის ბინდი სცვლის.

ვასილევი და ფენია გვერდიგვერდ წვანან და ერთმანეთს არ უყურებენ. ვასილევი მხოლოდ შეხვედრის პირველ წუთებში გრძნობდა სურვილით ანთებული ქალის სიახლოვეს, მერე ფენია მიდიოდა სულ შორსა და შორს, თითქო ვერც კი გრძნობდა მის კონკას, აღერსს... ვასილევს არ ესმოდა ამისი მიზეზი, ვერ ხვდებოდა, რომ ფენიამ შეხვედრისთანავე თავი მოტყუებულად

იგრძნო. მან იგრძნო, რომ ვასილევის კოცნაში, მის შეხებაში, მამაკაცური ვნების გარდა არაფერი არ იყო — არ იყო ის ღრმა და წმინდა სიყვარული, რომელიც კმრის ხელში ახსოვდა.

ვასილევი თავს მოაბრუნებს — ფენია პერს შესტკერის, თვალები ჩასტვივინია, ამოჰღამებია. დაკბენილი ტუჩები ტანჯვით აქვს მოკუმული.

— კარგი ახლა, რა იყო? — ეკითხება აგრონომი, — შენ არავენ დაგძრაახავს. თვითონ მამაშენმა...

ფენია გადმოხედავს, ვასილევს სიტყვა უწყდება. ქალს ისევ უხმო ტანჯვა უღვას თვალებში. წამოიწევს, საწოლზე წამოჯდება და ამბობს:

— მამა?... მერე შენ ვიყვარვარ?!.. არა. არც მე ვიყვარხარ... მაშ ეს რა ვქენით? ჰა? წადი, ღვთის გულისათვის, ჩქარა წადი, ჩქარა წადი, სანამ მე შენ.. თითქმის ყვირის, ზიზლითა და სიძულვილით შეპყურებს ვასილევს.

ვასილევი შიშით მიიწევს კედლისაკენ.

ფენია დგება, ყურადღებას არ აქცევს რომ დედისმობილაა, სწრაფად იცვამს ქვედატანს და კოფთას.

ქალი გვა და ვასილევიც სასწრაფოდ ჩაიცვამს, აიღებს ჩემოდანს და მიდის, მიდის — ისე, რომ ვერ გაიგო — მაინც რა მოხდა ისეთი.

როცა კი მივლინებებიდან დაბრუნდებოდა ზოლმე, ვასილევი ხალისით უყვებოდა თავის ამხანაგებს ნანახსა და გაგონილს. ახლა ჰკითხავდნენ: — „რო, ტოლია, რა ნახე კარგი იმ შენს პრიგორსკაიაშიო“ და მკვახედ მიუგებდა: არაფერიო.

იმ დამის შემდეგ გულზე შემოწოლილი ლოდი თანდათანობით უმსუბუქდებოდა, მაგრამ მაინც სულ უფრო და უფრო ხშირად აგონდებოდა ფენიას ლამაზი სახე. გული სულ პრიგორსკაიასკენ მიუწევდა.

შემთხვევა კი მხოლოდ გაზაფხულზე მიეცა.

მანქანიდან რომ ჩამოვიდა, აგრონომი კუთხესკენ მიდგა და სტანიცის ფარ-

თო ქუჩებს დაუწყო თვალთვარი პეტროვების სახლი ლაბის ახლო დგას, იქ რომ მოხვდეს, მარცხნივ უნდა გაუხვიო. მარჯვნივ კი სტანიცის საბჭოს თეთრი შენობა ქათქათებს.

ვასილევი მარჯვნივ მიემართება.

— აა, ამხანაგო აგრონომო! — სიხარულით წამოიძახებს სტანიცის საბჭოს თავმჯდომარე და ენერგიულად ჩამოართმევს ხელს, — დიდი ხნით დნებეთ ჩამობრძანება? — ქალს ფართო, წითელი სახე ეზადრება, — ახალი რა არის კრანსოდარში? რაზედ შეწუხებულხართ?

— მერე ვიამბობთ, — მიუგებს ვასილევი, — ჯერ ოთახი მიშოვეთ რაზე და მერე შევეუდგეთ საქმეს. ჩემი სახლის პატრონების... პეტროვების. ოთახი ხომ დაკავებული არ არის?

თავმჯდომარე ამოიხრებს და თავს გააქნება.

— არა, დაკავებული არ არის, მაგრამ მე სხვასთან დაგაყენებ. პეტროვი ხომ ლოგინადაა ჩავარდნილი, აღბათ ველარც ადგება. თუ გინდა შეუტარე, ნახე. ის დღე იყო, გოგო რომ...

— რა — გოგო? — ვასილევს ფერი ეკარგება.

— გოგო ხომ მოუკცდა, ამ ზამთარს. ცული ამბავი დატრიალდა ძალიან.

ვასილევი ფანჯარაში იყურება. იქ თეთრი ყვავილებით დაპენტილი ალუბლის შტო ირხვევა. წაპვლეჯს ნიავე პაწაწინა ფურცლებს და მიმოაბნენს ქუჩაში. გაივლის ავტომობილი. საბურავები შავ კვალს დასტოვებენ ასფალტზე. ისე გგონია, ახალმოსულა თოვლი იყოს და ეს ავტომობილი პირველი ჰკვალავდეს მას.

— ფერმაში საქმელი შემოგავკლდა, — სადღაც შორიდან მოესმის ვასილევს ქალის დაბალი ხმა, — მინდორში წავიდნენ, თივაზე ფენია, როგორც ყველაზე ყოჩაღი, ბულულზე აძვრა.

ვასილევი ხილებით ეყრდნობა მუხლებს — ფეხები უკანკალებს.

ის ისევ ფანჯარაში იყურება... ხედავს ახალგაზრდა ქალის მზემოკიდებულ სა-

ხეს, გაბრწყინებულ თვალებს, ფოსოებს
ლოყებზე... ამ ქალს საესე ტუჩებით
ელიმება და მსუბუქად ისერის ვეება
ქალამს ბულულიდან ძირს.

— თავბრუ დაეხვა თუ, რა იყო! —
განაგრძობს თავმჯდომარე; — გადმო-
ვარდა ბულულიდან, გადმოვარდა და
თურმე იქვე ვილაცა მურდალს ფიწა-
ლი არ აუყუდებია თითებით მალა!

ვასილევი იგონებს იმ უხმო ტანჯვას,
რომელიც ფენიას თვალებიდან გამოკრ-
თოდა. იგონებს, როგორ ამბობდა იგი
გაოგნებული, შეშინებული: „მერე შენ
გიყვარვარ?... არა. არც მე მიყვარხარ?
მაშ ეს რა ჩაედიინეთ, ჰა?“

— ნამდვილად თავბრუ დაეხვა, — გა-
ნაგრძობს ქალი, იგი ვერ ამჩნევს, რომ
ვასილევი კალმის წვერით ჩიჩქნის მა-
გიდას და მელანს აწუნწკლებს ზედ. —
ეჭიმმა თქვა, რომ ბავშვს ელოდაო,
მეექვსე თვეში მდგარა.

— მე... მერე შემოვივლი, — იძახის
ჩახლეჩილი ხმით ვასილევი და ძლივს-
ძლივობით წამოდგება სკამიდან. თითქო

მარწუხებს უპერენო გულზე. მის ჩე-
მოდანში, აი იქ, საწერ მაგიდასთან რომ
დგას, ფერადი მოსახვევი დევს, რომე-
ლიც კრასნოდარში უყიდა ფენიას —
ვასილევი ფეხით მისწევს ჩემოდანს და
იმეორებს: — მალე მოვალ, აქ ერთი პა-
ტარა საქმე მაქვს.

აგრონომი რომ კარს გაიხურავს, სტა-
ნიცის საბჭოს თავმჯდომარე გამწყრა-
ლი ეუბნება თავის თავს.

— ახ! რამ გამომაჩერჩეტა ამ ხნის
დედაკაცი!

ვასილევი უმიზნოდ დაეხეტება სტა-
ნიცაში რამდენიმე საათს. მხოლოდ იმ
ქუჩას ერიდება, სადაც პეტროვები
ცხოვრობენ.

სტანიცის საბჭოს თავმჯდომარე
დიდხანს ელის, ქალური გულით ეცო-
დება აგრონომი და უნდა რომ ანუგე-
შოს, მაგრამ როცა ვასილევი კაბინეთ-
ში შემოდის, იგი მხოლოდ მზერას შეა-
გებებს და რატომღაც ვერც ერთი სიტყ-
ვის თქმას ველარ მოახერხებს...

თარგმანი **რევაზ ინანიშვილი**სა

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

★
0 3

იდგა ყველას შეუმჩნეველად
თვალუხუჟუნა ია ველად,
არვის სცნობდა მორცხვი ია,
თავს უკრავდა მხოლოდ ნიავს.
უცებ ველზე როგორც ქარი,
შემოიჭრა მწყემსი ქალი.
ლილინებდა ეშხით მთვრალი.
ია გულში ფიქრს გაივლებს:
„ნეტა ვჯობდე მთელ ყვავილებს
ბუნებაში რაც კი არი,

ვიდრე გულის სანუკვარი,
სატრფო ჩემი მომწყვეტს ვნებით,
ვიდრე მკერდზე დავაჰკენები,
აჰ სურვილით ვიწვი, ვდნები“.
მაგრამ დახე, გოგამ მყისვე
გადათელა ია ისე,
თვალი არც კი შეუვლია,
სულთმოზობაჲი - მღერის ია:
„ეკვდები, მაგრამ მაინც ეხარობ
გრძნობის საზღვარს გადასული,
რომ მის ფერხთით მხდება სული“.

ნორჩი ვარდი ველისა

ბიჰს მოსტაცა მზერა ვარდმა,
ვარდი იყო ველისა,
შიირბინა ახლოს მარდად,
შეაფრქვია ვნებიანად
სხივი თვალთა ელვისა.
ვარდი, ვარდი მეწამული,
ნორჩი ვარდი ველისა.
ბიჰმა უთხრა: „მოგწყვეტ მყისვე,
ტურფა ვარდო ველისა“!
ვარდმა უთხრა: „გიჩხვლევთ ისე,

ნაეკლარი ვერასოდეს
ვერ განუტრნოს მერმისმა“.
ვარდი, ვარდი მეწამული,
ნორჩი ვარდი ველისა-
და მოსწყვეტა ბიჰმა გზნებით
ნორჩი ვარდი ველისა,
ვარდმა დასჭრა ბასრი ეკლით
და ბიჰს გულში ჩაელვარა
ნაკადული ცრემლისა-
ვარდი, ვარდი, მეწამული,
ნორჩი ვარდი ველისა.

ვიკო ვე

ერთხელ ისე ჩემთვის
ტყეში გავიარე,
არ მქონია მიზნად
მომეძია რამე.
ვხედავ ბუჩქის ძირას,
ყვაელს პაწაწინას.
ნაზია და კოხტა,
ვარსკვლავივით ბრწყინავს.
მიველ მოსაწყვეტად,
მან ჩურჩულით მითხრა:

„იცი მოწყვეტილი
რომ ვერ გავძლებ დიდხანს?!“
იგი ძირიანად
ამოვიღე მაშინ
და წავიღე წამსვე
ჩემს საყვარელ ბაღში:
მე იქ მყუდრო ბინა
მივუჩინე ყვავილს,
იფურჩქნება ხოლმე
და წარბაცად ჰყვავის.



პეკაჲ ასათიანი



თანამედროვე ღირიკის საკითხები*

Что-то физики в почете,

Что-то лирики в загоне...

ეს ნახევრად ირონიული, ნახევრად ნაღვლიანი სიტყვები, რომლებიც რუს პოეტს ბორის სლუცკის გუთუნის, საკმაოდ მშაფრი ლიტერატურული კამათის საგნად იქცა ამასწინათ საბჭოთა მწერლობაში.

როგორც სჩანს მათში ნაწილობრივ მაინც სწორად იქნა გამოხატული ის უცნაური განწყობილება, რომელმაც განსაკუთრებით უკანასკნელ დროს იჩინა თავი ჩვენი საზოგადოების გარკვეულ წრეებში.

ვინც დაკვირვებით ადევნებს თვალყურს საბჭოთა პრესას, უთუოდ შეაშინდება, რომ პოეზიისა და კერძოდ ღირიკის მისამართით ბოლო წლებში მიტანილი იქნა არაერთი სახიფათო იერიში.

შემთხვევითი არ არის მავალითად, რომ ერთი ცნობილი საბჭოთა განვითარების ფურცლებზე ორიოდ თვის წინათ გამოქვეყნდა რამდენიმე ჩვენი ღირიკათვის საკმაოდ განათლებული (ყოველშემთხვევაში უმადლეს განათლება მიღებული) ჰეობელის წერილები, რომლებშიც საზოგადოებრივი კვლევის დაყენებული პოეზიის არსებობის მიზანშეწონილობა ატომური ძრავებისა და საპლანეტთაშორისო რაკეტების ეპოქაში.

ყველაზე მარტივი იქნებოდა ამგვარი ნიშნის თვით ამ წერილების ავტორთა გონებრივი შეზღუდულობათა ან სხვა რაიმე პირადი დეფექტებით აგვეხსნა, მაგრამ ჩვენის აზრით აქ უფრო ზოგადი ხასიათის მიზეზებიც არის საძიებელი.

პოეზიისა და პირველ რიგში მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის ღირიკის არსებობა შეუძლებელია აღმოიჩინოს შინაგანი, სულიერი ცხოვრებისადმი — მისი ინდივიდუალობისადმი ცხოველი ინტერესის და პატივისცემის გარეშე. და თუ ეს უზრადდება დღეს საგრძნობლად შენელებულია, ამის ერთერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს არა მხოლოდ ის გარემოება რომ თანამედროვე ეკონომიკის წინაშე მდგარა

გრანდიოზულმა, კოსმიური მასშტაბების ამოცანებმა საზოგადოდ მეორე პლანზე გადასწიეს ინტერესი ცალკეულ პიროვნებათა შინაგან „მიკროსამყაროების“ მიმართ, არამედ იმითაც, რომ ჩვენი პოეზია დღეისათვის საგრძნობლად ღარიბი აღმოჩნდა ნამდვილად საინტერესო პოეტური ინდივიდუალობებით.

ჩვენ არას ვიტყვით აქ ქართული ლექსის ოსტატთა უფროსი თაობის ამ წარმომადგენლებზე, რომელთაც უკვე მოასწრეს თავისი განსაკუთრებული, ღრმად თავისებური ადგილი დაემკვიდრებინათ ჩვენს პოეზიაში.

მაგრამ ძალიან ძნელი სათქმელია, აღმოჩნდება თუ არა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარი ისევე მდიდარი ამ მრავალფეროვნების მხრივ, როგორც მისი დასაწყისი იყო.

შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართულმა პოეზიამ შეიძინა საკმაოდ ბევრი მეტნაყლები ოსტატობითა და ნიჭით აღბეჭდილი პოეტური ნაწარმოები, მაგრამ ძალზე ცოტა ნამდვილად ორიგინალური, თვალსაჩინო და შინაგანად საინტერესო პოეტური ინდივიდუალობა.

ამით უნდა აიხსნას, რომ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ ამა თუ იმ პოეტის თავისებურ მანერაზე, სტილზე ან უკეთეს შემთხვევაში განსაკუთრებულ პოეტურ ხმაზე და ძალიან იშვიათად მის სტატიკურ წყობაზე, გონებრივ მიმართულებაზე თუ ემოციონალურ ბუნებაზე. თითქმის იკვლისხმება, რომ ამ მხრივ უკვე მოხდა საბოლოო ნეველირება და არაერთი სიბღლის ბებნა ნაყოფის არ გამოიღებს.

პოეტა — ეს უპირველეს ყოვლისა შემოქმედი ადამიანია, უაღრესად თვითშეფასადი, ორიგინალური, თავისებური და სწორედ ამ მხრივ უმნიშვნელოვანი პიროვნება. მისი შემოქმედების მიზნობლობის მთავარი საიდუმლოებაც სწორედ ამ შინაგან თვისებებში უნდა ვეძიოთ და არა რაიმე გარეგნულ ნიშნებში.

რატომ შეითვისა, მავალითად, ასეთი ღრმა

* განხილვის წესით.

სიყვარულით ქართველმა მკითხველმა ანა კლანდაის პოეზია?

ჩვენის ფიქრით ეს მხოლოდ ამ პოეტისათვის დამახასიათებელი ლექსის გარეგნული დახვეწილობითა, ან რაიმე სხვა ფორმალური თვისებებით არ შეიძლება აიხსნას.

ამის პირველი მიზეზი ის არის, რომ ანა კლანდაის ყოველი ლექსი განუყოფელი ნაწილია მისი უაღრესად საინტერესო, რთული და ფაქიზი სულისა და რომ ეს არის ერთი და იმავე დროს ღრმად ორიგინალური, განუმეორებელი და ამასთან ყოველი ჩვენთავანისათვის გასაგებ, ნათელი და ახლობელი სული.

უმეზარიტი პოეზიის ხარისხში ესა თუ ის ლექსად დაწერილი ნაწარმოები შეიძლება აუყვანილ იქნას მხოლოდ ერთი პირობით: თუ იგი წარმოადგენს პოეტის სულიერი სამყაროს, მთელი მისი არსების, მისი სუნთქვისა და გულისთქმის ცოცხალ ნაწილს.

ღიღი პოეზიის არსებობა შეუძლებელია დიდი ტკივილის, დიდი სულიერი ძვრებისა და წვის გარეშე.

ასე ესმოდათ შემოქმედება ნამდვილ პოეტებს. გაეცხმით აკაიის:

რაც არ იწყის არ ანათებს
აბეღივით ლებდა ნელა,
მოდი დამწვი სიყვარული,
გაანათე საღაც ბნელა.

პოეზიის შექმნილი თავისებური ანარეკლია იმ დიდი ცეცხლისა და იმ ხშირად გამანადგურებელი ხანძრის, რომელიც ადამიანის შინაგან სწყაროს მოიციავს. სხვა პოეტი ამის შესახებ ასე ამბობდა:

И глядямыся в свой почной кошмар,
Строй находить в нестройном вихре
 чувства,
Чтобы бледным заревам искусства
Узнали жизни гибельный пожар.

პოეზია მოთხოვს ზეარაკის გაღებას და მის შალღ სამხსვერპლოზე ძველი წარმატებული წებისამებრ მხოლოდ ნამდვილი, ცოცხალი შეწარწარი მიიღება.

პოეზიას სჭირდება თავის შეწირვა, მტლედ დადება და არა ფორმალური ხარკის გადახდა. პოეზიისათვის საყმარისი არ არის სალოცევი რიტუალის უბრალო შესრულება. იგი საჭიროებს სულს გამიწვლებას, მზურეაღე და მთლიან აღსარებას...

არსებობს ერთი უაღრესად ცალმზრივი შეხედულება, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის ძალას საბჭოთა ლიტერატურისმყოფეობის გარკვეულ წრეებში. ამ შეხედულების თანახმად აღმავლობის გზაზე მდგარი, პროგრესული საზოგადოების ლიტერატურისათვის დამახასიათებელია უმთავრესად ობიექტური სინამდვილის ამსახველი დიდშანსტაბიანი ეპოური ტილოები, ხოლო ცალკეულ ადამიანთა სულიერი, შინაგანი

ნი ცხოვრებისაღმი ინტერესის გამახვილებმწარმოადგენს დეგრადირებული და დროშოქმული კლასის მწერლობისათვის მნიშვნელოვანი თვისება.

შართლაც შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა ამ თეორიის სასარგებლოდ, მაგრამ, რატმაც უნდა ისინი არ გამოხატავენ რაიმე აბსოლუტურ კანონზომიერებას, რადგან არსებობს გაიცლებით მუტი საწინააღმდეგო ხასიათის ლიტერატურული ფაქტებიც.

თუ მაგალითისათვის ვაიხსენებთ ძველი საბერძნეთის კლასიკურ პოეზიას, აღმონდნება რომ მისთვის ერთიანად დამახასიათებელი იყო როგორც პოშირისის ეპიკური პოემები, ისე საფოსა და ალკეოსის უაღრესად ინტიმური ხასიათის შემოქმედება. რომის ლიტერატურის ოქროს ხანამ დაგვიტოვა არა მხოლოდ ვირგილიუსის „ენეიდა“, არამედ პორაციუსის ფილოსოფიური ლირიკაც.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ერთის მზრივ რუსის „ლსარებას“ და დიდროს „მონაზონ ქალს“, რომლებიც რვეოლუციური მესამე წოდების“ იდეოლოგიას გამოხატავენ და ამავე დროს უაღრესად ვეოცენტრული შინაარსითა და ფორმით ხასიათდებიან, ხოლო, მეორეს მზრივ, საფრანგეთის გვიანდელი ფეოდალურიისტიკურატიული ლტერატურისათვის დამახასიათებელ სათავგადასავლო-ეტიტუაზულ რომანებს, რომლებიც სრულიად მოკლებულნი არიან ამგვარი ინტერესს ადამიანის სულის შინაგანი, „ღრმად მღებარე“ ფენებისაღმი და ამასთან საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი „ვეოგრაფიითა“ და ბერსონაფთა სიმრავლით გაშიარჩევიან — ამგვარი შედარება სწორედ საწინააღმდეგო სურათს მოგვეკმს.

ასეთი პარალელების მოძებნა შეიძლება ბერძენიული ლტერატურის შემდგომი განვითარების ისტორიადანაც. მაგალითად, ავიღოთ ვასული საეცენის დასაწყისში შექმნილი ბაირონის რომანტიული პოემები, ან სტენდალის „პარისის საჯანე“ მათი რვეოლუციური ინდეიდუალზმით, ადამიანის სულიერი ცხოვრებისაღმი ღრმად ინტერესით და ამავ საეცენის მიწერულისათვის დამახასიათებელი ნატურალისტიკური ლიტერატურა ე. წ. „მეცნიერული“ რომანი რომელშიც ადამიანური პაროვნება სრულიად მოკლებულია ამ შინაგან მნიშვნელოვანება და უბრალოდ სოციალური მახისის პაწაწინა შეწინაეერი ნაწილად წარმოგედგება.

ჩვენის აზრით ძალზე ცალმზრივი და ამის გამო უმართებულოა შეხედულება, რომლის მიხედვით დასაღმავიდ განწირული საზოგადოების ლიტერატურა, გავრბის რა მისთვის მიუღებელ ობიექტურ სინამდვილეს, თავს აფარებს ადამიანის პირად, სუბიექტური განცდების სფეროს.

სინამდილეში, მომაკედევი კლასის მწერალი ცდლობს ზურგი შეაკციოს არა მხოლოდ გაიგ-

შე ობიექტურ რეალობას; იგი კიდევ უფრო მეტი ძრწოლით გაუბრძის საყუთარ თავსაც, თავის შინაგან, ასევე დეგრადირებულ და მარაზმით აღბეჭდილ სამყაროსაც.

(ამ მხრივ ე. მარქსის ცნობილი შენიშვნა იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური საზოგადოება მტრულად არის განწყობილი „სულელები წარმოების“ ისეთი დარგისადმი, როგორსაც პოეზია წარმოადგენს, ერთნაირად ვხვება, როგორც პოეტურ ეპოსს ისე ლირიულ პოეზიასაც).

ხოლო ახალგაზრდა, აღმავალი გზებით მიმავალი საზოგადოების ხელოვნებას არ სჭირდება ფაღვლის დახვეწვა არც გარეშე და არც სუბიექტურ სინამდვილეზე. იგი ერთნაირსინამდლობით და სითამამით უნდა ასახავდეს როგორც ობიექტურს უფართოეს, საყოველთაო ხასიათის ობიექტურ მოვლენებსა და ძებებს, ისე იმ არანაკლებად მნიშვნელოვან პროცესებსაც, რომელნიც ადამიანს სულის ინტიმურ სიღრმეებში მიმდინარეობენ.

აქ ურიგო არ იქნება ვაიხსენოთ, რომ სიტყვა ინტიმური სხვათაშორის თავისი ნამდვილი მნიშვნელობით სრულად მოკლებულია იმ სპეციფიკურ ელფერს, რომელიც მან ჩვენ დროში მიიღო.

✓ **Intimus** — ნიშნავს ყველაზე ღრმას, უღრმესს და არა ვიწროს ან წვირილმანს, როგორც ეს ხანდახან ესმით. და თუ ჩვენ ამ სიტყვას მისი პირველადი, სწორი გაგებით ვიხმართ, აღმოჩნდება, რომ, მაგალითად, შაიაკოვსკი, რომელიც ადამიანთა გულის „არტეზიანულ სიღრმეთა“ წვდომას უწერდა, სინამდვილეში არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო წინააღმდეგი პოეზიაში ინტიმური თემისადმი ყურადღებისა.

საზოგადოებრივი ლირია ჩვენს წარმოდგენაში ჩვეულებრივ დაკავშირებულია ლექსად დაწერილ მცირე მოცულობის ნაწარმოებთან. მაგრამ ამ ცნებას სხვა ბევრად უფრო ფართო მნიშვნელობაც გააჩნია.

მაგალითად, ჩვენის ფიქრით, ლირიკის ელემენტებს ძალიან უხვად შეიცავდა ისეთი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები, როგორცაა ვიქტორ ესტილეს „მოიჯაპუელი პრაიმთე“, დანტეს „ახალი ცხოვრება“, შექსპირის „ჰამლეტი“ ან გოეთეს „ვერტერი“.

ამასთან დაკავშირებით სანტერესოა ვაიხსენოთ ერთი მოსაზრება, რომელიც ალ. ბლოკს აქვს გამოთქმული:

«Великие произведения искусства выдвигаются историей лишь из числа произведений «исповеднического» характера. Только то, что было исповедью писателя, только то создание, в котором он склеивает себя до тла.—для того ли, чтобы родиться для новых созданий или для того, чтобы умереть, — только оно может стать великим».

ჩვენის აზრით ეს არის ყველაზე უფრო დამაჯერებელი და საფუძვლიანი სიტყვები, რომლებიც ოდესმე ლირიკის დასაცავად თქმულა.



ცნობილია, რომ პოეზია ისევე როგორც საზოგადოებრივი ხელოვნება, სინამდვილის ათვისების ერთერთი თავისებურია ფორმაა.

საკვირველი არ უნდა იყოს ამიტომ, რომ ჩვენი დროის შემოქმედსაც შესვლელუბამათა მეტი სიფართოვე და უფრო დიდი გაქანება ახასიათებდეს.

მაგრამ არ უნდა დაგვაიწუდეს, რომ პროგრესი თანამედროვე ადამიანური ცნობიერების სფეროში არ მომხდარა მხოლოდ ერთი მიმართულებით.

სამყაროს შემეცნებისა და პრაქტიკული ათვისებისას მე-20 საუკუნეში კოლოსალური ნაბიჯები გადადგა, არა მხოლოდ იმდენ მოუწვდომელ სფეროებსა დაბურთების თვალსაზრისით, არამედ მატერიის სიღრმეში შეჭრის მხრივაც.

თანამედროვე კაცობრიობის უდიდეს მიღწევას წარმოადგენს არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჩვენმა რაქტებმა კოსმიური მანძილების დაფარვა შეძლეს. არანაკლები მნიშვნელობის გამარჯვება იყო მეტროის შინაგანი სააღმდეგოების პრაქტიკული ამოსხნაც და, რაც მთავარია, ამ შვირვე ამოცანის გადაწყვეტილება—(ატომის დაშლის შედეგად მიღებული ენერჯის გარეშე) კაცობრიობას არ ექნებოდა არც ძალი და არც გაბედულება იმ განსაკუთრებული შესაძლების ამოცანათა განსახორციელებლად, რომლებიც მან დღეისათვის დაისახა.

საჭიროა ითქვას, რომ საბჭოთა მწერლობის წინაშე არაერთგზის მდგარა მოწოდება ობიექტური სინამდვილის მეტი სიფართოების ასახვის შესახებ, ხოლო რაც შეეხება ზემოთხსენებულ „არტეზიანულ სიღრმეებს“, ამ მხრე ჩვენი ლიტერატურის ზრუნვის საგანს პირველ რიგში საბჭოთა ადამიანის სულის სიმრთელე, მისი შინაგანი მოღიზიანება წარმოადგენდა, რაც თავისთავად საუკუნითი გასავნა, მაგრამ ცხლანა ისიც, რომ თუ ჩვენ გვერდა ეს მოღიზიანება უფრო საიმედო და ორგანული აღმოჩნდეს, იგი უკლებულია მეტი დაკრძრევით შევისწავლოთ ყველა მისი შემადგენელი ნაწილი.

შესწიშ გოკრი ამბობდა, რომ ადამიანებს ძალიან განვიარებულნი იყვნენ სხვადასხვა ტექნიკური სიახლეებითა და უცნაურობებით განკითხვების უნარი. მაგრამ მათ რატომღაც იშვიათად აკვირებთ იმ ყველაზე დიდ და განსაკუთარ სასწაულის არსებობა, რომელსაც, ყოველივე ამის შემქმნელი, მათვე საყუთარი ადამიანური სული წარმოადგენს.

კუშმარიტად სრულქმნილი ადამიანის შინაგანი ცხოვრება, მისი „სუბიექტური სინამდვილე“, არანაკლებად მდიდარია მის გარეგან მოქმედე-



ბაზე და იმ ვარეშე სინამდვილეზეც, რომელსაც იგი ამ თავისი მოქმედებით გარდაქმნის.

მითუმეტეს ეს ეხება თანამედროვე საბჭოთა ადამიანს—მის ემანსიპირებულ სულიერ ძალებს. სამწუხაროდ საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში ბოლო დრომდე იშვიათი არ არის ფაქტები, როდესაც ბურჟუაზიული სუბიექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ მიმართული თავისთავად სამართლიანი პოლემიკა საერთოდ მწერლის ინდივიდუალიზმისა და მისი სუბიექტური გრძნობათა საწყაროს წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათს იღებს.

რა თქმა უნდა, საბჭოთა მწერლობისათვის მისაღება არა უოვედგებიანი ადამიანური ინდივიდუალიზმა და არა უვალანთი სუბიექტური განცდებმა. მაგალითად, ცხადია, რომ ჩვენ ვერ მივიღებთ ყალბი, წერტილმანი ან პათოლოგიური ვნებებით შეპყრობილ ინდივიდუალიზმს, მაგრამ არ უნდა დავავიწყდეს ისიც, რომ საზოგადოდ პოეტური ინდივიდუალიზმის ვარეშე, ისევე როგორც „საქუთარი სიმღერის“ ვარეშე, შეუძლებელია პოეზიის არსებობა.

სწორედ ამ შეხედულების საწინააღმდეგო პოზიციებზე მდგომ ლიტერატორებს უნდა ეუფილდოეთ, რომ დღევანდელი ქართული პოეზიის გარკვეული ნაწილი შესამჩნევი ნივთიერების დალით არის აღბეჭდილი.

არსებობს ერთი სპეციფიური გამოთქმა: „დადებითი ემოციები“, რომელსაც უფრო ხშირად სამედიცინო წრეებში ხმარობენ. ექიმებს ახრით ავადმყოფი ადამიანისათვის მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთ საგნებზე ფიქრი, რომლებიც მასში „დადებითი ემოციებს“ გამოიწვევენ. (სიტყვა „დადებითი“ ამ შემთხვევაში იმპარება როგორც „მსუბუქისა“ და „ზომიერად სასიამოვნო“ სინონიმში).

როგორც სხანს, ზოგიერთი საბჭოთა ლიტერატორის შეხედულებით ჩვენი პოეზიაც მხოლოდ ამგვარ „დადებით ემოციებს“ უნდა აღძრავდეს თანამედროვე მკითხველში.

არსებობენ პოეტები, რომლებშიც ცხოვრების ყველა საგანი, ყველა მოვლენა მხოლოდ და მხოლოდ ერთი კატეგორიის განცდებს იწვევს. სიყვარული მათთვის არსებობს მხოლოდ ბედნიერი, ამინდი მხოლოდ მზიანი, იმედი მხოლოდ ახდენილი, ცა მხოლოდ ვარსკვლავიანი, სურვილი მხოლოდ დაკმაყოფილებული.

არა, ეს არ არის ნამდვილი ოპტიმიზმი, ოპტიმიზმი, რომელიც სიცოცხლის ღრმა ცოდნიდან და თავდავიწყებულ სიყვარულიდან მოდის. ეს არის სინამდვილისადმი — როგორც ვარეშე ისე საკუთარი სულიერი სინამდვილისადმი ზერტულ და ფაქტობრივ გულგრილი დამოკიდებულების ნაყოფი.

საბედნიეროდ, აქ არავითარ განზოგადებებს არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რადგან ეს მხოლოდ ჩვენი პოეზიის ერთ ნაწილს ეხება. ის რაც მასში ნამდვილად გაანაზრებული და ძლიერი იყო თ-

იქმის მთლიანად გადაერთა ამგვარი ყადის „ოპტიმიზმს“.

თუ, მაგალითად, ვადავებდეთ უკანასკნელ წლების ქართულ მწერლობას, ძველი არ იქნება იმის შემწენვა, რომ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ქართული ლექსის ზოგიერთი ოსტატის სერიოზული მობრუნება ადამიანის სულიერი ცხოვრების რთული და მწვავე თემებისაკენ.

შეიძლება ითქვას, რომ ლირიკა თავისებურ გამოცდის წარმოადგენს დიდი შემოქმედისათვის.

როდესაც პოეტი ამა თუ იმ ვარეშე, ობიექტურ მოვლენას ასახავს, მას შეუძლია სხვადასხვა გარეგნული აქსესუარების მოშველიებით შევსოქმენას ერთგვარი ბრწყინვალეებისა და მრავალფეროვნების შთაბეჭდილება, მაგრამ როდესაც ის პირისპირა, მიშველი გამოცდის ამარა ზოგიერთი ოსტატის წინაშე, ასეთ დროს მას მხოლოდ საკუთარი სულის სიღრმეში შემონახული საუნჯეებით შეუძლია მისი მოხაზვა.

ამ მხრივ უდარესად ნიშანდობლივი ის განსაკუთრებული ყურადღება ლირიკისადმი, რომელმაც ბოლო დროს აინა თავი ჩვენი პოეზიის უფროსი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელთა შემოქმედებაში. ეკრძოდ ეს შეიძლება ითქვას ორი ისეთი მკვეთარი განსხვავებული ხასიათის პოეტთა შესაბამ, როგორც არიან სიმონ ჩიქოვანი და ირაკლი აბაშიძე.

ჩვენი ფიქრით, მათ მიერ უკანასკნელ წლებში გამოკვეთებულ ლირიკულ ციკლებს საეტაპო მნიშვნელობა აქვთ ამ პოეტთა შემოქმედებაში.

უნდა აღინიშნოს რომ ლირიკული თემებისადმი მობრუნება შეინიშნება შედარებით უმცროსი თაობის პოეტთა შორისაც.

განსაკუთრებით ეს ახალგაზრდობის შესახებ ითქმის, და აქ ერთგვარ უკიდურესობასაც აქვს ადგილი.

დასაბუთებით უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენმა ლიტერატურულმა პრესამ განიცადა ნამდვილი მოზღვაება ლირიკული ლექსების ავტორთა მხრივ. ისე რომ ლირიკის შეზღუდვის შესახებ ლაპარაკი დღეს გაუმართლებელია, მაგრამ სხვა საკითხის დგას თუ არა უოველთვის ეს უზღვავი ლირიკული პრობლემა დიდი და ნამდვილი ლირიკის სიმადლეზე?

ჩვენი ფიქრით დღეს საბჭოთა ლირიკის დაცვა საჭიროა არა მხოლოდ და არა იმდენად მისი მოწინააღმდეგეებისაგან, რამდენადაც თვით იმ სიყოფიერების მომრავლებული „ლირიკოსებისგანაც“, რომლებიც წერილმანი თემებისკენ, უფერულობისკენ, მხატვრული სიმდარისა და იღუპარი უმწიფობისკენ ვხიდიბიან ჩვენს პოეზიას.

ასეთი პოეზიის დამახასიათებელი ნიშანს წარმოადგენს არა მხოლოდ დღევანდელთა უმწვავესი პრობლემებისადმი ზურდის აქცევა და ინდიფერენტობა, არამედ საზოგადოდ ზერტობა და მხატვრული მოუწიფებლობა.

ეს პოეზია ერთნაირად გაერბის, როგორც იდეურ აქტუალობას და სიმამრეს, ისე ადამიანს სულიერი ცხოვრების ღრმა და გაბედულ გამოსახვას, ყოველივეს, რაც ნამდვილ შთაგონებასთან ერთად ნამდვილ შემოქმედებით ჯადოს და შერლობაში მძიმე გზით სიარულს მოითხოვს. (ამის ერთერთი მიზეზი, სხვათაშორის ისიც არის, რომ ქართულ პოეზიაში უკვე ფართოდ გაკავებულია მეორე, ბევრად უფრო იოლი გზა).

ჩვენს ფიქრით, სწორედ ახალგაზრდა ქართული პოეტების შემოქმედება განსაკუთრებით არის დაზარალებული იმ შავნე შემოქმედებით, რომელიც ჩვენს პოეზიაში ნიველირების ტენდენციად გამოიწვია.

ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ახალგაზრდა პოეტების შორის ცოტანი იყვნენ ისეთები, რომელნიც მშვენივრად ფლობენ ქართულ ლექსს და საკმაოდ კარგი ფორმით გამოირჩევიან.

მაგრამ საშუალოდ ძალიან ძნელია მათ შორის ისეთი პოეტების დასახლება, რომელნიც ასევე გამოირჩეოდნენ თავიანთი შინაგანი ორიგინალური თვისებებით.

სხვათაშორის, ჩვენდა საბედნიეროდ ეს არ ითქმის მთლიანად თანამედროვე ახალგაზრდა ქართული მხატვრების შესახებ.

მათი უკანასკნელი გამოცემა, რომელმაც ასე ააღელვა ჩვენი საზოგადოება, სწორედ იმით არის სასიხარულო, რომ იქ წარმოდგენილ მხატვართა უმრავლესობა სრულიად არიდებულია იმ სენს, რომელმაც ჩვენი შერლობა დაზიანა.

ეს არის უხედიანი ბედნიერება, რომ დღეს ქართულ სახელო ხელოვნებაში ჩვენ გვევლინება ამაღნი ღრმად თავისებური, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული შემოქმედი.

შინაგანი სამუაროს უფერულობითა და სიღარიბით უნდა იყოს გამოწვეული ის დამბახიანებელი მიდრეკილება გარკვეული ექსცენტრულობისაკენ, რომელმაც კერძოდ თავი იჩინა ფურცალ „ციცკრის“ გასული წლის ერთერთ ნომერში გამოქვეყნებულ დამწეებ პოეტთა ლექსებში.

ჩვენ არ ვუარყოფთ, რომ ამ ავტორთა შორის შეიძლება ნამდვილი ნიჭით დაჯილდოებულ პოეტებზე ურუკიან (მთლიანად უთუოდ ნიჭიერი პოეტი უნდა იყოს ნელი გაბრიძიძე) მაგრამ მთლიანად თავისი ძირითადი ხასიათით მათი შემოქმედება გერ კიდევ მოკლებულია ნამდვილ შინაგან სიახლესა და ორიგინალობას.

საჭიროა აქ ისევ ვავიშოროთ ის უბრალო კუმშარტება, რომ ამოა საზოგადოდ პოეზიის ძებნა იქ, სადაც არ არის ნამდვილად პოეტური პიროვნება, სინამდვილისადმი თავისი საკუთარი დამოკიდებულებით, საკუთარი სამყაროთ და ხასიათით.

მართალია ეს უკანასკნელი (ე. ი. შერლონის პოეტური ინდივიდუალობა) შესაძლებელია ზოგჯერ არც კი შესაბამისობადეს მის ბიოგრაფი-

ულ ხასიათსა და ჩვენთვის ცნობილ პიროვნულ თვისებებს, შეიძლება ეს იყოს მისი მეორე ფართული პუნება, მისი თავისებური „off the edge“ შავნე არც ისე თვ იმე ამ ორიგინალურ შემოქმედებითი ინდივიდუალობის გარეშე შეუძლებელია პოეზიაში რაიმე კუმშარტად ორიგინალურის მიღწევა.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დროს თვით ახალგაზრდა თაობის პოეტთა გარკვეულ ნაწილში შეინიშნება ერთგვარი უკმაყოფილება ყოველივე ზედამართლის, ყალბისა და ტრადიციულის მიმართ და აქედან გამომდინარე სერიოზული ძიებები პოეტური აზროვნებისა და წარმოსახვის მეტი სიღრმისა და მეტი სიზუსტის მისაღწევად.

მართალია ეს ტენდენცია გერ კიდევ ბოლომდე გაუფორმებელი სახით წარმოვიდგება, მაგრამ მათეშეტეს იგი ყოველმხრივ მხარდაჭერას და ყურადღებას მოითხოვს. ასეთი მიდრეკილება სხვადასხვა ფორმით იგრძნობა. მაალიათთ ან კალანდაძის, ზურაბ ლორთქიფანიძის, არჩილ სულავეის, მუხრან მაჭავარიანის, თამარ ჯილაძის, გივი გეგუქორის, ითარ ჯილაძისა და ზოგიერთი სხვა ახალგაზრდა პოეტის უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ლექსებში.

ეს არის პოეზიაში და კერძოდ ლირიკაში ტრადიციის და ნიველირების საწინააღმდეგო მძიარტელება, გრძნობათა ზერელეობის, სიმშატის, ყალბი ოპტიმიზმის პრინციპული უარყოფა. თავისებური ანტითეზა ისეთი ყალიდს პოეზიისა, რომელიც გვერდს უვლის ადამიანურ განცდათა „მასებელი კუთხვებს“, ეშინია მის სულიერ სამააროში „ზედმეტად“ ღრმა შეტრისა და ამის გავრმხოლოდ ზედამართული, დამტამშლა, ოპერეტული უიიდის „დადებითი“ ემოციებით ემყოფილდება.

ჩვენის ფიქრით ეს არის თავის საფუძვლში სრულიად ჯანმრთელი და ზონებრივი მიზანსწრაფეა და იგი შესაბამის მხარდაჭერის ღირსია.

თუმცა საჭიროა ითქვას, რომ ამ ტენდენციას, რამდენადაც იგი რალაციის საწინააღმდეგო რეაქციის წარმოადგენს თავისი უკიდურესობებზე გააჩნია.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ გვიდაა შეიჩრდეთ ერთ თავისებურებაზე, რომელიც ზოგიერთი ზემოდასახელებული პოეტის შემოქმედებაში იგრძნობა სხვადასხვა სახით.

ეს არის მიდრეკილება პოეტური აზროვნებისა და პოეტური ენის ერთგვარი გაზრტულებისაკენ. მართალია ცალკეულ შემთხვევაში ამ ტენდენციის ერთგვარი მანერტულობის ელფერი გადაკრავს და ამის გამო თავისებურ დეკვებასაც იწვევს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისი წარმომხმობის მიდრეკილებით მოკლებული არ არის პრინციპული ხასიათის საფუძვლებს.

საზოგადოდ, ეს არის უარრებად საყურადღებო მოვლენა თანამედროვე პოეზიის განვითარე-

ბაში, რომლის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დღევანდელი წარჩინებით.

მისი ძირები მე-20 საუკუნის ქართული პოეტის ფორმირებისა და დადგენის უფრო ადრინდელ ეტაპებში უნდა ვეძოთ.

რამდენიმე წლის წინათ ყურნალ „ესკრის“ ფურცლებზე ჩვენ გამოვაქვეყნეთ წერტილი („შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტის შესახებ“), რომელიც კრძოლ ამ საკითხსაც ეხებოდა.

ამ წარღობში, სხვათაშორის, გამოთქმული იყო შემდეგი მოსაზრება: ის სპეციფიური მიდრეკილება პოეტური აზროვნების და ენის გართულებისაკენ, რომელიც შემოიტანეს მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართველმა პოეტებმა, ჩვენის ფიქრით წარმოადგენს ისტორიულად აუცილებელ გზასა და საშუალებას ამ ახალი სისადავის მისაღწევად, რომელიც თავისი შინაგანი შესაძლებლობებით მომავალში არა მხოლოდ უნდა გაუთავანდრეს, არამედ კიდევ უნდა აღუმტებოდეს წარსული პოეზიის (მხედველობაში გვქონდა მე-19 ს.) კლასიკურ უზრალეობას. ისევე როგორც შეცნობრებაში ყოველი ახალი, თავისთავად მარტივი კანონის დადგენა მოათხოვს ათას ჰამოთეტრს დაშვებას და გახედულ ექსპერიმენტს, პოეზიაში დიდი და საბოლოო განზოგადებანი შესაძლებელია მხოლოდ რთული ძიებების ნიადაგზე.

ამ მოსაზრებამ ერთგვარი გაუგებრობა და უკმაყოფილება გამოიწვია ზოგიერთ ლიტერატორში.

მართლაც ასეთი სახით იგი ადვილად შეიძლება იქნას მიჩნეული ერთბაშად საეჭვო ხასიათის წინასწარმეტყველებად.

მაგრამ საქმე ისაა, რომ აქ ჩვენ არ გამოვსულეთ ერთ მხოლოდ პირადი ფანტაზიიდან და არც რაიმე წინასწარ შემუშავებული სქემით არ გვიხელმძღვანელებია.

თუ მაგალითად გავიხსენებთ 20-იანი და 30-იანი წლების ქართული ლიტერატურის სინამდვილეს — ე. ი. ამ პერიოდს, როდესაც ზღვაობდა ჩვენი პოეზიის გამოჩენილი წარმომადგენელთა, როგორც იდუარის, ისე შემოქმედებით „კრიტიკალუზიკა“ ძნელი არ იქნება იმის შეშინება რომ პოეტური ისტატობის სფეროში ეს პროცესი მაშინ გამოვლინდა, როგორც შეგნებელი მისწრაფება მხატვრული ფორმის მნიშვნელოვანი (ზოგჯერ უკიდურესი) გუბრალეობისაკენ.

ამ მხრივ ტიციან ტაბიძის ცნობალი ლექსი... „ისე უზრალოდ“ თავისებურ პოეტურ მანიფესტს წარმოადგენდა მთელი ამ მიმდინარეობისათვის (ლუბცო ეს შეუძლებელი გვიან დაწერა). სხვადასხვა ნაარსებობით ამგვარი რამ განიცადა თითქმის ყველა ქართველმა პოეტმა, ვინც კი წარსულში თავისი შემოქმედებით ბიოგრაფიით დაკავშირებული იყო ფორმალისტური ლიტერატურის ამა თუ იმ სკოლასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სხენებელი ტენდენცია

არ შემოიფარგლება ქართული პოეზიის წარჩინებით.

ასეთი „შემობრუნება“ სისადაგვსადაგმე-შენიშვნება ჩვენი ეპოქის თითქმის ყველა ქვეყნულ თანამედროვე ხელოვანის შემოქმედებაში.

საფრანგეთში ამის შესანიშნავი მაგალითთა ორი ყოფილა სიურეალისტის პოლ ელუარისა და არაგონის პოეტური ბიოგრაფია.

ამერიკაში პაბლო ნერუდას ეფილუცია, ხოლო რუსეთში ვაკილენდით ადრე ბლოკის და მიაკოვსკის შემოქმედებით გზა.

რომ ეს პროცესი მართლაც შემოთავაზონის და უნივერსალური ხასიათისაა, ამის საბუთს გვაძლევს თანამედროვე სახეობი ხელოვნება. ეკრძოდ ჩვენი დროის უდიდეს მხატვრის გამოჩენილი პროგრესული მოღვაწისა და ხელოვანის პეტასოს ნამუშევრები. შემთხვევითი არ არის, რომ პეტასო, რომელშიც შიონელა მე-20 საუკუნის თითქმის ყველა ფორმალისტური მიმდინარეობების ვაგულაა, დღეს ცდილობს თავისი გუნდმარტად გრანდიოზული ჩანაფიქრები გადმოსცეს უკიდურესად მარტივი და სხვა გამომსახველობითი საშუალებებით. (მხედველობაში გვაქვს მისი უკანასკნელი დროის მონუმენტალური ქმნილება: „ამი და მშვილობა“).

ცნობილია, რომ ის სართლად, რომელიც დეკადენტებმა და მოდერნისტებმა შემოიტანეს მე-20 საუკუნის პოეტურ ხელოვნებაში, გამორბეული იყო მათი სოციალური შეგნების კონკრეტული თავისებურებებით. როგორც ვიცით, მათი შემოქმედება წარმოადგენდა გადაჯვარებას გზაზე შემდგარი ძველი საზოგადოების სულიერ განწყობილებათა მხატვრულ ტრანსკრიპციას.

ამ პოეზიისათვის დამახასიათებელი „სირთელიც“ — როგორც კლასიკური სისადავისა და პარამონიონის ერთგვარი უარყოფა, თავისებურად გამოხატავდა იმ რღვევად და შინაგანად მოუწყესრადგებელ მდგომარეობას, რომელიც სინამდვილეში სუფევდა დეგრადატიული საზოგადოების წარმომადგენელთა შეგნებაში.

გარდა ამისა, პოეტური ფორმის შეგნებული ირაკონლობა, გუგუბრობა და სიბნელე მოელოდ შემთხვევებში გამოწვეული იყო მოდერნისტული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი დეინიზნური ფორმალისტური ექსპერიმენტებითაც.

ბუნებრივია, რომ ამგვარი სირთლად თავის საფრედელშივე მოუღებელი აღმოჩნდა თანამედროვე პროგრესული ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

მაგრამ ჩვენ ვიცით ისიც, რომ დეკადენსისა და მოდერნიზმის წიაღში არსებობდნენ გუნდმარტი ტრადიციონალი და დიდი გაქანების შემოქმედებიც, რომლებიც თუმცა თვითონვე გრძნობდნენ ამ ხელოვნების შეზღუდულობასა და უპერსპექტივობას, მაგრამ თავისი ესთეტიური პრინციპებით, გემოვნებითა და განწყობილებებით მაინც მის წარჩობებში იყვნენ მოქცეულნი.



შემდეგში ამ შემოქმედთა უმრავლესობამ შესაძლო ფორმალისტურ ინტერესთა ვიწრო რაიონს გარღვევა და დიდი რეალისტური ხელოვნების ვაზზე გასვლა, მაგრამ არცერთი მათგანისთვის არ ჩატეხილი უკავალოდ და გარკვეული თვალსაზრისით უსარგებლოდ იმ გაკეთილს და იმ გამოცდილებას, რომელიც მათ დასაწეისში მიიღეს. განსაკუთრებით ეს ეხება მხატვრული ფორმის სფეროს.

სხვათაშორის ამის შესახებ სრულიად სამართლიანად სწერს ე. პერეკოვი, მთავარსკვლევის შემოქმედებასთან დაკავშირებით.

«Ища новую форму для выражения нового содержания, Маяковский мобилизовал не только переработанный опыт классицизма, но и опыт крупнейших поэтов русского модернизма. Подвизавшись с ними и психически увидев их, он пересмыслил их формальные искания».

როგორც ვხედავთ აქ სწორედ მხატვრულ ფორმებზეა ლაპარაკი. მაგრამ საკითხია: რა იყო მანძი საერთაღლები ამ გამოჩენილ მოდერნისტთა შემოქმედებაში? რა ხასიათის გამოცდილება შეეძლო აქვთ მათგან მთავარსკვლევის?

ჩვენი აზრით, სხვა მხარეებთან ერთად ეს მოიცავს იმ მნიშვნელოვან მომენტსაც, რომელიც ადრე შეეცხეთ.

საქმე ისაა, რომ ბლოკის ტიპის პოეტებისათვის მხატვრული ფორმის გართულება არ წარმოადგენდა თვითმიზნობრივ ფორმალისტურ მანიპულაციას შედეგს. და რაც მთავარია საბოლოო ეტაპში ეს ტენდენცია მათ შემოქმედებაში არ ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ ბერკეაზიული დატყვეობისა და შესაფერისი თვითშეგრძნების გამოვლინება.

ამ კენჭმართლად დიდი გაქანების შემოქმედთათვის ეს სართული გარკვეული თვალსაზრისით წარმოადგენდა გამოცდილებას იმ სრულიად კანონზომიერი გართულებისა, რომელიც ნამდვილად მოხდა არა მხოლოდ ბერკეაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა, არამედ საზოგადოდ მე-20 საუკუნის ადამიანთა სულიერ სამყაროში.

ისეთივე პოეტებმა, როგორც რუსეთში ალ. ბლოკი იყო, ხოლო საქართველოში ვთქვით ვალაკტიონ ტაბიძე, შესძლეს ან, ყოველ შემთხვევაში, სცადეს თავის შემტებისდაგვიანად მიეკნობა ადამიანის სულიერი სამყაროს ისეთი მხარეებისათვის, რომლებიც ძველი კლასიკური პოეზიის მიერ ხელშეუხებელი დარჩა.

სწორედ ამ მხრივ მათ მიძღვლით დიდი ღვაწლი ადამიანის სუბიექტურ შეგრძნებების, განცდების, ემოციების, განწყობილებების და სხვა მანკანან იმპულსების შემტების სფეროში.

შეძლებული იყო მავალთად მთავარსკვლევის ესენიანს, ბაგრიცკის, ტიხონოვის და სელენსკის ლირიკულ შედეგთა: არსებობდა რომ არ

ყოფილიყო ასეთი გამოცდილება რუსეთში, რუსულენოვანულ პოეზიაში.

იგივეს თქმა შეიძლება მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიის მიმართაც.

ქართული საბჭოთა ლირიკის განვითარებისათვისაც მცირეოდენი მნიშვნელობა არ ჰქონიათ ამ მიზეზებსა და ექსპერიმენტებს. რომლებსაც რეკოლუციამდელ პოეზიაში ჰქონდათ ადგილი.

რასაკვირველია ჩვენი თაობის ადამიანთათვის სრულიად უცხო და მიუღებელია ეს უნიდავობისა და სასოწარკვეთის განწყობილებები, რომლითაც ვთქვით ვალაკტიონ ტაბიძის და ცისფერ-ყაწყალთა ადრინდელ შემოქმედებაში არის აღბეჭდილი. რადგან ჩვენ ამგვარი მსოფლმეგრძნების დამეტრალურად საინფორმაციო პოზიციებზე ვხედავართ.

სხვათაშორის უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება ჯერ კიდევ მთლიანად არ არის თავისუფალი ასეთი ხასიათის გავლენებისაგან. ჩვენს პოეზიაში ხანდახან კიდევ ვხედავთ იმ ძველი განწყობილებებისა და მოტივების პირდაპირ გადამტარებას თუ არა, ყოველშემთხვევაში ერთგვარ შორეულ გამოძახილს მაინც.

იმდენად დიდი და ღრმა იყო ვალაკტიონ ტაბიძის ზემოქმედება ახალ ქართულ პოეზიაზე, რომ მისთვის დამახასიათებელი ინტონაცია, მის მიერ შექმნილი პოეტური სახეები ინერციის ძალით დღემდე განსაზღვრებენ თავიანთ სიციცხლეს იმ პოეტების შემოქმედებაშიც კი, რომლებიც ჯერ დაბადებულნიც კი არ იყვნენ, როდესაც ამე და ღამე" და „მშობლიური ეფემერა" იქმნებოდა.

რასაკვირველია, აქ მართო ვალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში არ არის საქმე, მე-20 საუკუნის ქართულმა ლექსმა, ვიდრე იგი დღემდელ ნაკველობას შეიძლება, ბევრი ოსტატის ხელში გაიარა. მასზე თავისი გველენა მოახდინა, როგორც „ციცხური ყაწყალის" ტიტოშხაიანიშა ბანგმა, ისე გრიშაშვილის „სამაქში" ნებეგრმა რწყემ და ფურერისტა ზურმერმა აფთქებებმა.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაზე დიდი ხანს მან ვალაკტიონ ტაბიძის „არტიტული" უვავილებს" სურნელი უნდა.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს ვალაკტიონ ტაბიძის და მისი თაობის სხვა ოსტატთა ადრინდელი შემოქმედების ტრადიციები წარმოადგენენ იმ ბარიერს, რომლის გარღვევა აუცილებელია ქართული ლირიკის შემდგომი განვითარებისათვის.

ჩვენი საუკუნის ათიანი და ოციანი წლების შემდეგ, როდესაც ამ პოეტებმა თავიანთი ცნობილი შედეგები შექმნეს, მსოფლიოს მორწინავე პოეტურ ხელოვნებაში, ისევე როგორც ქართულ პოეტურ ხელოვნებაში, ბევრი ახალი გარდატეხა და ცვლილებები მოხდა.

კერძოდ უკვე საბჭოთა დროს ქართულ ლირიაში შემოტანილი იქნა ერთიანი მხრივ ეპიკოსა და

პრობის, ხოლო მეორეს მხრივ პუბლიცისტის ელემენტები, რაც სხვათაშორის თავის პრინციპში ნიშნავდა არა ლირიკის შევიწროვებასა და დანაშაულებას, არამედ პირიქით მის გამდიდრებას. (თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ამ ვარაუდობამ უარყოფითი შედეგები მოგვცა).

მიზანშეწონილი არ იქნებოდა ამის გამო თუ ჩვენ ქართული პოეტიკის განვითარებას გამოვამწყვდევდით მხოლოდ და მხოლოდ ამ ჩვენთვის უღარეადად ძვირფასი, მაგრამ უკვე შესაშინვებელ მომენტებზე ტრადიციების ნაქუქში.

სხვათაშორის ამის მავალით არც ამ ტრადიციითა შექმნილები გვაძლევენ.

როგორც თავის დროზე ვალაკტიონ ტაბიძის თაობის პოეტებმა შეუბრალებლად დაამხვებრიეს ძველი ლირიკის ეპიგონთა უკვე დრომოკმეული ვერსიებიცა და ცოცხალი სული შთაბერეს ქართულ ლექსს, ისე ჩვენი პოეტური ახალგაზრდობის დიდ და მალად დანაშენლებას წარმოადგენს თანამედროვე ქართული პოეტიკის შემდგომი განახლება.

ახლის გრძობა, სიახლის დაუცხრომელი ძიებბ, ერთერთი განუყრელ პირობათაგანია პოეზიის განვითარებისათვის და იგი ხშირად წარსულის სასტიკ და დაუნდობელ უარყოფას მოითხოვს.

ყოველ ეპოქას თავისი ახალი სულიერი მოთხოვნები, ახალი ესთეტიური იდეალები და ახალი გემოვნება მოაქვს.

მაგრამ რითი უნდა ახსნას, რომ ვ. ტაბიძის ზოგიერთი ადრინდელი პოეტური შედეგები, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა დღემდე ინარჩუნებს თავის მიწმილობას ჩვენს თვალში. რითი შეიძლება ახსნას მათი პოეტური შთაბეჭდლობის გარდუვალი ძალა?

ჩვენის ფიქრით ამის ერთერთ მიზეზს წარმოადგენს ის საოცარი სიღრმე ადამიანის ემოციური სამყაროში წვდომისა, ის შესანიშნავი სიზუსტე მისი შინაგანი ნიუანსების რთული კომპლექსის გადმოცემისას, რაც სახოაოოდ ვ. ტაბიძის ადრინდელ ლირიკას ახასიათებს.

ის თავისებური „ბუნდოვანება“ და სირთულე რომლითაც ვალაკტიონის იმდროინდელი პოეტური ენა არის აღბეჭდილი ძალიან ხშირად გამართლებული იყო, არა მხოლოდ სიმბოლიზმის ცნობილი ფორმალური დოქტრინის გავლენით, არამედ პოეტის ბუნებრივი მისწრაფებით — მთელის შინაგანი სისრულითა და სიღრმით გადმოვირა საყუთარი განცდები. ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ ვარკვეული თვალსაზრისით ეს „ბუნდოვანება“ სწორედ სიზუსტის ძიებით იყო გამოწვეული.

ამ მხრივ ვალაკტიონის ადრინდელი პოეზია, როგორც შემოქმედებითი მავალით, და არა რო-

გორც პირდაპირი მიზანძივისა და გადაქცერების წყარო, დღესაც ინარჩუნებს თავის პირველ მნიშვნელობას, რადგან ეს ანტიკვლევითურად ადამიანის შინაგანი სამყაროს უღარეადად სრული და ტყეადი საშუალებებით გამოხატვისა.

თანამედროვე ქართული ადამიანის — ახალი საზოგადოების აქტიური მშენებლისა და შემოქმედის სულიერი ცხოვრება წარმოადგენს იმ ახალ მოვლენას, რომელიც თავის გამოსახატავად ახალ საღებავებსა და ახალ საშუალებებს მოითხოვს.

ეს არის შინაგანად სრულიად უცნობელი, ნათელი, ძლიერი და ხალი სამყარო. მაგრამ ეს სირთულე და ეს სისაღე არა თუ არ გამოიციხავს, არამედ პირდაპირ გელისხმობს დიდ სიღრმესა და დიდ სირთულესაც.

საბჭოთა ლირიკის მალაი ტრადიციები — „ხესტი“ და „მიშველი“ სიტყვის ძიების ტრადიციები უგულვებელყოფენ პოეზიაში ყოველგვარ მინორტულობასა და ფორმალისტურ ქარავებებს. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყუნეს, რომ იგივე პოეტს, რომელიც ამბობდა: — „Ищем речу точной и нагой!“, ვუძღუნის სხვა არანაკლებად საგულისხმო სიტყვებით:

Тот,
кто постоянно ясен —
тот,
по-моему
просто глуп!».

მისწრაფება მხატვრული ფორმის სინათლისადმი, გამოშახველობით საშუალებათა სისადავად და ლაკონიზმისადმი, რომელიც ჩვენი დროის ხელოვნების ერთერთ, შეიძლება ითქვას, ეპოქალურ ნიშანთვისებას წარმოადგენს, არამც და არამც არ უნდა ავირიოთ პოეტური აზროვნებას სიმარტივესთან, სათქმელისა და შინაარსის პრიმიტიულობასთან.

რადგან თანამედროვე პოეზიის სისადავე ეს არის დიდი შინაგანი სირთულეთა და დიდი ძიებებით გამდიდრებული სისადავე.

ჩვენ მავესალმებით ქართულ ლირიკულ პოეზიაში ყოველ ნაბიჯს, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა ადამიანის სულიერ გამოვლინებათა ყოველმხრივი ასახვისაკენ, მის შინაგან სამყაროში მიმდინარე პროცესების მთელის სიმწვავეით, მთელის შინაგანი წინააღმდეგობებითა და სირთულით გამოხატვისაკენ.

რადგან ჩვენთვის ნამდვილად საჭიროა ასეთი ლირიკა და კიდევ იმის გამოც, რომ როგორც ერთმა ცნობილმა თანამედროვე პოეტმა სთქვა: „შემოქმედებას სირთულე უყვარს განსაგებად და სიმამართი თქმელი“.



გალაქტიონ ტაბიძე და ანტონინ ზაკოტოვსკი

„გალაქტიონი მარტო ქართულელებში როდეს დაქარგეს. იგი მთელი ქვეყნის დანაკლისია. გალაქტიონი უყვარდათ მოსკოვში, ლნიხვრადში, პარიზში, პრალაში და ყველგან, სადაც უნახავთ და მისი პოეზიის სიტყვი განუღლიათ...“

მ. ლუკონინი

გალაქტიონ ტაბიძე 1927 წელს მიწვეული ყოფილა მოსკოვში კომინტერნის მეექვსე კონგრესზე. შემდეგ კონგრესის დელეგატებთან ერთად მას საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრები შემოუვლია. განსაკუთრებით დამეგობრებია ამ დროს გალაქტიონ ტაბიძე ჩეხოსლოვაკიის აწ გამწვანებულ პრეზიდენტს ანტონინ ზაკოტოვსკის. რუსეთში მოგზაურობის შემდეგ ზაკოტოვსკი პოეტს საქართველოში მიუპატიჟებია. ზაკოტოვსკი თავისი ცოლითურთ საქართველოში რამდენიმე დღე დაჩინილა. ზაკოტოვსკის თბილისში სტუმრობას გახეთი „ზარია ვოსტოკა“ ვრცელი წერილით გამოეხმაურა. თბილისიდან გამგზავრების შემდეგ გალაქტიონ ტაბიძეს და ზაკოტოვსკის პირველ ხანებში მიმოწერაც კვირიათ.

1957 წლის ივნისის პირველ რიცხვებში პოეტს გავიდა, რომ განათლების დარგის მუშაობა ერთი ჯგუფი პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიაში მიმგზავრება ტურისტული საგზურით. მან ათ ივნისს მოიტანა თავისი ლექსთა კრებული, ბარათი და გუმბოფა, როგორმე ვადაგვეცა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ანტონინ ზაკოტოვსკისათვის.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულით მივიღეთ ეს დავალება, მაგრამ შესრულებაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი გვაკარებოდა.

ჩვენი პოეტი ზაკოტოვსკის წერდა:

„ძვირფას ამხანაგს ანტონინ ზაკოტოვსკის!

დიდი ხანია, რაც ერთმანეთისა არაფერი ვიცით, გავხავით ველწრფელ საღამოსა და ჩემს წიგნს, რომელშიაც მოთავსებულია ნაწევრები პოემიდან „უბოქა“, რომელიც გამოვიდა 1929 წელს და მიეძღვნა კომინტერნის მეექვსე კონგრესის (ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის, ინგლისის, იტალიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების) დელეგატებს. ჩვენი ვაცნობა და ერთმანეთთან დაახლოვებაც მოხდა სწორედ ამ ყრილობაზე მოსკოვში, ყრილობის დამთავრების შემდეგ ჩვენ

ერთად ვიმოგზავრეთ საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან რაიონებში. თქვენ, ჩემი თხოვნით, ბრძანდებოდით შეუღლითურთ საქართველოში. კერძოდ, თბილისში, სადაც რამდენიმე დღე დამყავით და ჩემი თანხლებით თბილისის მიღამოები დაათვალიერეთ.

იმედი მაქვს, ყველაფერი ეს გახსოვთ და ასევე გახსოვართ მეც.

საქართველოს სახალხო პოეტი გალაქტიონ ტაბიძე. 1957 წლის 10 ივნისი“.

1957 წლის 27 ივნისს პრალაში ვართ. დღის თურთმეტ საათზე ვავეშურეთ გალაქტიონ ტაბიძის დავალებას შესასრულებლად კრემლისაკენ, რომელზედაც აღმართული დროშა იფშვებოდა, რომ პრეზიდენტს თავის რეზიდენციაში (როცა პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში არ არის — დროშა დამწვებულია ზოლზე). პრეზიდენტის მდივანს აუხსენით საქმის ვითარება, პრეზიდენტმა, სამდივნოს საშუალებით, მაშინვე მიგვიწვია თავის კაბინეტში. კაბინეტის კარებში შემოგვხვდა მალაი, ოდნავ გამხდარი, მეტად სიმათიური სახის ხანდაზმული მამაკაცი — თეით ანტონინ ზაკოტოვსკი. ის ღმილითა და ხელის ჩამორთმევით მოგვესალმა, თავის კაბინეტში შეგვიძღვა, სავარძელზე დაჯდომა შემოგვთავაზა. თეითონაც ჩვენს გვერდით სავარძელში მოთავსდა და აღტაცებით წაიკითხა გალაქტიონ ტაბიძის წერილი. შემდეგ სახეგამარწყინებულმა არაჩვეულებრივი ხალისით გამოგვეკითხა ყველაფერი გალაქტიონის შესახებ. მერე საქართველოზე და მის დედაქალაქზე გვესაუბრა. ბოლოს თანამშრომელ ქალს მწერალთა კავშირის მდივანი მარშინეკი გამოამხებინა და წინა ოთახიდან წიგნები შემოატანინა. გაუკეთა ვრცელი წარწერები და ორი წიგნი: „წითელი დაფონი კლდნოზე“, „ქარიშხლიანი 1905 წელი“ (ზაკოტოვსკის საკეთიარი თხზულებები რუსულად თარგმნილია 1954 წელს). ოთა ბარათების ორი დასტა: ასპარტაკიანი ჩეხოსლო-

ეკლემი“ და „ჩეხოსლოვაკიის ხელი“ გალაკტიონისთვის საჩუქრად გამოგვატანა (ასევე დაგვა-საჩუქრა ჩვენც). კაბინეტში შემოვიდა მწერალ-თა კავშირის ერთ-ერთი მდივანი ვლასტიმირ მარშიჩევი. მან სპეციალურად გალაკტიონისათვის მოზრდილი, საუცხოოდ დასურათებული წიგნი მოგვართვა და ზაპოტოკის დაეალებით, ერთი წლით ჩეხოსლოვაკიის ლიტერატურული ეურნალი გამოუწერა (რომლის ერთი ნომერი ჩვენს საქართველოში დაბრუნებამდე მიეღო პოეტს). გულთბილი ღიმილით გამოგვემშვიდო-ბა ზაპოტოკი და გალაკტიონ ტაბიძესთან ბა-რათი გამოგვატანა, რომელშიაც წერდა:

„გულწრფელი საღამო საამაყო ამხანაგ გა-ლაკტიონ ტაბიძეს! უღრმესი მადლობა საჩუქ-რისა და მოგონებისათვის. გუშინდელივით მახ-სოვს საბჭოთა კავშირში გატარებული დრო.

რა დამაგიწყებს თბილისს, საერთოდ საქართვე-ლოსა და მის ღირსეულ შეიქს თქვენი სახით, როგორ შეიძლება თქვენი დაეალებით ვადაწ-ყვეტილი მაქვს, ამ მოკლე ხანში კიდევ ეინა-ხელი თქვენი ტურფა ქვეყანა.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი
ანტონინ ზაპოტოკი.

1957 წლის 27 ივნისი“.

დაახ, გალაკტიონ ტაბიძე დიდ სახელს, ფარ-თო პოპულარობას, ხალხის ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას ინარჩუნებდა და ინარჩუნებს აბა მარტო საქართველოში და საბჭოთა კავშირ-ში, არამედ ყველგან, სადაც იგი უნახავთ და მისი პოეზიის ძალა უგრძენიათ. დიდი პოეტის სახელმა გზა გაგვიანათა ევროპის შეაგულში — ჩეხოსლოვაკიაში.

გიორგი ხუნდაძე



მარიამ გარიყული (1883—1960)

„ქვეშარიტად, ისტორიის მსვლელობაში
აღტილებელი იყო ეს ხალხი“.

მარიამ გარიყული — „განვლილი გზა“.

შთაღწევილი, სახედაინაოცებელი, მარამ ახალგაზრდულად ჩაუჭრალო, შინაგანი აზრით ანთებული თვალებით დარჩა ჩენს მეს-სოვრებაში ამასწინათ გარდაცლილი მწერალი მარიამ გარიყული. საშოცდაჩვიდმეტწულს შირა-ნებელი იგი ევლავ ხშირი სტუმარი იყო ჩენი ყურნალ-გაზეთების რედაქციებებსა, დედალავი მწიგნობრის ენით იწოდა, თავის შექმნილ-ნა-მოღვაწარს იქნეულად ხშირად სინჯავდა და თავისთავით მუდამ უყმაყოფილო. ხანდახმულ მარჯვენას ახალი შოთავონების განსახორციე-ლებლად ამუშავებდა. შისთვის სიბერე, თოთ-ქოს მხოლოდ გარუგნული რამ იყო, შინაგანად კი სულერი ცხოვრება მღვდლავრ და მოუდუ-ნებელი ჰქონდა. სიყვდილს წინა საათებშიც მას თურმე ხელთ ეჭირა თავისი მოთხრობების რუსული თარგმანების გამოსაცემად გამზადებუ-ლი აწყობილი გვერდები და გულმოდგინედ ათვალერებდა. უკანასკნელ წლებში მის კო-ლეგებს და ნაცნობებს იგი ხშირად უნახავთ ელბაქიდის დაღმართზე, თუ მაიაბლის ქუჩაზე ფეხით მიმავალი, თოთქოს თბილისის ქუჩებს ასეუ და ისეუ აკვირდებოდა, ვევაღფრას ახლი-დან აღქმას, დამასოვრებას ცდილობდა, ცხოვრებაშოყვირებელი, სიციცხელს დახარ-ბებულ ადამიანის თვალთ შთქავდა. ამნაირი განწყობილება მისთვის ხშირად შეუენშნავთ მწერალთა სასახლეში ნაცნობ-მეგობრებს. ხან-დახმული, კირნახელი მწერლის სულერი და ფხიკერი მხნეობა თოთქოს ხელშეისებებს ხდიდა ამ სულერი ენერჯიას და რწმენას, რომელიც თან ახლავს დიდ თუ პატარა შემოქმედს სი-ბერეში. აღბათ სიყვდილის წინა წუთებშიც მისთვის უდიდესი ნუგეშიც ის იყო, რომ თავის ნაშრომწარს პატარა, უბრეტენიო წიგნებში „დადინავებულს“ ხედავდა და მაღლიერ დედო-ბასთან ერთად მწერლობაში ვალმობილი ადა-მიანის ცრემლნარეუ სიხარულს გრძნობდა.

მარიამ გარიყულმა ნახეარი საუკუნეზე მეტ-ხანს ზიდა მძიმე ტვირთი მსახიობისა და მწერ-ლისა, განიცადა მრავალი სიძნელის ძლივით

ძნელად მოპოვებული სიხარული. ანსტასია ერისთავი-ხოშტარისა, ეკატერინე გაბაშვილის, ნინო ნაკაშიძის, მარიამ დემურისა და სხვათა გვერდით მან იტვირთა ჯერ კიდევ მძიმე წლებ-ში. „ერთი ხელით აკვანი ერწია და მეორეთი კა-ლამი ვეარჯიშებინა“. ქართული ქალის მო-კრძალებული ბუნება მას მწერლობაშიაც ეტ-უობოდა და თავის ნამოღვაწარზე ვახვიადებუ-ლი წარმოდგენა არასოდეს გამოუხატავს. 1955 წელს გამოცემული მისი შემეფრები — „გან-ვლილი გზა“ მუდამ მაიაბელი, თავისთავით უყმაყოფილო, მავრამ კეთილშობილურად გამრ-ჯე ადამიანის შეუღამახებელი სულსაცეთე-ბით არის დაწერილი. ამ წიგნში დიდი სოცია-ლური ძვრების ატმოსფეროში ისტორიული ამ-ბების, კულტურული, ფსიქოლოგიური და სი-ხელმწიფოებრივი გარდაცვლების ფონზე ადა-მიანთა ბედი საოცარი უშეალობით, ვმოციური ძალით და მხატვრული ზომიერებით არის ნა-ჩვენები.

აღბათ არასოდეს ისე სწრაფად არ დატ-უობია ცვალებადობა მკითხველის გემოვნებას, ისეთი სისწრაფით არ ვანიეთარებულა ხელო-ვნება და მწერლობა, როგორც ეს წვეს დროში ხდება ამ სწრაფ ვანიეთარებას განსახლერავს ჩენი საუკუნის ადამიანთა ახლებერი ურთიერ-თობაში, თაოათთა სხვა და სხვა ბედი, საოცარი ტექნიკური პროგრესი, და როცა ამ ახალ გა-რემოდან შევეყრებთ თუნდაც ნახევარი საუ-კუნის იქით დარჩენილ ცხოვრებას, იმდროინ-დულ მწერლობას, ხელოვნებას, ბევრი რამ მოძველებული ვეჩვენება, ბევრ რამეს სამუ-ზეუმო ელფერი დასდებია. ასეთი შოთბეჭდი-ლება ნაწილობრივ შესაძლოა მარიამ გარიყუ-ლის პირველი მოთხრობებშიც გამოიწვიოს, ჩენში. და ეს მოხდება მაშინ, თუ შევლევო-ბიდან ვამოთოშავთ იმ ატმოსფეროს, როდენ-საც ამ მწერლის პირველი ნიმუშები იქმნებოდა. ცხრასახოთიანი წლების კონკრეტულ-ისტორიულ გარემოში, როდენსაც ქართული ინტელექციის საუკეთესო ნაწილი ვანახლების ქარიშხალს ვაპ-

უვა, მ. გარიყულის და მისი სკოლის მწერლებს განუზომად დიდი რეზონანსი ჰქონდათ. ხალხისგან დაწინაურებული ტრადიციის ცხოვრების აქტიური პროცენტებით დაინტერესებისა, დაბალი ფენების პირუარაზით გამსჭვალვისა, ყოფიერების თუ კულტურის მტკიცეული პრობლემების წამოჭრისა მწერლობაში მ. გარიყულის მხატვრულ შთაგონებას იმთავითვე კვებავდა და ეს თვისება აქტიური მოღვაწისა და მწერლის მას არასოდეს არ დაუკარგავს. იგი თვით ცხოვრებიდან ამოიზარდა, როგორც მწერალი და მოღვაწე. უშუალოდ საკუთარი ბედით თუ შინაგან ხმის მეშვეობით მივიდა ლიტერატურასთან და თავის თვითაზრდა, მწერლური გამჭრიახობა გამოამჟღავნა. მაგრამ ეს არ უარყოფს ამ მწერლის ნიჭიერებას, მისი იდეების სიმბაფრეს, და მისი გმირების რეალურობას. მას იმთავითვე ჰქონდა „ცხოვრების ფსევრადზე“ დასვლის მიდრეკილება, შეურაცხყოფილთა და დამცირებულთა სიყვარული, უსამართლოდ გათვლილთა და დაბეჩავებულთა მისარჩლეობის, მათს ბედობაში ჩარევის ტენდენცია. პირადობობრივი გამოცდილების მისაღებ დაყრდნობით მან თავისი საშინაობო მოღვაწეობისა და ლიტერატურული ნაწარმოების ცენტრში მოაქცია დამცირებული და შეურაცხყოფილი ქართველი ქალის ბედი. სცენაზე განცდილი პათოსი შეამზობს ლაუტუნისასი, იდეითს თუ ზეინად დედოფლისა მწერლობაში გადაიტანა, თავის გმირ ქალებს მიანიჭა უყუთესი შერბისისათვის შებრძოლის თვისებები, აღმათ მისი მწერლური მოღვაწეობის ამ თვისებებს გულსსმობდა ტოციან ტაბიტი, როდესაც თბილისში ჩამოსულა მკვინი გორკის პატივისცემად მწერალთა სახლში გამართულ საღამოზე სიტყვა: მ. გორკის საქართველოში ორი მიმდევარი ჰყავს, მისიელ ჯავახიშვილი და მარიამ გარიყული. ეს ფაქტი მარიამ გარიყულმა თავის შემუარებში გახსენა და იწვევს მორქალებით დასძინა: „არ ვიცი, ტოციანმა რა მსვავსება ნახა იმ ბუმბერაზ მწერალსა და ზემს შორის, მაგრამ სიტყვა კი, რომ გარიყულის პირველ მოთხრობებს უდაოდ გორკის გავლენა აწინევათ, ხოლო მისი უკანასკნელი მოთხრობა „უსინათლო ალექსი“ ამ დიდ ტრადიციას აგრძელებს“ („განვლილი გზა“, გვ. 266).

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ შედგენულ ოჯახში გაატარა ბავშვობა, მარიამ გარიყული არ იყო განვითარებული ცხოვრებისაგან. თავის შემუარებში იგი დაწერილებით აღწერს ვასულ საუკუნის მიწერულს ამბებს, იმერეთის თავად-ზნანურობის საქმიანობას, პოეტური ვარაუდებით იგონებს თავის ბავშვობას და სანოცდაათ წელს გადაბეჩებული მოხუცის თვლით შექუერებს სიფულ გუბში შამსიულ კარმიდა-

მომი ვატარებულ დღეებს. ხანდაზმულობაში გადასული მწერლის მოგონებებში განსაკუთრებული სიცხადით და ფერადობით ცხატება შემოლოური გარემო, ანოლოგია და ნათესავთა პორტრეტები, იმერეთის პეიზაჟი: ოთხმოცდაათიანი წლების „შემოღობის აზნაურების“ ხასიათები, ცალკეული სცენები თათვი-შვილების ოჯახის ცხოვრებიდან, იმერეთის წეს-ჩვეულებების ეთნოგრაფიული ჩანახატები, ისტორიული მნიშვნელობის დეტალები, ქართული კულტურის იმდროინდელ მოღვაწეთა ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები. უოველვე ეს ბელეტრისტული ოსტატობით არის შექრულებული შემუარებში. „განვლილი გზის“ კითხვისას უნებურად ფიქრობთ, რომ ხანდაზმულობაში საოცარი სინათლე ახლავს ადამიანის ცხოვრების ადრინდელი წლების მოგონებებს. აქ უფლადი პოეტური უმდროინდელი არის დანახული და პოეზიით არის აღბეჭდილი პირველად განცდილი გარემო თუ ადამიანთა სახეები. შემუარებიდან ჩანს მწიგნობარი მამის და ქართული მწერლობის კარგად მცოდნე დედის ხასიათები, შთაბეჭდილებანი ბავშვის პირველი სიყვარული პუიუისა; ჩანს ის მადლი სიტყვისა, რომელიც იგრძნობდა იმდროინდელი სოფლის ინტელიგენციაში, აკაკი წერეთლის სახელთან დაკავშირებული იმერეთში. აქ ისმის გზაანუელი თავადზნანურობის გავთავებული ლხინისა თუ აღაპების, უნარის ცხოვრების ხმები, ორპირის ბაზრობის ორომტრიალი, ფველებრი დილოგანის ეყენების წერიალი, შინადირე ძალღუბის გნასი, დამით წაყითხული „აბესალომ და ეთერის“ სტრიქონები, წიგნისაში ცხოვლილ ნაგრძნობ პირველ სიყვარულს მსცილვანი მწერალი ქალი მამამისის მიერ წაყითხულ აღ. უახზბვის „მოძღვართან“ აყავშირებს: „ოთხმოცდა ცამეტი წელი გავდა იმ საღამოს შემდეგ, რომელსაც ეს პატარა მოგონება შეეხება და მე ახლა უკვე მოხუცებული, ამ შორი მანძილიდან ვხედავ. თით-თორმეტი წლის ვოგონას, რომელიც დგას მამის ზურგის უკან, სულგანახული უფრს უკედებს ამბავს, ამბავს საშინელსა და ვულსაკულს“ („განვლილი გზა“, გვ. 50). შეიძლება პირველად სწორედ მშინი ჰვეენობიერად დაიბადა მომავალ მწერალში მავუალს ტრავიციული სახის გვერდით მისი გმირი ქალების სახეებიც. მან ადრე ქალიშვილობაში გადაღახა ქართველი ქალის შემსლდეველი ატმოსფერო. გიმნაზიის მერზიდან ახლად ფხვადგმული ქართული თეატრის კარი შეიღობა და „ქულისების მტყუართან“ ერთად შეიგრძნოს ეს „ქულტურული რველოცია“, რომელსაც ახალი საუკუნის გარემოებებზე ჩვენი საუკუთესო ინტელიგენცია ახდენდა. მომავალი მწერლის მამას უკრე კიდევ მარიამის ბავშვობაში მიმოწერა ქონია ლიტერატურის თაობაზე აკაკი წერეთელთან და რაფიელ ერის-

თავთან, იუჯახში შექმნილმა ლიტერატურულმა ატმოსფერომ სტიმული მისცა პატარა მარიამს და სცენისადაც ინტერესი იმთავითვე გაუღვიძრა. ესადასთანვე წლების ქართული თეატრის სცენა ამბავბედი ტრიბუნა იყო, საიდანაც მუყურბეღი ეროვნულ იდეებს და სოციალური თავისუფლების შეფარულ ხმებს იჭრდა და გულში იმეკვდა. თბილისში ვადმოვლამ, პირველი თეატრალური დადგამების „სამშობლოს“, „ეროველ აკოსტას“ ნახვამ მარიამს კიდევ უფრო გავცოველა მსახიობად ვახდომის ფარული სტრეჯილი. მისი შემოქარების საუკეთესო ფორცლები მიიღწევილია ლადო მესხიშვილის, ბალანჩვიძის, აწ მთავრებული მსახიობის ღიზა გვეტაძის, ანუ ქიქოძის, ავჯალის სახალხო თეატრის მოამბავი საოთხი ვედოშვილის სასცენო მოღვაწეობისადაც. საოცარი სიუვარულით და სინახით აღუდგენია ხანდახმულ მწერალს თავისი ქალიშვილობის თანამგზავრი ეს მჭირფასი სახეები, ბევრი მათგანი დაეწეუბისათვის გამოიტაცენია. ხოლო რაც შეეხება ისეთ შემოქმედს, როგორც იუჯახში ლადო მესხიშვილი, შალვა დადიანი თუ ვალერიან გენია, ბევრი რამ ახალი მოეწოდებია მათ შესახებ, მათი ცხოვრების ეპიზოდები მსახვილი თვალთ აღწუნესაგს. ავჯალის ქუჩახე პრიმიტიულად მოწყობილ სახალხო თეატრის რამშის იქით დაიწყო ახალგაზრდა მსახიობის სრულიად სხვაგვარი ცხოვრება. შეოცე საქუენეს მარიამ გარიყული ქუთათისს თეატრის სცენახე ახლად ფხადგამულ მსახიობად შეხვდა. ამ წლებს შესახებ იგი წერს: „ამ დროს ურეე ვკითხულობთ ტურგენეეს, პეშკინს, ლარმონტოვს, ლ. ტოლსტოის ვითხვა მისი „ღღვროშით“ დაიწეე. მიზიდავს გოგოლიც თავისი სატირული ტაქებით. ვხვდები რუსულ თარგმანებში ევროპის ზოგიერთ მწერლებს, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებია უსისტემოდ.

ეთარგმნი რალაც რალაცებს.“ ვიქეუები ჩუბინაშვილის რუსულქართულ ლექსიკონში, მას ეწეელებ, ვეწეალები, მთვარე მიიცი მიედივარი წინ.

ვწერ პატარა-პატარა ლექსებს, რომელიც თავის დღეში არავისათვის არ მიწეუნებია, მთავარი უტრადლება მიიცი თეატრისაყენ მაქენ“ („განელილი გზა“, გვ. 76).

ლადო მესხიშვილთან ერთად სცენახე ვატარებულმა წლებმა მკაციო დღი დაამწინეს მარიამ გარიყულის აზროვნებას. არ ვიცი რამდენად დიდი მსახიობი იყო იგი გამოჩენილი ნინო ჩხეიძის ან მკაციო საფაროვა-აბაშიძის ვეერდით, ერთი რამ ცხადია: თეატრის კელისებში მან ცხოვრების დიდი სკოლა გაიარა და ახალი იდეების მოზიარე ვახდა. ქუთათისში უნახავს მას ჯერ აღუცციობის, ხოლო შერე გამოჩენილი მსახიობის არლენიევის მიერ დადგმული სმეტრელები: „ამეები კარამაზოეები“, „მეფე თეოდორე“ და „ღანაშული და სასჯელი“. დი-

დი რუსი მწერლის თეოდორე დოსტოევისკის ვმირებს საოცარი ზემოქმედების ძალი გააჩნდათ და ბუნებრივია რომ მ. გარიყულს მირეული მოთხრობების ვმირებსაც მიწეუნებია და ლეუბის, იამეტარების, შეორაცხეყოფის ჩრდილები. ეს წმინდა ლიტერატურული გავლენები გარეგნულ ხასიათს ატარებდა და ინტელექტუელურ-სოფლმშევედლობრივ ებეგონობამდე არ მიდიდა. 1905 წელს მარიამ გარიყული თავისი პირველი მოთხრობებით „ცხოვრების მსხვერპლი“ და „იბედიორი თუჯახში“ მოიჯიბა. ამ წელს იგი ცოლად გაყვა ავრონომ შელქისიდეე რატინს და თითქმის ერთდროულად დაიწყო დედობაც ამ მწერლობაც. მის პირველ მოთხრობაში პესნიტიტა ქალი თავს იკლავდა. როგორც ჩანს ეს ლიტერატურული ცდები სენტიმენტალურ-მელოდრამატიული განწყობილებით ხასიათდებოდა. „ცხოვრების მსხვერპლის“ შესახებ მ. გარიყული წერდა: „მ. გორკის ვავლენით დეწერეო“. ეს მოთხრობა „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა და ასე დაიწყო მ. გარიყულის სამწერლო მოღვაწეობა. ცხარახსებულობის ამერეულ დღეებში მარიამს ვარდაეეცელადედა. 1906 წლის აგვისტოში კი მისმა დამჯუღდაში თავი მოიკლა. იუჯახურ ღრამას თანდაერთო რევილუციის დამარცხების შემდეგ ვამეფებელი მშიმე განწყობილება. საოციალისტური იდეების მომზერე მწერლისათვის ამ პერიოდში სხვა არაფერი დაჩენილიყო თუ არა ბელეტრისტიული მუშაობა. თავისი პირველი მოთხრობების წერით აღწეედა თავს ამ წლებში მარიამ გარიყული მშიმე სელიერ კრიზისებს, არაერთხელ გაეჩხარკეთათ მისი ბნია, არაერთხელს ვადარჩენია მას კონსპირატიულად მომუშაეე თანატოლი ქალბერი ენადარამების ტყეეობისაყან. მემოქარებში იგი დიდი სიყვარულით აღწერს ამ უსახელო ვმირებს, რევილუციის ჯარისკაცების საქმეებს, ბელეტრისტის ნაცადი ხელით აუცილებლს მათ სახეებს, მთელ თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას რევილუციურ იდეალებთან აკავშირებს. მის მოთხრობებში იჭრება რევილუციის პირველი ქუბილის შორეული ვამოძახილი, საიდუმლო კრებების, პირველი შეჯახებების, არალეგალურად მოქმედი აღამიანების ცხოვრების რომანტიკა. ხმას იმაღლებს ფიზიკური თუ მორალური შეორაცხეყოფის, დამკირების მსხვერპლი ქართველი ქალი, ხალხისუნებისაყან ვანსხევეებთ მარიამ გარიყულის პროზაში მკაციოდ იჭრება ქალაქური ყოფა. ჩნდებიან წერილი ხელობები, დეგობ მემუბი, პროფესიონალური რევილუციონერები. მწერლის თვალთ იჭრება ვაქოინალ ქალაღღგარეული ფანჯრების მიღმა ჩანელებულ ხარდაფებში, უსიხარტელო ქობახებში, ვადაეეარებული თავთებოყოფაცხოვრებაში.

მ. გარიყულის მოთხრობების ცენტრში უმე-

ტესად ქალები ტრიალებენ, პირველ ხანებში ისინი მსხვერპლნი ხდებიან მძიმე საზოგადოებრივი უკლამართობისა, შემდეგ თანდათანობით წელში სწირვდებიან, თავიანთი შელახული უფლებებისათვის მებრძოლ ადამიანებად იქცევიან. შთ გვერდით ჩნდებიან ქველმოქმედი ინტელიგენტები, ახალთაობის იდეებით გამსჭვალული გაუტყუელი ვაჟაკობა. სულერად ამღლებული, შრავალნატანჯი გმირი ქალი მარიამ გარიყულის მოთხრობაში, გულაცრეველი ჭრისტიანულ იდეებზე, ხელში აუცილილი ჩვილი ბავშვით გადის ქებაში, ახალი ცხოვრების მეოცნებედ და მებრძოდ ადამიანად. ეს იყო ის სიხალე სულსკვეთებისა, პათოსისა, რომელიც ახასიათებდა მ. გარიყულის პროზას იმთავითვე. ამ მხრივ იგი აგრძელებდა ვგანტ ნინოთყულის ტრადიციებს ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში. მ. გარიყული უფრო პირდაპირი გზით, ინტელიგენტური მერყეობის, შინაგანი წინააღმდეგობის ვარემე მივიდა რევოლუციურ სინამდვილესთან და თავისი უპრეტენზიო, მართალი სიტყვა მოიტანა. მოთუშებულ თუ იმ წლების რთულ ლიტერატურულ ვითარებას ვითავალისწინებთ, საკმაო ვაჟაკობად უნდა მივიჩნიოთ სალონური ბრწყინვალეებიდან ჭეშქარიან სარდაფებში შესვლა და თავისი გმირების იქ რება. ეს ვაჟაკობა ბევრ თანამოქალაქმესთან ერთად რევოლუციამდელ საქართველოში მარიამ გარიყულმა, იმთავითვე აირჩია თავისი გზა და ამ გზისათვის არც უღალატნია.

60-იანი წლებიდან მოკიდებელი რუსეთში განუწყვეტლივ იზრდება მოთხოვნილება თარგმნილი ლიტერატურისადმი. უცხოეთის ლიტერატურის თარგმნას მოითხოვენ არა მარტო მეთხველი, არამედ თეატრის მაყურებელიც. თეატრის მოთხოვნილებანი ხელს უწყობენ ევროპული თეატრის ისეთი კლასიკოსების თარგმნას როგორც იყენენ შექსპირი, კალდერონი, ლოპე დე ვეგა (თარგმნილი იუბიევის მიერ), მოლიერი (ლიხანევის თარგმანები), ჩახინი (პოლიეანოვის თარგმანები), ლესინგი და სხვ. ხოლო 80-იან წლებში მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის სფეროში გაშლილი მეცნიერული მოღვაწეობა აღძრავს ინტერესს ძველი ევროპული ლიტერატურისადმი. განსაკუთრებულ როლს ამ მხრივ თამაშობს აკადემიკოსი ა. ვესელოვსკი და მისი სკოლა, თეოდონ ა. ვესელოვსკი მაღალი ლიტერატურული გემოვნების პატრონი იყო და თავის საკუთარ

თარგმანებში აერთებდა ამ გემოვნებას ტექსტის სწორ ფილოლოგიურ გვეგებებას. მის საბუთს წარმოადგენს მის მიერ შესანიშნავად თარგმნილი ბოკაოს „დეკამერონი“. ასეთივე თვისებებით ხასიათდებოდა ედრიაშვილის მიერ თარგმნილი „სიმღერა ნიბელუნგებზე“, ბელსკის მიერ თარგმნილი ფინური ეპოსი „კალევალა“, დე ლა ბარტის მიერ თარგმნილი ფრანგული ეპოსი „სიმღერა როლანზე“.

ამავე პერიოდში გვხვდება მაგალითები განსაკუთრებული დაძაბული და ხანგრძლივი შემოაბისა თარგმანებზე: ასე მაგალითად დ. ე. შინი ორმოც წელზე მეტ ხანს შემოაბდა დანტეს „ღვთებრივი კომედიის“ თარგმნისთვის, ნ. ხოლოდკოვსკი ოცდაათ წელზე მეტ ხანს თარგმნიდა ვოუთის „ფიუსის“. მიუხედავად ამისა, 2. ალექსეევი ამ თარგმანებში პოეტობს მრავალ ნაქს. მისი აზრით, ეს თარგმანები მხოლოდ დედნის აზრის სქემას გადმოგვცემენ და არა მის სტილისტურ გამოხატულებას. ეს ფიქსის ისეთ თარგმანებზეც კი, რომლებიც თავის დროზე სანიშნოდ ითვლებოდა, როგორც იყო შავ. პ. ი. ვეინბერგის მიერ თარგმნილი ჰაინე¹.

ასევე ახასიათებს ამ პერიოდის თარგმანებს ა. ვ. ფედოროვი:² პ. ი. ვეინბერგი მას ამ პერიოდის დამახასიათებელ ფიგურად შიარნა. ვეინბერგის ჰქონია უტყველი დამსახურებანი: უცხოეთის ლიტერატურის ნაწარმოებთა პოპულარიზაციას იგი თავისი დროის პროგრესული რუსული ლიტერატურის პოზიციებიდან ეწეოდა. ვარდა ამისა, მას წარმატებისათვის მიუღწევია ზოგიერთ თარგმანში: ჰაინეს რაოზაში, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, გადმოუცია დედნის ფერები, ცენტრასტები და ემოციური ძალა. მის მიერ თარგმნილ შექსპირის „ოტელის“ მხოლოდ უკანასკნელ ხანებში (მ. ლ. ლოზინსკის თარგმანის შემდეგ) დაუკარგავს ამ ნაწარმოების საუკეთესო თარგმანის სახელო. სამაგუროდ ლირიული ლექსების თარგმანებში (რომელსაც იგი დიდი ჩაოფნობით ასრულებდა) ჰქვებია მას მხატვრული აღლო: იგი ვერ ხედავდა დედნის მთავარ თავისებურებას, ივენებდა რუსული ენისა და ლექსის ყოველგვარ საშუალებას, რაც კი პირველადვე მოხვდებოდა ხელში, ყოველგვარ საშობს დედნის ფორმისაგან დამოუკიდებლად. ამიტომაც მის თარგმანებში დედნის ბევრი სახე სრულად შეცვლილია, ბევრი რამ გამარტივებულა და უხეშია.

ამ პერიოდში ყურადღებას იპყრობენ აგრეთვე შექსპირის ტრაგედიების მთარგმნელები

¹ М. Алексеев — История перевода в России. Лит. Энци. т. VIII, стр. 524.

² А. В. Федоров — Введение в теорию перевода, стр. 74—75.

ა. ლ. ხოლოდოვსკი და ა. ი. კრონბერგი, თარგმნების დიდი ორგანიზატორი და რედაქტორი, ცნობილი მთარგმნელი ნ. ვ. გერბელი, ზემოხსენებული დ. ვ. შინი, ვ. ს. ლიხანევი, ნ. ს. ხოლოდოვსკი, რომლის „ფაუსტის“ თარგმანს ვინც საერთო სიმშობის მიუხედავად, დღესაც არ დაუბრავს თავისი მნიშვნელობა, იმდენად ერთგულად დასრულდა არის იგი შესრულებული ტრაგედიის აზრებისა და სახეების გადმოცემის თვალსაზრისით.

რაც შეეხება პროზის თარგმანებს, ა. ვ. ფედოროვის დახასიათებით, მიუხედავად მათი მხარდა სიზრავლისა (ეს ითქმის განსაკუთრებით ფრანგული, ინგლისური და გერმანული პროზის თარგმანებზე), მათ აქლდად შემოქმედებითი ელემენტი და მათი დიდი ნაწილი ხელსწრაფდ იყო შესრულებული. ამ თარგმანებს ზშირად ასრულებდნენ შემთხვევითი ადამიანები, რომელთაც კარგად არ იცოდნენ ან დედნის ენა, ან რუსული, ან ორივე ერთდროულად. თარგმანი იცლებოდა გადმოთხრობით, ფესვბოდა დამატებით ან დედნის მრავალი ადგილი სრულიად არ შეორებოდა თარგმანში. ერთსა და იმავე თარგმანში თავსდებოდა როგორც სიხუსტის დარღვევა, ასევე გაღაბარბებულ სიტყვა-სიტყვითი სიხუსტე. თარგმანთა ლექსიკონი იყო ღარიბი, სინტაქსი მძიმე. რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისებიც, მაგრამ პროზის რუსულ თარგმანთა ხასიათი ამ პერიოდში ძირითადად მაინც ასეთი იყო. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა დიდი რუსი მწერლებიც გამოდიოდნენ მთარგმნელებად. ასე მაგალითად, ლოსტოვიცკიმ თარგმნა ბალზაკის „ქვენი გრანდ“, ტურგენემა ფლობერის ორი ნოველა „ლეგენდა იულიან მოწყალეზე“ და „იროდიადა“, ხოლო ლევ ტოლსტოიმ მოპასუნის მოთხრობა „ნავსადგური“. მაგრამ ტურგენევის გამოცლებით, ისინი თავის ამოცანას მტრად სტუდენტურად მისდგომიან. დოსტოვესკის თარგმანის მოქმედი პირები მტრულდებნენ ისე, როგორც მისი საკეთარი რომანის გმირები. ტოლსტოი არც კი ცდილა სიხუსტე დაეცვა: მოპასუნის მოთხრობას „Le port“ („ნავსადგური“) მან უწოდა „ფრანსუაზა“ და ქვეშ მოაწერა, „მოპასუნის მიხედვით“. ამ თარგმანებს არ მოუხდენია არსებითი გაკლენა პროზული თარგმანის საერთო კულტურაზე. გარდა ამისა ამ პერიოდში მტრად გავრცელებული ყოფილა რუსიფიკაციის პრინციპი, რაც იხატებოდა ცალკეულ დეტალებში, მაგალითად შემოქმედითი რუსული ყოფიარბობების ელემენტები და ხმარობდნენ სპეციფიკური რუსულ გამოთქმებს მოქმედ პირთა მტრულებაში (მაგ. „Нужда заставитъ естьъ калачи“; „В Туру со своимъ самоваромъ ехать“ და სხვ.).

არც თარგმანის თეორიის დარგში შექმნილა რაიმე მნიშვნელოვანი. ეს შეიძლება ითქვას

განსაკუთრებით XIX საუკუნის მიწურულზე, რომელიც ხასიათდებოდა დეკადენტური და სიმბოლისტური მიმართულებების გამოცემათი ლიტერატურაში და ფსიქოლოგიზმის შემოჭრით ენათმეცნიერებაში. თარგმანის თეორიაში ეს პერიოდი ხასიათდება პესნიმისტური თვალსაზრისით, რომლის წარმომადგენელია ცნობილი რუსი ლინგვისტი ა. ა. პოტებნია.

დეკადანსისა და სიმბოლისმის ეპოქაში ვაზრდობა ინტერესმა ფორმისადმი, რომელიც მოწყვეტილი იყო შინაარსს, თავისი დალი დაიწინა თარგმანებსაც, განსაკუთრებით პოეტურ თარგმანებს. რუსი დეკადენტები და სიმბოლისტები დიდი ზურადლებით ამეშაებდნენ თარგმანთა ფორმის საკეთარი ესთეტიკური პრინციპების მიხედვით და სათარგმნე ავტორებსაც ამ პრინციპების შესაბამისად არჩევდნენ. ისინი თარგმნიდნენ უმთავრესად ან მისტიკურ-რელიგიური მიმართულების მწერლებს ან რომანტიკოსებს, ყველაზე უფრო კი ფრანგული პარანსისა და სიმბოლისმის წარმომადგენლებს. ასეთი თარგმნები ბევრი იყო და მათთვის დამახასიათებლად შეიძლება ჩათვალოს კ. ბალმონტის მიერ შესრულებული თარგმანები. ამ თავისებური მანერის მქონე პოეტს მრავალი ავტორის თარგმანი შეესრულებია, მაგრამ ყველა ისინი თავის საკეთარი პოეტურ ნაშეაროში გატარებულია. ყველა თარგმანი, როგორც შემდეგ ამბობდნენ, ბალმონტიზირებულია. ცხადია, ასეთ თარგმანებში არ არის დაცული არა მარტო დედნის ფორმა, არამედ ზშირად მისი აზრებიც, და სტილიზაცია მიუყვანილი დედნის სრულ გადაკეთებამდე. ამ პრინციპში უფოად მტლავდებოდა სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი. მაგრამ უცხო ფორმისადმი იმავე ურჩადლებამ სიმბოლისტთა მეორე ნაწილი მიიყვანა ბრწყინვალე ოსტატურ თარგმანებამდე, რომლებშიც დედანი გაგებულია, როგორც ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. ამის მკავლითებს წარმოადგენენ ა. ბლოკის მიერ შესრულებული ჰაინეს თარგმანები, ვ. ბრიუსოვის მიერ თარგმნილი ვერტარნი, XIX საუკუნის ფრანგი პოეტები, ვერგილიუსი, გოეთე, ფ. სოლოგუბის მიერ თარგმნილი ვერტენი, უფრო ვიანე აემისკონი ნ. გუმილევს მიერ თარგმნილი გოტიე და სხვები. ამ პერიოდში აღსანიშნავია აგრეთვე მ. და ს. საბაშვიკოვების მიერ გამოცემული „მსოფლიო ლიტერატურის ძეგლები“-ს სერიამი შესული თარგმანები ვიანე. ივანოვისა (მეტრაქა), ინი. ანენსკისა (ვერპილი), ფ. ზედნისკისა (სოფოკლე) და სხვ.

ამავე პერიოდის თეორიული შეხედულებანი თარგმანის შესახებ დეკადანსის პრაქტიკის შეესაბამებინ. მაგალითად, აკადემიური სკოლის წარმომადგენელი ფილოლოგი-რომანისტი დ. კ. პეტროვი ასე მსჯელობს: მთარგმნელის

შრომა ძლიერ ძნელია. იგი მოითხოვს დიდ ცოდნას და საენის სიყვარულს. მაგრამ ხშირად ეს ყოველივე ამათა. ვანა არა სჯობს პოეზიის მოყვარულმა მოკიდოს ხელი უცხო ენის შესწავლას, დასძლიოს საყვარელი ნაწარმოებები დედანში, მთლიანად და საფუძვლიანად დაეუფლოს მას?

თვით ვ. ბრიუსოვიც, კი, რომელსაც ვეუთვნის მრავალი კარგი თარგმანი, წერიალი „იები ქოთანი“, აღნიშნავს დედნის სრულფასოვანი თარგმნის შეუძლებლობას და იმავე დროს მთარგმნელობითი მუშაობის მნიშვნელობას.

„პოეტის ქმნილების გადაცემა ერთი ენიდან მეორეზე — შეუძლებელია, მაგრამ შეუძლებელია ამ ოცნებაზე უარის თქმა“¹. თარგმანისადმი ასეთი ურწმუნობა არის გამოთქმული მის წინასიტყვაობაში XIX საუკუნის ფრანგი ლირიკოსების თარგმანთა წიგნისადმი.

დამახასიათებელია სიმბოლისტების შეხედულებათა ინდივიდუალისტური და ანტიდემოკრატიული შინაარსი, ფართო მეთხველის ინტერესთა უგულვებლყოფა: თუ მან არ იცის უცხო ენა, იგი განწირულია არ იცნობდეს სხვა ხალხების ლიტერატურის ძეგლებს. რუსული სიმბოლისმისა და მისი თანამედროვე ავადმითრი ფილოლოგიის კარნაქტილობა იხატება აგრეთვე „პოეზიის განმარტოებელი მოყვარულს“ სახეში, რომლისთვისაც ზრუნავდნენ ზემოაღნიშნულ შეხედულებათა მქონენი.

თარგმანის პრობლემისადმი მსგავსი დამოკიდებულების გვერდით როგორც ჩანს, არსებობდა ისეთი თვალსაზრისიც, რომელიც მეორე ცნობილ უკიდურესობას ასახავდა: თვალსაზრისი, რომელიც იცავს და თეორიულად ასახულებს სიტყვა-სიტყვით თარგმანს.

ამ თვალსაზრისის ერთი ტიპური და მკვეთრად გამოხატული ნიმუშია ლ. ვიდემანის ნაშრომი „როგორ ვთარგმნით ლექსებს“². ვიდემანი უპირისპირდება ბალმონტს თავის თეორიული მსჯელობითაც და პრაქტიკული საქმიანობითაც: პინეს ერთი ლექსის ბალმონტისეული თარგმანის გვერდით იგი ვეთავაზობს თავისი თარგმანის ორ ვარიანტს, მაგრამ ძნელია არ არის ბალმონტის თარგმანში მიუხედავად დამახასიათებელი ნაკლისა, დავინახოთ პოეტი მთარგმნელი, ხოლო ვიდემანის თარგმანში — ხელოსანი. ვიდემანი მოითხოვს არა მარტო დედნის შინაარსის გადაცემას ყოველგვარი გამოტყუებისა, ცვლილებისა და დამატებების გარეშე, არამედ დედნის ზომის სრულ განმეორებასაც. უკიდურეს შემთხვევაში მას რატომღაც შესაძლებლად მიაჩნია ლექსის ზომის შემოკლება და არამც

და არამც მისი გაზრდა, რადგან შემოკლება, მისი აზრით, გაზრდაზე უფრო ნაკლებ მანებს.

დიდი პოეტების მიერ შესრულებულ თარგმანებს (როგორცია მაგალითად, ლარსონტოვის მიერ თარგმნილი პინეს ლექსი „ფიქვი“), რომლებიც შემოქმედებითი თარგმანის ნიმუშებად ჩაითვლებოდა, ვიდემანი უწოდებს „გადაცეთუბას“ და მათ უპირისპირებს საკეთთარ მძარე (მისი აზრით, ზუსტი) თარგმანის ვარიანტებს.

ამგვარად, რველუციის წინაპერიოდის რუსეთის მთარგმნელობითი თეორიაც და პრაქტიკაც, დამყარებული თავისუფალი თარგმანის დეკადენტურ კონცეფციაზე ან სიტუაციისტყვითი თარგმანის პრინციპზე, არსებითად მიდიოდა ერთსა და იმავე დასკვნამდე: თარგმნა შეუძლებელია.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში თარგმნის საქმესაც შეეხო საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე დასახული ცვლილებანი. საესებო ბუნებრივია, რომ ეს ცვლილებანი რუსული რევოლუციურდემოკრატიული ლიტერატურის ტრადიციებს უნდა დამყარებოდა და დამყარა კიდევ. თარგმანის პრობლემამ რუსეთში მიიღო კვამარტად ხალხური ხასიათი, ვალევიდა ინტერესი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნული ლიტერატურისადმი და ამ ლიტერატურის სპეციფიკური ეროვნული თვისებების გადმოცემისადმი თარგმანის საშუალებით. პროგრესულ რუსულ ინტელიგენციაში ვიდემანს ლექსს ამ ინტერესს სულსაზრდად მოეღონა დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი. 1916—1917 წლებში მისი ინიციატივით გამოცემულმა „Парус“ გამოსცისომხური, ლათინური და ფინური ლიტერატურის თარგმანთა კრებულები. როგორც ცნობილია გორკის განზრახული ჰქონდა ქართული ლიტერატურის თარგმანთა კრებულის გამოცემა, მაგრამ ეს განზრახვა არ განხორციელდა. 1917 წელს გამოვიდა კ. ბალმონტის მიერ თარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ეს თარგმანი არ იყო ზუსტი, იგი შესრულებული იყო ინგლისური პროზაული თარგმანის მიხედვით და მასში არა მარტო არ იყო დაძული დედნის ფორმა და კლორიტი, არამედ, ბალმონტის სხვა თარგმანების მსგავსად მთლიანად შეთანხმებული იყო მთარგმნელის საკეთარ ამტრებულ პოეტურ სტილთან. მაგრამ მაინც ეს იყო პირველი ნამდვილად პოეტური თარგმანი გენიალური ქართველი პოეტისა.

ეფექტობთ, არ შეეცდებით, თუ ამ პერიოდის ზოგიერთ თარგმანში დედნის ეროვნული კლორიტის მკაცრ დაცემა პირადად გორკის გეულენს მივაწეროთ. როდესაც ცნობილმა რუსმა ლიტერატორმა კ. ი. ჩუკოვსკიმ თავის

¹ იქვე, გვ. 79.

² Л. Видеман — Как мы переводим стихотворения. Харьков, 1913.

წიგნში „მხატვრული თარგმანის პრინციპები“ მთარგმნელებს ურჩია თავიანთი ლექსიკონის გასამდიდრებლად ეკითხათ დაღი, - ლესკოვი, მელნიკოვ პეიორსკი, ვ. უსპენსკი, გორკოვ ამაში ერთგვარი საწინააღმდეგო დანახა და ამ ადგილას წიგნის მინდორზე მიაწერა:

«Совет опасный. Лексиконы Даля, Успенского, Лескова прекрасны, но представьте себе Виктора Гюго, переданного языком Лескова, Уайльда на языке Печорского, Анатоля Франса, изложенного по словарю Даля. Русификация иностранцев (в переводной литературе) и без того является серьезным несчастьем»¹.

თარგმანის ხელოვნების აღორძინებაში გორკიმ ჩააბა პოეტი ვ. ბრიუსოვიც, რომლის რედაქციითაც გამოვიდა სომხური პოეზიის თარგმანთა დიდი კრებული. საუბრაღლებოა, რომ მცირე ხალხების ეროვნული პოეზიის თარგმანში უმთავრესად მონაწილეობდნენ ის პოეტო-სიმბოლისტები, რომლებმაც თავისი სკოლის შემზღვეველი ჩარჩოები დასძლიეს და მათთვის ჩვეული ოსტატობა გამოიყენეს თარგმანებში ეროვნული ფორმების განსამეორებლად. მართალია, ეს თარგმანები ხშირად ატარებდნენ ამ პოეტების საკუთარი სიმბოლისტური მანერის ნიშნებს (როგორც, მაგალითად, ბალმონტის მიერ თარგმნილი რუსთაველი), და ისინი სრულდებოდნენ არა დედნიდან, არამედ სპეციალისტების მიერ შედგენილი პეკარელების საშუალებით, მაგრამ მიუხედავად ამ ნაკლისა, ეს სწორედ იმ საქმის დასაწყისი იყო, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოელოდა ნამდვილი გაფერჩქვნა².

მხატვრული თარგმანის პრობლემის ისტორიული მიმოხილვა ასეთი საერო დასაწყისის გამოტანის უფლებას გაძლევს მხატვრულ თარგმანს და მის შესახებ გამოთქმული მოსახრებანი უმთავრესად დაიყენება ორ ძირითად პრინციპამდე: თავისუფალი თარგმანი, რომელიც მხატვრულია, მაგრამ დედნის ერთგული არ არის, და სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, რომელიც დედნის ერთგულია, მაგრამ მხატვრული არ არის. ეს წინააღმდეგობრიობა ბუნებრივად აყენებს კონპრომიტული გადაწყვეტის ამოცანას. ერთი შეხედვით თეორიულად ეს ამოცანა იოლად წყდება: თარგმანი უნდა იყოს მხატვრულიც და დედნის ერთგულიც. მაგრამ როგორ უნდა იყოს მიღწეული ეს? ეს კითხვა იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ყველა ქვეყნისა და ყოველი დროის მსჯელობანი მხოლოდ საკითხთა ამ მოკიდრებულ წრეში ტრიალებს და მხატვრული თარგმანის პრობლემის ისტორიაც მხოლოდ აქამდე დაიყვანება. ეს საკითხი დგას დღესაც ჩვენს წინაშე. ზემოაღნიშნული პრამიტული თეორიული გადაწყვეტა ამ საკითხისა, რა თქმა უნდა, დღეს ვეღარაგვის დაკმაყოფილებს, საჭირო ზდება საკითხში უფრო ღრმად შექრა და მისი დიალექტიკური გადაწყვეტა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. მხატვრული თარგმანის ისტორიაც საკითხის ამგვარი დაყენებისა და გადაწყვეტის მომზადებას ემსახურება. რაც შეეხება მხატვრული თარგმანის თეორიას, მისთვის ზემოაღნიშნული ზოგადი ფორმლის მსგავსი დებულებები მხოლოდ მსჯელობის გამოსავალ პოზიციად უნდა მივიჩნიოთ. თვით მხატვრული თარგმანის თეორია მდგომარეობს პრაქტიკულად მოქმედი კონკრეტული პრინციპების დადგენასა და მეთოდოლოგიურ სისტემატიზაციაში.

¹ Русские писатели о языке, стр. 363.

² მხატვრული თარგმანის პრობლემის გადაწყვეტის ძირითადი ტენდენციები საბჭოთა პე-

რიოდისთვის განხილულია ჩვენს წიგნში „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები (რეალისტური თარგმანის პრობლემა)“, თბ. 1959 წ.



ქართული საზოგადოებრივი აზრი ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმის შესახებ

XIX ს. 40-50-იანი წლების მანძილზე საქართველოს საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, — კაპიტალისტური ურთიერთობის დანერგვისა და ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხთა შურთიგებელი ბრძოლით რომ აღინიშნა, — განსაზღვრეს ახალი მიმართულების განმტკიცება იდეოლოგიაში. ეს იყო დრომოქმედი ბატონყმობის ურთიერთობის მკვეთრი მხილება და მისი აუცილებელი მოსპობის მოთხოვნა. მაგრამ, მეორე მხრივ, თვით ბატონყმობის ინსტიტუტის დამცველებიც გამოვიდნენ ასაპრეზუ. ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ 1859 წ. ექვნი „ციხისარში“ აღ. ორბელიანმა დაბეჭდა წერილი ბატონყმობის შესახებ საქართველოში¹, რომელშიაც ბატონყმობის ურთიერთობა დასაბამიანად აღიარდა, როგორც მამაშვილური დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის. სწორედ აქ (ექვნიანის ფურცლებზე) მოხდა შეჯახება ორს მსოფლმხედველობას შორის: ძველს, ბატონყმობის დამცველსა და ახალს, მის უარყოფელს შორის. და აი, იმავე „ციხისარში“ ამის შემდეგ დაიბეჭდა დ. ჭონჭაძის „სურამის ციხე“, რომელიც მძლავრ პროტესტს წარმოადგენდა შენაძურებობრივი ბატონყმობის წყობილების წინააღმდეგ.

დ. ჭონჭაძის გამოხატული მოყვანა ქართველ „თერგდალეულთა“ გამოჩენა სამოღვაწეო ასაპრეზუ. რომელთაც საქართველოს სინამდვილეში ხორცი შეასხეს რანონიზირებულ ანუ ბერებთან მსგავსი დემოკრატიული მოძრაობას. საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას ჩვენ ვეკავშირებთ რუსეთის ასეთვე მოძრაობის ლენინურ პერიოდიზაციას იმ მიტოვით, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარება XIX ს. რევოლუციური საქართველოში მეტ-ნაკლები ზომით მიმდინარეობდა რუსეთის ანალოგიური განვითარების პარალელურად.

XIX ს. 60-იანი წლების ქართველი მოღვაწენი, იფუნენ რა რუსეთის გამოჩენილი რევო-

ლუციონერ დემოკრატების მსოფლმხედველობის „თავისებური“ გამოხატველი საქართველოს სინამდვილეში, მიჩნეულ უნდა იქნან განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპის წარმომადგენლებად.

ცნობილია, რომ თერგდალეულთა იდეოლოგია უმთავრესად ორი ძირითადი პრობლემის ირგვლივ იყო მიმართული: ეროვნულისა და სოციალურის.

კითხვა იხადება — კონკრეტულად მაინც როგორ უნდა გაეგოთ რუსეთის რევოლუციონერ დემოკრატთა გავლენა ამ ორი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტის საქმეში, რომლისათვისაც ბრძოლა დრომად გაიხადეს თერგდალეულებმა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეროვნული პრობლემას მიმართ თერგდალეულებზე მაინცადაშინაც დიდი გავლენის შესახებ საუბარი არ იქნებოდა სწორი, რადგან თუნდაც ს. დოდაშვილის მაგალითი (XIX ს. პირველი ნახევრის სხვა მოღვაწეებზე რომ არ ვილაპარაკოთ) საქმარისა იმისათვის, რომ აქ, საქართველოში, ვიპოოთ ამ პრობლემის დასმისა და მისი შემდგომი განვითარების ნიადაგი.

რუს რევოლუციონერ დემოკრატთა გავლენა, ცხადია, მეტად იკრძნობა სოციალურ პრობლემისაღმ და მსოფლმხედველებაში, რასაც ახირობებდა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების ის მეტ-ნაკლებად ანალოგიური მდგომარეობა, რომელიც რუსეთის პარალელურად ასაბამიანად მას დასახელებულ პერიოდში. ამდენად თერგდალეულთა პროგრამის სოციალურ საქითხში ფუნეო თვით საქართველოს ამ დროის სინამდვილეში ჰქონდა და ამოსავლადაც საქართველოს განვითარების დონე და ხასიათი უნდა მიეჩინოთ, მაგრამ ერთ განსაზღვრულ წყაროს ის იდეური გავლენაც შეადგენდა, რომელიც თერგდალეულთათაგან რუსეთის უმაღლესი სკოლის კულანსა და თვით რევოლუციონერ დემოკრატებთან უშუალო კავშირის ნიადაგზე განიცდა.

ცნობილია, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ანტონ ფერცელაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები თავიანთ შემოქმედებაში

¹ აღ. ორბელიანა. უწინდელ დროის ბატონყმობის საქართველოში, „ციხისარში“ 1859 წ. № 11.

ბატონყმობის წინააღმდეგ დიარხმუნ და ექონაგებობდნენ მძიმე უღელში შეხვეულ გლეხობას. როგორც რეფორმის წინ, ისე მისი მომზადებისა და გატარების პერიოდში და შემდეგაც ისინი გლეხობის მხარეზე გამოდიოდნენ.

საქროა აღინიშნოს, რომ მეკლერათა შორის დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი ამ მოღვაწეთა შესახებ, საერთოდ, და თითოეული მათგანისა, ექსპოდ. ცხადია, არც ამ სტრიქონების ავტორს აქვს პრეტენზია ეს საკითხი გადაჭრას საბოლოოდ.

როგორი იყო ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ბატონყმობის საკითხისადმი?

„ჯერ კიდევ 1858 წ. ილიამ დაწერა ლექსი „გუთნის დედა“, რომელშიაც ასახულია ემანუელის ყოვლად უნეტაემო მდგომარეობა. მართალია ილიას გუთნის დედა „მშვიდობიანი“ გლეხია, თითქოს შერაცხებული თავის ბეჩავ ცხოვრებასთან, მაგრამ, — როგორც სამართლიანად აღნიშნავს პ. რატაანი, — ის სულ მალე იწყება მემამოხედ, რომელიც იძულებულია იარაღით გაესწორდეს თავის მხავრულ ბატონს და ძალით მოიპოვოს თავისუფლება“.¹

შემდეგ საგელისსმო ნაწარმოებს წარმოადგენს პოემა „აზრდელი“, რომელიც 1860 წ. არის დაწერილი და სადაც „მთელი სიღრმითა და დაყენებულა ბატონყმობის ურთიერთობის მოსაზრების აუცილებლობის საკითხი“ (იჭვე). ეს უკანასკნელი იღუა თავის შემდგომ განვითარებას პოეტობს ილიას სახელმწიფევილ პოემა „აკაო ყაჩაღში“, სადაც მოცემულია უკვე მითითებული მოკლენა, თითქოს და „მშვიდობიანი“ გუთნის დედის მიერ ხელში იარაღის აღება, ბატონის მოკლა და ტყვეში გასვლა თავისუფლების მოსაპოვებლად. „აკაო ყაჩაღი“ 1860 წ. არის დაწერილი.

ასეთივე აზრია გატარებული ილიას პროზულ შემოქმედებაშიც. „გლახის ნამამობის“ გმირი ვაბრო გველინება იმ ბატონის მეკლერად, რომელიც (მასთან შერხილს) თითქოს უმოსოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა ქალაქში (თბილისში). ამ ნაწარმოებში მოცემულია წოდებათა შერაცხების შექმნებლობის აზრი.

ამიტომია, რომ როგორც ილია, ისე მისი „საქართველოს მოამბე“ ცხოვლად ეხმარებოდა საყუთრივ გლეხობის გათავისუფლებას საქმეს მძიმე ბატონყმობის არტახებისაგან.

როგორია წარმოდგენილი ილიას მსოფლმხედველობა გლეხობის საკითხში ქართულ საპუორ საისტორიო მეცნიერებაში?

პროფ. შ. ჩხეტია ამ საკითხის შესახებ შემ-

დეგს წერს: „ჩვენი ქვეყნის მომავლით ურთოდ დაინტერესებული ი. ჭავჭავაძე საქართველოს ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნისა და ამ ცხოვრების ახალ საფეხეულზე მოწყობისთვის ენერგიული მეზამოლი იყო. ის გადაჭრით ილაშქრებდა დრომოკმელი საზოგადოებრივი წყობილებისა და ბატონყმობის ურთიერთობის წინააღმდეგ: საგლეხო რეფორმის დროს მან თავისი კეთილშობილური ხმა გლეხობის დასაცავად აღმადლა და გლეხობის მიწით განთავისუფლება მოითხოვა, რის გამოც მას თავადაზნაურები მოკლასაც კი უბრებდნენ (ქრ. მამაცაშვილი, ეპიზოდები ი. ჭავჭავაძის ცხოვრებიდან)“.¹

ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხს საგლეხო რეფორმისადმი ეხება, აგრეთვე, პროფ. პ. გუგუშვილი, რომელიც შედარებით ვრცლად იხილავს ილიას შეხედულებას 1864 წ. გამოცემულ ღებულებისადმი, რომლითაც მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხთა „გათავისუფლება“ ბატონყმობის უღლისაგან. მითითებული დებულების კრიტიკა ილია ჭავჭავაძის მოცემული აქვს თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებში „ცხოვრება და კანონი“, რომელიც 1887 წ. დაიბედა. ამდენად პროფ. პ. გუგუშვილიც ამ ნაწარმოებს ეხება თავის მსჯელობის დროს.² ავტორმა, ჩვენი აზრით, ვიზენა, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი ნაშრომით შედარებით გამოაღიანა 1864 წ. დებულების მეზატონური ხასიათი და მასთან ის უკეთინება მეფის მთავრობას გლეხობის უფლებების უგულვებლყოფის გამო.

ამ სახელოვანმა განმანათლებელმა დიდი სიყვარულით უღერა ქართული ხალხის გათავისუფლებას როგორც ნაციონალური, ისე სოციალური უღლისაგან. ნაციონალური უღელი ხომ განსხვავებდა ქართველი ხალხის ბედს რუსი ხალხის ბედისაგან, რომელიც ამ მხრივ მინც უუეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ირივე ხალხისათვის საერთო — სოციალური უღელი იყო ის უმთავრესი ბერეტი, რომელზედაც ემყარებოდა ნათი ბრძოლის ერთიანობა, რაც განსაკუთრებით სწორედ თერგდალუელთა გამოსვლას დაემთხვა და რამდენადმე კლდეაც უსწრებდა მას.

ამიტომ ჩვენ ვთვქრობთ, რომ ნაციონალურ-განმანათლისვლულებელი მოძრაობის ბელადმა, დიდმა მდიანელმა ილია ჭავჭავაძემ მახვილს წვერი ქართველი ხალხის ნაციონალური თავის-

¹ პროფ. შ. ჩხეტია. საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, 1950 წ. გე. 38 (სქოლიოში).

² П. Гугушвили. Сельское хозяйство и аграрные отношения, том второй — Отмена крепостного права, 1950 г.

¹ პ. რატაანი. ილია ჭავჭავაძე — ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1954 წ. გე. 141.

9. „მნათობი“ № 3.

უფლებების იდეის გახორციელებისადგენ მიმართა, თუმცა, იმავე დროს ეს მხებილი ამ ხალხის საუკეთესო ნაწილის — გლეხობის მტრებისადგენი გამგებრავადაც მოამბარჯდა.

ილია შავჭავჭავაძის თანამებრძოლ თერგდალეულთაგან პირველ რიგში ჩვენ დაეახსათათებთ აკაკი წერეთლის მოღვაწეობას, ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმის საკითხებთან დაკავებრებით.

აკაკი წერეთელი XIX საუკუნის ნაციონალურ-განმთავისუფლებელი მობრახობის უღიღესი წარმომადგენელია. მისი მსოფლმებრძელობა 60-იან წლებში ჩამოყალიბდა, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.

ეროვნულ საკითხში, როგორც აღინიშნა, აკაკი გვევლინება ნაციონალურ-განმთავისუფლებელი მობრახობის ერთ-ერთ მესაქვედ. ხოლო ჩვენთვის საინტერესო საკითხის — გლეხობისა და საგლეხო რეფორმისადგენი დამოკიდებულებაში ის დემოკრატიულ პოზიციებზე დგას, ამისათვის გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა აკაკის აღზრდას გლეხის ოჯახში.

საქართველოს XIX ს. მე-60 წლების მოღვაწეობ, ჩვენი აზრით, საერთოდ ხელმძღვანელი რიგის შესახებ მორჩინებე ქართული კულტურის განვითარების საქმეში. ამ მხრივ ისინი ჩვენს სინამდვილეში ისეთივე საქმეს აკეთებდნენ, როგორც რევოლუციონერ დემოკრატები რუსეთში. ძველ რეაქციულ „მამების“ და ახალ-მოჩინებე („შვილების“) კულტურათა შორის ბრძოლა გვიჩვენებს, რომ ახალი წარმომადგენელი დემოკრატები კულტურას, რომელიც გამოხატავდა მსახების მისწრაფებას.

აკაკი წერეთელი ერთი დიდი წარმომადგენელთაგანია ამ ახალი კულტურისა, რომელიც, გვიხატავს რა ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილის — გლეხობის აუტანელ მდგომარეობას, მისადგენი თანავრძინობითა გამსქვედლდა.

საგლეხო რეფორმის მანიფესტს რუსეთში (1861 წ. 19 II). აკაკი წერეთელი გამოეხმურა ლექსით „უშუტრა“ (1861 წ. 15 აპრილი), რომელშიაც მთელი სიღრმით გამოხატა უმაგლებთა აუტანელი მდგომარეობა. დიდმა პოეტმა ასე გადმოგვცა გლეხის ჩივილი:

„...უველა თაეში გვიხამქვენებს,
გარეშე და შინაურ...
ჩვენი ჯადითი ჭონაყვანი
სხვასთან მიღის საზრდო პერტი
შინ ცოლშვილს შიმშილი გვყვალეს,
მეგრამ ვინ მოუგდოს უტრი?“

აღინიშნელი ლექსი ორი წლის შემდეგ დაიბეჭდა „ცისკარში“,¹ როდესაც ჯერ კიდევ

ბატონყმობა არსებობდა საქართველოში, ასეთივე მოტივებია აგებული აკაკის მეორე ლექსი „გლეხის აღსარება“, რომელიც აგრეთვე 1863 წ. დაიბეჭდა „ცისკარში“. ამ ლექსში „გლეხი“ ასე მიმართავს ბატონს. „თავდახრბილი მიტომ ვარ, რომ კისერზე მახიხარ“, და დალონებელი იმის გამო ვარ „...რომ სულ შენ მგონდები, პირუტყვივით მიმონებ, მგლომ და არ გეყოლები... შენ მღვდელივით სექვლები, მე ოფლად ვარ დამდნარი, მეგრამ შენ რას დაეძებ? შენი ფიქრი ეს არი: „ნეტავ ვინ გაასწორა ერთადი მთა და ბარი?“

ამრიგად აკაკი წერეთელი ბატონყმობის უღელში შემხული ქართველი გლეხობის ინტერესების მედგარი დამცველი იყო. გლეხთა შრომა პოეტის შემოქმედებაში აღიარებულია „სახოგადობრივი კეთილდღეობის საფუძველად“¹.

1864 წ. თურნ. „ცისკარის“ მისის ნომერში დაიბეჭდა აკაკის ლექსი „იმერული ნანინა“, რომელსაც ქვესათაურად წამძღვარებელი ჰქონდა: აქედმდენი საბატონო ყმების ახალ-მოხილ შეილეს“. პოეტი მიმართავს ამ ახალ-მოხილს — გვიხრდები გენაცვალე, თავიუღვალე, ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტებს ვალიო“.

ასეთი რწმენით უშურა აკაკიმ გლეხობის ახალგაზრდა თაობის ცოტა ადრე რეფორმამდე. მეგრამ პოეტის მილოდინი არ გამართლდა და გლეხობას ბატონი კვდა „აწუხებდა“... ამაში თვით აკაკი დარწმუნდა და თავის „ჩემი თავიდასავალი“ შემდეგს წერდა: „რუსეთი რომ მივატოვე და ცოლშვილით დაებრუნდა სამშობლოში, მაშინ ძალიან არეული და გომოურკვეველი დრო იყო, ბატონყმობა უნდა გადაეარდნილიყო, ახალი რეფორმები შეიღდიოდა და, რისაც ჩვენ ისე შეეხაროდით, ისიც თავისთვის კვლ იტოვებდა. სახელით ყველა ფერი კარგი იყო, მაგრამ სახარაეად კი არ ვარ გოდა“ (ხაზი ჩვენია ჰ. ფ.).

როგორც ეხედავთ, აკაკი წერეთელი საგლეხო რეფორმის სწორი შეფასება მოგვცა და მართლაც რეფორმა სინამდვილეში გლეხთა მიტყვენებს წარმოადგენდა და მისი მდგომარეობის შემდგომ გაუარესებას განასახიერებდა, თუ მღვდელიობაში არ მივიღებთ გლეხობის არა სრული მოქალაქეობრივი უფლებებთ აღკურებას.

ასეთი იყო ძირითადად ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ბატონყმობისა და საგლეხო რეფორმისადგენი.

შევეხთ გამოჩენილი ქართველი პუბლიცის-

¹ А. Барамидзе, Ш. Радиянц, В. Жгенц. История грузинской литературы, 1952 г, стр. 159.

¹ „ცისკარი“, 1863 წ. № 7, გვ. 349.

ტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის საქმიანობას.

თერგდალეულთა შორის ნიკო ნიკოლაძე იფიქრებდა დიდად ღვეწმითილ მოღვაწეულ ენობილია, რომ თავისი ხალხისათვის მებრძოლ-ეის ქართული საზოგადოებები მერ-ნაყლები ზომით განვიციდნენ რუსეთის რევოლუციონერ დემოკრატების გავლენას, მაგრამ „მთა შორის ვეელაზე უფრო გამოირჩევა როგორც პირადი, ისე იდეური დამოკიდებულების მიხედვით, მ. ნ. ნიკოლაძის ურთიერთობა დიდ რუს გან-მანათლებლებთან“.¹

ნიკო ნიკოლაძემ პირ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, სხვა ამხანაგებთან ერთად (გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.), იყვანა თვითმპყრობელობის რეჟიმის სესხი, რადგან 1861 წ. სექტემბერში სტუდენტთა დემოსტრაციამო მონაწილეობის გამო განიცადა სასტიკი რეპრესია; დამატებრებული სტუდენტები (მ. ნიკოლაძესთან ერთად) პირ პეტრე-პავლეს ციხეში მოათავეს, ხოლო შემდეგ კრონშტადტის ყაზარმეში გადაიყვანეს.

უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა, სადაც ბრძოლას ეწეოდა ფეოდალური იდეოლოგიის წინააღმდეგ, პროგრესული ლიტერატურის შექმნისათვის. მაგრამ ერთი წლის შემდეგ პეტერ-ბურგში დაბრუნებული, ის თანამშრომლობს გაზ. „Народное богатство“-ში. ამ გაზეთში მან პირველად „სკანდელის“ ფსევდონიმით დაიწყო წერა და გამოაქვეყნა ფრიალ საუფრადლებო წერილები: აგარული რეფორმის შესახებ² და სხვა.

ნიკო ნიკოლაძემ ა. გერცენის დავალებით „კოლოკოლი“ სინტერესო წერილები მოათავსა, კერძოდ „გლებთა განათვისუფლება საქართველოში“ („კოლოკოლი“ 1865 წ. №16 198, 199). აგრეთვე ხელს აწერს რიონელის ფსევდონიმით.

მ. ნიკოლაძის დიდი დამახებრება, რომ მან საესებით სმართლიანად მიუთითა საგლეხო რეფორმის შემატონერ ხასიათზე, რომ „მედეგ ხალხი მოატყუა“, გლეხოზა კიდევ შეტად მძიმე ეკონომიერ მდგომარეობაში მიე-ქვა და სხვ.

მ. ნიკოლაძე სასტიკად ილაშქრებდა თავად-ზნაურობის წინააღმდეგ. მისი აზრით „ახალი თაობის ამოცანას შეადგენდა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების განმორციელება, რომლის დროსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში

მოსაბილი იქნებოდა ყოველგვარი პირიულე-გური კლასები, მშასადამე, მუხმბრედე მწე-ზოდა თავადზნაურობაც.“³ ილაშქრებდა რა თავადზნაურობის წინააღ-მდეგ, ის „გადაკრით მოითხოვდა მიწის გადა-ცემას მშრომელი ხალხისათვის“ (იქვე).

შემდინაწმელის საფუძველზე უნდა დავს-ყნათ, რომ მ. ნიკოლაძის შემოქმედებას უდა-ვოდ დიდი როლი ჰქონდა ქართველი გლეხო-ბისათვის.

ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობასთან ერთად საქირია განხილავ იქნას მისი თანამებრძო-ლის გიორგი წერეთლის შეტად ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობა. ამხანაგებთან ერთად გიორგი წერეთელსაც დაელო თეო-მპყრობელობის მსჯავრი; 1861 წ. სტუდენტთა დემოსტრაციამო მონაწილეობის გამო ის მო-თავსებულ იქნა პეტრეპავლეს ციხესა და შემ-დეგ — კრონშტადტის ყაზარმეში. ცხადია, ამა-საც თავისი მწიშენლობა ენიჭება.

ნიკო ნიკოლაძის მსგავსად, გიორგი წერე-თელიც უფრო რადიკალურ პოზიციანზე იდგა, ვიდრე თერგდალეულთა პირველი თაობა. პროფ. ს. ხუნდაძის აზრით „წერეთელი მონაწილე-ბის მოღვაწეთა მიმდევრად და განსაკუთრე-ბით ჩერნომეცკის ერთ საინტერესო მოწოდებ უნდა ჩიოთელოს იმდენად, რამდენადაც მან შეითვისა ამ ეპოქის რადიკალურ-დემოკრატ-ული აზროვნება და მას ემსახურებოდა თავის ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის პე-რიოდში“.⁴

ბატონყმობის შესახებ გიორგი წერეთელი შემდეგი შეხედულებისა იყო: „იგი (ბატონ-ყმობა — გ. ფ.), გ. წერეთლის აზრით, ბრძო-ლის გზით უნდა მოისპოს“.⁵ მაგრამ ამასთან ის შერყობასაც იჩენს, რადგან იქვე ბატონ-ყმობის „გადაკეთებაზე“ ლაპარაკობს. სახელ-დობრ ის შემდეგს წერდა: „რამოდენიმე საუ-კუნის წინ დაარსებულ საზოგადო წყობილე-ბა... ველარ აქმყოფილეს ამ ცხოვრების მოთხოვნილებას. ამჟარა, რომ საზოგადო ფორმამ განელო თავისი საეყენე, დაქველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებებისამებრ“.⁶ ამრთად მწე-რალი, როგორც უხედავთ, „გადაკეთებას“

¹ გ. ზაქარიძე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1955 წ., გვ. 89.

² ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, თბილისი, 1949 წ., გვ. 15.

³ მიხეილ გაფრინდაშვილი, გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა, 1955 წ., გვ. 34.

⁴ გ. წერეთელი, თხულებათა სრული კრე-ბული, ტ. 1, გვ. 31.

¹ გ. ზაქარიძე, ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, 1955 წ., გვ. 70.

² იქვე, გვ. 81.

³ მ. ნიკოლაძე, ტ. 1, ს. ხუნდაძის რედაქცი-ით, 1931 წ., გვ. 177.

მოითხოვს ეპოქით ნაყარნახევი მოთხოვნილ-
ბის საფუძველზე.

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ (1864 წ.)
გ. წერეთელი მეაქრ ბიოკრატს უცხადებდა
თვითმშობრბელერ-ბიეროკრატულ სახელმწი-
ფოს და უერ მის რვეოლუციურ მოსაზრბისა-
კენ მოუწოდებდა, ხოლო შემდეგ, რადგან სხვა
საშეაილბას ვერ ზედადედა, ხალბის აღზრდიოთა
და ვანთლების გავრცელებით კმაყოფილდე-
ბო ვანა¹.

ამ იდეებით ზელმძღვანელობდა მის მიერ
1866 წ. დაარსებული ვაზ. „ღროება“ ისე,
როგორც შემდეგში დაარსებული ორგანოებში-
„სასოფლო ვაზეთი“, და კერნ. „კრბული“.

„ღროება“ უნდა გამოსვლიყო (ნებადართულ
ბროგრაფბის მიხედვით) 1866 წ. 1 იანვრიდან
ერთხელ კვირაში, ხელშემათობით, ერთიდან
ორნახევრდ თაბახამდე².

დასახელებული ბექტერი ორგანოები მოწმ-
ნავე იდეებს ნერგავდნენ ქართულ საზოგადო-
ებაში.

გიორგი წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტი-
კური მსოფლმხედველობის, ისე, როგორც
საერთოდ ქართველ თერგვალეულთა მსოფლ-
მხედველობის დაბასითების დროს, ამბახვალს
ჩვენთვის გ. ი. ლენინის დებულება წარ-
მოადგენს: „როდესაც 40-იანი და 60-იანი
წლების ჩვენებერი განმანათლებელი სწერდ-
ნენ ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბა-
ტონეზობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ
ბრბოლით ვანისაზღერებოდა“³.

ბატონეზობის წინააღმდეგ გ. წერეთელი,
ილია ჰავუჯაძესთან შედარებით, გვან ვაო-
ვიდა (18 2 წელს), როდესაც თავის შამისადმი
(ექთიმე წერეთლისადმი) მიმართულ წერილში
ის ბრველად იწვეებს ბატონეზობის ურთოერ-
ობის გზობისა. ამის შემდეგ კი „მეორე წერა-
ლში „ციკსარს“ რა აკაკებდა!“ — გ. წერე-
თელი უკვე ოსტატერად აკრიტიკებს ბატონ-
ეზობის იდეერ-პოლიტიკური ფორმებს“⁴.

საჭირთა გეახსოვდეს, რომ გ. წერეთლის
მბატერულ და ბებლიკისტერ შემოქმედებაში
უშთერესად ბატონეზობის გუქმების, ანუ
საგლეხო რვეორბის შემდეგში ბზნა ასბული,
ამდენად მს თავისი აზრის გამოთქმა მოუხდა
ბლად ჩაახბულ საზოგადოებრივ ურთოერთო-

ბისა და ბატონეზობის ნაშთებთან წარბრებული
ბრბოლის ხანაში. გ. წერეთელი ბლის დაცვის
იდეით ანთოთების მსჯელობას თავის შემოქ-
მედებაში, რაც თავისთავად წრითხოვდა ფრ-
დალიზმის სოციალერ-ეკონომიური საფუძველ-
ბის კრიტიკას.

ცნობილია, რომ იმ დროს „გავრცელებული“
იყო აზრი, თთქოს საქართველოში ბატონეზობა
„მამაშვილობა იყო“; გ. წერეთელი შეებრბოლა
ასეთ დაბახსებულ შებედებებს და პირბით—
საქართველოს ძლიერების დაცემის ერთ ძი-
რითად წყაროს ბატონეზობაში ხედვად.

ბატონეზობის გუქმების საკითხისა, ანუ
საგლეხო რვეორბისადმი დამოკიდებულებაში
გ. წერეთელი გლეზობის ინტერესებიდნ აწირ-
მებს ამ მნიშვნელოვანი სოციალური მოვლე-
ნის ანალიზს. ის შედარებით „მეტრის“ მოთხო-
ნის პრინციპით ხელმძღვანელობდა — გლეზო-
ბის სასარგებლოდ და ამ მხრივ მხარს უშვე-
ნებდა ნიყო ნიკოლაძეს.

გლეზობაზე ზრუნვა გ. წერეთელმა იმითაც
გამოხატა, რომ 1868 წ. ქართველი გლეზობისა-
თვის საგანგებო ორგანო, „სასოფლო ვაზეთი“
დაარსა. ის იდევე უფრო შორს მიდიოდა, რო-
დესაც გლეზებს ურჩვედა: „თქვენს ბატონებს
ნუ ემსახურებთ, თქვენ და თქვენი ბატონები
სულ ერთი ხართ!“⁵

საგლეხო რვეორბის შეფასებაში გ. წერეთე-
ლი სწორ დებულებას ავითარებდა, — რომ
გლეზებში მხოლოდ „პირად უფლება“ მიიღეს,
ხოლო ეკონომიურად უარეს მდგომარეობაში
ჩაეარდნენ: „ხალბი... ერთი-ორად დაბეგრდა და
ამბს ვარდა მიწის საკურბებაც დაეკარგა“⁶

ზემოთქმულის შედეგად, შესაძლებელია და-
ვასკენთა, რომ გ. წერეთელმა მნიშვნელოვანი
ევალი გავალო მეზობლური რვეორბის შედე-
ვად მძიმე მდგომარეობაში ჩაეარდნილ გლეზთა
გათავისუფლებისათვის წარმოებული ბრბოლის
საქმეს.

იმ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთაგან,
რომელნი XIX ს. 60-იან წლებში გამოვიდნენ
საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე და
გარკევილი წელიწადი შეირანეს გლეზობის ინ-
ტერესების დაცვის საქმეში, ჩვენ კიდევ
ერთზე, სახელდობრ ანტონ ფურცელაძეზე
შეიწერებოთ.

ხალბის მსახურთა ამ ბლეადს უდავოდ ისიც
უნდა მიეკთვნოს, რათგან „ილია ჰავუჯაძეს
მოწინავე თობასთან ერთად ანტონ ფურცელა-
ძემ ქართოლი ლიტერატურაში შემოიტანა მგზნე-
ბარე, მეებრბოლი დემოკრატული იდეები და

¹ მხივილ გავრინდაშვილი. გიორგი წერეთ-
ლის მსოფლმხედველობა, 1955 წ. გვ. 35.

² ა. იოვიძე. გიორგი წერეთელი — მასაღე-
ბი, საისტორიო მოამბე, ტ. VI, გვ. 149.

³ გ. ი. ლენინი. ოხსებუბანი, 1948 წ. ტ. 2,
გვ. 628.

⁴ მხივილ გავრინდაშვილი. გიორგი წერეთ-
ლის მსოფლმხედველობა, 1955 წ., გვ. 100.

⁵ გ. წერეთელი. რჩეული ნაწერები, ტ. 1,
გვ. 47.

⁶ „ღროება“, № 10, 1879 წ.

ამით მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.¹

ენობილია, რომ ძველი და ახალი თაობის ბრძოლაში ანტონ ფურცელაძე რადიკალურ-დემოკრატიულ პოზიციასზე იდგა. „რადიკალურ-დემოკრატიული განწყობილებით გამოვიდა ანტონ ფურცელაძე სალიტერატურო ასპარეზზე და მთელი სიცოცხლის მანძილზე დარჩა XIX ს. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პროგრესულ პოზიციებზე“.²

აღსანიშნავია, რომ დ. ჰონჭავჭავაძის „სურამის ციხეს“ პირველად სწორედ ის გამოეხმაურა და „ციხისკრის“ ფურცლებზე ამცნო ქართველ ხალხს ამ ნაწარმოების მნიშვნელობა.

იმთავითვე აღებული გზა ხალხის მსახურისა ანტონ ფურცელაძემ კიდევ მეტი სიძლიერით განაგრძო მომდევნო პერიოდში და გლეხთა ე. წ. გათავისუფლების შემდეგაც ყოველთვის ამ კლასის მშრომელი ფენების დამცველად გვევლინება.

საგლეხო რეფორმამ, როგორც ვიცით, გლეხობა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააყენა, ის კვლავ მემშაჟლის კაბალაში მოაქცია, რომელსაც შემდეგ ჩარჩი ვაჭარი ცვლის. ეს მძიმე მდგომარეობა მოცემულია მოთხრობაში „მართა“. ამავე ასპექტში წარმოდგინება ამ დემოკრატი მწერლის მიერ შენიშნული და მოთხრობა „ქიტესაში“ ასახული ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებათა — გლეხობის დიფერენციალთა... ავტორისათანადო დამატებებლობით გვიხატავს კაპიტალიზმის შეჭრას სოფლად და გლეხობის გალატაკებას.

ანტონ ფურცელაძე ახასიათებს გლეხთა იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც შედეგად მოუვა საგლეხო რეფორმის დებულებით დაკანონებულ მიწის ნაფუძვლების გამოსყიდვას. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1873 წ. ა. ფურცელაძე აღნიშნავდა, რომ გლეხობის ძირითად მასებს ნაფუძვლების შესასყიდად მხოლოდ ერთადერთი გზა გააჩნიათ: მათ მოუხდებოდათ ვალად აღება გამოსასყიდელი თანხისა, „რომ-

ლისაც გადახდას ძვირად თუ შესძლებს ვინმე, და ამითი ნადელი უნდა დაჰრჩეს მწვედლებსო“¹. მოტიანილი ამონაწერი ანტონ ფურცელაძის წერილიდან (გუთნის დედა, 1873 წ. № 14) იმაზე მიუთითებს, რომ მის ავტორს კარგად ესმოდა ის უნდვემო მდგომარეობა, რომელშიაც ქართველი გლეხობა ჩააყენა გამოსყიდვითი ოპერაციის შემატონერმა განაწესმა.

გლეხობაში მუდმივ თანაგრძობობით განწყობილი ანტონ ფურცელაძე გვიხატავს ამ კლასის მდგომარეობას არა მხოლოდ რეფორმის შემდეგ, არამედ თვით ბატონყმობის დროსაც. ამის საუკეთესო ნიმუშია რომანი „მატი ზეიტია“, რომელშიც, გლეხობის მძიმე მდგომარეობის დახატვასთან ერთად, ავტორი გვიჩვენებს „იმასაც, რომ ხალხი (გლეხობა — გ. ფ.) ქველ არ იხრიდა შიგვერდობის წინაშე და შეეწადა მათ აქტიურ წინააღმდეგობას“².

რაც შეეხება ანტონ ფურცელაძის საზოგადოებრივ კონცეფციას, ამაზე სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვაობას აქვს ადგილი. ზოგი მკვლევარი მას ხალხისნად თვლის, ზოგი ზოგი — რამდენიმე მიმდინარეობის გამართობადად. არსებულ შეხედულებათა შეჯერებისა და თვით მწერლის შემოქმედების ძირითადი მიმართულების გათვალისწინების შედეგად, ანტონ ფურცელაძე XIX ს. ერთ თელსაინო მოღვაწედ გვევლინება, რომელიც უმთავრესად ხალხისწერი მსოფლმხედველობის მატარებელია. ამასთან უდგოა, რომ მასზე სათანადო გავლენა მოახდინეს (როგორც საერთოდ შესამოციანელებზე) დიდმა რუსმა რევოლუციონერ დემოკრატებმა, ზერანიშვიცის ჩათვლით.

ასეთთა ძირითად ხაზებში საქართველოში საზოგადოებრივი აზრის განვითარება XIX ს. 60 — 70-იან წლებში. საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი გლეხობის გათვითცნობიერებისა და მისი განმთავისუფლებელი ბრძოლის საქმისათვის როგორც ბატონყმობის დროს, ისე მისი ოფიციალურად ვუქმების შემდეგ.

¹ სერგი ჰილია. ანტონ ფურცელაძე — რჩეული ნაწერები, 1951 წ. გვ. 539.

² Мих. Зандукели. Очерки по истории грузинской литературы XIX века; 1955 г.; стр. 186.

¹ პაატა გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX — XX სს., ტომი მეორე, 1956 წ. გვ. 846.

² А. Барамидзе, Ш. Радвани, В. жгенти. История грузинской литературы. 1952 г., стр. 159.



ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან

ქართველი ახალგაზრდობის მონაწილეობა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში XIX საუკუნის 60-იან წლებში

(ახალი საარქივო მასალების მიხედვით)

გასული წლის ზაფხულზე, მოსკოვისა და ლენინგრადის საისტორიო არქივებში შემოიხივეს, ამ სტრუქტურების ავტორს საშუალება მიეცა გამოეცნობინებოდა უაღრესად საინტერესო მასალა, რომელიც ახალ შექმნილ პერიოდის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის, — ე. წ. თერგდალეულების რევოლუციურ მოღვაწეობას XIX საუკუნის 60-იან წლებში.

ეს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში გაიშალა, ჯერ კიდევ არ არის სათანადო შეცნობიერებული სიღრმით შესწავლილი. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ისტორიის მეცნიერთა შორის თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასებაში დღემდე აზრთა დიდი სხვადასხვაობაა, ზოგიერთი მეცნიერის სახელით უაპოკრიფს თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის თვით ფაქტსაც კი და გამოიჩინა ქართველ სამოციანელებს მიიხსენეს არა რევოლუციური დემოკრატებად, არამედ ლიბერალებად. სწორედ ამიტომ, ჩვენი ფაქტით, ახლად გამოვლინებულ საარქივო მასალას განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის, სახელდობრ სამოციანი წლების საზოგადოებრივი მოძრაობის შინაარსისა და ხასიათის განსაზღვრის საკითხის გადასაწყვეტად.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, ახლად გამოვლინებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, ცტად თუ ბეგრად დაწერილებით ვავაინოთ მკითხველს, თუ როგორი მონაწილეობა მიიღეს ქართველმა სტუდენტებმა ხსენებული პერიოდის რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მაგრამ მათი მოღვაწეობის მნიშვნელობა მკითხველისთვის რომ უფრო ნათელი გახადეთა, წინასწარ ორიოდ სიტყვის ეტიკეტით რუსეთის მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების შესახებ.

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რუსეთში XIX საუკუნის 60-60-იან წლებში

მეცხრამეტე საუკუნის 50-60-იანი წლების ხანა რუსეთის ისტორიის ერთ-ერთი უაღრესად მღელვარე და უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენებით მდიდარი ხანაა. სწორედ ამ დროისთვის მომწიფდა რუსეთში კონფლიქტი დროშოქმელ ფეოდალურ-ბატონყმურ საწარმოო ურთიერთობასა და ახალ (ბურჟუაზიულ) საწარმოო ძალების განვითარებას შორის, უკიდურესად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა სოფლად და ქალაქად და ფართოდ გაიშალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მამართელი იყო მეფის მთავრობისა და მთლიანად ბატონყმური წესწყობილების წინააღმდეგ.

რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების სიღამეზე განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლენილია ყირიმის ომის (1853—1856 წწ.) დროს. მიუხედავად იმისა, რომ რუსმა ჯარისკაცებმა ამ ომში უდიდესი გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს, რუსეთმა მაინც დიდი დამარცხება განიცადა, სეპატარაობის დაცემამ სასიკვდილო ლახვარი ჩასვა ბატონყმურ წესწყობილებს და აიძულა რუსეთის მმართველი წრეები ეზრუნათ რეფორმების საშუალებით ამ წყობილების „შეეთება—შელამაზებაზე“.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, უფლებო კლასების გალიერებულ ბრძოლას მეფისა და გემატონებელი კლასების წინააღმდეგ, შედეგად მოჰყვა ანტიბატონყმური, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის უმაღლესი გაძლიერება, რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ავიდა თავისი განვითარების უფრო მაღალ, ე. წ. რანზონინურ ანუ ბერკეპანიულ-დემოკრატიულ საფეხურზე. ეს მოძრაობა განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მას

სათავეში ჩადგნენ დიდი რევოლუციური დემოკრატები ნ. სერნიშევი და ნ. დობროლიუბოვი. ამ გამოჩენილი ადამიანებისა და აგრეთვე მათი მებრძოლი ორგანოს ქუჩნაღსოვრემენისკის* გარშემო თავი მოიყარეს რუსეთის ყველაზე საუკეთესო ადამიანებმა, რომელთა რევოლუციური მოღვაწეობა ძილს უფროსობდა მეფის რეაქციონერ მთავრობას. იმავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ა. ვერცინისა და ნ. ოგარინოვის მიერ სახელმწიფო განაღებულ რევოლუციურ აგიტაციას, გერცენის სახელობით „კოლოკოლი“ თითქმის დაუბრკოლებლად ვრცელდებოდა რუსეთში და აღვიძებდა ხალხს, მოძებობდა მას ბრძოლისაკენ. იმ ხანებში (1859—1861 წწ.) რუსეთში აშკარად გამოხატული რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

საბჭოთა ისტორიკოსების უახლესი გამოკვლევები მოწმობენ, რომ ბერძენი რევოლუციონერების წინ რუსეთში არა მარტო აქტიური რევოლუციური აგიტაცია იყო განაღებული ბატონყმური წესწყობილებისა და მისი დამცველი მეფის მთავრობის წინააღმდეგ, არამედ არსებობდა არაღვგაღერი რევოლუციური ორგანიზაციაც, რომელსაც ვაჰანდა ვრთიანი ცენტრალური ხელმძღვანელობდა და რომელიც პრაქტიკულად ამზადებდა, რაზმავდა ძალებს საყოველთაო — სახალხო აჯანყებისათვის. 1

საგლებო რევოლუციის არ გადაუწყვეტია ძირითადი წინააღმდეგობა რუსეთის გაბატონებულ კლასებსა და გლეხობას შორის და ამით აიხსნება, რომ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ მიმართული გლეხთა ბუნებრივი რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც შეუწყობდა გრძელდებოდა.

მართალია ბატონყმობის გაუქმების დროს არ მოხდა, — როგორც ეს მაშინდელ რევოლუციონერებს ეგონათ, — საგლებო რევოლუციონერებზე და გლეხობის საყოველთაო აჯანყებას, მაგრამ 1861 წლის განმაღობაში რუსეთის მრავალ მხარეში გამოდიოდნენ გლეხები იარაღით ხელში მთავრობისა და მემამულეების წინააღმდეგ. გლეხთა ამ გამოსვლებს აღექსანდრე II „ლიბერალური“ მთავრობა ყველგან სისხლით ახრინებდა.

მის შემდეგ, რაც 1861 წლის გაზაფხულზე, გლეხთა განთავისუფლების პირობების გამოცხადების დროს არ მოხდა გლეხობის დიდი

აჯანყება, რუსეთის მაშინდელ რევოლუციონერებს ახალი იმედი დაეზადებინათ. მათმა მოქმედებებმა დაადასტურა, რომ 1863 წლის გაზაფხულში მათმა დესაც გარჩევების სიკვლეების ძალაში შესვლის ვადა დგებოდა, გლეხობა აშკარად დაინახავდა, რომ მთავრობა არ ზრუნავს მისი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, საბოლოოდ დაიწყებდებოდა, რომ მეფისაგან ნაბოძები „ლიბერალურმა“ მოტყუება იყო და სწორედ მაშინ დაიწყებოდა დიდი ხნის წინააღმდეგობით რევოლუცია რუსეთში. ეს აზრი ფართოდ იყო გავრცელებული მაშინდელ რევოლუციონერებს შორის, მაგრამ მათი იმედები ამჯერათაც არ გამართლდა. პირიქით, გლეხთა მოძრაობა იმ ხანებში თანდათან კლებულობდა, ამასთანავე ერთად ცარიზმმა მოახერხა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაც და ამრიგად, დაღვა რეაქციის ზეიმის დრო.

მთავრობის უმაღლეს სფეროებში ჯერ კიდევ 1862 წლის გაზაფხულიდან შეუდგნენ რევოლუციური ძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის მზადებას. ჟანდარმთა შეფი (ვ. ი. სახელმწიფოს მაშინდელი უმაღლესი პოლიტიკური პოლიციის მეთაური) იმ ხანებში ზედმიზეზ ტუზუანის მეფის საგანგაშო მოხსენებებს, რომლებშიაც მოითხოვდა დამთავრდეს მთავრობის ლიბერალიზმის თამაში და დაიწყოს მკაცრი რეპრესიები რევოლუციონერთა წინააღმდეგ. 1862 წლის 27 აპრილს მან ხელმწიფეს წარუდგინა სამი ვრცელი მოხსენება, რომლებშიც დახატულია მაშინდელი რუსეთის პოლიტიკური ვითარების სურათი და დასახულია რევოლუციურ ძალთა წინააღმდეგ მთავრობის ბრძოლის მთელი პროგრამა.

მესამე მოხსენებაში — „სავანებო ღონისძიებათა შესახებ“ ხაზგასმულია პეტერბურგში არსებული საიდუმლო წრეების აქტიური მუშაობა და მათი განსაკუთრებით საშიში ხასიათი, რის გამო დასაბუთებულია სასწრაფო ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა, ყურძილ კი ყველაზე აქტიური რევოლუციონერები დაუყოვნებლივ გახსრკვა და დააპატიმრება.

მოსხენებებს დამატების სახით ახლდა ასე იმ პარებისა, რომელთა ერთდროული და სასტიკი ჩხრკვა განზრახულია. ამ სიაში სულ 50 კაცი იყო შეტანილი. პირველ ნომრად აღნიშნულია „ლიბერალური ჩერნიშევი“, მას მოსდევნენ მისი გამოჩენილი თანამებრძოლები: შელენოვი, ობრტევი, მჰვი სერნი სოლოვიიჩევი და სხვები. მეოცდაოთხე ნომრად ჩანიშნულია „დოლიბერიძე“.

შეფი აღექსანდრე მეორემ მოიწონა ჟანდარმთა შეფის მოხსენებები და დაავალა მას შესდგომოდნენ მის მიერ დასახული ღონისძიებების დაუყოვნებლივ ცხორებაში გატარების ამრიგად, მთავრობამ მოიხსნა ლიბერალიზმის

1 ამ საკითხზე განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს შეიცავს ავადიშვილის მ. ვ. ნეჩკინას გამოკვლევა «Новые материалы о революционной ситуации в России (1859 — 1861 гг.)» იხ. «Литературное наследство»; ტ. 64, გვ. 459.

ნილაში და გამოაჩინა თავისი ნამდვილი სახე. დაწყებული რეპრესიებისა და ტერორის ხანა 1862 წლის 7 ივლისს დააპატიმრეს ჩერნიშევსკი, იმავე დროს რვა თვით დაბრუნეს ყურნალ „სოკრატემენია“. დაწყებული რევოლუციონერთა ჩხრეკა, დაპატიმრება და შორეულ ციხეებში გადასახლება.

მეგრამ დევნამ და შევიწროებამ ვერ გასტუმრა რევოლუციონერთა ნებისყოფა. ტერორის მიუხედავად ისინი ყოველ განაგრძობდნენ ბრძოლას საბუღალთო მეფის მთავრობის წინააღმდეგ. 1862—1863 წლების მანძილზე ნაყოფიერ რევოლუციურ შემოაბას ეწეოდა ცნობილი საიდუმლო ორგანიზაცია „ხემალი ი ვოლია“. 1866 წლის 4 აპრილს ნ. იშუტინის წრის წევრმა დიმიტრი კარაიოზოვმა ესროლა მეფე ალექსანდრე მეორეს. კარაიოზოვის ვასილას მოჰყვა რეპრესიის კიდევ უფრო გაძლიერება.

მიუხედავად ამისა 1866 — 1869 წლების მანძილზე შეუნდებელი გრძელდებოდა არაღვარდნი რევოლუციური შემოაბა, ამ შემოაბაში, ისევე როგორც წინა წლებშიც, უღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი სტუდენტები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

2. სტუდენტთა მოძრაობის დაწყება პეტერბურგში და ქართველი სტუდენტთა, ილია ჭავჭავაძის როლი.

ყირიმის ომის დამთავრების მეორე დღესვე რუსეთის მთავრობამ შეამჩნია ის საფრთხე, რომელიც მისთვის ახალი თაობის მოძრაობას მოჰქონდა. უკვე 1857 წელს მესამე განყოფილების თავის საიდუმლო არქივში მოუვტოვებია ცნობები პეტერბურგის სტუდენტთა შორის მთავრობის საწინააღმდეგო სეპარატისტული, ანტირელიგიური განწყობილებასზე, გერმანული ფილოსოფიის ცუდ გაგებაზე და სხვ.¹ ცალკე საიდუმლო საქმეა შემდგარი იმის თაობაზე, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს 1857 წელს დაუწყიათ ხელნაწირი ვერხალის გამოცემა, რომლის სათაური ყოფილა «Вестник свободных мнений» (голос из сердца)². მომდევნო 1858 წელს პოლიტიკური პოლიციის უმაღლესი ორგანოები შეუფიქრებია რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტების ყოფილ სტუდენტების განზრახვა, ყოველწლიურად მოეწყობათ სადილები ერთად კურსდამთავრებულ

მეგობრებს შორის ურთიერთობის განსტყუების მიზნით.³ „ახალგაზრდები ერთად თავს მოიყრიან, ვინ იცის აქედან რა გამოვიდეს? ბუბონი ენდარმები და ცდილობენ ყოველნაირად შეუმოლონ ხელი ახალგაზრდების შეზღუდვებს. იმავე 1858 წელს შედგენილი ერთერთი საქმიდან⁴ ჩანს, რომ პეტერბურგში ხმა გაერცულა: 18 თებერვალს სტუდენტები აპირებენ მოაწყონ ზეიმი — ქუეფობა ნიკოლოზ I გარდაცვალების დღის აღსანიშნავად. პოლიცია ფეხზე დაშვარა. ენდარმები შეფოთვეს, მათ ყველგან მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება ელანდებოდათ. მათ ისიც კი იძულებით, რომ სტუდენტები ქუეფობა ერთად დადიან, იცინიან, ხმააილა, ლაპარაკობენ. „ზოგიერთ სტუდენტს ამ ბოლო დროს თეთრი ქუდები ახურავს, რატომ? აქვთ კი ამის ნებაო?“ — ეკითხებიან მსტორები თავიანთ უფროსებს. დაშხახათებელია კიდევ ასეთი ფაქტი: პეტერბურგის ერთერთ ქუეფობა რამდენიმე სტუდენტი ერთმანეთზე ხელდახეველი მიდიდა. პოლიციელმა ეს მათ წესრიგის დარღვევად ჩაუთვალა და ობერპოლიცემისტრ გრაფ შევალოთან წაიყვანა. ამ უთანასწოროსაგან სტუდენტებმა შეიტყვეს, რომ თვითიველი სტუდენტის დაპატიმრებისათვის 10 მანეთი ყოფილა ჯილდოთ დანიშნული პოლიციელებისათვის⁵. შეურაცხყოფილი სტუდენტები გაბედულად შეეკამათნ ობერპოლიცემისტრს და ხმა აღიმაღლეს სტუდენტთა აზრად ავდების გამო. ეს აშხავი ძალიან გახშირებულა პეტერბურგის სტუდენტთა შორის და მათი დიდი გულისწყრომა გამოეწვევია.

რაც დრო გადიოდა, დამოკიდებულა ახალი თაობის წარმომადგენლებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის სულ უფროდაუფრო დამაბული ხდებოდა. უკვე 1861 წლის დსაწყისისათვის პეტერბურგის სტუდენტთა არაღვარდნი, მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა ფართოდ იყო გამოვლილი. მესამე განყოფილების საიდუმლო არქივის ერთერთ საქმეში⁶ თავმოყრილია ენდარმთა აგენტურის ბიგე 1861 წლის 15 მარტამდე შეგროვილი ცნობები, საიდანაც ჩანს, რომ სტუდენტთა ჯგუფები სისტემატურად იყრიებდნენ ვასილიევის ენწებულზე საიდუმლოდ და იდგენენ გეგმებს მეფის მთავრობის დამხობისა და რუსეთში რესპუბლიკური წყობილების დამყარების შესახებ. იმავე საქმიდან ჩანს, რომ სტუდენტებს აქვთ საიდუმლო ბიბლიოთეკები,

¹ იქვე, საქმე 1042, 1858 წ.

² იქვე, საქმე 1469, 1858.

³ იქვე.

⁴ იქვე, საქმე 1470, 1858 წ.

⁵ იქვე, საქმე 1043, 1861 წ.

¹ ЦГИАЛ, ф. 109, секретный архив, рукопись 1, л. 1468, 1857 г.

² იქვე, საქმე 1467, 1857 წ.

სადაც სასტიკად აყრიალელ¹ წიგნებს ინახავენ.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ პეტერბურგის სტუდენტთა დიდი პოლიტიკური გამოხელა, რომელიც 1861 წლის შემოდგომაზე მოხდა, მოედოდა და შემთხვევითი მოვლენა კი არ ყოფილა, არამედ წლების განმავლობაში მზადდებოდა და შვიდდებოდა. ამასთანავე ერთად პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარება არ ყოფილა იზოლირებული, მარტო პეტერბურგის ვითარებისათვის დამახასიათებელი მოვლენა. სტუდენტობა იმ დროს რუსეთის თითქმის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში გამოდიოდა რევოლუციურ-დემოკრატიულ მოთხოვნებით, იბრძოდა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ. ცნობილია, მაგალითად, რომ ხარკოვის სტუდენტთა საიდუმლო წრემ კერ კიდევ 1856 წლის აპრილში შეადგინა და ქალაქ ხარკოვის ქუჩებში გამოაკრა პროკლამაცია—პაროდია პარიზის ზავის შესახებ მეფის მანიფესტზე¹. ცნობილია აგრეთვე მოსკოვის სტუდენტთა მღელვარე კრებები (сходки) 1857 წელს, რაც გამოწვეული იყო პოლიციის თავხედური მოქმედებით (პოლიციელებმა სცემეს სტუდენტთა ერთ ჯგუფს), აგრეთვე კიევის სტუდენტთა დემონსტრაციები იმავე 1857 წელს. მომდევნო 1858 წელს სტუდენტთა სერიოზულმა პოლიტიკურმა მოძრაობამ თავი იჩინა ხარკოვის უნივერსიტეტში. მაგრამ განსაკუთრებით ფარავად სტუდენტთა მოძრაობა გაიშალა 1861 წლის დასაწყისიდან. კიევში უნივერსიტეტიდან გარიცხეს ერთი სტუდენტი, რომელმაც ქუდი არ მოიხადა მეფის 19 თებერვლის მანიფესტის კითხვის დროს. ამას მოჰყვა სტუდენტთა სერიოზული მღელვარება, რამაც აიძულა კიევის გენერალ-გუბერნატორი გარიცხული სტუდენტი უკანვე დაებრუნებინა². თებერვალ-მარტში პეტერბურგის, მოსკოვისა და კიევის სტუდენტებმა საჯაროდ პანაშვილი გადაიხადეს იმ ვარშეველებს, რომლებიც მეფის ჯარისკაცებმა დახვრიტეს პოლიტიკური მანიფესტაციების დროს. თებერვალში პეტერბურგის სტუდენტებმა დემონსტრაცია მოაწვეეს დიდი რევოლუციური დემოკრატიის შეფხანკის ხსოვნის პატივსაცემად. აპრილში ყაზანის სტუდენტებმა პანაშვილი გადაუხადეს ცარიზმის მიერ ს. ბუხნინში დახვრტილ გლეხებს.

ამ უკანასკნელმა მოვლენებმა განსაკუთრებით შეაფრთხა მეფის მთავრობა, რომელმაც

გადაწყვიტა განსაკუთრებული ღონისძიებების მიღება სტუდენტთა წინააღმდეგ, თანამდებობიდან გადაყენებული იქნა განათლების მინისტრი ლიბერალი ა. კოვალენსკი და მის ნაცულად დანიშნა სამხედრო პირი პეტიატინი. დაიწყო უნივერსიტეტებისათვის ახალი, რევოლუციური წესების შედგენა, რასაც არ შეიძლებოდა არ მოსყოლოდა სტუდენტთა მოძრაობის ახალი ახვრთება.

სწორედ ამ დროს, სახელდობრ 1861 წლის 9 მაისს პეტერბურგში, თავის ორ ამხანაგთან (გ. მესხთან და დ. აბულშელოვილთან) ერთად, ჩავიდა ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძე, რომლის ვრცელი მოგონებებიდან ჩვენ ვტყობილობთ შრავალ დიფინიშენლოვან და საგულისხმო ფაქტს პეტერბურგში მეოფე ქართული სტუდენტების ცხოვრებასა და საქმიანობაზე. მათ განუყოფილბასა და მისწრაფებებზე, მათ მონაწილეობაზე სტუდენტთა პოლიტიკურ მოძრაობაში.

ნ. ნიკოლაძის მოგონებებს ადასტურებენ და ავსებენ რიგა სხვა წყაროები, რომლებიც გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების, პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტების კალამს ვკითხვინათ.¹ ასეთებია, მაგალითად, ა. წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, გ. წერეთლის ისტორიულ დოკუმენტური მოთხრობები (განსაკუთრებით „მგზავრის წერალები“), აგრეთვე მთავრებები და პირადი წერალები კ. ლორთქიფანიძის, ბ. ლოლობერიძის, ლ. ისარაშვილისა და 60-იანი წლების სხვა გამოჩენილი მოღვაწეებისა. ზოგიერთი ცნობა ქართველი სტუდენტების რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ შემოგვინახეს თავიანთ მოგონებებში რუსმა რევოლუციონერებმაც (მაგალითად, ლ. ფ. პანტელევმა).

ნ. ნიკოლაძის მოგონებებიდან და ზემოხსენებული სხვა წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ პეტერბურგსა და რუსეთის სხვა ქალაქებში მოსწავლე ქართველი ახალგაზრდობის უდიდესი უმრავლესობა უღარესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, კერძოდ კი სტუდენტთა პოლიტიკურ გამოსვლებში. ამ წყაროებიდან ნათლად ჩანს აგრეთვე, რომ პეტერბურგში მეოფე რევოლუციურად განწყობილი ქართველი სტუდენტების ხელმძღვანელად 1861 წლის გაზაფხულამდე ყველასაგან ილია ჭავჭავაძე ყოფილა აღიარებული, ხოლო მისი სამშობლოში წამოსვლის შემდეგ, 1861 წლის გაზაფხულიდან თვით სტუდენტთა მღელვარების დაშორებამდე, ხელმძღვანელის როლი ილიას

¹ იხ. «Литературное наследство», ტ. 61, გვ. 468.

² იხ. ს. გ. სვასტიკოვის ნაშრომი კრებულში «Исторический сборник», 1907 г. («Наша страна»).

¹ საარქივო წყაროებს აქ არ ვეხებოთ, მათზე საუბარი ქვემოთ გვექნება.

უახლოეს თანამებრძოლს ნიკოლოზ ლოლობერიძეს უთამაშნა¹.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძემ პეტერბურგში 1857 წლის ივლისში ჩავიდა და იმავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. იმ დროს ის იყო 20 წლის ყმაწვილი, მაღალი იდეებითა და წმინდა გრძნობებით აღჭურვილი ახალგაზრდა. სამწუხაროდ, ილიას არ დაუტოვებია არც მოგონებები და არც ცოტად თუ ბევრად ერკელი ავტობიოგრაფია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი მამინდელი შეხედულებებისა და განწყობილების გაგება არავითარ სიძინდეს არ წარმოადგენს. სულაც რომ არ გაგვეჩინა პეტერბურგში მისი საქმიანობის შესახებ რაიმე ცნობა, მისი იმდროინდელი ნაწერებიც ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა მის პოლიტიკურ იდეალებზე.

ამჟამად საკვებით დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ი. ჭავჭავაძემ და მისი თანამოაზრენი უახლოეს კავშირ-ურთობითობაში იმყოფებოდნენ ნ. გ. ჩერნიშევსკისთან, ნ. ა. დობროლუბოვთან, ნ. ვ. შულგინოვთან და რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ რაც სხვა გამოჩენილ ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. ჩერნიშევსკის ოჯახში, რომელიც მამინე რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთგვიანი შტაბის როლს ასრულებდა, ქართველი სტუდენტები თათქმის ყოველ დღე დადიოდნენ. ნ. ნიკოლაძე ვადმოგვცემს: როცა 1861 წელს ის პირველად მივიდა ჩერნიშევსკის ოჯახში, იქ იხილა ქართველი სტუდენტების მთელი ჯგუფი, რომელიც ჩერნიშევსკის ოჯახთან უყვე დიდხინას დახლოებული და დამეგობრებული ყოფილა².

ნ. ნიკოლაძის ცნობებს ადასტურებს და ნაწილობრივ ავსებს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობის აქტიური მონაწილე ი. ისარლიშვილი, რომლის მოგონება ჯერ კიდევ 1913 წელს გამოქვეყნა ვ. თუმანიშვილმა. ი. ისარლიშვილი ამბობს, რომ ქართველ სტუდენტთა წრეს ძალიან იზიდავდა ქრწნალ „სოვრემენიკის“ რედაქციაო და დასძინებს: იმ ქართველი სტუდენტებიდან, რომლებიც ჩერნიშევსკისთან ჩემთან ერთად დადიოდნენ, ყარვად მახსოვს ნ. ნიკოლაძე, ვ. წერეთელი, ნ. ლოლობერიძე, დ. ლოლობერიძე და სხვებიო. აქ აღსანიშნავია, რომ ისარლიშვილი

სტუდენტთა მღვლეარების დროს პირველი ყერწის სტუდენტი იყო და მამასადაძე, მისი მოგონებათ იმ პერიოდს შეეხება, როცა ი. ჭავჭავაძე პეტერბურგში უყვე აღარ იმყოფებოდა³.

ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლებთან ი. ჭავჭავაძისა და მისი შეგობრობის საბლოვის დასადასტურებლად სხვა საბუთებიც მოაბოვება. ერთ-ერთი ასეთი საბუთია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის რ. ხომლელის (ფანცხავას) წერილი, რომელიც ჯერ კიდევ 1909 წელს გამოქვეყნდა. ამ წერილში რ. ხომლელი ვადმოგვცემს: „რუსეთის საუკეთესო ყერწალიც „современник“ და მისი შესანიშნავი ყერწონიტიკი ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელსაც ჩვენი სტუდენტი ილია დაახლოვებით იცნობდა, როგორც ეს ჩემთვისა და ნ. ხონანიშვილისთვის უომკვამს, იმას ქადაგობდა, რომ ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო. ჩვენი ილიაც ამ აზრს ემსახურებოდა უყანასწელ სისხლის წყეთამდე... ნ. ჩერნიშევსკისა და ილია ჭავჭავაძის ქადაგება იყო წერილობითი“⁴.

აქედან ცხადია, რომ ილიას უბრალო ნაცნობთან ყო არ ჰქონია ჩერნიშევსკისთან, არამედ მასთან აბლო ურთობრობაში ყოფილა, რაც საკვებით შესაბამება იმ სიტუაციას. რომელსაც ნ. ნიკოლაძე ზემოთ ხსენებულ მოგონებებში ვადმოგვცემს.

შემდეგო უარცხად საინტერესო და მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც ჩვენი აზრით, ვეჩვენებს გამოჩენილ რუს რევოლუციურ დემოკრატებთან ი. ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების არა მარტო იდეურ ნათესაობას, არამედ ბრატყველ კავშირ-ურთობრობასაც, ესაა თეთი ი. ჭავჭავაძის ერთი ყერწო წერილი, რომლიდანაც ჩანს ილიას განსაკუთრებული პატივისცემაც და სიხლოვეც ნ. ვ. შულგინოვისადაძე, როგორც ამ ცოტა ხნის წინად გამოორცვა⁵, 80-იან წლებში ნ. ვ. შულგინოვს ერთი თვისი ნაცნობის (ა. ფირალიშვილის) საშეღავებით მიუშართავს ილია ჭავჭავაძისთვის, აღმოჩინა დახმარება მეღვის მთავრობისაგან დასჯილი მისი შვილისათვის, რომელიც კავკასიაში რიგიე ჯარისყვად იყო გამწესებული. ი. ჭავჭავაძეს, რომელიც იმ დროს

¹ იხ. მისი წიგნი „Характеристики и воспоминания“, 1913 წ., გვ. 230-232.

² იხ. ი. ჭავჭავაძის ვადმოგვცემული სრული კრებული, 1951 წ., ტ. I, გვ. 23-24.

³ ამ საკითხზე იხ. ავ. კენჭოშვილის წერილი ყერწნ „მნათობში“, 1956 წლის № 10; აგრეთვე ავ. კენჭოშვილისა და მ. სააკაძის წერილი „ლიტერატურული გაზეთის“ 1956 წლის 13 ივლისის ნომერში.

¹ იხ. ამის შესახებ: ნ. ნიკოლაძე „მოგონებანი საბოციან წლებზე“, რწ. ნაწ. ტ. I, გვ. 94-95.

ავ. წერეთელი, „ჩემი თავდაჯასავალი“, რწ. ნაწერები, 1940 წ., გვ. 461

² იხ. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 121 — 122

თეთონაც პოლიციის სასტიკი შეთავაზურების ქვეშ იპყრებოდა, მოხერხებია თხოვნის შესრულება და ფირალიშვილისადმი გაგზავნილ რუსულად დაწერილ საპასუხო წერილში ასეთ საგულისხმო სიტყვებს ამბობს:

„ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა გადავცე ეს კეთილი ცნობა ნ. ვ. შელვენოვს, რომლის მიმართ უნივერსიტეტის საქმიანად ვარ გამსკვალელი უაღრესად გულწრფელი და ღრმა პატივსცემით, ამავე დროს არ შემიძლია მადლობა არ გადავიხადოთ თქვენ იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მომანიჭეთ რაიმეთი მიიღე ვემსახურე ისეთ უპატიოსნეს და განათლებულ მოღვაწეს, როგორც ნ. ვ. შელვენოვია; იშვიათად შემოსრულებია მე დაუღლება, რომელიც ასე სასიამოვნო ყოფილიყოს ჩემთვის“¹.

თუ გავიხსენებთ ნ. ვ. შელვენოვს, როგორც პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორისა და სტლის ჩამდგმელის როლს², ძნელი არ იქნება გავიგოთ, თუ რატომ იყო ილია გამსკვალელი მის მიმართ განსაკუთრებული პატივისცემით სწორედ უნივერსიტეტის სემინადანეუ“.

დაბოლოს, საინტერესოა გავიხსენოთ აგრეთვე ნ. ა. დობროლინოვის დღიურის ის ადგილი, სადაც ის ი. ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლის დავით ყიფიანის გაცნობაზე დაბარაობს და მისი პიროვნების გაჩვენებულ დახასიათებასაც გვეძღვეს.

ეს საბუთები, ვფიქრობთ, სრულიად უდავოს ზღიან იმ აზრს, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები პირად ურთიერთობასა და კავშირში იყვნენ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებთან. სხვათაგანად შეუძლებელიც იყო ქართული ახალგაზრდები, რომლებიც პეტერბურგში ცხოვრობდნენ და ხალხის კეთილდღეობაზე, ჭევენად შშობის, ერთობისა და თავისუფლების დამყარებაზე ოცნებობდნენ, არ შეიძლება და არ დაახლოვებოდნენ და დაუახლოვდნენ იდენტურ რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვან მებრძოლებს.

ჩვენ ჯერჯერობით ზეღთ არა გვაქვს პირდაპირი საბუთები, რომლებიც დაგვიჩვენებდნენ ქართული სტუდენტების მონაწილეობას სტუდენტთა იმ არალეგალური წრეების შექმნაში, რომლებიც, მესამე განყოფილების ცნობების მიხედვით ვასილაევის კენძულზე იკრიბებოდნენ ჯერ კიდევ 1861 წლის გაზაფხულამდე (ჩვენს მიერ გამოვლინებული ახალი

საარქივო მასალები შეეხებიან ქართული სტუდენტობის მონაწილეობას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში 1861 წლის შემოდგომიდან ე. ი. სტუდენტთა მღელვარების დაწყებამდე). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართული სტუდენტობის რევოლუციურ განწყობილებას, მათ უშუალო კავშირს მერწინაშესესია და მის თანამებრძოლებთან, აგრეთვე მათს ახლო კავშირს რევოლუციურად განწყობილ პოლინელ სტუდენტებთან; თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე მრავალრიცხოვან საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც გვიმტკიცებენ ქართული სტუდენტობის უაღრესად აქტიურ მონაწილეობას არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობაში 1861—1869 წლებში, სრული საფუძველი გვაქნება ვფიქროთ, რომ ამაზე ადრეც, ე. ი. 1857—1861 წლების პერიოდში ქართული სტუდენტები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ პეტერბურგის სტუდენტთა მოაჯრობის საწინააღმდეგო საქმიანობაში.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 1861 წლის შემოდგომამდე მესამე განყოფილების, ან სხვა დასჯილი ორგანოების არქივებში არ გვხვდება ცნობები ქართულ სტუდენტთა რევოლუციურ საქმიანობაზე, ამის მთავარი მიზეზი უფროდ ისაა, რომ იმ პერიოდში (1861 წლის შემოდგომამდე), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთავრობა იძულებული იყო ლიბერალური პოლიტიკა გაეტარებოდა და სტუდენტთა დევნა-შეიწროება დაშავებული ორგანოების მხრივ ჯერ კიდევ არ იყო იმდენად განაღებული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1861 წლის შემოდგომიდან. ამით აიხსნება, რომ მესამე განყოფილების საქმეებში 1861 წლამდე ძალიან იშვიათად მოიპოვება მასალები არა მარტო ქართული, არამედ რუსი სტუდენტების რევოლუციური მოღვაწეობის შესახებაც. ამითვე აიხსნება, რომ ბევრი ქართული სტუდენტი, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, რომლებმაც მოასწრეს პეტერბურგიდან წამოსვლა სტუდენტთა მღელვარების დაწყებამდე, გაადურჩა რეპრესიებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დამატებობას გადაურჩა არა მარტო პეტერბურგიდან ადრე წამოსული ი. ჭავჭავაძე, არამედ აგრეთვე ნიკოლოზ ლილიბერაძეც, რომელიც ილიას შემდეგ და თვით სტუდენტთა მღელვარების დროსაც, ქართული სტუდენტების ხელმძღვანელის როლს ასრულებდა. როგორ მოხდა ეს? ამ კითხვის პასუხს მყოფი ილიის შემდეგ თავში, სადაც ჩვენ შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ, თუ როგორ ვითარდებოდა სტუდენტთა მოძრაობა პეტერბურგში ი. ჭავჭავაძის საშობლოში წამოსვლის შემდეგ, ახლა კი ორივედ სიტყვა ვცინდა ვთქვამთ ისევე ილია ჭავჭავაძეზე, სახელდობრ კი პეტერბურგიდან ილიას ნაადრევად წამოსვლის მიზეზებზე.

¹ ჯ. ხანაშიას სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის, ი. ჭავჭავაძის ფონდი № 119.

² ამ საკითხზე იხ. ლ. ფ. პანტელეევის „მოგონებები“, 1958, გვ. 246.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძეს 1861 წელს უნდა დაემთავრებია პეტერბურგის უნივერსიტეტი, მაგრამ იმავე წლის დასაწყისში, გამოსაშვებ გამოცდებამდე კარგა ხნით ადრე ის სამშობლოში გამოემგზავრა. რა იყო მიზეზი პეტერბურგთან ილიას ნაადრევ გამოემგზავნისა?

ამ საკითხზე შევლევართა შორის სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ პეტერბურგიდან ილია გამოცდების ჩაბარებამდე შესაძლოა ავადმყოფობის გამო წამოვიდოდა, მაგრამ ასეთი მოსაზრებისათვის ჩააქმ პირდაპირი საფუძველი არ არსებობს. ჩვენი ფიქრობ, სინამდვილესთან გაეკლებით უფრო ახლოსაა ილიას თანამებრძოლი და მისი პირველი ბიოგრაფი გრ. ყფშიძე, რომელიც ვერ კიდევ 1913 წელს წერდა: „ახალგაზრდა ილიას, რასაცირველია, ძალღონე შესწევდა, რათა კარგად ჩაეყვებოდა მაშინდელ ეპითა-ვითარებას... და, აი, ილიას გული აღარ უდგებდა რუსეთში, ვალამებული მოიბრძვის თავის ქვეყანაში მთლად აღიღებელი, კეთილგინება გადახალსებული, ახლად დაბადებული, ზღვა-გრანობა მორეტელი, „ღრმა“ ფიქრებითი წასული... მოუთმენლად მოიბრძვის მებრძოლთა გუნდის შიგ შეა ველს ჩასადგომად, აქურა მოშამელ, დაობებულ პერის გასაწმენდად, ახალი საპოლიტიკო, სალიტერატურო და საზოგადოებრივ აზრების სამოციქულოდ, საქადაგებლად“.¹

ამრიგად, ვერ კიდევ 1913 წელს კარგად ესმოდათ, რომ ი. ჭავჭავაძეს „გული აღარ უდგებოდა რუსეთში“ და 1861 წლის დასაწყისში გამოცდების ჩაუბარებლად დაბრუნდა სამშობლოში არა ავადმყოფობის ან სხვა რაიმე პირადი მოთხოვნის გამო, არამედ მაშინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ეითარების გამო. ამჟამად კი შეიძლება შეტიც ითქვას: თუ მაშინდელი რუსეთის კონსტიტუტული ეითარებას და ნ. გ. ჩერნიშევსკისთან ილიას სახალოვეს გაეითეთალსწინებთ, ვარკვეთლი საფუძველი გვეძნება ეფიქრით, რომ ი. ჭავჭავაძე საქართველოში გამოემგზავრა არა მარტო პირადი სურვილით, ე. ი. საკუთარი გულის კარნახით, არამედ რუსეთის მაშინდელი რევოლუციური ცენტრის რჩევით და, შესაძლოა, პირდაპირი დავალებითაც კი. ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს ვეაძლეს, ერთის მხრივ, ის ვარკვეობა, რომ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მაშინდელი ხელმძღვანელები ყოველნაირად ცდილობდნენ სანდო პირების საშუალებით ვაებათ კავშირი რუსეთის განაპირა რაიონებთან, კერძოდ კი ამიერკავკასიასთან

და მოემზადებიათ იქ პირობები მოსალოდნელი სახალხო აჯანყებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, თვით ილიას 1859—1861 წლებში წარწერებზე დაკვირება და მათში წარწერების

ამ რამდენიმე წლის წინად „ლიტერატურული ნასლედსტო“-ში გამოქვეყნდა ა. ი. გერცენისა და ნ. პ. ოგაროვის არქივის ე. წ. „პარალის კოლექციის“ აღმოჩენილი ხუთი კონსპირაციული დოკუმენტი I, რომლებიდანაც ნათელი ხდება, რომ რუსეთის რევოლუციურ დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელები ვერ კიდევ 1857 წლიდან ადგენდნენ არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციის შექმნისა და მოქმედების გეგმებს და ეზზადემოდნენ სახალხო აჯანყებისათვის, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისინი ვერ 1861 წლის გაზაფხულზე მოელოდნენ, ხოლო შემდეგ — 1863 წლის გაზაფხულზე, სხეებული დოკუმენტებიდან ნათელი ხდება აგრეთვე, რომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ საერთო-სახალხო აჯანყებისათვის მზადებაში კავკასიის ჩაბმას და აუცილებლად სთალოდნენ კავკასიაში გამოცდილი აგენტების ვაგზავნას.² ამ აზრის დასამტკიცებლად საქმარისა და სხემდებელი დოკუმენტებიდან მოვიყვანოთ თუნდაც ერთი უაღრესად საინტერესო ამონაწიკი:

„თუ აჯანყება მარტო ვარკვეასა და კიევში მოხდება, ის მშათაშორის ბრძოლად — პოლონეთის ომად გადაიქცევა; იმისათვის, რომ აჯანყება სახალხო განათვისუფლებად იქცეს, ის უნდა მოილოდეს მთელი პერიფერიიდან, ე. ი. ვარკვეასა და კიევთან ერთდროულად შეგარუსეთისკენ უნდა დაიძრას კავკასია და თან ვაეყოლიოს ასტრახანი, დონი და შავი-ზღვისპირეთი“.³

შემდეგ:

„მუ ნაყოფებდ მწამს ვარკვეის აჯანყების წარმატებას... მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა დაერგზოთ („организовать“) კავკასია და ურალი, იმ ვარკვეით, რომ თუ დასავლეთის მოძრაობას წარმატება ხდება, ისინი დაეხმარნ მას და მისებრ აჯანყებას არა შინა ბრძოლის (შმათა ომის) ხასიათი, არამედ სახალხო აჯანყების მნიშვნელობა. ხოლო თუ მას წარმატება არ ექნა, მაშინ კავკასიაში და ურალში უნდა ვაგერძელონ დარაზმა („организацию“) იმგვარად, რომ ვარკვეული დროის შემდეგ მათ წამოემგველოს დასავლეთის ახალი მოძრაობა“.⁴

¹ «Литературное наследство», т. 61, 83, 493—522.

² იხ. იქვე, გვერდები: 501, 504, 506, 508, 509, 510, და სხვ.

³ იქვე, გვ. 509.

⁴ იქვე, გვ. 510.

¹ ილია ჭავჭავაძე, „თხზულებანი“, ტ. I, 1914 წ., გვ. XXV—XXVI.

აკადემიოსი მ. ვ. ნეჩკინა, რომელმაც ეს ლექსები გამოაქვეყნა და მათი დაწერის დროს ანალიზი მოგვცა, საფუძვლიანად ასაბუთებს, რომ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელების მიერ ჯერ კიდევ რეფორმამდე დიდი ხნით ადრე მოფიქრებული და სავალდებულოდ ჩამოყალიბებული სახალხო აჯანყების მომზადების გეგმა ქალაქზე როდეს დაჩვენდა; ამ გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტები თანდათან ხორციელდებოდა ცხოვრებაში რეფორმის წინ და თვით რეფორმის ხანაში, განსაკუთრებით კი 1860—1862 წლების პერიოდში¹.

ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ დაწერილ ცნობილ პროკლამაციაში — „Барским крестьянам от их доброжелателей поклон“². გარკვეულთ ხანს, რა ფართო მასშტაბი მიიღო იმ დროს რევოლუციური ცენტრის საქმიანობამ. პროკლამაციიდან ჩანს, კერძოდ, რომ რევოლუციური ცენტრი ადგილებზე ყველგან გზავნიდა თავის წარმომადგენლებს. პროკლამაციაში პირდაპირ არის ნათქვამი:

„ჩვენ ხომ ყველგან, ადგილებზე ჩვენი აღმანიები გვყავს. ყოველი მხრიდან მოგვდის ჩვენ ცნობები, რას შერება და როგორ არის ხალხი. და აი ჩვენც ვიცით, რომ ჯერ-ჯერობით მომზადება არ დამთავრებულა. ხოლო როცა მომზადება დამთავრდება, ჩვენ ამასაც შეეცდებით“³.

ზედნაბრედ იმდებდა კითხვა: შეეძლოთ თუ არა ჩერნიშევსკის და რევოლუციური მოძრაობის სხვა ხელმძღვანელებს აჯანყების პრაქტიკული მომზადების დროს მხედველობიდან გამოეტოვებინათ კავკასია და მისი ცენტრი თბილისი?

ამ კითხვას ლოგიკურად მოსდევს მეორე კითხვა: ვის გაგზავნიდნენ იქ სათანადო დავალებებით, თუ არა თავისთავად თანამოაზრის, გველნიან პირს და ჩერნიშევსკის ოჯახის მემკვიდრე სტეპანს კავკასიელი სტუდენტებიდან? ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ ითქვა, ასეთი კითხვების დასმა სრულიადაც აღარ გეჩვენება საფუძველს მისაღებულად.

ახლა ვნახოთ, როდის წამოვიდა ილია პეტერბურგიდან და როგორი იყო მისი განწყობილება იმ ხანებში.

ჩვენ იქ არ გამოუვლდებოდა ა. ჭავჭავაძის იმ პერიოდის ნაწერების ანალიზს, რადგან ასეთი

სამუშაო უკვე შესრულებული გვაქვს⁴. ვიტყვით მხოლოდ, რომ 1859—1861 წლების პერიოდში ილია ამკარად მოეწონებოდა ხალხს საყოველთაო — სახალხო აჯანყებისთვის, რომლის მიზანი ცარიზმის დასხობა და „მთელ კავკასიის თავისუფლება“ უნდა ყოფილიყო. საკმარისია გავისხევინოთ ილიას პოემა „ჭარბელის დედა“, რომელიც 1860 წელსაა დაწერილი პავლეცკის (პეტერბურგის ახლოს) და რომელშიც საყოველთაო — სახალხო აჯანყების დიდებული სურათია გადამოლი. ვინა სწორედ ამ დროს არ დაიწერა ილიას ცეცხლოვანი სიტყვები:

ჭარბელეო, ხელი ხმალს იყარ,
გაოენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამაჯრეებისა“⁵.

ძალიან ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ პოემაში ილია ცარიზმის წინააღმდეგ ჭარბელეო ხალხის აჯანყების ირალირებულად, ე. ი. როგორც დამოუკიდებელ, საერთოდ ჭარბელეო ხალხს აჯანყებად კი არ განიხილავს. არამედ ორგანიზულად უკავშირებს მთელი კავკასიის განთავისუფლებას, ის ამბობს:

ჩემი მამული, საქართველო, დღეს
მიცოცხლებდა!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი
მოქმედობს.
კასპიის ზღვიდამ შეე ზღვამდინა ერთს
ფიქრსა ფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის
თავისუფლება“⁶.

გონების დიდი გამკრიახობა არ არის საქირო იმისათვის, რომ აქ აღამიანმა პირდაპირი კავშირი დაინახოს რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელების მიერ შედგენილ საყოველთაო-სახალხო აჯანყების გეგმასთან, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სწორედ იმავე ხანებშია დაწერილი ილიას ბრწყინვალე პოემა „კაო ყანაილი“ (1860 წ. დეკემბერი, პეტერბურგი), ცხადი ვახდება, რომ ილია ჭავჭავაძეს იმ დროს სახალხო აჯანყება წარმოდგენილი ჰქონდა არა მარტო როგორც ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა, არამედ როგორც ბრძოლა ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, ე. ი. სწორედ ისე როგორც ეს წარმოდგენილი

¹ იხ. „Литературное наследство“, ტ. 61, გვ. 474—475.

² ეს პროკლამაცია, ნ. გ. შელგენოვის ცნობით, დაწერილია 1861 წლის დასაწყისში.

³ „Литературное наследство“, ტ. 61, გვ. 476.

⁴ იხ. ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებანი“, 1954 წ., გვ. 192—207.

⁵ იქვე, გვ. 154.

⁶ იქვე, გვ. 151.

შეინდათ ჩერნიშევსკის, გერცენს და ოგარი-
ოვს.

როდის გამოემგზავრა ილია პეტერბურგიდან?
გერ-გერობით მისი წამოსვლის თარიღი
ზუსტად დადგენილი არ არის. მაგრამ ირკვევა,
რომ პეტერბურგიდან ის წამოსულა არა უად-
რეს 1861 წლის თებერვლისა და არა უგვიან-
ეს იმავე წლის მარტისა. ასეთი მოსაზრება
ემყარება შეადგე მოწამებებს: 1) 1861 წლის
იანვრის ბოლოს ილია გერ ისევ პეტერბურგ-
შია, რაც დასტურდება მისი ლექსის „გახაფ-
ხელის“ დათარიღებით (28 იანვარი); 2) ნ. ნი-
კოლაძე თავის მოგონებებში ამბობს, პეტერ-
ბურგში 1861 წლის 9 მაისს ჩავედი, მაგრამ
ი. ჭავჭავაძე იმ დროს იქ აღარ დაშვდომ,
სწორედ ჩემი ჩასვლის წინ სამშობლოში დაბ-
რუნებულიყოო. 3) 14 მაისს ილია უკვე
თბილისშია, რაც დასტურდება მისი სტატიის
„ახანუხის“ დათარიღებით. უოკელივე ამასთან
ერთად რომ ვავითვალისწინებთ იმ ვარემოება-
საც, რომ იმ დროს პეტერბურგიდან თბილი-
სამდე მოგზაურობას დაახლოებით თვენახე-
ვარი სჭირდებოდა, ცხადი გახდება, რომ პე-
ტერბურგიდან ი. ჭავჭავაძე 1861 წლის თებერ-
ვალში ან მარტში გამოემგზავრებულა.

ახლა შეათხველს ვთხოვთ ვაისხვოს, რომ
მეფე ალექსანდრე მეორემ პატრონობის გატე-
მების მანიფესტს ხელი მოაწერა 1861 წლის
19 თებერვალს, ხოლო საჯაროდ ამ მანიფეს-
ტის გამოცხადება მოხდა 1861 წლის 5 მარტს,
და მაშინ, ვგონებ, საშვეო არ უნდა იყოს, რომ
ი. ჭავჭავაძის პეტერბურგიდან გამგზავრება
პირდაპირ კავშირშია სწორედ ამ მანიფესტის
გამოცხადებასა და მასთან დაკავშირებით მო-
სალოდნელ სახალხო აჯანყებასთან.

ანდა შექმლო ეი „ერის წყლულით“ გულ-
დაწყვარ ილია ჭავჭავაძეს გამოკვლების ჩაბა-
რებაზე ვზრუნა იმ დროს, როცა მისი ანთე-
ტული ოცნება თვალწინ ხალხის განთავისუფ-
ლების დიად სურათს უხატავდა? რა თქმა
უნდა არა.

ამიტომ საესებით მართალია მისი მეგობარი
გრიგოლ ყიფშიძე, როცა ამბობს, ილიას გული
აღარ უღვებოდა რუსეთში და მთლად ალღ-
ვებული, ზღვა-გრძნობა მორყეული მოიხზაოდა
სამშობლოში, რათა მებრძოლთა გუნდის შიგ
შეაგულს ჩამდგარიყოო.

განა ილიას იმდროინდელი ფიქრები და
გრძნობები, მისი გულისხმილი საესებით
ამყარად და გასაგებად არ არის გადმოცემული
მის უკადავ მგზავრების წერილებში? ნათე-
ვინც მას ისტორიული პერსპექტივის გათვა-
ლისწინებით წაუკითხავს, მისთვის დღესავით
ნათელი არ იქნება, თუ რისთვის შესტრფოდა

სამშობლოსკენ მომავალი ჭავჭავი ილია „თერ-
გის ზარბან ხელს, გამალხებულ ბრძოლას და
დრტირებას“; განა თვითონვე ვერცხვდით არ
ამბობს ილია, თუ რისთვის მისიწარმოდ იფრ
სამშობლოში: „...დაერდომილი აღეადგინო.
უნდგემოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემ-
ლი მოვწმინდო, მემუკა შრომა გავუადვილო...
და ის თვითველი ნაბერწეალი, რომელიც არ
შეიტლება ყოველს კაცში არა ეოლადღეს, ერთ
დიდ ცეხალად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გა-
ციებულის გულის გასათბობლად.“¹

ილიას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო პირდა-
პირ ეთქვა, საქართველოში აჯანყების მოსამ-
ზადებლად მიედიეარო, მაგრამ ეს მიზანი
ამყარად გამოისქვივის მის ყოველ სტრიფონში.
„გული მტროს და მკლავი მითრთის. რის-
თვის? დროს დაეცადოთ ამის პასუხის მიცე-
მა“ო,² — ამბობს ილია და დღეს ჩვენთვის
გასაგებია მისი უჩვეულო მღელვარების მიზე-
ზი, გასაგებია ისიც, თუ რა „დიდ ცეხალზე“
ლაპარაკობდა სამშობლოს განთავისუფლებასა-
თვის თვალდახებულ მებრძოლს.

ეფიქრობთ, ნათქვამი საკმარისია იმ მოსაზ-
რების ნათესაყოფად, რომ ი. ჭავჭავაძე 1861
წლის დამდეგს პეტერბურგიდან წამოვიდა არა
აჯანყებობისა ან სხვა რაიმე პირადი მოთ-
ხოვნილებაში გამო, არამედ იმისათვის, რომ
ხელი შეეწყო საქართველოსა და მთელ კავ-
კასიაში სახალხო აჯანყების მომზადებისა და
წარმართვისათვის, რომლის მიზანი პატრონეშ-
რი წესწყობილების მოსპობა და რუსეთის
იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის სოციალ-
ური და ექონრული განთავისუფლება იყო.

რა თქმა უნდა, ამ საკითხს შემდგომი გაღრ-
მავებელი შესწავლა სჭირდება. კერძოდ, აუც-
ლებელია დეტალურად იქნას შესწავლილი
ი. ჭავჭავაძის და მისი თანამებრძოლებს
პრაქტიკული საქმიანობა თბილისში 1861—1862
წლებში. მაგრამ ეს ცალკე გამოკვლევის საგა-
ნია.

ახლა კი ჩვენ უნდა დავებრუნდეთ ისევ პე-
ტერბურგის ამბებს.

8. პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარება 1861 წელს და ქართველი სტუდენტთა. ნიკოლოზ დოლიბერიძის როლი

1861 წლის ზაფხულში რუსეთში უაღრესად
დამახებელი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა.
მაისის ბოლოს მთავრობამ დაამტკიცა გ. წ.
„ახალი წესები“, რომლის მიზანი იყო რუსეთის
უნივერსიტეტებში იერულიტური რეჟიმის და-
ნერგვა; ამავე ხანებში შემოიღეს სტუდენტთა
მეტრიკულები, რასაც მთავრობის ბრბო,

¹ ნ. ნიკოლაძე, რჩული ნაწერები, ტ. I,
გვ. 92-94.

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრ. კრებ.,
1951 წ. ტ. II, გვ. 12.

² იქვე, გვ. 22.

უნდა გავადვილებია პოლიციისათვის სტუდენტებისადმი თაღუდრის დევნება. სასტიკად აიკრძალა სტუდენტთა ყოველგვარი კრება და თუნდაც უბრალო თავმოყრა, აიკრძალა აგრეთვე სტუდენტთა ორგანიზაციები (ურთოვრთ დახმარების საღაროები, ბიბლიოთეკები და სხვ.).

ასეთი ღონისძიებებით მთავრობა ცდილობდა ჩაეხშო სტუდენტთა პოლიტიკური მოძრაობა, მაგრამ სინამდვილეში მის მიერ შემოღებულ „ახალ წესებს“ შედეგად მოჰყვა სტუდენტთა უწყალოდების შემდგომი გაძლიერება და მათი რევოლუციური აღტყინების არანაკლები აღმავლობა. ასე მოჰყიფდა პირობები სტუდენტთა „ბუნებისათვის“. ახლა სპირით იყო მარტო ნაპრწყალი, რომ ერთბაშად აღფრთხილებოდა ახალგაზრდული ენთუზიაზმი და ასეთი ნაპრწყალი შალე გამოიწვია.

„ლექციები სექტემბრის მეორე კვირას დაიწყო. — გადმოვეცემ თავის მოგონებებში ჩ. ნიკოლაძე. — ათიოდე დღის შემდეგ ტანისათვის დასაკიდებ... განდგა რუსეთში ჯერ არ გავიხილა რამ: დაბეჭდილი პროკლამაცია „К молодому поколению!“¹ ეს იყო პირველი შეკრებილი დაწყებული არეულობისა... ეს პროკლამაცია... ვარდა იმისა, რომ ცალკე პირებსაც და შოულ მთავრობასაც ჰკიცხავდა, მოგუწოდებდა აშკარა ბრძოლისაკენ ძველი რეჟიმის დასაშინობად, და არა შოლოდ გასასწორებლად. ანათემასებით გაისმოდა პროკლამაციის გამანადგურებელი ტონი. ჩემზე, ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ერთნატივლამა დამიარა მთელ ტანში“².

ასე დაიწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარება, რომელიც თითქმის მთელ თვეს გრძელდებოდა. 25 სექტემბერს სტუდენტები ჭეჩაში გამოვიდნენ და მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც იმ ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკურ მოვლენად გადაიქცა. შემდეგ დღეებში შეუწყობულად გრძელდებოდა სტუდენტთა მღელვარე დემონსტრაციები და შეკრებები.

ქართულმა სტუდენტებმა უარესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა გამოსვლებში და ბევრმა მათგანმა კიდევაც იკვმა

პეტროპავლოვსკისა და კრონშტადტის ციხეებში სტუდენტთა პირველ დემონსტრაციულ კმარებულს მონაწილეობის ინტენსივობა დასტურების ჩამდგმული იყო ნიკოლოზ ლოლობერიძე, რომელსაც გვერდში ედგა და აქტიურად ეხმარებოდა მისი უახლოესი თანამებრძოლი, გამოჩენილი რევოლუციონერი ბესარიონ ლოლობერიძე.

ნიკოლოზ ლოლობერიძის, როგორც ქართველი სტუდენტების ზედმტკვანელის როლი კრებად ჩანს ნ. ნიკოლაძის და ა. წერეთლის მოგონებებიდან, აგრეთვე, რიგი სხვა წყაროებიდან. ნ. ნიკოლაძე ამბობს: „1861 წლის ზაფხულის აღტყინებელი სელისკეთება ნელ-ნელა ჩვენც გადმოვეცა: იმ ჩვენი უფროსი თანამებრძოლი მკონებოდა ჰქონდათ რუს და, განსაკუთრებით, პოლიწელ სტუდენტთაგანთან. ჩვენც წარუშე, პოეტის ილია ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1861 წლის ზაფხულს (სწორედ ჩვენი ჩასვლის წინ). უდიდო გავლენა მოიხდინა ნიკოლოზბერიძემ, რომელიც იმ შემთხვევაშივე ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაქტებს ასრულებდა“³.

ამ ფაქტს ადასტურებს აკაკი წერეთელიც, რომელიც „ჩემ თავგადასავალში“ ამბობს, ნიკოლოზბერიძე „გაეუღიანა იყო და მამაშვილურად გვეპყრობოდა“⁴.

ასეთვე აზრი ვტარებულა ერთი უცნობი ავტორის წერილში, რომელიც ნიკოლოზბერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი. ეს წერილი დაბეჭდა 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“, რომელიც ე. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოიღოდა⁵.

ამ ამონაწერებიდან ნათელია, რომ ე. ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნიკოლოზ ლოლობერიძე უდიდოდ ზედმტკვანელ როლს თამაშობდა პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა შორის ცხადია, ის დაკავშირებული იყო სტუდენტთა მოძრაობის ზედმტკვანელებთან და მათგან ღებულობდა მთითობებს. რევოლუციური მოძრაობის ზედმტკვანელ წრებთან უშუალოდ იყო დაკავშირებული აგრეთვე ბესარიონ ლოლობერიძე, რომლის საქმიანობაზე ჭეჩოთი გვექნება საუბარი. საფუძველი გვაქვს ედიფიკატი, რომ როგორც ნიკო, ისე ბესარიონი შედიოდნენ სტუდენტთა საიდუმლო კომიტეტში, რომელიც მღელვარების დროს არსებობდა.

¹ ნ. ნიკოლაძე, ჩრეული ნაწერები, ტ. I, გვ. 94

² ა. წერეთელი, ჩრ. ნაწერები, 1940, გვ. 461

³ იხ. „ძველი საქართველო“, ტ. II, გვ. 13.

¹ ეს პროკლამაცია დაწერა ნ. ვ. შელგუნოვმა მ. ლ. მიხაილოვთან ერთად. ეს უკანასკნელი ხნეუბელი პროკლამაციის გაერეულებისთვის დააბატონირეს და ციმბირში გადაასახლეს. მ. ლ. მიხაილოვის გასამართლებით (1861 წ.) დაიწყო რევოლუციონერთა წინააღმდეგ რეპრესიების მთელი სერია. — ჰ. რ.

² ნ. ნიკოლაძე, ჩრ. ნაწერები, ტ. I, გვ. 97—98.



სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი

(საბჭოთა დელეგატის შთაბეჭდილებანი)

1

თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია

1. ზოგი რამ ზოგადად

სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია (სსა) დაარსდა 1949 წ. სექტემბერს ქ. ოსლოში, სადაც ზეერთიანებული ერების ორგანიზაციაში შემაჯავლა სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგებმა „დარწმუნებელი იყვნენ რა ყველა ქვეყნის სოციოლოგთა შორის კავშირებში ერთობის სასურველობასა და საქმიანობაში“, შექმნეს ეს ორგანიზაცია.

სსა მიზანია სოციოლოგიური ცოდნის გავრცელება მსოფლიოში, რისთვისაც ის მიმართავს ყველა ღონისძიებას საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისათვის, რათა ხელი შეუწყოს სოციოლოგიის სფეროში ცნობიერების, სწავლებისა და მეცნიერული კვლევების განვითარებას.

სსა ცდილობს: გააფართოოს და გაამრავლოს მთელი მსოფლიოს სოციოლოგთა შორის პირადი კონტაქტები, ხელი შეუწყოს სოციოლოგიის სფეროში მნიშვნელოვან მიღწევათა გავრცელებას და გაცვას საერთაშორისო ინფორმაციის გზით და გააადვილოს, წააქეზოს საერთაშორისო მასშტაბის სოციოლოგიური კვლევა.

სსა ამჟამად აქვს კვლევების საში განყოფილება (ქვეკომიტეტი), რომლებიც სპეციალურად შეშაობენ: 1. სოციალური სტრუქტურისა და სოციალური მოძიერების, 2. მრეწველობის სოციოლოგიისა და 3. ქალაქური და სოფლური რაიონების სოციოლოგიის საკითხებზე. ქვეკომიტეტები დროდადრო იკრიბებიან, რათა განიხილონ შესწავლის ობიექტად აღებული მოვლენები, მოაწიონ დისკუსია ამა თუ იმ პრობლემის გარშემო. ამ შეკრებებზე წაითხლება მოხსენებები და პაქტობის ანგარიშგება ჩვეულებრივ ქვეყნდება ყოველწლიურ (მაგ. მრეწველობის სოციოლოგიის საკითხებზე¹).

სსა წევრებად მიიღებიან ეროვნული სოციოლოგიური ორგანიზაციები, რომლებიც ზო-

გიერთ ქვეყანაში უკვე დიდი ხანია რაც არსებობენ, ამ ამერიკიდან შეიქმნებიან, ხოლო იმ ქვეყნებშიდან სადაც ასეთი გაერთიანებები არაა — ცალკე პირებიც, გამოჩენილ სოციოლოგთა სახით.

სსა უშაღუესი ორგანოა საბჭო, ხოლო საბჭოს სხდომათა ინტერვალში — აღმასკომი. უკველ ქვეყანას, რომლის სოციოლოგიური ორგანიზაციები მიიღებიან სსა, უკანასკნელის საბჭოში ყავს 1 წევრი და აქვს 1 ხმა, მაქსიმუმში — 2 წევრი და 2 ხმა (აშშ, სსრკ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია). საბჭოს წევრები ინიშნებიან 3 წლით სსა შემაჯავლი ქვეყნების ეროვნული სოციოლოგიური ასოციაციების მიერ. სსა საბჭო ირჩევს პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებს და აღმასკომის წევრებს. საბჭო იყრიბება 3 წელიწადში ერთხელ შინც. აღმასკომი შედგება 7-11 წევრისაგან, პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტების ჩათვლით. აღმასკომის წევრთა მანდატი 6 წლის ვადით გაიცემა. აღმასკომის მდივანი აირჩევა 3 წლით და ის განაგებს სსა ადმინისტრაციულ საქმეებს. პრეზიდენტი არ შეიძლება განმეორებით იქნას აირჩეული იმავე თანამდებობაზე.

თავისი წესდების მიხედვით სსა მხოლოდ-დამხოლოდ მეცნიერულ მიზნებს ემსახურება. ნამდვილად კი ის, ამასთანავე, უაღრესად პოლიტიკური ორგანიზაციაა.

აღსანიშნავია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა და სსრკ სოციალიზმის მშენებლობის მსოფლიო ისტორიულმა გამარჯვებებმა, მერმე საერთოდ, დემოკრატიული, სოციალისტური ქვეყნების უდაღესმა წარმატებებმა ამერიკისა და საერთოდ დაავლეთის ბერძენიზა იძულება ბევრად უფრო მეტი ყურადღება მიექცია სოციოლოგიისათვის. აშშ სოციოლოგიური ორგანიზაციების გამრავლება უშელო კავშირშია აგრეთვე მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გაშლილ ჭარბი წარმოების კრიზისისა და მას მოყოლილი დეპრესიის სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებთან. ამჟამად აშშ არსებობს 11 ეროვნული სოციოლოგიური ასოციაცია და გამოდის 8 დიდტანიანი სოციოლოგიური ჟურნალი, რაც უკვე თავისთავად მოწმობს იმ

¹ იხ. „Archives of the Sociology of Cooperation“, 1957, ორი ტომი.

ყურადღებას, როგორათაც ამერიკის მონოპოლიური კაპიტალი ეყიდება თავისი ვარლვეული „სოციოლოგიური ფრონტის“ გამავრების საქმეს.

ამ მხრივ საქირთა ისიც ითქვას, რომ საერთოდ აშშ წიგნის ბაზარზე სოციოლოგიურ გამოცემებს მეოთხე ადგილი უჭირავს და ტირაჟისა და სახელწოდებათა რაოდენობის მიხედვით ის ჩამორჩება მხოლოდ მხატვრულ, რელიგიურ და ახალგაზრდობის (საუნივერსიტეტო) ლიტერატურას, ხოლო კერძოდ საზოგადოებამეცნიერებათა დარგების გამოცემლობაში ის პირველ ადგილზე დგას. აშშ 1810 უმაღლეს სასწავლებელში თითქმის ნახევარი მილიონი სტუდენტი გადის რამოდენიმე ათეულ სხვადასხვაგვარ სოციოლოგიური დისციპლინის კურსს და ისეთი უნივერსიტეტები, როგორცაა, მაგალითად, პარვარდის, კოლუმბიის, ჩიკაგოს, კალიფორნიის და სხვა წარმოადგენენ ერთგვარ ცენტრებს ამა თუ იმ სოციოლოგიური სკოლასა, მიმართულებასა თუ დაჯგუფებასა.

ინგლისში ანალოგიური ხასიათის სასწავლო და საპეცნიერო ცენტრებს წარმოადგენენ ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების ლონდონის სკოლა, სადაც ფართო კვლევარეობა მიმდინარეობს განსაკუთრებით სოციოლოგისა და დემოგრაფიის განყოფილებაში (დეპარტამენტში), ბირმინგემის, ვლანგოს, ედინბურგის, ლივერპულის, ლონდონის, შეფილდის, ბრისტოლის და სხვა უნივერსიტეტების სოციალურ მეცნიერებათა განყოფილებები და აგრეთვე სპეციალური საკვლევამებო ინსტიტუტები და დაწესებულებები.

საფრანგეთში სოციოლოგიური კვლევამების მთავარი ცენტრებია სოციოლოგიის ორი კათედრა სორბონაში, ბორდოსა და სტრასბურგის უნივერსიტეტების სოციოლოგიის კათედრები, სოციოლოგიის ფრანგული ინსტიტუტი, სოციოლოგიურ კვლევამებათა ცენტრი, დემოგრაფიულ გამოკვლევათა ნაციონალური ინსტიტუტი, საზოგადოებრივი აზრის ფრანგული ინსტიტუტი, სტატისტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ნაციონალური ინსტიტუტი და სხვა.

სოციოლოგია I მსოფლიო კონგრესი მოეწყო 1950 წელს შეიკარიაში (ციურხში), სადაც მსჯელობა იყო უმთავრესად სოციოლოგიური კვლევამების საგანსა, პრობლემასა და მეთოდებზე. II კონგრესი შესდგა ბელგიაში (ლიეჟი) 1953 წ.; ის მიემდინა სხვადასხვა ქვეყანაში სოციოლოგიის ვითარების, სოციოლოგია პროფესიული მოღვაწეობისა და პასუხისმგებლობის საკითხებს. მაინც მსჯელობის მთავარი პრობლემა აქ იყო „სტრატეგიკული და სოციალური მობილერობა“. საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურის შესახებ მარქსი. „ნათობა“ № 3.

სისტულ მოძღვრებას სწორედ ამ ცნებას უბირისპირებს ამჟამად ბურჟუაზიული სოციოლოგია.

1956 წ. ჰოლანდიაში, ქ. ამსტერდამში შეკრებილა სოციოლოგთა 111 კონგრესმა განიხილა პრობლემა: „სოციალური ცვლილებანი XX ს. ს. საბჭოთა მეოთხეელი იდეოლოგიის, რომ აქ მსჯელობის საგანი იქნებოდა ის კვლევარეობა მსოფლიო ისტორიული მოვლენები, რაც ოქტომბრის დიდ რევოლუციასა და სსრკ სოციალისტური საზოგადოების აშენებაში გამოიხატა. სრულდებათაც არა. ბურჟუაზიული სოციოლოგიების განხილვის საგანს შეადგენდა არა ეს ძირეული ხასიათის სოციალური ძვრები, არამედ პლატიციური ხასიათის ცვლილებები თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოებისა, რასაც ისინი თვლიდნენ ისეთი პრინციპული მნიშვნელობის ახალ მოვლენებად, რომელთაც ვითომდა უნდა მოეყვანათ მთელი კაპიტალისტური წყობილების „აყვავების“ და „საყოველთაო კეთილდღეობის“ სფეროში გადასვლა.

2. სოციოლოგია IV მსოფლიო კონგრესი საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაში

სოციოლოგთა IV კონგრესი მოეწყო იტალიაში (მილანი-სტრეზა; 1959 წ. 8-15 სექტემბერს). საქირთა აღინიშნოს, რომ როგორც პირველი სამი, ისე მეოთხე კონგრესის მუშაობაში ბურჟუაზიული სოციოლოგები მისწრაფობდნენ მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიისთვის დაგვირგობინებოთ ბურჟუაზიულ წარმოებრივ ურთიერთობათა იდეალისტური, უპირატესად ბოზიტიციური, არსებითად აპოლოგეტური გაგება.

კონგრესის პირველი დღის ორივე სხდომა შესდგა ქ. მილანში — უნივერსიტეტსა და ლეონარდო და ვინჩის ლიკეუმში, — ხოლო მეორე დღიდან მთელი მუშაობა გადატანილი იქნა ქ. სტრეზაში — კონგრესთა სასახლეში.

IV კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა ათასამდე სოციოლოგი — მსოფლიოს მრავალი ათეული სახელმწიფოდან. 1958 წელს შექმნილი საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის 2 (პრეზიდენტი ი. ფრანკევი) დელეგაციის მეთაურობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპ. პროფ. პ. ნ. ფედოსიევი. დელეგაციაში შედიოდნენ გამორჩილი სამუშაოთა სოციოლოგები: აკად. ვ. ნემშინოვი; პროფესორები: ა. ბოგოტდინოვი, ნ. გრანინი, კოი, მ. კამარი, ა. თელოვი, თ. იიზერმანი, ი. ფრანკევი, ა. ნიშინი; დოცენტები: ი. სემიო-

3 საბჭოთა სოციოლოგიური ასოციაციის შესახებ იხ. ვურ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1958 წ., № 12.

ნოვი, ა. ხარჩევი, ე. არამ-ოული, ლ. ჩაიკოლი-ნი, ამ სტრუქტურების ავტორი და სხვ.

კონგრესს ესწრებოდნენ აგრეთვე სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების ცნობილი სოციოლოგები აკად. ე. მოლინარი, ა. სროვანი, (უნგრეთი) პროფ. ლ. სვობოდა (ჩეხოსლოვაკია), პროფ. პ. შელლერი, გ. ჰაიდენი (გერმ.), პროფ. ა. შნებანსკი (პოლონეთი), პროფ. ე. მა-ლისკი (რუმინეთი), პროფ. უ. ოშაიკოვი (ბულგარეთი) და სხვ.

დასაუბროს ქვეყნებიდან კონგრესზე იყვნენ ბერტენიჟელი სოციოლოგიის განთქმული წარ-მომადგენლები: პროფესორები: რ. აგო, რ. არი-ნი, ფ. ბატალია, პ. ბეკერი, ტ. ბოტომორი, ე. ბერტიო, რ. კონიგე, ლ. ლევი, პ. ლაზარ-სველდი, ტ. მარშალი, რ. მერტონი, გ. მიერ-დალი, ტ. პარსონსი, ე. ტრიდმანი და სხვ. კონგრესის შემოახმაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე აზიისა და აფრიკის რამეი ქვეყნების სოციოლოგებმა.

საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციის მხრივ კონგრესს შემოახმა მოუხდა ხელსაყრელ ვითარებაში. ეს იყო საბჭოთა მშენებლობის პოლიტიკის ერთერთი დიდი გამარჯვების — ნ. ს. ხრუშჩოვის აწმ მოგზაურობის და დ. ებენსეიერთან შეხვედრისა და ამასთანავე, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი წარმატების — საბჭოთა რაკეტის მთავარზე მოხვედრის დღეები.

ლომბარდის ინფსტრუქციული და კულტურუ-ლი გულის ქ. მილანოსა და მშვენიერი ლავო მჯგორეს ნაპირას აშენებელ კომფორტაბელურ საფრთხრტო ქალაქ სტრეზას ბაღნარად ვადმ-ულილი შემოკარგების მოსაელთ, ჰინრანულით და ხეილით დაურსულ აღრ შემოდგომის ჰრეღუთობება დღებში, საერთაშორისო პო-ლიტიკური პავის თბილი სიო თითქოსდა შემ-პარავი ღიმილით ესალბუნებოდა და ურთიურ-თის მიუთხრობელი მშვენიერებით ერთივად ხიზლავდა საზოგადოებათმეტყველების, რო-გორც ბერტენიჟელი, ისე სოციოლისტური ბანაკის აქ შეკრებულ ქტრებებს.

ამ ვითარებას ცხადია არ შეეძლო დადები-თად არ ვმოქმედა, რათა უფრო გაეძლიერე-ბა ბერტენიჟელ სოციოლოგთა შორის ინ-ტერესი საბჭოთა მეცნიერებისაღმი, სოცია-ლისტური ქვეყნების ისტორიული გამოცდი-ლების შესწავლისაღმი, სოციოლოგიის სფერო-ში მეცნიერული თანამშრომლობისა და ურთი-ერთგაგებისაღმი.

კონგრესის შემოახმას არსებითად წარმარ-თადნენ ამერიკელი და ინგლისელი სოციო-ლოგები. საქმე ისაა, რომ საბჭოთა სოციო-ლოგები IV კონგრესაღმდე არ იყვნენ სხა წევრები და, ამგვარად, მათ საშუალება არ ქონდათ მონაწილეობა მიეღოთ კონგრესის მომზადებასა და მისი შემოახმის ხელმძღვანე-

ლობაში. ბერტენიჟელი მეცნიერები კი ცხა-დია, სოციოლოგიის ამოცანების შეთუვის და-მახასიათებელი ვაგებობის შესაბამისად წარ-თავდნენ დისკუსიებს, სადაც მისი გეგმარ-დნენ ზოგად თეორიულ პრობლემებზე მსჯე-ლობისა და კერძოდებას ამახილებდნენ უმ-თავრესად ემპირიული სოციოლოგიის საკით-ხებზე.

აქ საკითხა ითქვას, რომ ბერტენიჟელ მეცნიერებს თანამედროვე ამერიკელი სოციო-ლოგიის უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიაჩნიათ სწორედ ემპირიული და აღწერილობითი მეთო-დის გახატონება საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლაში. ერთერთი წამყვანი ამერიკელი სოციოლოგიური ევრნალი თავის არსებობის 40 წლისთავისაღმი მიმღუნელ სპეციალურ ნომერიში ცნობილი ამერიკელი სოციოლოგის პროფ. ს. ტელიორის პირთი აცხადებდა, რომ უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე სოციოლოგიის რბი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ისაა, რომ: 1. „სოციოლოგთა თეორია შეიქნა ნაკლებად ფილოსოფიური და ისტორიული და მეცნიერული აზრით ევრო ვასაგები“ და 2. რომ „სოციოლოგიის ე. წ. მიღწევებში გახატონდა ემპირიული კვლევებიება“².

როგორც სოციოლოგთა III მსოფლიო კონ-გრესზე ინგლისური სოციოლოგიის ძირითად მიმართულება მიხედვით მოხსენებლით გამო-სტელმა ბრაიტანულის ერთეული სოციოლოგი-ური ასოციაციის მდივანმა პროფ. ჯონ მეიჯმა აღნიშნა, ამემაღ ინგლისელ სოციოლოგთა შორისაც თეორია არ საგებებობს ევროვანი პატივისცემით და აქ სოციოლოგურ გამოცდილე-ვთა უდიდესი ნაწილი მონათ ისახავს ამ თე-იმ პრაქტიკული პრობლემის, ე. ი. რაიმე სო-ციოლოგი რეგორმის გატარებასთან დაკავშ-რებულ ღონისძიებათა შესწავლას.

ამ მხრივ უკანასკნელ წლებში ინგლისელ სოციოლოგთა ყურადღება მიმართულია უმ-თავრესად მრეწველობის, როგორც საერთო ისე რეგიონალური და აგრეთვე ცალკე საწარ-მოთა საკითხებისაყენ. შემდეგ მოდის სოციო-ლოგია აღზრდის, პოლიტიკის, ჯანდაცვის, ეკონომიკის, რასობრივ ურთიერთობათა და სხ.

სიმაართე მოითხოვს აქ ისიც ითქვას, რომ ცნობილი სოციოლოგ პროფ. ტ. ბოტომორი თავის სტატიაში „თანამედროვე ინგლისური სოციოლოგია“, აცხადებს, რომ უკანასკნელ წლებში, ინგლისელ სოციოლოგთა შორის შეიშნევა თეორიული პრობლემებისაღმი ინ-ტერესის აღორძინება. ამასთანავე, თით ქ. ბო-ტომორის აზრით აუცილებლობა არ მოითხოვს, რომ სოციოლოგებმა იმეშინ საყოველთაო (უნივერსალური) თეორიის შექმნაზე და რომ

² „Sociology and Social Research“, 1956, ტ. 40, გვ. 412.



უფრო მიზანშეწონილია, რათა სოციოლოგია „ხელს უწყობდეს პრაქტიკული პრობლემების უფრო ეფექტიურ გადაჭრას და აგრეთვე საერთო კეთილდღეობას“.

ემპირიული გამოკვლევები, ფაქტოლოგია — მთავარი დამახასიათებელი ნიშნია თანამედროვე ფრანგული სოციოლოგიისა, სადაც ამა თუ იმ სოციალური ფაქტის აღწერა, ციფრობრივი განჯერებისა და მათი ურთიერთშედეგება, თითქმის ყოველგვარ განზოგადებათა გარეშე, ყველაზე მეტადაა მოწონებული ბერტრანდიელ მეცნიერთა შორის.

სოციოლოგია ეს სტატეგია ერთ ამერიკულ კრებულში გამოქვეყნებულ სტატიაში — „სოციოლოგია საფრანგეთში“, წერს, რომ თანამედროვე ფრანგული სოციოლოგიის ძირითადი ტენდენცია გამოხატება ემპირიულ განხილვაში, თუმცა იგი იმედოვნებს, რომ ამ ტენდენციას არ მოესპია ფილოსოფიური, აკადემიური ორიენტაცია ფრანგული სოციოლოგიისა მის მხლევლობაში აქვს განსაკუთრებით ცნობილი ფრანგი რეპტიონური სოციოლოგის ერთგვარების შრომებში.

ემპირიულ სოციოლოგიაში კი სტატეგის ახრით უკანასკნელ წლებში მთავარი იყო გამოკვლევები სოფლისა და ქალაქის პრობლემებზე და საერთოდ ეკონომიკის სოციოლოგიიდან კი — ინდუსტრიული წარმოებისა, შრომისა და წარმოებრივი ტექნიკის შესახებ. მაგრამ ამ ანტიპატივს, მაგალითად, ინდუსტრიული შრომის შესწავლის დროსაც კი, ბერტრანდიელი სოციოლოგები (მაგ. ერთგვარად მანი) უპირატესად წმინდა ტექნიკური და „ფსიქოლოგიური ასექტები“, არიან დაინტერესებულნი, რათა მიიქმელონ შრომისა და კაპიტალის შორის არსებული ანტაგონიზმი.

3. კონგრესის პრობლემატიკა და ორგანიზატორთა სულიკვთობა

IV კონგრესი მივლინა პრობლემას: „საზოგადოება და სოციოლოგიური ცოდნა“. ანუ სხვა სიტყვებით „სოციოლოგია მის სოციალურ კონტექსტში“.

გარდა ზოგიდი ხასიათის საკითხებისაღმე მიღწეულა პლენალური სხდომებისა კონგრესის შემოიბმა მიმდინარეობდა ინდუსტრიის სოციოლოგიის, სოფლის მეურნეობის, სოციალური გვემანობის, ქალაქებისა და სოფლების გვემანობის, განათლების, ჯანდაცვის, სახელმწიფოებრივი მმართველობისა და ორგანიზაციის, მედიცინის, ოჯახის, ეთიკის, მასობ-

რივი კომუნიკაციების, რასობრივ ურთიერთობათა, მოსახლეობის, სოციალური მნიშვნელობათა საზოგადოებრივ ასექტებზე (თავისუფალი დროს) და სხვა კონკრეტული სოციოლოგიის პრობლემისათვის მოწოდებულ სექციებში.

ცალკე იყო გამოყოფილი სოციოლოგიის მეთოდის საკითხები, სადაც მოსმენილი იქნა გამოსვლები სტატისტიკური, მათემატიკური, ექსპერიმენტული, მიმოხილვითი, შედარებითი მეთოდების სფეროში არსებული მიღწევების, აგრეთვე ისტორიული სოციოლოგიის, სოციალური ანტროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და ფსიქოანალიზის სოციოლოგიასთან კავშირის შესახებ.

კონგრესის შემოიბმაში მნიშვნელოვანი ადგილი მიიჭირა ერთმდ ვიწრო საკითხებისაღმე მიღწეულა სემინარებში და სხვადასხვა ქვეყნების სოციოლოგთა პირადმა შეხვედრებმა, ლიტერატურის გაცვლამ და ს.

ბერტრანდიელ სოციოლოგებს ნავაარდუევი პქონდთ კონგრესის მთელი შემოიბმათათია ნიშნობულება მიეკათ პირველ პლენალურ სხდომამზე გამოტანილი რაიმონ არონის მოსხენებით: „თანამედროვე საზოგადოება და სოციოლოგია“ პარიზის უნივერსიტეტის პროფესორის, ვან „ფიჯაროს“ ერთერთ რედაქტორისა და საერთოდ ცნობილი ბერტრანდიელი სოციოლოგის რ. არონის მთელი გამოსვლა მიმართული იყო მარქსიზმის წინააღმდეგ, ამასთანავე თანამედროვე სოციოლოგიის საწესების გაშუქებისას ის რ. კონტისა და მ. ეებერის გვერდით აღნიშნადა კ. მარქსის დამახებრებას და თანვე მიუთითებდა, რომ ყოველ ქვეყანაში სოციოლოგიის ხასიათის ახსნა შეიძლება მხოლოდ მის „სოციალურ კონტექსტთან“ კავშირში.

მაგრამ სინამდვილეში რ. არონი ამოდიოდა აბსოლუტური რელატივიზმის პოზიციებიდან და ფაქტურად უარყოფდა სოციოლოგიის ობიექტურ-მეცნიერულ ხასიათს. იგი იქმნედა კი მივიდა რომ, ჩიჩქს სუბებდა აცხადებდა, რომ საბჭოთა სოციოლოგია „ტატალიზარზმის“, ხოლო ამერიკული კი „დემოკრატიზმის“ იდეოლოგია არისო; ამასთანავე საბჭოთა საზოგადოებათმეცნიერება შიშო დღესათათებოთ, თითქმის და ფაქტების კონკრეტული ცვლილის ნაცლად გატაცებელია არაფრად გამოხადევი, თითქმის მითითური საყოველთაო კონონების ძიებით. მომავლის წინასწარტყერტით, რაც სხვა არაფერია თუ არა „მედენიერა დასასრულის“ შეპირებაო.

რ. არონი შიანე აღიარებდა: გვინდა, თუ არ გვინდა ფაქტია, რომ „მეოლონობით აღმოიბნიბო თუვის თავს თელან მარქსის მოძღვრების მიმდევრებადო“ ამვე დროს ის ამტკიცებდა,

¹ „Cahiers Internationaux de sociologie“, V. XVIII, 1955, Janvier—Juin.
² Modern Sociological „Theory in continuity and change“. 1957, New-York.

რომ ამერიკულ სოციოლოგიასა და საბჭოთა სოციოლოგიას შორის წინააღმდეგობა აღბაძ, აიხსნება ამ ორი ქვეყნის სოციალური კონტექსტითა.

უახლესმა ბერეჯაზიელმა სოციოლოგიამ, საზოგადოებრივი ცნობიერების საზოგადოებრივი ყოფიერებისადმი დამოკიდებულების მარქსისტულ მოძღვრებას დაუბიძგისიძირა „ფაქტორთა თეორიის“ ყაიღაზე შეთხზული ვალექტრული-იდეალისტური ცნება „სოციალური კონტექსტისა“, რაშიაც ის ათავსებს საზოგადოების მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების ფრიალ მრავალგვარ მოვლენას. რამდენადაც ყოველი ქვეყნის სოციოლოგია „შეკრულია სოციალური კონტექსტით“, ამდენადვე შეუძლებელია სხვადასხვა ქვეყნის სოციოლოგია შორის და განსაკუთრებით კი სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების სოციოლოგია შორის ურთიერთგვეგობა. ასეთი დასკვნით პროფ. რ. არონი თავის ხმას არსებთანად უყვე უერთებდა „ცივი ომის“ მორტიყვეთა დღადვისს.

